



ახალმოწამე ევგენი ჰოსელიანის

წმინდა სიყმაწვილე



თბილისი
2007

იბეჭდება
ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტ
დიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით




თარგმნა ნინო ახალაძემ


გამომცემელი: ასოციაცია „კვირიაკე“

მხატვრები: მარია მ ჩხაიძე, ნინო მკერვალიძე

თარგმანი შესრულებულია წიგნიდან:
E. Поселянин “Святая юность”, М. 1999

რეცენზირებულია და ნებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ.


ფოთისა და სიზის მიტროპოლიტი



შინაარსი

ავტორის შესახებ.....	5
შესავალი	10
ბასილი ღიდის სიყმაწვილე	14
სერაფიმე საროველის ბავშვობა	16
ღირსმოწამე ონოფრეს ღვაწლი	27
საბა სერბელის ახალგაზრდობის წლები	28
მოციქულთასწორ ნინოს ახალგაზრდობა	30
წმიდა მოწამე ნეოფიტე	33
წმიდა მოწამე აბნია	38
მღვდელმოწამე კლიმენტი (კლიმი) ანკვირელი	40
წმიდა ფელიცატა და მისი შვილი ვაჟი	45
წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ბავშვობის წლები	46
ღირსი ქსენოფონტე და მისი ოჯახი	49
წმიდა მოწამე ტრიფონი	59
წმიდა ქალწულმოწამე ფავსტა	66
მოციქულთასწორი კირილე	75
მღვდელმოწამე კოლიკარაჰე სმირნელის ბავშვობა	79
წმიდა არსენ ტვერელი	82
წმიდა ბენედიქტეს ბავშვობა	91
ალექსი ღვთისკაცის ღვაწლი	93
იოსებ შვენიერის ამბავი	104
ახალგაზრდა მოწამე კალიოკეს ღვაწლი	110
იონანე ახალი, ახალგაზრდა მოწამე	117
წმიდა თეოდორე სიკემოტის ახალგაზრდობა	119
ღირსი თეოდოსი კეჩოველის ბავშვობა და სიყმაწვილე	129
წმიდა ღიდმოწამე ირინე	140
წმიდა ეპიფანე კვიპრელის ბავშვობა	148
ღირსი ექვთიმე ათონელის ცხოვრება	151
კირილე ბელოჯერელის სიყმაწვილე	154
ყრამ მოწამე აკვილინა	159
ღირსი ლევკი, ახალგაზრდა ილუმენი	166
იონანე ნათლისმცემელის დაბადება და ბავშვობა	169
ყრამ კოტიტეს წამება	173
ღირსი ათანასე ათონელის სიტახუბე	179

წმიდა თეოდორე ეფესელის ახალგაზრდობის წლები	182
ღირსი ანტონ კეიროელი	185
ყრპა მოწამე კვირიკე და დედამისი ივლიტა	191
ღირსი მაკრინეს ბავშვობა	194
წმიდა მოწამე ქრისტინე	197
ღირსი ქალწული მკრანაია – ახალგაზრდა მონაზონი	200
უპერცხლო მკურნალი კანტელეიმონი	207
სოლომონია და მისი შვილი ვაჟი მაკაბელი	212
შვილი ეფესელი ყრპა	217
წმიდა მოწამე პონტი	224
ტისონ ზადონელის ბავშვობა	228
ახალგაზრდა წინასწარმეტყველი სამოელი	236
წმიდა მოწამე ვანა და მისი შვილები	241
წმიდა მოწამე ევლანია ქალწული	244
ყრპა მაიანტი, მოწამე და დიდი სასწაულთმოქმედი	248
მოწამენი – კისტი, ელკილი, ალავი და მათი დედა სოფიო ..	254
ეფსათი კლაკიდას შვილების საოცარი ცხოვრება	259
ღირსი სერგი რადონეჟელის ბავშვობის წლები	265
ყაწვილი რომანოზ ტაბილადგალობელი	271
ქრისტესთმობის ხალონის, ნეტარი ანდრიას სიყმაწვილე	274
ნეტარი ყრპა იოანე	278
წმიდა მოწამე არეთა	283
წმიდა ღიდმოწამე ღიმიტრი თესალონიკელი	287
ანასტასია რომაელის წამება	291
წმიდა მოწამე ერმინებელი, გოთთა მეფის ქე	295
ახალგაზრდა მოწამე კლათონი	298
ყრპა ბარულის წამება	302
ინდოეთის უფლისწული იოასავი	305
წმიდა ღიდმოწამე ბარბარე	313
წმიდა იოანე დამასკელის მასწავლებელი	319
წმიდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის ბავშვობა	322
ეფესელმთავარი ამბროსი მელიოლანელი	327
ღირსი დანიელ მესხეთის ახალგაზრდობა	330
წმიდა ეგნატე ღმერთმემოსილი	333
ყრპა ნიჟონტის მოქცევა	336
ბეთლემელი ყრმები	341

ავტორის შესახებ

რუსი სასულიერო მწერალი, ევგენი ნიკოლოზის ძე პოგოჟევი (ფსევდონიმით პოსელიანინი) დაიბადა მოსკოვში, 1870 წლის 21 აპრილს (ახ. სტ. 3 მაისს). მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის ეპოქაში მან მოწამებრივად აღასრულა სიცოცხლე.

პოგოჟევის მამა, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ექიმი თერაპევტი იყო. მან პიროვნული აზნაურობა დაიმსახურა. დედა, ლიდა ნიკოლოზის ასული, დიდგვაროვანი ოჯახიდან იყო.

ევგენი იზრდებოდა ეკლესიური მოსკოვის კეთილმსახური ტრადიციებით. იგი ეკლესიის მიმართ მხურვალე სიყვარულით იყო განმსჭვალული და მთელი გულით უყვარდა წმინდანები, რომელთა შესახებ მთელი ცხოვრება წერდა.

1888 წელს იგი მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ამავე წელს პოგოჟევის ცხოვრებაში მოხდა შემთხვევა, რომელმაც მთელი მისი მომდევნო ცხოვრება განსაზღვრა. ეს იყო შეხვედრა ოპტის უდაბნოს წმიდა მამასთან, ბერ ამბროსისთან. ამ შეხვედრამ ევგენიზე დიდი გავლენა იქონია. მას შემდეგ იგი ხშირად მიდიოდა უდაბნოში და მონაზვნად აღკვეცას ითხოვდა, მაგრამ მამა ამბროსი კურთხევას არ აძლევდა: „ჯერ უნივერსიტეტი დაამთავრე და მერე გეტყვი რა გზას დაადგე“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მამა ამბროსიმ ის აკურთხა ეწერა სარწმუნოების, ეკლესიისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

მოგვიანებით, პოგოჟევი გულითადი სითბოთი წერდა თავისი სულიერი მოძღვრის შესახებ: „სასწაულს განიცდის სული ამ

ადამიანთან შეხვედრით, უმაღლეს ათბობს და ანათლებს მისგან გამომდინარე მაღლი“.

დიდ ბერს ევგენი პოსელიანიმა მიუძღვნა ნარკვევი „ჩვენი ღრვის წმინდანი, ოპტელი ბერი ამბროსი“ (სპბ. 1907 წ.), რომელშიც ზუსტად ასახა ბერის სულიერი სამყარო და მისი სამსახური მორწმუნეთა მიმართ. უდაბნოს მატინანეში არაერთხელ ვხვდებით ჩანაწერს ევგენი პოგოუევის მოღვაწეობის შესახებ. ე. პოსელიანინის შემოქმედება, ღირსი მამის ამბროსის კურთხევით დაწყებული, მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და უდიდესი კვალი დატოვა სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურაში. მისი შემოქმედება მდიდარია შინაარსობრივად, ხატოვანია ფორმით, გასაგებია მკითხველისთვის (მაშინაც კი, როდესაც ეხება ადამიანის ღრმა შინაგან სულიერ ცხოვრებას). მისი წიგნები და სტატიები თბილი რელიგიურობით არის გამსჭვალული. მისი ნაწარმოებები აფხიზლებდა ცხოვრებით განებივრებულ, სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით გატაცებულ მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ადამიანს. აფხიზლებდა და ახსენებდა ცხოვრების ჭეშმარიტ მიზანს, რომლისკენაც გვიხმობს ღვთაებრივი მოძღვარი.

თავისი ნაშრომების უდიდესი ნაწილი ევგენი პოსელიანიმა მიუძღვნა წმინდანთა ცხოვრებების აღწერას. მან შეძლო ოსტატურად გადმოეცა წმინდანთა ღვაწლის უჭკნობი მშვენიერება.

1919 წელს გამოიცა ე. პოსელიანინის წიგნი „ღვთისმშობელი. სრული ილუსტრირებული აღწერა მისი მიწიერი ცხოვრებისა და მისი ცხოვრებისადმი მიძღვნილი სასწაულთმო-

ქმედი ხატებისა“. ეს წიგნი საუკეთესოდ იქნა აღიარებული მართლმადიდებელი ადამიანის ამ უსაყვარლეს თემაზე დაწერილ ნაშრომებს შორის.

1904 წელს ევგენი პოსელიანინი დაქორწინდა ცნობილი ფილოლოგის ქალიშვილზე, ნატალია იაკობის ასულ გროტზე, მაგრამ ქორწინება ნახევარ წელიწადში დაირღვა, ცოლ-ქმარს შორის შეხედულებებში სერიოზული უთანხმოების გამო, რასაც პოსელიანინი მთელი ცხოვრების მანძილზე ძალზე განიცდიდა.

რევოლუციის შემდეგ ევგენი პოსელიანინის, როგორც სასულიერო მწერლის მოღვაწეობის ყოველგვარი შესაძლებლობა ამოიწურა.

1922 წლის გაზაფხულიდან სრულიად უმუშევრად დარჩენილი კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს.

1924 წლის 12 აპრილს ღამით ის, კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა 2 წლით სოფელ გოლტიავინოში.

გადასახლების შემდეგ, 1926 წელს იგი დაბრუნდა პეტერბურგში და ფერიცვალების ტაძრის მახლობლად დასახლდა, რომლის მრევლის წევრიც იყო.

1930 წლის 26 დეკემბერს ღამით „კონტრევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებისათვის“ 13 კაცი დააპატიმრეს. მათ შორის იყო პოგოჟევიც. მათ ბრალად ედებოდათ, ფერიცვალების დიდი ტაძრის დახურვის შემდეგ, ვითომ ღვთისმსახურების სახით, რუნკევიჩის ბინაზე საიდუმლო შეკრებების მოწყობა და კონტრევოლუციური მოღვაწეობა.


ის, რასაც გამოძიებლები კონტრეკოლუციურ ორგანიზაციას უწოდებდნენ, სინამდვილეში საერთო რწმენით გაერთიანებულ ადამიანთა ურთიერთობას წარმოადგენდა. რუნკევიჩის ბინაში ფერიცვალების ტაძრის დეკანოზი რეგულარულად ატარებდა წირვა-ლოცვას.

დაკითხვაზე პოსელიანიძე თამამად განაცხადა: „საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული დევნა მე, როგორც მორწმუნე ადამიანს, ვერ გამახარებდა. აქედან გამომდინარეობს ჩემი უკმაყოფილება მის მიმართ, რომელიც არაერთხელ გამომიხატავს...“ გარდა ამისა, პოსელიანიძე აღიარა, რომ მონარქიული წყობის მომხრე იყო და მარქსის სწავლება უტოპიად მიაჩნდა.

12 თებერვალს პოგოჟევი დახვრიტეს. ასე გახდა მოწამებრივი გვირგვინის ღირსი წმიდა ოპტელი მამის, ამბროსის სულიერი შვილი ევგენი პოგოჟევი.

დივეევოს მონასტრის მონაზონი სერაფიმა (ბულგაკოვა) თავის მოგონებებში წერს მოწამე ევგენის გარდაცვალების შემდეგ მისი გამოცხადების შესახებ. „ევგენი პოსელიანიძეს ესიზმრა, რომ მას დაურეკეს ტელეფონზე, შემდეგ მოვიდნენ ღამით და დააპატიმრეს. დილით იგი სულიერ მოძღვართან, მამა ბორისთან მივიდა, ჩააბარა აღსარება და ეზიარა. იმავე ღამეს სიზმარი ზუსტად აუხდა: დაურეკეს, შეუვარდნენ სახლში, შეიპყრეს და წაიყვანეს. გავიდა დრო. დამ შეიტყო მისი დახვრეტის შესახებ, მაგრამ როგორც ურწმუნო ადამიანი, არც პანაშვიდი გადაახდევინა და არც მღვდელს შეატყობინა ძმის აღსასრული. რამდენიმე დღის შემდეგ ევგენის მოძღვარმა, მამა ბორისმა, ღვთისმსახურების დროს, კმევისას დაინახა

კლიროსზე მდგომი პოსელიანინი, ნატყვიარი მკერდით. მის შეკითხვაზე: „როდის მოხდა ეს?“ ევგენი პოსელიანინმა დიდ მღვდელმთავართა: ბასილი დიდის, გრიგოლი ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხატისაკენ გაიშვირა ხელი (ხს. 12 თებერვალს – მთარგმნელის შენიშვნა). მღვდელმა უთხრა: „დაძელოდე, ვაკმევ და დავბრუნდები“, – და შევიდა საკურთხეველში. დაბრუნებისას კლიროსზე აღარავინ დახვდა.



შმსაგალი

წმინდა ბავშვობა, წმინდა სიყმაწვილე... როგორ გვინათებს სულს მიმნდობი, საყვარელი პატარების ხილვა. ბავშვის ტიტინის გაგონებისას ცხოვრებისეული ბრძოლებითა და ცოდვებით გაუხეშებული გულიც კი ლბება, მოღუშული სახე ღიმილით ნათდება.

შესაძლებელია ბევრ ცხოვრებისაგან გაბოროტებულ, ან საკუთარ თავზე შეყვარებულ გულქვა ადამიანს თავისი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარემართა, ბავშვების აღზრდა და მათზე ზრუნვა რომ მოსწეოდა. რა შეიძლება იყოს უფრო ამალღებელი, ვიდრე ბავშვის უბოროტო, სუფთა სული, რომელშიც ღმერთი დამკვიდრებულა? ცოდვისგან თავისუფლება, ბოროტების არ ცოდნა, მოყვასის სიყვარული, ღვთისაკენ სწრაფვა, მუღმივი ცოცხალი კავშირი ღმერთთან – ეს არის წმინდანობა.

და აი თქვენ ხედავთ ბავშვს, რომელიც ლოცულობს... რა გულის ამაჩუყებელია ამ პატარა, უსუსური არსების ბაგეები, რომლებიც სამყაროს უდიდეს სახელებს – ღმერთი, ქრისტე, ღვთისმშობელი... წარმოთქვამს. ზოგიერთმა ბავშვმა ისეთი საოცარი ძალით შეიყვარა ქრისტე, როგორც ყრმა ეგნატე ღმერთშემოსილმა. გადმოცემით ეს ის ბიჭუნაა, რომელიც ქრისტემ აკურთხა, როდესაც ამბობდა ცნობილ სიტყვებს: „აცადეთ ყრმებსა მაგას, მოსლვად ჩემდა“. იგივე გადმოცემა გვამცნობს, რომ როდესაც ეგნატე ღმერთშემოსილი ლომებმა დაგლიჯეს, მიწაზე იპოვეს მისი გული, რომელზეც უფლის სახელი იყო ამოტვიფრული.

რამდენ ასეთ ბავშვს იცნობს ეკლესია, რომელთა გულებში უფალი სახლობდა, თუმცა მათ გულებზე არ ყოფილა ამოტვიფრული მისი სახელი.

ჩვენ გავეცნობით ბევრ წმიდა გოგო-ბიჭს, რომლებმაც უფალს მიუძღვნეს მთელი თავისი სიყვარული, თავისი აზრები, რომლებიც უფალმა ადრეულ ასაკში თავისთან წაიყვანა და წმინდანთა გვირგვინით შეამკო.

მინდა იცოდეთ კიევო-პეჩორელი თეოდოსი ბავშვობისას როგორ შრომობდა ეკლესიისთვის. როდესაც მან შეიტყო, რომ მათ ტაძარში წირვა ყოველდღიურად სეფისკვერების უქონლობის გამო არ სრულდებოდა, იგი თვითონ შეუდგა ფქვილის მოპოვებას და მისი ასაკისთვის რთული საქმე – ცომის ზელა და სეფისკვერების ცხობა დაიწყო.

მინდა დაინახოთ დიდი გოლიათის, უძლეველი ალექსანდრე ნეველის ბავშვობა – როგორ განიცდის ხატების წინ მღვდმარე პატარა ბიჭი თავის დამცირებული და დატყვევებული სამშობლოს უბედურებას, როგორ იხატება მის მგზნებარე ახალგაზრდულ წარმოსახვაში მომავლის სურათები, სადაც იგი თავის ხალხს ემსახურება.

ვნახავთ სხვა ბავშვებსაც, რომელთა კურთხეული ბავშვობა მათ მომავალ ცხოვრებაზე აისახა, რომლებიც ბავშვობიდანვე სავსე იყვნენ მადლით და დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მადლმოსილნი ხდებოდნენ.

დაე ამ წმიდა ბავშვებმა ასწავლონ ჩვენს შვილებს, როგორ უხმობს უფალი ადამიანებს და რითი პასუხობს იმათ, ვინც მასთან მიდის.

ცხოვრების პირობები ყველას სხვადასხვაგვარი ჰქონდა. ზოგი სასახლეში დაიბადა, ზოგიც ღარიბი მწყემსის ქონში, მაგრამ ცხოვრების მთავარი მიზანი ყველასთვის ღმერთი იყო, მათი ბავშვური გული თრთოდა ღვთაებრივი სიყვარულით. და რაც მეტად ფიქრობდნენ ეს ბავშვები ღმერთზე, მით მეტად

სურდათ მასზე ფიქრი. მათ გულით შეითვისეს და დააფასეს ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების სიდიადე, მისი ვნებანი ჩვენს გამო, ჩვენი გამოსყიდვა მისი წმიდა სისხლით.

ქრისტეს ნათლით გაცისკროვნებულებმა მათ თავი დააღწიეს ამქვეყნიურ ბოროტებას და ახლა ღვთაებრივ ტახტთან უფალს განუწყვეტლივ აღიდებენ გალობით...

ამ წმიდა ბავშვთა შორის გამორჩეულად ბრწყინავს ორი კურთხეული, სრულიად საკვირველი ბავშვობა — ბავშვობა ღვთისმშობლისა და ბავშვობა კაცობრიობის მხსნელისა.

ქალწული მარიამი მშობლებმა, აღთქმისამებრ, მცირე ასაკიდან ტაძარს მიაბარეს, სადაც იგი ხელსაქმეს სწავლობდა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გულმოდგინედ ადასრულებდა. სალოცავად იგი მიდიოდა წმიდათა წმიდაში. მას აუცილებლად სჭირდებოდა ყოველდღე განმარტობა. სიმარტოვეში იგი ღოცულობდა და ფიქრობდა ღვთის სიდიადეზე.

ღვთისმოსავი სიმშვიდით გამოირჩეოდა ღვთისმშობლის საქციელი. მისი მშვიდი ბაგეებიდან არასოდეს მომწყდარა აღელვებული სიტყვა.

ყოველდღიურად წმიდა ქალწული ადრეული დილიდან მეცხრე ჟამამდე ღოცულობდა. მეექვსე ჟამზე ხელსაქმით ან წმიდა წერილის კითხვით იყო დაკავებული. დღის სამი საათიდან კი კვლავ იწყებდა ღოცვას.

ქალწული მარიამი ბევრს ფიქრობდა და ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. ნართი და მატყლი იყო მისი ჩვეულებრივი საქმიანობა. ხშირად აბრეშუმით ქარგავდა, უმეტესად ტაძრისთვის.

ვის ძალუმს ქრისტეშობის წმიდა ღამის საიდუმლოს გამოხატვა!.. წევს საფენებში შეხვეული უფალი. თავისი დიდების

საშინელი ტახტიდან იგი მიწაზე ჩამოვიდა და თივის გროვაზე მიწვა.

ყველაფერი იღუმალა, ყველაფერი სასწაულია, ყველაფერი წმიდაა ბეთლემის წმიდა ღამეში... სურვილი გვიპყრობს ჩავაცქერდეთ, ჩავუფიქრდეთ მშობლიურ ნაზარეთში გატარებულ იესო ქრისტეს ყრმობასა და ბავშვობას. ღურგლის მძიმე შრომით მოხუცებული იოსები არჩენს ქალწულ მარიამს და პატარა იესოს. თავად მარიამიც მუდამ ხელსაქმითაა დაკავებული: ხან რთავს, ხან ქარგავს. იესო ხან დედას ეხმარება, ხან იოსებთან ერთად ღურგლობს...


თავისუფალ დროს კი ყმაწვილი იესო, ქვეყნიერების მეუფე და შემოქმედი, თავისი ბავშვური თვალებით ათვალეიერებს გალილეის ღამაზ ფერდობებს, ტიბერიის წყნარ ტბას, მათი პატარა სახლის გარშემო მფრინავ თეთრ მტრედებს, ყანებს, ზეთისხილის ვერცხლისფერ ბაღებს...

ნეტავ რას ეუბნებოდნენ მალლიდან ვარსკვლავები? რაზე ეჩურჩულებოდნენ და თან სიხარულით თავს უკრავდნენ მინდვრის ყვავილები?

დაე შეიტყონ ჩვენმა შვილებმა იმ წმინდანების შესახებ, რომლებმაც ბავშვობიდანვე შეძლეს ქრისტეს ქება-დიდება და რომლებიც ქრისტემ განაღვიდა.

დაე ჩვენი შვილების ბავშვობას დიდი ბედნიერების შეპირებით გადმოხედოს ბოროტების დამთრგუნველმა, ადამიანებისთვის მარადიული ნეტარების მომტანმა ქრისტემ.

ეკგენი პოსელიანი



კმსარიის მთავარეპისკოპოსის, ბასილი დიდის
სიყმაწვილე
(სსმნება 1 იანვარს)

რა საოცარი შარავანდელი ადგას ეკლესიის დიდი მამის – ბასილის ბავშვობის წლებს... ქრისტიანი დედის, ემილიას შვილი, იგი ღვთისმოსავ ოჯახში იზრდებოდა. ბასილის უფროსმა დამ, მაკრინემ საქმროს დაკარგვის შემდეგ გადაწყვიტა ცხოვრება ქალწულებაში გაეტარებინა. ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ცხრა შვილიდან, რომელიც ბასილი დიდის მამას ჰყავდა, ოთხი წმინდანია: მაკრინესა და ბასილის გარდა, მათი ძმები – გრიგოლ ნოსელი და პეტრე სებასტიელი.¹

ბასილის ბებიამ, მაკრინე უფროსმა, შვილიშვილს სულში ღვთისმოსაობა ჩაუნერგა. მამამ, უაღრესად განათლებულმა ადამიანმა, მას დაწყებითი განათლება მისცა. თოთხმეტი წლის ასაკში, მამის გარდაცვალების შემდეგ, ბასილი ბებიის მამულში დასახლდა, აქ მან რამდენიმე წელი გაატარა, სადაც შემდეგში მონასტერი დაარსდა.

ბასილი არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი იყო, ჯერ კიდევ სულ ბავშვი უკვე ფილოსოფიას სწავლობდა. ბებიის გარდაცვალების შემდეგ, თექვსმეტი წლის ასაკში, იგი კესარიაში დაბრუნდა. აქ თავის მასწავლებლებს სიბრძნეში მალე გაუტოლდა. და ამიტომაც გაემგზავრა ათენში, რომელიც იმ პერიოდში განათლების ცენტრად ითვლებოდა. ათენში მისი ამხანაგები იყვნენ წმიდა გრიგოლი, შემდგომში კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ღვთისმეტყველად წოდებული და ივ-

¹ ბასილი დიდს ჰყავდა კიდევ ერთი და, რომელიც წმინდანად შერაცხეს – ღირსი თეოზვა. (მთარგმნელის შენიშვნა).

ლიანე, შემდეგში იმპერატორი, რომელიც ქრისტეს განუდგა. ბასილსა და გრიგოლს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ისინი ისეთი სულიერი ერთობით ცხოვრობდნენ, გეგონებოდათ ორ სხეულში ერთი სული ჰქონდათ.

ისინი თავს არიდებდნენ გართობას, ხმაურიან თავყრილობებს, თამაშობებს ცირკში. მათ მხოლოდ ორი გზა იცოდნენ — ტაძრისკენ და სკოლისკენ. ბასილის სული იწვოდა ღვთაებრივ საიდუმლოებათა შეცნობის წყურვილით, და აი ერთხელ მას გაუჩნდა დაუძლეველი სურვილი, სადმე სიწყნარეში შეესწავლა წმიდა წერილი. მან მიატოვა ათენი და ეგვიპტეში ჩავიდა, სადაც მღუმარებაში ნეტარებით სწავლობდა ღვთაებრივ სიტყვას. შემდეგ წმიდა ადგილების მოსანახულებლად იერუსალიმში გაემგზავრა. იქიდან რწმენით აღჭურვილი დაბრუნდა კესარიაში. აქ იგი ბრწყინავდა დიდი სიბრძნით; ეს ბრწყინვალება არ ჩამქალა მისი ცხოვრების ბოლომდე და საუკუნეების მანძილზე აცისკროვნებს მის სახელს.



ღირსი სერაფიმე საროველის ბავშვობა
(ხსენება 2 იანვარს)

ზოგჯერ, როდესაც ადამიანი ზეციურზე ჩაფიქრდება, სურვილი ეუფლება თვალნათლივ იხილოს ანგელოზი... და ფიქრობს: აი გამოცხადდება ანგელოზი, რომელსაც უნახავს ყოვლისმპყრობელის ტახტი, რომელსაც უგალობია უფლის დიდება. მას ხელში ეჭირება ტოტი ედემის ბაღში გაფურჩქნილი ყვავილებით... როგორ განმტკიცდება ამ ხილვით ჩემი რწმენა!.. რა სიხარულით მივეგებები მას!.. მისი ნახვისას მომეჩვენება, თითქოს მეც ვიყავი საოცარ ზეცაში.

ზეციდან მოფრენილი ანგელოზის ხილვით გამოწვეული ეს სიხარული განუცდიათ იმ ადამიანებს, რომელთაც უნახავთ საროველი ბერი სერაფიმე.

ძნელი წარმოსადგენია ადამიანი, რომელიც თავის ამქვეყნიურ ცხოვრებაში ისე გვაგონებდეს ზეციურს, როგორც ბერი სერაფიმე. მასში ყველაფერი არაჩვეულებრივი იყო, იგი სხვებს არ ჰგავდა. აი მოდის იგი, ჯოხს დაყრდნობილი, დიდ მოუხეშავ ტყავის ჩექმებში, დახეულ ტყაპუჭში, ხელში უხეში ტყავის სკვნილი უჭირავს, თავზე ისეთი ფორმის ბარტყულა¹ ახურავს, როგორც ძველ რუსეთში ატარებდნენ.

ამ მოხუც, დასუსტებულ ბერში (მას წელში გამართვაც კი არ შეეძლო, რადგან ერთხელ ყაჩაღები თავს დაესხნენ და ზურგი დაუზიანეს), ჩასახლებულა საოცარი სიცხოველე, მიუხედავად ჭაღარა თმისა და ძნელი სიარულისა, იგი უძლეველი ახალგაზრდობით ბრწყინავს... მისი ცისფერი თვალები ყველას სულში იხედება... ანგელოზია, ანგელოზი...

¹ ერთგვარი თავსაბურავი ბერ-მონაზვნისა. (მთარგმნელის შენიშვნა).

ვნახოთ, როგორ ჩაიარა მამა სერაფიმეს ბავშობამ, რომელსაც ერში პროხორე ერქვა.

პროხორი დაიბადა 1759¹ წლის 19 ივლისს კურსკში, ქალაქში, რომელიც რუსული ბერ-მონაზვნობის მამის, ღირსი თეოდოსი კიევი-პეჩორელის სამშობლო იყო. მამამისი – ისიდორე მოშნინი ქვის სამუშაოებზე საიჯარო ბრიგადებს ხელმძღვანელობდა. იგი მუშაობდა ღირსი სერგი რადონეჟელის ტაძრის მშენებლობაზე, რომელსაც დღეს კურსკის ტაძარი ეწოდება. მან ამ სამუშაოს დასრულება ვერ მოასწრო. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე ისიდორეს ქვრივმა, საქმიანმა და გონიერმა ქალმა – ალათიამ გააგრძელა.

მოშნინები ძველი ყაიღის და ღვთისმოსავი ხალხი იყო. მამინდელი მშობლები ბავშვებს ღვთის შიშში ზრდიდნენ. არსებობს გადმოცემა ქალაქ სერპუხოვში მცხოვრები პუტილოვების ოჯახზე. მათი შვილები წმიდა სერაფიმეს თანატოლები იყვნენ და თითოეული მათგანი წინამძღვარი გახდა – ერთი საროვის უდაბნოში, მეორე – ოპტის უდაბნოში და მესამე – მალო-იაროსლავეცკის მონასტერში.

სწავლა-განათლება ბავშვებმა სახლში მიიღეს, სკოლაში არ უვლიათ, რადგან მამას ცუდი ამხანაგების გავლენის ეშინოდა. ყოველ კვირას მას შვილები ტაძარში დაჰყავდა. იქიდან დაბრუნებულებს წირვის შესახებ ესაუბრებოდა და ათხრობინებდა სამოციქულოსა და სახარების შინაარსს.

პუტილოვი ეკლესიაში გალობდა, რადგან კარგი ხმა ჰქონდა. სადღესასწაულო დღეებში მას უყვარდა ბავშვებთან ერთად

¹ სხვა წყაროების მიხედვით 1754 წელს. (მთარგმნელის შენიშვნა).

გალობა, ღია ფანჯრებიდან ისმოდა მამისა და მისი ახალგაზრდა ვაჟების ხმები. გამკვლელები მათ ფანჯრებთან ჩერდებოდნენ და ამბობდნენ: „რა ტკბილად გალობენ პუტილოვები“. პუტილოვთა ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ სასულიერო პირები და ბავშვები სულისთვის სასარგებლო საუბრებს ისმენდნენ.

ასეთივე წესით მიედინებოდა ცხოვრება მოშინების ოჯახში. სუფთა, სადად მოწყობილი ოთახების კუთხეებში ძველებური ხატების წინ კანდელები ენთო. მოშინა ყოველდღე ესწრებოდა წირვა-ლოცვას. იგი განსაკუთრებული ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა. მის საყვარელ საქმიანობას ობოლ გოგონებზე ზრუნვა წარმოადგენდა: იგი ზრდიდა მათ, უმზადებდა მზითვეს და ათხოვებდა. დედის ეს თვისება – სხვისი გასაჭირის გულთან მიტანა, მემკვიდრეობით მიიღო და კიდევ უფრო განავითარა მისმა დიდებულმა შვილმა. რაღაც განსაკუთრებული იგრძნობოდა პროხორეში.

უფალი ბავშვებს უგზავნის მფარველ ანგელოზებს, რომლებიც იცავენ მათ სხვადასხვა საფრთხისგან. პატარა პროხორეზე აშკარად გამოძლავნდა მფარველი ანგელოზის ძალა.

აღათია აგრძელებდა ქმრის მიერ დაწყებულ საქმეს. წმიდა სერგის ტაძრის მაღალი სამრეკლოს მშენებლობის დასრულებისას იგი შვილთან ერთად ზედა იარუსზე ავიდა. მოაჯირი ჯერ არ იყო დამაგრებული. პროხორემ ნაპირთან ახლოს მიირბინა, გადაიწია და თვალის დახამხამებაში გადავარდა. რა განიცადა ამ დროს საბრალო დედამ! გულგანეთქილი დაეშვა იგი კბეზე... როდესაც შენობიდან გარეთ გამოვარდა, თვალებს არ დაუჯერა: პროხორე მხიარულად მირბოდა მისკენ... სიზ-

მარია... არა, ბავშვი ეძახის: „დედიკო“, „დედიკო“. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დავიწყებია ალათიას ეს წუთები.

წერა-კითხვის შესწავლას პროხორე დიდი მონდომებით შეუდგა, მალე წარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ უეცრად დაავადდა. აქ მასზე კვლავ გამჟღავნდა დიდი ღვთაებრივი სასწაული. პროხორემ ძილში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იხილა. მან მონახულება და განკურნება აღუთქვა. ბავშვმა სიზმარი დედას უამბო. მართლაც, მალე კურსკში, იმ ქუჩაზე სადაც მოწინები ცხოვრობდნენ, ლიტანიობით მოაბრძანებდნენ ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს. ამ დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა და გზის შესამოკლებლად პროცესიამ მოწინების სახლთან შემოუხვია. ამით ისარგებლა ალათიამ, ავადმყოფი ბავშვი გამოიყვანა და ხატს მიაახლა, რის შემდეგ ბავშვმა სწრაფად იწყო მომჯობინება და მალე სრულიად გამოჯანმრთელდა.

პროხორე ტანადი ბავშვი იყო, ცოცხალი ცისფერი თვალებით. სხარტი გონება და საოცარი მეხსიერება ჰქონდა. იყო თვინიერი და ზნეკეთილი.

კურსკში დღემდე ახსოვთ, რომ პროხორე მოწინი თანატოლებთან ხმაურიან თამაშობებს თავს არიდებდა. მას საღმრთო წერილის კითხვა და ღვთისმსახურებაზე დასწრება ერჩივნა. უყვარდა თანატოლების სახლში მოწვევა და მათთვის წმიდა წერილისა და წმინდანთა ცხოვრების კითხვა.

პროხორემ სწავლა გააგრძელა, შეისწავლა ჟამნი, ფსალმუნნი, წერა.

მისი ძმა ალექსეი, კურსკში სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობდა: ქამრებით, კუპრით, თოხებით, ნიჩბებით,

რკინით; ცდილობდნენ პროხორეც ჩაერთოთ ვაჭრობაში, მაგრამ მას ამ საქმისკენ გული არ მიუწევდა, რადგან ვაჭრობის გამო იგი ყოველდღე წირვა-ლოცვაზე დასწრებას ვერ ახერხებდა.

პროხორეს დედა გონიერი ქალი იყო. იგი გრძნობდა, რომ მისი შვილი ერში არ იცხოვრებდა, რომ მას სულ სხვა გზა ელოდა. როდესაც კურსკში მცხოვრებმა ერთმა ყმაწვილმა — მომავალში კიევო-პეჩორელმა თეოდოსიმ, მონასტერში წასვლა გადაწყვიტა, დედამისი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა მას; როდესაც შვილის სხეულზე განდევილთა ჯაჭვი ნახა, სასტიკად დასაჯა იგი. ხოლო როდესაც შვილი სახლიდან წავიდა, დედა დაეწია მას, სახლში დააბრუნა, სცემა და დააბა. სულ სხვაგვარად იქცეოდა ჭკვიანი ალათია მოშინა, მან გადაწყვიტა უღრტვინველად დაეთმო შვილი ღმერთისთვის.

პროხორე ცდილობდა დედა არ გაენაწყენებინა და ფრთხილად, თანდათანობით გამოეკვლია, გაუშვებდა თუ არა მონასტერში. როდესაც შეატყო, რომ წინააღმდეგობა არ ექნებოდა, მან პირდაპირ დაიწყო ამ თემაზე საუბარი. კურსკის ვაჭართა წრიდან ხუთმა ახალგაზრდამ გადაწყვიტა შედგომოდა მონაზვნურ ცხოვრებას.

წარმოვიდგინოთ სურათი პროხორეს წმიდა სიყმაწვილიდან. ძველი სახელოვანი ქალაქი კურსკი თბილ, ალერსიან ლამეში გახვეულა, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ, მიყუჩულ ქალაქში მოშინების ჩაწყნარებულ სახლში კანდელების წყნარი ალი ანათებს ხატებს.

ფრთხილად, რათა არავის გაეგონა, პროხორე ხატებს მიეახლა, მათ წინ მუხლებზე დაეშვა. მოწიწებით უყურებს, უხმოდ ლოცულობს, მისი სული სავსეა რწმენით, აღტაცებით.

„უფალო, უფალო, შენ იმდენი გააკეთე ჩვენთვის!... მცირედით მაინც მსურს გადავიხადო. მინდა შენ მოგენდო, მხოლოდ შენ გხედავდე, შენით ვხარობდე, შენ გემსახურებოდე... რითი გადავიხადო სიკეთისათვის? აილე ჩემი სიცოცხლე, შენ გიძღვნი მას მთლიანად: გრძნობებს, აზრებს, სურვილებს, სწრაფვას, ოცნებებს – მხოლოდ შენ. მხოლოდ შენ ერთს“...

ღამე გრძელდება... სიხარული და მსხვერპლის გაღების წყურვილი სულ უფრო მეტად ავსებს უმწიკვლო, უბოროტო ახალგაზრდა სულს. ანგელოზი კი დასტრიალებს მლოცველ ბიჭუნას და იღუმალი ხმა უწოდებს მას სახელს, რომელიც მთელ რუსეთს მოედება: „სერაფიმე, სერაფიმე“...

როდესაც განშორების დრო დადგა, ჯერ რუსული ჩვეულებისამებრ ყველანი დასხდნენ. შემდეგ პროხორე ადგა, ილოცა, დედას თავი დაუკრა. აღათიამ შვილი მაცხოვარსა და ღვთისმშობლის ხატებს მიაახლა, შემდეგ დიდი სპილენძის ჯვრით დალოცა. ამ ჯვარს, როგორც უდიდეს სიწმინდეს, იგი მთელი ცხოვრება ატარებდა სამოსლის ზემოდან. ამ ჯვრითვე გარდაიცვალა.

და აი პროხორე საროვშია.

დიდი გზებიდან მოშორებული, ტყეში ჩაფლული საროვოს უდაბნო მკაცრი ბერული ცხოვრებით გამოირჩეოდა. აქ პროხორემ დიდ ღვაწლში ნახევარი საუკუნე გაატარა.

ახალგაზრდობიდანვე გულმოდგინემ, მმარხველმა, დაულალავმა მუშაკმა და მლოცველმა ასაკთან ერთად თავისი ღვაწლი გაამრავლა. მან ერთმა იტვირთა განდევილობა, მესვეტეობა, მღუმარება. საროვოს ტყეში განდევილობისას მასთან მიდიოდნენ დათვები, რომელთაც იგი პურს საკუთარი ხელით აჭმევდა. ღამით იგი ღია ცის ქვეშ იდგა და ლოცულობდა, ღლისით

კელიაში აგრძელებდა ლოცვას. ასე გრძელდებოდა ათასი დღე-ღამე.

ღვთისმშობლის გამოცხადებისა და მოწოდების შემდეგ მან გააღო თავისი კელიის კარი ყველა მსურველისათვის. იგი მოძღვრავდა ბერებსაც და ერისკაცებსაც. კურთხევისა და რჩევის ასაღებად ხალხი მასთან ყველა კუთხიდან მოდიოდა.

ზეცა მისთვის მშობლიური და ახლობელი გახდა. ის მიწაზე ისე ცხოვრობდა, თითქოს ზეცაში ყოფილიყო. საოცარი ცხოვრების შემდეგ 1833 წლის 2 იანვარს იგი მშვიდობით მიიცვალა. მამა სერაფიმემ ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლმოდრეკილმა მიაბარა სული უფალს.

ყველაფერი, რაც ბერი სერაფიმეს სახით ბრწყინავდა, ენთო და თავისი ცეცხლით სხვებს ათბობდა — ყველაფერი ეს ამოიზარდა იმ თესლიდან, რომელიც პროხორე მოშნინის სულში დედამ დათესა.

დიდება წმიდა აღმზრდელსა და მის დიდებულ შვილს!

ბერი სერაფიმე ბავშვებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩეოდა. ქალბატონი ნადეჟდა აკსაკოვა, რომელიც ბავშვობაში ბერთან ნამყოფი იყო და რომელიც მოესწრო მისი წმიდა ნაწილების აღმოყვანებას, მოგვითხრობს თავისი მოგონებების შესახებ.

ნიჟნეკოდან საროვში ბევრი ხალხი ჩამოვიდა. ბერი სერაფიმე კელიაში არ აღმოჩნდა. ხალხისაგან დასამალად იგი ტყეში განმარტოვდა.

— თქვენ მას ტყეში ვერ იპოვით, — ამბობდა შეწუხებული ილუმენი, — ბუჩქებში ჩაიმალება, ბალახში ჩაწვება, მაგრამ

ბავშვის ხმაზე შეიძლება თავად გამოგეხმაუროთ, ამიტომ ბევრი ბავშვი წაიყვანეთ, რომ თქვენს წინ ირბინონ.

ბავშვებს უხაროდან ტყეში ზედამხედველობის გარეშე რბილ, ხავერდოვან ქვიშაზე სირბილი. ტყე თანდათან ხშირდება, სულ უფრო მეტად იგრძნობოდა ტყის სინესტე, სიჩუმე და ფიჭვის ფისის მკვეთრი სუნი. მალალ ფიჭვთა კამარის ქვეშ ბავშვები შეშინდნენ. საბედნიეროდ შორს წიწვოვან ტოტებს შორის მზის შუქი გამოჩნდა, ბავშვები მხიარულად გაიქცნენ სხივისკენ და მალე მზით განათებულ მდელოზე გავიდნენ.

ხედავენ: მდელოზე თითქმის მიწამდე მოხრილი, დაბალი, გამხდარი მოხუცი, ნამგლით მარჯვედ ჭრის ტყის ბალახს. სწორედ ნამგალი ბრწყინავს მზეზე და ირეკლავს მზის შუქს. ხმაურზე მოხუცი უცებ წამოდგა, ყურები ცქვიტა და შეშინებული კურდღელივით ტყისკენ გავარდა, მაგრამ ტყეში შესვლამდე აქოშინდა, შეჩერდა, ბალახში ჩაწვა და ბავშვების თვალთახედვიდან გაქრა. სწორედ ამ დროს გაანსენდათ ბავშვებს მშობლების დანაბარები და თითქმის ოცმა ბავშვმა ერთდროულად დაიძახა: „მამაო სერაფიმე, მამაო სერაფიმე!“

მოხდა ის, რისი იმედიც ჰქონდათ მლოცველებს. მამა სერაფიმემ ვერ გაძლო და ბავშვთა ხმების გაგონებაზე სამალავიდან გამოვიდა. მას ტუჩებზე თითი ჰქონდა მიდებული, თითქოს სთხოვდა ბავშვებს არ გაეცათ იგი უფროსებისთვის, რომელთა ნაბიჯების ხმა უკვე ისმოდა ტყეში. ბერი მიუახლოვდა ბავშვებს, ბალახზე დაეშვა და მოიხმო ისინი. ყველზე პატარა გოგონამ, ლიზამ პირველმა მიირბინა ბერთან, მოეხვია კისერზე და თავისი ნაზი ლოყა დაადო.

ჩემო საუნჯევ, ჩემო საუნჯევ, ოდნავ გასაგონად ჩურჩულებდა ბერი და სათითაოდ გულში იკრავდა ბავშვებს. ბავშვებიც ეხუტებოდნენ ბერს. მათ ერთი ყმაწვილი გამოეყო და მონასტრისაკენ ყვირილით გაიქცა: „აქეთ, აქეთ! აი აქ არის მამა სერაფიმე!“

როდესაც უფროსები მივიდნენ, ბერი ისე გამოიყურებოდა, როგორც შეცბუნებული მასპინძელი, რომელსაც სტუმრები მუშაობისას დაადგნენ თავზე.

— აქ ვერაფრით გაგიმასპინძლებით, ძვირფასებო, — ჩაილაპარაკა მან სასიამოვნო ხმით. მაგრამ მაშინვე, თავისი მიგნებით გახარებულმა, დაამატა:

— ბავშვებისთვის სასუსნავს ვიპოვი.

შემდეგ მიუბრუნდა ერთ ყმაწვილს და უთხრა:

— აი, ხახვი მაქვს დარგული. ხედავ? დაუძახე ბავშვებს და ხახვი დაუჭერი, მძირთვი ხახვი და წყაროს წყალი.

ბავშვები ხტომა-ხტომით გაიქცნენ ბერი სერაფიმეს დავალების შესასრულებლად და ხახვის კვლებში ჩასხდნენ. ხახვისთვის ხელი არავის უხლია, ბალახში ჩაცუცქეული ბავშვები უყურებდნენ მოხუცს, რომელიც ასე მაგრად იკრავდა მათ გულში.

და რამდენჯერ, რამდენჯერ ეხმარებოდა შემდგომში მამა სერაფიმე ბავშვებს, უკვე ზეციური სავანიდან!

1856 წლის ივლისში კოსტრომის ვიცე-გუბერნატორის რვა წლის ვაჟს კუჭი ასტკივდა. დაავადება გართულდა, დაიწყო შეტევები, ექიმები ვერაფერს შველოდნენ. მშობლები ღელავდნენ, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ამ დროს ქალბატონმა დავიდოვამ, შემდგომში კოსტრომის ცნობილმა

იღუმენიამ — დედა მარიამმა ავადმყოფის დედას აჩუქა წიგნი სერაფიმე საროველზე.

ერთ ღამეს ბავშვმა სიზმარში ანგელოსთა დასთან ერთად წითელ სამოსში გამოწყობილი მაცხოვარი იხილა, მან უთხრა: „შენ გამოჯანმრთელდები, თუ შეასრულებ იმას, რასაც გიბრძანებს ბერი, რომელიც შენთან მოვა“. მერე მოვიდა ბერი სახელად სერაფიმე და უთხრა: „თუ გინდა გამოჯანმრთელდე, აიღე საროვოს ტყის წყაროს წყალი, რომელსაც სერაფიმეს წყაროს უწოდებენ და სამი ღლის განმავლობაში დილა-საღამოს ამ წყლით განიბანე თავი, მკერდი, ხელები, ფეხები და სვი ეს წყალი“. ბავშვმა სიზმარი ძიძას უამბო, ძიძამ კი მშობლებს. მეორე დღეს კი მან ახალი სიზმარი ნახა. ამჯერად მას ანგელოზებთან ერთად ღვთისმშობელი გამოეცხადა და სიყვარულით უბრძანა ბერის ნათქვამის შესრულება. ქალბატონი დავიდოვას დახმარებით სერაფიმეს წყაროს წყალი იშოვეს და ბავშვი სრულიად გამოჯანმრთელდა.

აი სხვა დახმარება, რომელიც ბერმა გამოცდაზე გასულ ბიჭს გაუწია.


1864 წელს პეტერბურგში ქალბატონ საბანაევას ვაჟი დიმიტრი ავად გახდა, მას კი სამთო ინსტიტუტში გადასასვლელი გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი. შეწუხებული დედა ლოცულობდა, ბერ სერაფიმეს შველას ევედრებოდა.

ღამე სიზმარში მან ბერი იხილა, რომელმაც უთხრა: „შენი შვილი გამოჯანმრთელდება და გამოცდასაც ჩააბარებს“. დილით დედას შვილი ლაზარეთში აღარ დახვდა, იგი გამოცდის ჩასაბარებლად წასულიყო. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ იგი შინ მხიარული დაბრუნდა და დედას უამბო, რომ

ღამე სიზმარში მისთვის საყვარელი და პატივსაცემი მამა სერაფიმე იხილა, რომელმაც უთხრა: „გამოჯანმრთელდები და გამოცდასაც ჩააბარებ“.

ბავშვებო, გიყვარდეთ მშვიდი, წყნარი, საკვირველთმოქმედი, საოცარი ბერი სერაფიმე. მოუხმეთ მას გასაჭირისა და უბედურების ჟამს.

და როგორც მაშინ, მდელიოზე, იგი უხილაგად ხელში აგიყვანთ, გულში ჩაგიკრავთ, ჩურჩულით გეტყვით: „ჩემო საუნჯევ, ჩემო საუნჯევ!“ და თქვენ გაიხარებთ მისი ალერსით.



ღირსმოწამე ონოფრეს ღვაწლი
(ხსენება 4 იანვარს)

ღირსმოწამე ონოფრეს ცხოვრება ეს არის მაგალითი უდიდესი სინანულისა, სიყმაწვილეში ნათქვამი სიტყვების გამო.

წმიდა ონოფრე ბულგარეთში, ქალაქ გაბროვოში დაიბადა. მდიდარი ოჯახის შვილმა კარგი განათლება მიიღო. მაგრამ სიყმაწვილის მძიმე მოგონებამ იგი ათონის მთაზე მიიყვანა. თურმე ერთხელ მამას იგი ანცობისთვის დაუსჯია და გაბრაზებულ ბავშვს უაზროდ წამოუყვირია გავთურქდებო. ქრისტიანობის ეს უნებლიე, სიტყვიერი გმობა, გაუთავებლად სტანჯავდა და სწავდა მის მორწმუნე სულს. მას აღედრა სურვილი ქრისტესთვის წამებით გამოესყიდა თავისი უნებლიე ცოდვა. ბერობის ღვაწლით დიდი გმირობისათვის მომზადებულმა მან საჯაროდ ამხილა ყურანის ცრუ სიბრძნე და 1918 წლის 4 იანვარს, 32 წლის ასაკში მიიღო მოწამებრივი სიკვდილი.

სერბეთის მთავარეპისკოპოსის,



საბას ახალგაზრდობის წლები
(სსმნება 12 იანვარს)

სერბეთის მეფის, სტეფანე ნემანის მესამე ვაჟს როსტისლავი ერქვა. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო. მშობლები ხელდავდნენ შვილის საოცარ ნიჭიერებას და ფიქრობდნენ თხუთმეტი წლის ასაკში ჰერცოგოვინის მმართველად დაედგინათ. შემდგომში კი მის დაქორწინებას გეგმავდნენ.

ერთხელ მეფის სასახლეში დიდი ნადიმი გაიმართა. მეფის ძე უგუნებოდ იყო. მას ადრეც შეუმჩნევია, რომ მხიარული ახალგაზრდების გარემოცვაში გულზე სევდა შემოაწვებოდა ხოლმე, მისი სული რაღაც სხვას თხოულობდა, სხვაგან ისწრაფოდა. როსტისლავმა შეიტყო, რომ მათთან სტუმრად რუსი ბერი მოსულიყო. როსტისლავი შეუმჩნევლად გაეცალა სუფრას, ბერი თავის ოთახში შეიყვანა და დიდხანს უსმენდა მის მონათხრობს ბერ-მონაზონთა ცხოვრების შესახებ, და მაშინ მიხვდა ჭაბუკი, რომ მის წინ იყო საუნჯე, რომელზედაც იგი ოცნებობდა. მეტი აღარაფერი ჰქონდა საოცნებო და საძებარი. უზარმაზარი ბედნიერება ერთბაშად ეწვია – ყველაფრის დავიწყება, წუთისოფლისგან განდგომა, საკუთარი თავის მთლიანად ქრისტესადმი მიძღვნა!


მისთვის ჩვეული გამბედაობით როსტისლავმა სახლიდან გაქცევა გადაწყვიტა, მამას უთხრა, რომ სანადიროდ მიდიოდა, მსახურები სხვადასხვა მხარეს დაგზავნა, თავად კი ათონზე გაემგზავრა.

მამა გაღიზიანდა და განაწყენდა, როდესაც შვილმა თავისი ბერად შედგომის ამბავი შეატყობინა. სტეფანე ნემანმა მისწერა თესალონიკის (ოლქი, რომელშიც ათონი შედიოდა) გამგებელს,

რომ ომს გამოუცხადებდა, თუ შვილს არ დაუბრუნებდა. მამის ბრძანების აღსასრულებლად მხედართმთავარი თავისი ჯარით ათონზე გამოცხადდა, რათა როსტისლავის ბერად აღკვეცი-სათვის ხელი შეეშალა, მაგრამ ყმაწვილმა ხერხი იხმარა და როდესაც ჯარისკაცებმა დაიძინეს, ფარულად გავიდა ტაძრი-დან და ბერად აღიკვეცა. მან გაუგზავნა მშობლებს თავისი საერო ტანსაცმელი, მოკვეცილი თმები და წერილი, რომელშიც სამუდამოდ ეთხოვებოდა მათ.

შემდგომში საბა სერბეთის მთავარეპისკოპოსი გახდა და სამშობლოსათვის ნათელ მოვლენად იქცა. მან სახელი გაითქ-ვა, როგორც თავისი სიწმინდით, ასევე სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და შორსმჭვრეტელობით.

**საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთასწორ
ნინოს ახალგაზრდობა**



(ხსენება 14 იანვარს)

რჩეული ადამიანები ბავშვობიდანვე რაიმე წმიდა ოცნებით არიან შეპყრობილნი. მაგალითად, მომავალი მწერალი ბავშვობაში, მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვებით იჭერს ხელში კალამს, უკვე ცდილობს თავისი აზრებისა და გრძნობების ჩაწერას. მომავალი მოქანდაკე ცდილობს თიხისაგან გამოძერწოს ყველაფერი, რასაც გარშემო ხედავს. ცნობილი რუსი კომპოზიტორი გლინკა ბავშვობიდანვე ყოველ ბგერას უგდებდა ყურს.

იყო ქრისტიანობაში ერთი წმიდა ქალწული, რომლის სიცოცხლე ბავშვობის დროინდელი ოცნების ახდენად იქცა.

მცირე აზიის მკვიდრი, წმიდა ნინო სახელგანთქმული და პატიოსანი მშობლების ერთადერთი შვილი იყო. მამამისი დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავი იყო, დედა კი – იერუსალიმის პატრიარქის და.

თორმეტი წლის ასაკში მშობლებმა ნინო იერუსალიმში წაიყვანეს. წმიდა ქალაქში მამა ბერად აღიკვეცა, დედა პატრიარქმა გლახაკ და ავადმყოფ ქალთა დასახმარებლად დააყენა, ნინო კი აღსაზრდელად ღვთისმოსავ ქალს მიაბარეს.

აღმზრდელის მონათხრობიდან ნინოს ყურადღებას განსაკუთრებით ქრისტეს კვართის საკითხი იპყრობდა, რომელზეც რომაელმა მეომრებმა წილი ყარეს. ქალმა უამბო ნინოს, როგორ მოხდა კვართი შორეულ ქვეყანაში – ივერიაში, ქალაქ მცხეთაში. სულ უფრო და უფრო აღელვებდა ნინოს კვართზე ფიქრი, მას სურდა თავისი თვალთ ენახა იგი, მისი სული უცხო ივერიისაკენ და უცნაური სახელწოდების ქალაქ მცხეთისკენ ისწრაფოდა.

რადგან ნინოს სურვილი სული წმიდით იყო აღძრული, აუსრულდა კიდევ სასწაულებრივად. მას სიზმარში ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „წადი ივერიაში, იქადაგე იქ იესოს სახარება, მე კი შენი მფარველი ვიქნები“.

– როგორ შემიძლია მე, სუსტ ქალწულს, ასეთი დიდი საქმის შესრულება? – შეეკითხა ნინო.

მაშინ ღვთისმშობელმა მას ვაზის ჯვარი გაუწოდა და უთხრა:

– მიიღე ეს ჯვარი ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა; მისი ძალით იქადაგებ ივერიაში სარწმუნოებას.


ამ ჯვრით ხელში ნინო წავიდა შორეულ ივერიაში და ქვეყანა ქრისტეს რჯულზე მოაქცია. ივერიის ძველი დედაქალაქი, მცხეთა, თბილისთან ახლოს მდებარეობს, ის კავკასიის ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილია. აქ დიდი ხნის მანძილზე ინახებოდა ღვთისმშობლის მიერ ნინოსთვის მიცემული ჯვარი, ახლა იგი თბილისის სიონის ტაძარშია დაბრძანებული.

ძნელად თუ მოიძებნება სხვა ერი, რომელსაც ქართველები სწაირად დაეთმინა სარწმუნოებისათვის დევნა. მუსულმანთა ვერანაირმა ზეწოლამ ვერ აღმოფხვრა ქრისტიანი ქალწულის ძლიერი სულით მათში დანერგილი მართლმადიდებლობა. ქართველ მოწამეთა წმიდა ნაწილებისა და იმ სასწაულთმოქმედი ხატების გვერდით, რომლითაც უფალმა ივერიის მიწა აკურთხა, მცხეთაში ინახებოდა ეს საოცარი ჯვარი, რომელიც ყოვლადწმიდა ზეციერმა ქალწულმა გადასცა მიწიერ ქალწულს, ერთი შეხედვით, შეუძლებელი საქმის შესასრულებლად.

ქრისტიანულ მატთანეში ნინოს ცხოვრება განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს. უცხო ქვეყანაში მისვლა, მრავალი სასწაულის შემდეგ მეფისა და დედოფლის მოქცევა, მდინარე მტკვარში ხალხის მონათვლა, უფლის კვართის მოძიება, ღარიბულ ქოხში, მის მიერ გაქრისტიანებული კახელებისა და ქართლელების გარემოცვაში სიკვდილი, – რა ამაღლებული, რა მშვენიერი, რა საოცარია ეს ყველაფერი. ნინოს ყრმობის ოცნება იქცა მისი ცხოვრების იმ უდიდესი საქმის საფუძველი, რომლის გამო მან მიიღო ქალთა შორის იშვიათი წოდება – მოციქულთასწორისა...

ნინოს წმიდა ნაწილები განისვენებს მისი გარდაცვალების ადგილზე აგებულ ბოღბის დედათა მონასტერში.

წმიდა მოწამე ნეოფიტე
(ხსენება 21 იანვარს)



წმიდა ნეოფიტე ერთ დროს აყვავებულ, ახლა კი გაცამტვერებულ ჩრდილო-დასავლეთ აზიის ქალაქ ნიკეაში დაიბადა. მზრუნველმა მშობლებმა შვილს ათი წლის ასაკში წერაკითხვა დააწყებინეს. უფალმა მას სიყმაწვილეში მიმადლა სასწაულთმოქმედების ნიჭი.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ნეოფიტეს სკოლიდან სახლში მიჰყავდა ღარიბი ამხანაგები და მათ თავის სადილს უნაწილებდა, თვითონ კი მშვიერი რჩებოდა. იგი მიდიოდა ქალაქის აღმოსავლეთ კარიბჭესთან, იქ მშვიერი მიწაზე ხაზავდა ჯვარს და ჩვენთვის ჯვარცმულ ქრისტეს თავყანს სცემდა, სადილის დამთავრების შემდეგ მისი ამხანაგებიც მასთან მიდიოდნენ და ისინიც ლოცულობდნენ.

ზოგჯერ, ამხანაგების წყურვილის მოსაკლავად, ნეოფიტე ქვის კედლიდან ხელის დარტყმით წყალს გადმოადენდა ხოლმე — ასე აპურებდა ყოველდღიურად თავისი სადილით ნეოფიტე ამხანაგებს და ასმევდა მათ ქვიდან სასწაულებრივად გადმოდენილ წყალს. ამ ღარიბი ბავშვების გარდა ამის შესახებ არავინ იცოდა, ნეოფიტეს მშობლებმაც კი, რადგან იგი უკრძალავდა მათ, მოეთხროთ ეს ამბავი. ერთი წლის შემდეგ ნეოფიტეს დედას, ფლორენტიას, სიზმარში ეუწყა, რომ მისი შვილი, მოსეს მსგავსად, ქვიდან წყალს ადენდა და მწყურვალ ბავშვებს ასმევდა. მაშინ წმინდანის დედამ უფალს შესთხოვა გაეცხადებინა მისთვის შვილის მომავალი და ფლორენტიამ იხილა თეთრი მტრედი, რომელიც მძინარე ნეოფიტეს საწოლზე დაჯდა და ადამიანის ხმით წარმოთქვა: „მე წარმოგზავნილი ვარ ნეოფიტეს უმანკოების დასაცავად“. ამ საოცარი ხილვისაგან ფლორენტია უსულოდ დაეცა. მთელი ქალაქი მათი სახლისაკ-

ენ დაიდრა. ქალაქის კარიბჭიდან დაბრუნებულმა ნეოფიტემ მამას უთხრა: „ნუ ტირი, დედა არ მომკვდარა, მას სძინავს“. მამის თანხლებით იგი დედასთან მივიდა, ხელი მოკიდა და უთხრა: „ადექი, დედა, შენ ტკბილად გეძინა“, და ისიც ადგა... ნეოფიტეს სასწაულის ამბავი მთელ ქალაქს მოედო და ბევრი წარმართი მოექცა მაშინ ქრისტეს სჯულზე. მას შემდეგ ახალგაზრდა ნეოფიტესთან ხშირად მოფრინავდა მტრედი და მოძღვრავდა მას.

ერთხელ მტრედმა უთხრა: „დატოვე მამაშენის სახლი და წამოიყევი“. ნეოფიტე მშობლებს დაემშვიდობა და მტრედს გაჰყვა. მტრედმა იგი მთასთან მიიყვანა და ერთ-ერთ გამოქვაბულში შეფრინდა. გამოქვაბულში ნეოფიტეს დახვდა ლომი. მან ლომს უთხრა: „გამოდი აქედან და სხვა გამოქვაბული ეძებე, უფალმა მე მიბრძანა აქ ცხოვრება“. ლომმა წმიდა ბავშვის ეს ბრძანება მოისმინა, ფეხები აულოკა და გარეთ გავიდა. ნეოფიტე კი ლომის ბუნაგში დასახლდა. საკვები მისთვის ანგელოზს მიჰქონდა. ერთი წლის შემდეგ უფლის ბრძანებით იგი წავიდა ნიკეაში – თავის მშობლებთან, რადგან მათი სიკვდილის დრო მოსულიყო. მშობლების დაკრძალვის შემდეგ, ნეოფიტემ მთელი მათი ქონება გლახაკებს დაურიგა და თავის გამოქვაბულში დაბრუნდა. იქ მან თხუთმეტი წლის ასაკამდე იცხოვრა. როგორც ანგელოზი, სულით უფალთან ადიოდა და ანგელოზის ხელიდან იკვებებოდა. ამ დროისათვის დიოკლეთიანემ გასცა ბრძანება, ქალაქისა და მისი გარეუბნების მცხოვრებლებს წარმართთა ღმერთებისადმი საზეიმოდ მსხვერპლი შეეწირათ. ამ საძაგელი მსხვერპლშეწირვის დროს ანგელოზმა წმიდა ნეოფიტე ნიკეის მოედანზე მიიყვანა. გაბრწყ-

ინებული სახით მან განაცხადა: „ვინც არ მეძებდა, იმან მიპოვა, ვისაც არ მოუთხოვივარ, იმათ გამოვეცხადე ცრურწმენის სამხილებლად“. დიდხანს ვერ მიხვდნენ ნიკეის მოქალაქენი, ვინ იყო ეს საოცარი ყმაწვილი, ბოლოს შეიცნეს მასში ფლორენტიას ვაჟი. მსხვერპლშეწირვის ბრძანების პასუხად მან გაბედულად ამხილა წარმართთა უგუნურება. ამით გამძვინვარებულმა დიოკლეტიანემ ბრძანა, ყმაწვილი ხარის ძარღვევით ეცემათ, შემდეგ კი ძმრისა და გოგირდის ნაზავში ჩაეგდოთ. ამ საშინელი წამებისას ნეოფიტე გარშემომყოფთ ქრისტეს შესახებ ხმამაღლა უქადაგებდა. მაშინ იგი ხეზე მიახეს და რკინის ჯაგრისებით წამება განაგრძეს.

„ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი; ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“, – ისმოდა ყმაწვილის ბაგეებიდან, რომელიც აუტანელ წამებას იტანდა. ჯალათები ერთი მეორეს ენაცვლებოდნენ, ყმაწვილი კი ფსალმუნებს გალობდა და საშველად უფალს უხმობდა.


წამებით რომ ვერაფერს გახდა, დიოკლეტიანემ დაყვავებით სცადა ნეოფიტეს დაყოლიება: კერპების თაყვანისცემის შემთხვევაში იგი დაჰპირდა მას ჭრილობების განკურნებას, საუკეთესო ექიმების დახმარებით. მოწამე ყმაწვილმა უარი განაცხადა. იგი საპრობილეში ჩააგდეს. მეორე დილას კი ქურა გაახურეს, ნეოფიტე შიგ ჩააგდეს სამი დღე-ღამით, რათა მისი ძვლებიც კი ჩაფერფლილიყო. მაგრამ მოხდა სასწაული: ნეოფიტე ცეცხლში ღვთაებრივი ნამით გრილდებოდა, როგორც საამო, მშვიდად ადგილას და ფსალმუნებს გალობდა. სამი დღის შემდეგ, როცა ჯალათებმა ქურა გააღეს ნახშირის გამოსახვეტად, მოწამე უვნებელი დახვდათ, იქიდან გამოვარდნილმა ალმა კი თითქმის

ყველა დაწვა. ნეოფიტე უფალს აღიღებდა და დახმარებას სთხოვდა თავისი ღვაწლის ბოლომდე მისაყვანად. ცეცხლიდან უვნებლად გამოსული წმინდანი მხეცების შესაჭმელად გაამწესეს. ნეოფიტე შემოღობილ ადგილას დააბეს და დათვი მიუქსიეს. იგი ღრიალით გაემართა წმინდანისაკენ, მიუახლოვდა მას, შეჩერდა, შეათვალიერა და უკან გამობრუნდა. ამ სანახაობამ გააოცა მტარვალი დიოკლეტიანე და მაყურებლებიც. მაშინ მას გამძვინვარებული ძუ დათვი მიუქსიეს, ის კი მასთან ერთგული ძაღლივით მიხობდა, ფერხით დაუჯდა, თითქოს მიესალმა და უკან დაიხია... ამ დროს მწყემსებმა უდაბნოში დაჭრილი ლომი მოიყვანეს. გახარებულმა დიოკლეტიანემ ყმაწვილთან მისი შეშვება ბრძანა, ყველა განცვიფრებული იყო ლომის საშინელი შესახედაობით. როდესაც ლომმა ყმაწვილი დაინახა, გაჩერდა, თავი დახარა და ტირილი დაიწყო, იმდენი ცრემლი მოსდიოდა, გეგონებოდათ თვალებიდან წყარო გადმოსდიოდა. იგი ფეხებს ულოკავდა წმინდანს. ეს გახლდათ ის ლომი, რომელიც ნეოფიტემ თავისი ბუნაგიდან გამოასახლა, რათა თვითონ დასახლებულიყო იქ. ნეოფიტემაც იცნო ლომი, უბრძანა დაბრუნებულიყო იმ გამოქვაბულში, რომელიც თავის დროზე მას დაუთმო და თანაც აუკრძალა ადამიანთა ხელის ხლება. ლომმა თავი დაუკრა მოწამეს, შემდეგ საზარელი ღრიალით გამოვარდა, გაამტვრია ღობე და წმინდანის ბრძანებისამებრ თავისი ბუნაგისაკენ გაიქცა.

დიოკლეტიანემ აღარ იცოდა, რა მოემოქმედა და წმინდანის მოკვლა ბრძანა. იქვე მდგომმა ერთ-ერთმა სასტიკმა, გამხეცვბულმა ჯალათმა მარტვილს მახვილით გული გაუგმირა. ასე მიაბარა უფალს თავისი წმიდა სული მოწამე ნეოფიტემ. ეს მოხ-

და 21 იანვარს, მაშინ როდესაც მოწამე სულ 15 წლის და ოთხი თვისა იყო. სამაგიეროდ დაიმკვიდრა მარადიული სიცოცხლე ცათა სასუფეველში.

წმიდა მოწამე აგნია
(ხსენება 21 იანვარს)



წმიდა აგნიამ მოწამებრივი გვირგვინი უფრო ახალგაზრდამ დაიდგა, ვიდრე ნეოფიტემ: იგი სულ ცამეტი წლისა იყო. გოგონა მშობლებმა ქრისტეს სწავლებით აღზარდეს. წარმოშობით რომაელი, ასაკით მცირეწლოვანი, მაგრამ გონებით ზრდასრული, მშვენიერი გარეგნობის, იგი უტკბესი იესოსადმი რწმენით და სიყვარულით ბრწყინავდა. აგნია ძალიან მოეწონა ქალაქისთავის ვაჟს, რომელმაც იგი სასწავლებლიდან მომავალი ნახა. მან გამოიკვლია, სად ცხოვრობდა ქალიშვილი. მისი მშობლები ძვირფასი საჩუქრებით აავსო და კიდევ უფრო მეტს ჰპირდებოდა, თუკი აგნია მისი საცოლე გახდებოდა.

აგნია უარზე იყო. აგნიას სიყვარულის მოსაპოვებლად ახალგაზრდა არაფერს იშურებდა: კიდევ უფრო ძვირფასი საჩუქრები უყიდა: ძვირფასი თვლები, ოქროს ჭურჭელი, ძვირად ღირებული ტანსაცმელი, თვითონაც სთხოვდა და მეზობლების პირითაც უთვლიდა მისი საცოლე გამხდარიყო იმ სიყვარულის, დიდგვაროვნების, სიმდიდრისა და ყველა იმ მიწიერი სიკეთის გამო, რომელსაც იგი შეეცდებოდა მისთვის მიეძღვნა.

— „გამშორდი მაცდურო“ — პასუხობდა ახალგაზრდა ქალი, — სხვამ დაგასწრო, სხვამ გამომიგზავნა უკეთესი საჩუქრები და სამკაულები, მან რწმენის ბეჭდით დამნიშნა. შენ ვერ შეედრები მას ვერც წოდებით, ვერც გვარიშვილობით. მან მომართვა სულიერი სილამაზის ძვირფასი სამოსელი, შემამკო ოქროთი და ძვირფასი თვლებით, მაჩვენა ფასდაუდებელი საუნჯე, რომელსაც მპირდება, თუ მისდამი რწმენას შევინარჩუნებ. მის გარდა არავის დანახვა არ მსურს, მასთან მტკიცე სიყვარულით ვარ დაკავშირებული. მისი გვარიშვილობა შეუდარებელია, მისი ძალაუფლება უძლეველია, მისი სილამაზე ენით

გამოუთქმელია, მისი სიყვარული უტკბესია, იგი მე საოცარ სასახლეებს მიშენებს, ის თავადაც საკვირველია.

მას ემსახურებიან ანგელოზები, მზე და მთვარე, მისი სიტყვით მკვდრები ცოცხლდებიან, მასთან შეხებით სნეულები იკურნებიან, მისი სიმდიდრე უღვევია, მისი ერთგულება მსურს, მას ვანდობ ჩემს თავს.

აგნიას უარმა დაამწუხრა და დაასნეულა ვაჟი. როდესაც მამამისმა შეიტყო შვილის ავადმყოფობის მიზეზი, აგნიას მშობლებთან მოსალაპარაკებლად ახლობლები გაგზავნა, მაგრამ კვლავ უარი მიიღო. მაშინ გამოაშკარავდა, რომ აგნია ქრისტიანი იყო. მამამ იფიქრა, რომ შეაშინებდა გოგონას და დაითანხმებდა.

დიდხანს ცდილობდა ქალაქის უფროსი დაეყოლიებინა აგნია, განდგომოდა ქრისტეს და მის ვაჟს ცოლად გაჰყოლოდა. ვაჟი კი, რომელიც გაკადნიერდა და აგნიას შეურაცხყოფა მიყენა, იმავე წამს მკვდარი დაეცა, მაგრამ აგნიას ლოცვით გაცოცხლდა და ირწმუნა ქრისტე. ამ სასწაულის მხილველმა 160 ადამიანმა მასთან ერთად ირწმუნა ქრისტე. მაშინ აგნიას ცეცხლში დაწვა მიუსაჯეს და კოცონში ჩააგდეს. მაგრამ ალი შუაზე გაიყო და წმინდანს არ შეეხო. ცეცხლის ორ კედელს შორის მდგომარე აგნია ხმამაღლა ადიდებდა ღმერთს. ცეცხლიდან უვნებლად გამოსული ქალწული მახვილით განგმირეს და ამაღლდა აგნია ზეცაში უფალთან.

მღვდელმთავარი კლიმენტი (კლიმი) ანკვირელი
(სსმნმბა 23 იანვარს)



მღვდელმოწამე კლიმენტის მშობლები სხვადასხვა სარწმუნოებისანი იყვნენ: დედა — ქრისტიანი, მამა — წარმართი. დედამისი — ეფროსინე შვილს ზნეკეთილ ქრისტიანად ზრდიდა. მთელი თავისი სულიერი ძალა მან შვილის აღზრდაში ჩაღო. ეფროსინეს უძძიმდა წარმართ მეუღლესთან ცხოვრება; როდესაც მიჰყვებოდა, იმედოვნებდა, რომ ქმარს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე გადმოიყვანდა, მაგრამ ვერ შეძლო, უფრო მეტიც, ქმარი ცდილობდა მის წარმართობისაკენ გადახრას. კლიმენტის დაბადების შემდეგ მამა მალე გარდაიცვალა და დედა ბავშვს ღვთისმოსაობით კვებავდა. კლიმენტის ბავშვობა მშვიდად მიედინებოდა — ეკლესიაში ხშირ სიარულში, წმიდა წიგნების კითხვასა და იმ კეთილი საქმეების კეთებაში, რომელთაც იგი დედამ მიაჩვია.

კლიმენტი სულ თორმეტი წლის იყო, როდესაც ლოგინად ჩავარდნილმა ეფროსინემ სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მან მოიხმო შვილი და საუბარი დაუწყო. რაღაც განსაკუთრებული იყო ამ ქრისტიანი ქვრივის ანდერძში. დედა ცდილობდა, შვილის გულში განემტკიცებინა ყველაზე ძვირფასი — რწმენის საგანძური.

რა ღრმად უნდა ჩასწვდომოდა გულში კლიმენტს სიკვდილის პირას მყოფი საყვარელი დედის ეს სიტყვები! მაშინ მას ასე ეჩვენებოდა, რომ ერთბაშად დიდი გახდა, რადგან აქამდე დედის მზრუნველობის ქვეშ იყო, ახლა კი აღარავინ იზრუნებდა მასზე, მას თავად მოუწევდა თავისი სიცოცხლის წარმართვა. მომაკვდავი დედის სიტყვები შვილმა კარგად დაიმახსოვრა და შეასრულა. „ჩემო საყვარელო შვილო — ამბობდა ეფროსინე, — შენ ადრე დაობლდი, მაგრამ ქრისტე ღმერთმა მამობა გაგი-

წია. მე დაგბადე ხორციელად, ქრისტემ კი დაგბადა სულიერად, ამიტომ მიიღე მამად იგი და თავი მის შვილად ჩათვალე. ემსახურე უფალ ქრისტეს, გქონდეს მისი იმედი, მასშია ჩვენი ჭეშმარიტი ხსნა და მარადიული სიცოცხლე. იგი ზეციდან ჩამოვიდა ჩვენს ასაყვანად. მან საკუთარ შვილებად გვაქცია და განგვალმრთო. ის, ვინც ასეთ მეუფეს ემსახურება, გადაურჩება ეშმაკის მახეს, დაძლევს მოწინააღმდეგეს, არა მხოლოდ შეარცხვენს კერპთაყვანისმცემელ ბიწიერ მმართველებს და მტარვალებს, არამედ თავს შეუშუსრავს ყველა იმ დემონს, რომელსაც ისინი ეთაყვანებიან“.

ეფროსინეს მაგრად ეჭირა შვილის ხელი, ცრემლად იღვრებოდა და ღვთაებრივი მადლით შთაგონებული წინასწარმეტყველებდა შვილის მომავალს. სასტიკი დრო მოვა, დაიწყება დევნა, შენ კი ჩემო საყვარელო შვილო, როცა წარსდგები მმართველებისა და მეფეების წინაშე, იყავი მტკიცე, დამდე ეს პატივი, მხნედ და ვაჟკაცურად იდექი ქრისტეს რჯულზე, მე კი იმედს ვიტოვებ, რომ ქრისტე მალე დაგადგამს მოწამებრივ გვირგვინს მრავალი სულის გადასარჩენად.

ასე რომ, მოემზადე მოწამებრივი ღვაწლისათვის, რათა დრომ მოუმზადებელს არ მოგისწროს. იცოდე, ოქროსთვის სასარგებლოა ცთუნებათა ბრძმედში გამოწვა. ნუ შეშინდები: წამება დროებითია, მისაგებელი — მარადიული. მწუხარება მალე გადის, სიხარული კი სამუდამოდ რჩება. ხანმოკლეა მიწიერი შეურაცხყოფა და მარადიულია უფლისაგან ბოძებული დიდება. მტარვალთა მუქარა და მათ მიერ მოყენებული ჭრილობები ერთი დღე გაგრძელდება, ჩაქრება ცეცხლი, რომლითაც ისინი ქრისტეს მოწამეებს ტანჯავენ, ჟანგი მოეღება მათ

მახვილებს, დაიშრიტება მათი ძალები. ამ არარაობათა გამო, რომლებიც შენ დაგემუქრებიან, ქრისტეზე ნუ იტყვი უარს. იმედით მიაპყარი თვალები ზეცას, იქიდან ელოდე დიდ, მდიდარსა და მარადიულ წყალობას.

გეშინოდეს უფლის დიდებულების, თრთოდე სამსჯავროს წინაშე, გაძრწუნებდეს მისი ყოვლისმხილველი თვალი, რადგან საშინელ მომავალს იმზადებს ის, ვინც უარყოფს ქრისტეს, ხოლო ის, ვინც საჯაროდ აღიარებს მას, იცხოვრებს ენით გამოუთქმელ სიხარულსა და მხიარულებაში წმიდა აღმსარებლებთან ერთად...

მართალია სხეულით გშორდები, მაგრამ სულით მუდამ შენთან ვიქნები, რათა შენთან ერთად მეღირსოს ქრისტეს წინაშე წარდგომა და სიქადული შენი მოწამეობით, შენი ღვაწლით...“ აი რას ამბობდა ეს მომაკვდავი ქრისტიანი ქალი, რომლისთვისაც უდიდესი ბედნიერება იქნებოდა, თუ მარადიულ საგანეში მას მისი შვილი მოწამებრივი გვირგვინით შემკული შეუერთდებოდა.

იგი სიყვარულით უყურებდა თავის ძეს და იმ იმედით, რომ შვილი მის ანდერძს შეასრულებდა, ამბობდა: „ნეტარი ვარ, რადგან მოწამის სხეულს ვეამბორები“. ამ საუბარში, შვილის მკერდზე მიყრდნობილმა მან მშვიდად მიაბარა სული უფალს.

ამ მგზნებარე რწმენაზე უკეთესი რა მემკვიდრეობა უნდა დაეტოვებინა ქრისტიან ქალს თავისი შვილისთვის? მან შთაუწერა შვილს რწმენა, გააღვივა მასში თავგანწირვის სურვილი.


ღედის დასაფლავების შემდეგ 12 წლის კლიმენტი სულ მართო დარჩა, მას მხოლოდ ზეციური მამა ჰყავდა. და უფალმა,

რომელიც ზრუნავს ობლებსა და ღარიბებზე, ბავშვს მეორე დედა გამოუეზავნა. იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი დიდგვაროვანი მდიდარი ქალი, სოფიო, კლიმენტის დედის დიდი მეგობარი. სოფიო ღვთისმოსავი ქალი იყო, დღედაღამ ლოცულობდა და, რადგან უშვილო იყო, იშვილა ნეტარი კლიმენტი, საკუთარი შვილივით შეიყვარა და ყოველმხრივ ზრუნავდა მასზე.

იმ ხანად ქვეყანაში შიმშილობა მძვინვარებდა. წარმართები გზებზე ყრიდნენ შვილებს, რადგან არ იცოდნენ რითი გამოეკვებათ ისინი, თავად კი ქალაქიდან გარბოდნენ. მიტოვებული ბავშვები კლიმენტს დედობილის სახლში მიჰყავდა და მისი სახსრებით აჭმევდა, აცმევდა, ასწავლიდა და ნათლავდა მათ. სოფიოს სახლი ობოლთა თავშესაფარად და სასწავლებლად იქცა, სოფიო კი – მრავალი ბავშვის დედად. კლიმენტი ახალგაზრდობიდანვე მარხვითა და თავშეკავებით თრგუნავდა სხეულს. იგი ბერულად ცხოვრობდა, მხოლოდ პურიტა და ბოსტნეულით იკვებებოდა, სვამდა მხოლოდ წყალს. იგი დიდი პატივით სარგებლობდა და ამიტომაც ოცი წლის ასაკში კლიმენტი ეპისკოპოსად აკურთხეს. დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნისას კლიმენტმა 28 წელი წამებაში გაატარა. მას ქალაქიდან ქალაქში აგზავნიდნენ, სადაც კლიმენტმა ბევრი ადამიანი მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. როდესაც ტახტზე იმპერატორი მაქსიმიანე ავიდა, მას მოახსენეს კლიმენტისა და მასთან ერთად ნაწამებ ახალგაზრდა ადათანგელოზის შესახებ: „რა ვუყოთ ამ ორ უცნაურ ადამიანს? მრავალი წელი ვტანჯავთ, ისინი კი კვლავ ცოცხლები არიან და აი ჩვენ უკვე ვფიქრობთ, უკვდავები ხომ არ არიან?“

23 იანვარს ღვთაებრივი ლიტურგიის შემდეგ კლიმენტს თავი მოჰკვეთეს... მისი 28 წლიანი წამება სრულიად განსაკუთრებულია ქრისტიანულ მატთანში.


ქრისტიანი ღვდა
(წმიდა ფელიცატა და მისი შვილი ვაჟი,



სსმნმბა 25 იანვარს)

164 წელს რომში ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისთვის შეიპყრეს ფელიცატას შვილები. ისინი არჩევანის წინაშე წარსდგნენ: ან უარი ეთქვათ ქრისტეზე და ცოცხლები დარჩენილიყვნენ, ან მიეღოთ მოწამებრივი სიკვდილი ქრისტესთვის. მათი დედა არა თუ არ შეეცადა აერიდებინა შვილები-სათვის მოწამებრივი ხვედრი, არამედ ევედრებოდა შვილებს მტკიცედ და უშიშრად დაეცვათ თავიანთი სარწმუნოება. დედა და მისი შვილები ჯერ სასტიკად აწამეს, შემდეგ ხუთმა სხვადასხვა მოსამართლემ გაასამართლა ისინი და თითოეული მათგანი სხვადასხვა წამებით აღესრულა. ამ ბედნიერი დედის შვილთა სახელებია: იანუარი, ფელიქსი, ფილიპე, სილუანი, ალექსანდრე, ვიტალი, მარციალი.

წმიდა ბრიგოლ ღვთისმეტყველის ბავშვობის წლები
(სსმნმბა 25 იანვარს)



წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველი დაიბადა აღმოსავლეთ აზიაში, კეთილშობილ და ღვთისმოსავ ოჯახში. დედამისი ნონა შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანი ქალის უმაღლეს ნიმუშად. მამამისი გრიგოლი წარმართი იყო. როდესაც ღვთისმოსავი ნონა მისი ცოლი გახდა, იგი ევედრებოდა უფალს, დახმარებოდა ქმრის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევაში. გრიგოლს ასეთი ხილვა ჰქონდა: იგი გალობდა ფსალმუნებს. ეს სიტყვები, რომლებიც მას არასოდეს წარმოუთქვამს, გაგონილი ჰქონდა მეუღლის ლოცვისას. გალობა მას უდიდეს სიამოვნებას ჰკვრიდა. გაღვიძებულმა ყველაფერი ცოლს უამბო და ნონა მიხვდა, რომ მის ქმარს თავად უფალი უხმობდა თავის სამწყვსოში. მან დაიწყო ქმართან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე საუბარი და მალე გრიგოლი მოინათლა კიდევ. შემდგომში კი, თავისი მშობლიური ქალაქის, ნაზიანზის ეპისკოპოსი გახდა.

ამ დიდი ხნის ნანატრი წყალობის შემდეგ ნონამ უფალს ძე შესთხოვა და აღუთქვა, რომ მასვე შესწირავდა თავის შვილს. და უფალმა, რომელიც ისმენს ღვთისმოსაშიშთა ლოცვას, შეასრულა ღვთისმოსავი ქალის თხოვნა. ნონამ იხილა ჩვენება, რომელშიც მომავალი შვილის სახეც წარმოუდგა და სახელიც ემცნო.

გრიგოლი მეტად ნიჭიერი და გამჭრიახი გონების ბავშვი იყო. სწავლობდა გულმოდგინედ და ადვილად ითვისებდა იმასაც კი, რაც უფროსებს ეძნელებოდათ. არ უყვარდა ბავშვური ხუმრობები, ვერ იტანდა უსაქმურობას, ყოველთვის დაკავებული იყო. როდესაც ცოტა წამოიზარდა, დედამ უამბო, როგორ გამოსთხოვა უფალს მისი თავი და როგორ დაჰპირდა მიეძღვნა იგი ღვთის სამსახურისთვის. ამ სიტყვებმა ყმაწვილის

სულში ღრმა კვალი დატოვა. გრიგოლს საოცარი გონება ჰქონდა, ყველაფერში ქრისტესადმი სიყვარულს იჩენდა, უყვარდა უმანკობა და კანონად დაიდო მთელი ცხოვრების მანძილზე შეენარჩუნებინა სულისა და ხორცის უბიწოება. ეს გადაწყვეტილება ერთმა იდუმალმა ჩვენებამ განუმტკიცა. ერთხელ სიზმარში მან იხილა თეთრებში გამოწყობილი ერთნაირი ასაკისა და სიმაღლის ორი ახალგაზრდა ქალწული, ორივე ძალიან ლამაზი, ორივე სამკაულების გარეშე: არც ოქრო, არც ვერცხელი, არც მარგალიტი ან სხვა ძვირფასი თვლები, არც რბილი აბრეშუმის სამოსი, სახე თხელი ქსოვილით ჰქონდათ დაფარული, ისინი მდუმარედ იდგნენ ძირს დაშვებული თვალებით და ბრწყინავდნენ უმანკო სილამაზით.

— ვინ ხართ? — იკითხა ყმაწვილმა. — საიდან მოხვედით?

პირველი ქალწული გაეცნო როგორც სიბრძნე, მეორე — როგორც თავშეკავება.

— იყავი ჩვენი მეგობარი და ზეცაში აგიყვანთ, — უთხრეს ქალწულებმა გრიგოლს.

ამ დაპირების შემდეგ ისინი ზეცაში ამაღლდნენ და ღრუბლებს მიეფარნენ, ყმაწვილმა მათ მზერა გააყოლა. გაღვიძებისას მან ენით გამოუთქმელი სიხარული იგრძნო...

გრიგოლი ღვთისმეტყველის მთელი ცხოვრება გამსჭვალული იყო უბიწოებისა და თავშეკავების იმ სულისკვეთებით, რომელშიაც მისმა ბუნებრივმა ნიჭმა უდიდესი განვითარება ჰპოვა.

წმინდანი თავად იხსენებს იმ განწყობილების შესახებ, რომელშიც მისმა სიყმაწვილემ გაიარა: მე არ მიზიდავდა აბრეშუმის მშვენიერი სამოსი, არ მიყვარდა ხანგრძლივი ტრაპე-

ზობა, არ მიყვარდა ხორცის მათმებლობის დედა – ნაყროვანება, არ მიყვარდა დიდ ბრწყინვალე სასახლეებში ცხოვრება, მუსიკითა და სურნელოვანი ნელსაცხებლებით ტკბობა. ოქროსა და ვერცხლს სხვეებს ვუთმობდი. ჩემთვის ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო პურის ნატეხი, ტკბილი საკმაზი – მარილი, სასმელი – წყალი. ჩემი სიმდიდრე – ქრისტე ჩემს გონებას მუდმივად ზეცისაკენ მიმართავდა. მე არ მჭირდება მსწრაფლ-წარმავალი ბედნიერება, არც ხანმოკლე დიდება, მე არ მამხიარულებს ცრუ ოცნებები, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით ქრებიან.

ღირსი ქსენოფონტე, მეუღლე მისი მარიაში და კენი
მათნი – იოანე და არკადი
(სსმმბა 26 იანვარს)



კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი ცნობილი დიდგვაროვანი, ქსენოფონტე ქრისტიანულად ცხოვრობდა. ის არ ამაყობდა თავისი მდგომარეობით და გულმოდგინედ ეხმარებოდა ღარიბებს. მათი ხელით თავის სიმდიდრეს ზეცაში აგზავნიდა. როდესაც მისი შვილების, იოანესა და არკადის განათლების დრო დადგა, მშობლებმა ისინი ფინიკიის ქალაქ ბეირუთში გაგზავნეს. მალე ქსენოფონტე დასნეულდა და მისმა მეუღლემ, მარიამმა, მამასთან დასამშვიდობებლად შვილები უკან გამოიხმო. შვილების ნახვის სიხარულით მამა უკეთ შეიქნა, მან შვილებს ისეთი დარიგება მისცა, რომელიც ყველა ქრისტიანს უნდა ახსოვდეს: „გიბარებთ შვილებო, პირველ რიგში გქონდეთ ღვთის შიში, თქვენი ცხოვრება მისი წმიდა მცნებების მიხედვით წარმართეთ. მიბაძეთ თქვენს მამას, რომელიც ყველასთვის საყვარელი და პატივსაცემი იყო არა მისი წოდების, არამედ თავმდაბლობისა და სიკეთის გამო. მას არასოდეს, არავინ გაუნაწყენებია, ცილი არავისთვის დაუწამებია, არავინ გაუნადგურებია, არავისი შეშურებია, ყველა უყვარდა, ყველასთან კეთილი ურთიერთობა ჰქონდა, დილა-საღამოს ეკლესიაში იყო, ღარიბები არ სძულდა, აპურებდა მათ და ყველას სიტყვითა და საქმით ანუგეშებდა, ზრუნავდა პატიმრებზე, ბევრი მათგანი გამოისყიდა ტყვეობიდან და გაათავისუფლა. მე ჩემს ბაგეებს ზღუდეს ვადებდი, რათა არ გამჩენოდა არაწმიდა სურვილები. იყავით უფლისთვის სათნონი და იგი გიბოძებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს. შეეწიეთ გლახაკებს, ქვრივ-ობლებს, მოიკითხეთ სნეულები და საპყრობილეში მყოფნი, იყავით მშვიდნი, მეგობრების ერთგულნი, მტრებისადმი მიმტყვებელნი, ბოროტებაზე ბოროტებით ნუ უპასუხებთ, იყავით კეთილნი,

თვინიერნი, მოყვარულნი, უბიწოდ შეინახეთ სულიერი და ხორციელი სიწმინდე. იყავით ქველმოქმედნი, დაეხმარეთ მღვდლებსა და ბერებს, მონიხულეთ უდაბნოებსა და მთებში უფლის სამსახურებლად განდევილები. დაე, ნუ მოსწყინდება თქვენს ხელს მოწყალების გაღება. ღირსეული პატივი მიაგეთ თქვენს დედას, ყოველთვის აღასრულეთ მისი ნება და არასოდეს ეურჩოთ მას. იყავით შემწყალებელნი მონების მიმართ, მოხუცები გაათავისუფლეთ და სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყავით საკვებითა და თავშესაფარით. გახსოვდეთ, რომ ეს წუთისოფელი მალე გაივლის და არარაობად იქცევა მისი დიდება. დაე, იყოს თქვენთან მშვიდობა ღვთისა!“

შვილები ტირილით უსმენდნენ მამას და არწმუნებდნენ, რომ იგი კიდევ დიდხანს იცოცხლებდა და იქნებოდა მათთან ერთად. და ეუწყა ქსენოფონტეს ხილვაში, რომ უფალმა გაუგრძელა მას სიცოცხლე. გამოჯანმრთელების შემდეგ ქსენოფონტემ შვილები კვლავ სასწავლებლად გაგზავნა. ზღვაზე მათ საშინელი ქარიშხალი დაატყდათ თავს. ტალღები აქეთ-იქეთ ახეთქებდნენ ხომალდს. ძმები უფალს შველას ევედრებოდნენ. გემის კაპიტანი და მეზღვაურები გადასხდნენ პატარა, მაგრამ უსაფრთხო ნავში და ძმები თავიანთი მონებით განსაცდელში მიატოვეს. ტალღები ყველა მხრიდან ეხეთქებოდნენ და ამსხვრევდნენ ხომალდს. ძმებმა ტანსაცმელი გაიხადეს, რათა უფრო დიდხანს შესძლებოდათ წყლის ზედაპირზე გაჩერება. ყმაწვილები ტირილით უხმობდნენ მშობლებს, თითქოს ისინი მათ წინ იდგნენ:

— ძვირფასო დედა, ძვირფასო მამა, იცოცხლეთ დიდხანს, ჩვენ ერთმანეთს ველარ ვიხილავთ.

შემდეგ ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ:

— საყვარელო ძმაო, ჩემო თვალის ჩინო, რა საშინლად ვშორდებით ერთმანეთს! სად არის მშობელთა ლოცვა ჩვენთვის? ააღწია თუ არა ღმერთთან ჩვენთვის თქმულმა ერთმა ლოცვამ მაინც? და თუკი მაინც ააღწია, ალბათ ჩვენი ცოდვების გამო არ იქნა შესმენილი. მამა, შენ, რომელიც ასე ზრუნავდი ჩვენთვის, მკვდრებსაც კი ვერ გვიხილავ! დედა, რომელიც თავისი შვილების ქორწინებაზე ოცნებობდა და მათთვის საქორწინო დარბაზს ამზადებდა, მათ კუბოებსაც ვერ იხილავს! თქვენ იმედოვნებდით, რომ ღრმა მონუცებულობაში ჩვენ დაგასაფლავებდით. ახლა კი თქვენ არ ძალგიდით ალასრულთ ჩვენთვის ეს ბოლო მოვალეობა.

წყალში გადაშვებადღე ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს შემდეგი სიტყვებით: „თავს უშველე ძმაო, და მომიტევე“. ღმერთს კი შეჰლაღადეს: „სიკვდილშიაც ნუ დაგვაშორებ უფალო, დაე ერთმა ტალღამ დაგვფაროს და ზღვის ერთი ცხოველის სტომაქი გვექცეს კუბოდ“.

— „თავს უშველეთ, მეგობრებო, და მოგვიტევეთ!“ — დაუძახეს თავიანთ მონებს. და როდესაც გემმა ჩაძირვა დაიწყო, ხელი ჩაჭიდეს ხის კოჭებს, ტალღებმა ისინი ერთმანეთს დააშორეს.

ღმერთმა ყმაწვილები გადაარჩინა. ისინი სხვადასხვა ქვეყნის ნაპირებთან გამოირიყნენ: მონები ერთ მხარეს, იოანე — მეორე და არკადი — მესამე მხარეს. არც ერთ მათგანს არ უხაროდა გადარჩენა, რამდენადაც განიცდიდა დანარჩენების დალუპვას.

და კვლავ ბუნებაში ყველაფერი დამშვიდდა. ზღვა, რომელიც გუშინ მძვინვარებდა და ხალხს ღუპავდა, დღეს მომღიმარე უცოდველ ჩვილს ჰგავდა.

დამწუხრებული იოანე ათვალიერებდა ნაპირს, რომელზეც გამოირიყა და ფიქრობდა: „როგორ წარვსდგე ადამიანების წინაშე? სჯობს, მონასტერში ბერებთან წავიდე და იქ სიღარიბესა და თავმდაბლობაში ვემსახურო უფალს, ჩემს გადამრჩენელს. უფალმა ალბათ იმიტომ არ შეისმინა ჩვენი ლოცვა, რომ მშობლებს ჩვენი დაქორწინება და ჩვენთვის თავიანთი დიდი ქონების დატოვება სურდათ. ჩვენ კი, ალბათ წუთისოფლის ამაოებაში ჩაფლულნი სულიერად დავიღუპებოდით. და აი, ყოვლისმპყრობელმა საუკეთესო ხვედრი გამოგვიგზავნა.

– უფალო, – ამბობდა იგი ცისკენ ხელაპყრობილი, – შენ გადამარჩინე მე ზღვის ტალღებისაგან, გადაარჩინე სიკვდილისაგან ჩემი ძმაც, მონა შენი არკადი; და თუ გადაარჩენ, გაუნათე გონება და მიმართე იგი მონაზვნური ცხოვრებისაკენ. გადაარჩინე ჩვენი კეთილი მონებიც, ნურც ერთს ნუ დაღუპავ ზღვაში, ინებე, რომ თითოეულმა მათგანმა ადილოს შენი სახელი.

იოანე ნაპირიდან ქვეყნის სიღრმისკენ გაემართა და ბერთა სავანეს მიადგა. მეკარემ ჩააცვა, დააპურა და სადაურობა გამოჰკითხა მას. იოანე ამ სავანეში დასახლდა და მალე ბერადაც აღიკვეცა.

არკადიც გადარჩა. წყალმა იგი წმიდა მიწის ნაპირზე გამორიყა. აქ მას ერთმა კეთილმა კაცმა ძველი ტანსაცმელი მისცა. მან ჩაიცვა, ახლომდებარე ეკლესიაში შევიდა და თვალცრემლიანი შეუდგა ლოცვას ძმის გადარჩენისათვის. მან დაიძ-

ინა და იხილა თავისი ძმა იოანე, რომელმაც უთხრა: „რატომ დამტირი ასე მწარედ, ღვთის წყალობით ცოცხალი ვარ, ნუნალვლობ“. არკადიმ გამხნევებულმა გაიღვიძა და ღმერთს მადლობა შესწირა.

– როგორ მოვიქცე? – დაფიქრდა იგი. – დავბრუნდე მშობლებთან? ძმის გარეშე რომ მნახავენ, დამწუხრდებიან... სწავლა გავაგრძელო და მერე დავბრუნდე? ძმის გარეშე რომ მნახავენ, აქვითინდებიან... მამაჩემი ყოველთვის ანიჭებდა უპირატესობას მონაზვნურ ცხოვრებას... წავალ მონასტერში და ბერად აღვიკვეცები.

წმიდა მიწის ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულების შემდეგ იგი შეუდგა მონაზვნური ცხოვრებისთვის შესაფერისი ადგილის ძებნას და შეხვდა ერთ შორსმჭვრეტელ ბერს, რომელმაც პირდაპირ უთხრა: „ნუნალვლობ – შენი ძმა, ისევე როგორც გემზე მყოფი ყველა მონა, ცოცხალია, ყოველი მათგანი ბერად აღიკვეცა, შენი ლოცვა შესმენილია. მოვა დრო და შენ ძმას შეხვდები“. სწორედ ამ ბერმა წმიდა ხარიტონის ლავრაში ბერად აღკვეცა იოანე.

მას შემდეგ, რაც ჩაიძირა გემი, რომელსაც სასწავლებლად მიჰყავდა ქსენოფონტესა და მარიამის შვილები, ორი წელი გავიდა. ქსენოფონტემ ბეირუთში გაგზავნა თავისი მონა იოანესა და არკადის მოსანახულებლად და იმის გასარკვევად, თუ როდის დაასრულებდნენ ისინი სწავლას. მამას უკვირდა, რომ ამ ხნის განმავლობაში შვილებისაგან არცერთი წერილი არ მიუღია. რადგან ბეირუთში იოანე და არკადი არ აღმოჩნდნენ, მონა ათენში გაემგზავრა: ფიქრობდა, იქნებ შეიცვალეს გადაწყვეტილება და ელინური განათლების ცენტრში გაემგზა-

ვრნენო. მაგრამ ვერც იქ იპოვა ისინი და ვერც რაიმე შეიტყო მათ შესახებ. უკვე ემზადებოდა ბიზანტიაში დასაბრუნებლად, როდესაც შემთხვევით იერუსალიმში მოსალოცად მიმავალ ბერს შეხვდა, მას მისი სახე ეცნო — ის აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ მონათაგანი, რომლებიც იოანესა და არკადის მგზავრობისას ახლდნენ. მისგან შეიტყო გემის დაღუპვის ამბავი. მონამ უთხრა: „მხოლოდ მე გადავრჩი, მაგრამ ამ უბედური შეტყობინებით შინ დაბრუნებას, მონაზვნური ცხოვრება ვარჩიე და აქ დავრჩი. ახლა უკვე ბერი ვარ და იერუსალიმში მოსალოცად მივემგზავრები“.

წარგზავნილი კონსტანტინოპოლში სამწუხარო ცნობით დაბრუნდა... აი უკვე სახლშია, ნაცნობ ოთახებში, მაგრამ მისი გული დამწუხრებულია, იგი დუმს. მარიამმა მოიხმო იგი და შიშით ჰკითხა:

— როგორ არიან ჩვენი შვილები?

— კარგად, — უპასუხა მან.

— მათი წერილები სადღაა?

— გზაში დაკარგე.

— მართალი მითხარი, — თქვა საცოდავმა დედამ. მაშინ მონა ატირდა: „სამწუხაროდ, ქალბატონო, შენი საყვარელი შვილები დაიღუპნენ, გემი დაიმსხვრა და ისინი დაიხრჩვენ“.

ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა — არც სასოწარკვეთილი ყვირილი, არც ჩივილი, არც ქვითინი... დუმდა შეცბუნებული მონა, დუმდა ქალბატონიც, შემდეგ ჩუმად წარმოთქვა: „კურთხეულია უფალი, ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც მას ენება. კურთხეულ იყოს სახელი მისი უკუნითი უკუნისამდე. უფალმა მომცა, უფალმა წაიყვანა, და ყველა-

ფერს, რასაც აკეთებს, ჩვენდა სასიკეთოდ აკეთებს...“ მონას უბრძანა შვილების დალუპვის შესახებ არავისთვის ეთქვა.

სალამოს, მრავალი მსახურის თანხლებით, მოვიდა ქსენოფონტე და მაგიდასთან მიჯდა, რადგან დღეში მხოლოდ ერთხელ იღებდა საჭმელს. მარიამმა გაუძნია ქმარს თავს დამტყდარი უბედურება.

ყრუ გმინვა აღმოხდა მას მკერდიდან, მაგრამ სძლია თავს და თქვა: „კურთხეულ იყოს სახელი მამისა და ძისა და წმიდისა სულისა უკუნისამდე... ნუ გლოვობ: მჯერა, რომ უფალი არ დაუშვებდა ჩვენი შვილების დალუპვას, იმედი მაქვს, რომ უფალი გვანუგეშებს დამწუხრებულ მშობლებს, ვილოცოთ მთელი ღამე და ნახავ, უფალი გაგვიმხელს ჩვენი შვილების შესახებ“ ... ისინი ჩაიკეტნენ თავიანთ სამლოცველოებში და მთელი ღამე თვალცრემლიანი ლოცულობდნენ. დილას მიწვნენ დასაძინებლად ცალ-ცალკე ოთახებში და თითოეულს ჰქონდა ნიღვა. მათ იხილეს თავიანთი შვილები დიდებით წარდგომილნი იესო ქრისტეს წინაშე. იოანესთვის მომზადებული იყო სამეფო ტახტი, გვირგვინი და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი კვერთხი. არკადის ხელში ჯვარი ეკავა, მის თავზე ვარსკვლავების გვირგვინი ბრწყინავდა. მშობლებმა ერთმანეთს სიზმრები მოუთხრეს და მიხვდნენ, რომ მათი შვილები ცოცხლები არიან და რომ უფალი მფარველობს მათ.

— მარიამ, — თქვა ქსენოფონტემ, — რატომღაც მგონია, ჩვენი შვილები იერუსალიმში არიან. წავიდეთ იქ, მოვილოცოთ წმიდა ადგილები და იქნებ ჩვენ შვილებსაც შევხვდეთ...

და ისინი სამზადისს შეუდგნენ. გასცეს შესაბამისი განკარგულებები, უხვად გაიღეს მოწყალეობა, საჭირო რაოდენობის

ოქრო თან წაიღეს და იერუსალიმისაკენ დაიძრნენ. იქ, წმიდა ადგილების მონახულების შემდეგ, შვილების ძებნას შეუდგნენ. პალესტინაში ისინი შეხვდნენ ერთ-ერთ თავიანთ ყოფილ მონას, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მის გარდა ყველანი დაიხრჩვნენ. იორდანიაში კი შეხვდნენ იმ შორსმჭვრეტელ ბერს, რომელმაც ბერად აღკვეცა მათი ძე — არკადი. როდესაც მასთან კურთხევისთვის მივიდნენ, მან წარმოსთქვა: „რამ მოგიყვანათ იერუსალიმში, თუ არა დაკარგული შვილების ნახვის იმედმა, ნუ დარდობთ, თქვენი ვაჟები ცოცხლები არიან და უფალმა სიზმარში გაგიცხადათ ის დიდება, რომელიც მათ ელოდებათ. როდესაც აქედან წმიდა ქალაქში დაბრუნდებით, ნახავთ თქვენ შვილებს“...

მშობლების დამშვიდების შემდეგ ბერი სასწრაფოდ გამოეთხოვა მათ, წავიდა იერუსალიმში, მივიდა ქრისტეს აღდგომის სახელობის ტაძარში და წმიდა გოლგოთასთან მიწაზე დაჯდა. ამ დროს ახალგაზრდა მონაზონი იოანე — ქსენოფონტეს შვილი შორეული სავანიდან მოვიდა იერუსალიმში სიწმინდეების თაყვანსაცემად. იგი მივიდა ბერთან კურთხევისთვის, ბერმა კი უთხრა, რომ მისი მშობლები მას ეძებდნენ და მალე მოვიდოდნენ აქ და რომ თავად ის ძმას ეძებდა.

— გვერდით მომიჯექი, — უთხრა ბერმა, — და მალე იხილავ შენს ძმას. მართლაც მოვიდა მეორე ახალგაზრდა ბერი, არკადი. მაგრამ რა ძნელი იყო მისი ცნობა: ფიზიკური შრომისაგან სახე ჩამოჭკნობოდა, უზომო მარხვისაგან თვალები მიღეოდა. როგორც კი შეამჩნია ნაცნობი ბერი, არკადი მიიჭრა მასთან და უთხრა: „მამაო, შენ მიატოვე შენი ყანა, უკვე შესამე წელია არ

მოგინახულებია, ბევრი ღვარძლი ამოიზარდა მასზე და დიდი შრომა მოგიწევს მის გასამარგლად“.

– იცოდე, შვილო, – უპასუხა ბერმა, – დროგამოშვებით მე გინახულობ შენ და მწამს, რომ შენს გულში არა ღვარძლი, არამედ მხოლოდ ხორბალი... გვერდით მომიჯექი. არკადი დაჯდა. ასე ისხდნენ ძმები ბერის აქეთ-იქეთ და ვერ ცნობდნენ ერთმანეთს. მაგრამ როდესაც ბერმა ჰკითხა იოანეს მისი წარმომავლობის შესახებ და იოანემ დაასახელა თვისი მამა და ძმა არკადი, ძმები ტირილით გადაეხვივნენ ერთმანეთს. ორი დღის შემდეგ ქსენოფონტე და მარიამი იორდანიიდან დაბრუნდნენ და გოლგოთაზე, უფლის საფლავთან სალოცავად მივიდნენ. აქ შეხვდნენ ისინი იმ შორსმჭვრეტელ ბერს, რომელიც დაჰპირდა შვილებთან შეხვედრას და სთხოვეს პირობა შეესრულებინა. ორივე ახალგაზრდა ბერის გვერდით იდგა, მაგრამ მათ ნაბრძანები ჰქონდათ ჩუმად ყოფილიყვნენ და თავი არ აეწიათ. შვილებმა იცნეს მშობლები და ხარობდნენ, მაგრამ მშობლები ვერ ცნობდნენ მათ, რადგან ძალიან გამოცვლილიყვნენ და თანაც ბერულად იყვნენ შემოსილნი.

– წადით იქ, სადაც დაბინავდით, – უთხრა ქსენოფონტესა და მარიამს ბერმა, – მოგვიმზადეთ ტრაპეზი, მე ჩემს მოწაფეებთან ერთად მოვალ და შემდეგ გაგიმხელთ სად არიან თქვენი შვილები.

და აი, იოანე და არკადი ბერთან ერთად თავიანთ მშობლებს ესტუმრნენ.

– როგორ არიან ჩვენი შვილები? – ეკითხებიან ბერს ქსენოფონტე და მარიამი.

– ნუ ნაღვლობთ თქვენს შვილებზე, ისინი კეთილ ღვაწლში არიან. – პასუხობს ბერი.

– როგორ მომწონს შენი მოწაფეები, – უთხრა ქსენოფონტემ ბერს, – როგორ გავიხარებდი, ჩვენი შვილებიც ასეთები რომ იყვნენ: ჩემი სული ისწრაფვის ამ ახალგაზრდებისაკენ, როგორც კი დავინახე ისინი, რაღაც სიხარული ვიგრძენი.

– შვილო, – მიმართა არკადის მამამ, – მომიყევი სად დაიბადე, ვინ აღვზარდა, აქ როგორ მოხვდი. როგორც კი არკადიმ თხრობა დაიწყო, მშობლებმა იცნეს თავიანთი შვილები და შეხვედრით გამოწვეული პირველი სიხარულის შემდეგ, აღიდეს უფალი, რომელმაც შეახვედრა ისინი. იოანე და არკადი უფლისკენ მიმავალ სწორ გზაზე იდგნენ. ქსენოფონტე და მარიამი მიხვდნენ, რომ მათაც უნდა გაეზიარებინათ შვილების ცხოვრების წესი, მით უფრო, რომ ისინი უკვე დიდი ხანი მონაზვნურად ცხოვრობდნენ. შორსმჭვრეტელმა ბერმა შეასრულა მათი სურვილი – აღკვეცა ისინი და ამის შემდეგ ყველანი დაშორდნენ ერთმანეთს. არკადი მშობლებთან დამშვიდობების შემდეგ ბერთან ერთად უდაბნოში წავიდა. ქსენოფონტემ რწმუნებულის მეშვეობით გაყიდა თავისი სახლ-კარი ბიზანტიაში. მარიამი დედათა სავანეში წავიდა. თითოეული მათგანი ღვთისათვის სათნო გახდა და ღვთისაგან დიდი წყალობა ეღირსათ.

იოანემ და არკადიმ მნათობთა მსგავსად გაიბრწყინეს მეუდაბნოეთა შორის, თავიანთი სიკვდილის დრო იწინასწარმეტყველეს და სული უფალს მიაბარეს.



ახალგაზრდა სასწაულთმოქმედი – ზმიდა მოწამე
ტრიფონი
(სსენება 1 თეპერპალს)

ახალგაზრდა სასწაულთმოქმედი ტრიფონი, რომელმაც თავისი მოწამეობით ღმერთი აღიდა, წარმოშობით ფრიგიიდან იყო. ეს იყო მუდამ ფიქრებში ჩაძირული მადლიანი ყმაწვილი. მისთვის უცხო იყო ჩვეულებრივი ბავშვური ცელქობა, არ ჭირვეულობდა მისი თანატოლების მსგავსად, არ იყო ძუნწი, არავის ჩაგრაავდა, ზოგჯერ ქარით დაზვავებული ღრუბლების გროვას ისეთი დაჟინებით უცქერდა, თითქოს იქ, მაღალ შორეთში სურდა შეღწევა. როდესაც ცაზე ურიცხვი ვარსკვლავი აინთებოდა, ტრიფონი საათობით აკვირდებოდა მათ, თითქოს ისინი ციმციმით უთხრობდნენ მას საოცარ საღმრთო საიდუმლოებებს.

თუკი რომელიმე ბავშვი თამაშისას ხელს ან ფეხს დაიშავებდა, ტრიფონი მასთან მიიღებდა, რათა როგორმე დახმარებოდა, მიუტანდა ცივ წყალს სველი საფენის გასაკეთებლად... ხშირად სახლში ზედა სამოსის გარეშე ბრუნდებოდა, რადგან გზად შემხვედრ ღარიბ ბავშვებს აძლევდა. მშობლები ამისათვის არ ტუქსავდნენ, მათ ესმოდათ, რომ იგი განსაკუთრებული ბავშვი იყო...

როდესაც მაღალი, ტანადი ტრიფონი ქუჩაში მიდიოდა, იგი თითქოს შიგნიდან ასხივებდა შუქს. ყურადღებიანი ადამიანები აკვირდებოდნენ მას და გრძნობდნენ, რომ გაიარა განსაკუთრებული სულიერი სილამაზით შემკობილმა ადამიანმა.

ახალგაზრდობაში ტრიფონს ჰქონდა დიდი საიდუმლო, ეს იყო მისი ახლო სულიერი კავშირი ღმერთთან. ვარსკვლავებ-

ის ციმციმით, მზის სხივებით, ნაკადულთა რაკრაკით, ჩიტების ჭიკჭიკით, დამწიფებული ყანის ნაზი ტალღებით, გაზაფხულის ბედნიერი სვლით — ყველაფრით, რაც მის გარშემო იყო, უფალი ესაუბრებოდა ყმაწვილს, რომელიც მას ეძებდა... უყვარდა რა უფლის ქმნილებები, ტრიფონი მზად იყო ეცოცხლა მათ შორის იმდენ ხანს, რამდენსაც უფალი უბრძანებდა, მაგრამ ამავე დროს მას ენატრებოდა ზეცა, როგორც მშობლებს მოცილებული პატარა ბავშვი ნაღვლობს მათზე, რაც არ უნდა კარგად გრძნობდეს თავს სტუმრად. ახალგაზრდა ტრიფონი ისე ისწრაფოდა ქრისტესკენ, რომ საღმრთო მადლი დამკვიდრდა მასში და მას მიეცა სასწაულთმოქმედების ნიჭი. მას შეეძლო სწეულთა განკურნება, ეშმაკთა განდევნა. აი მის მიერ აღსრულებული ერთ-ერთი სასწაული.

რომის სამეფოს მართავდა იმპერატორი გორდინე. თუმცა კერპთაყვანისმცემელი იყო, ქრისტიანებს არ დევნიდა. მას ჰყავდა სილამაზითა და სიბრძნით განთქმული ქალიშვილი გორდინა. ბევრი ძლევაძოსილი ადამიანი ნატრობდა მასზე დაექორწინებინა თავისი ვაჟი, მისი სილამაზის, სიბრძნისა და სიმდიდრის გამო. უფლის დაშვებით, ამ ქალში ბოროტი სული ჩასახლდა, რომელიც გამუდმებით ტანჯავდა მას, ხან ცეცხლში აგდებდა, და ხან წყალში. საუკეთესო ექიმებმა ვერ შეძლეს მისი განკურნება. ბოლოს ავადმყოფში ჩაბუდებული ეშმაკის ხმა გაისმა: „ვერავენ გამდევნის ახალგაზრდა ტრიფონის გარდა“. მაშინ მეფემ ახალგაზრდა ტრიფონის საძებნელად შიკრიკები დაგზავნა. ბევრი ტრიფონი იპოვეს, ყველა მეფეს მიჰკვარეს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შესძლო მისი ასულის განკურნება.

ბოლოს როგორც იქნა, ტრიფონი ფრიგიაში იპოვეს.

ზურმუხტისფერი ბალახით დაფარული მდელო მზეზე ბრწყინავდა. თეთრი ბატები ნელა მიდიოდნენ მდელოზე და თავიანთი ყვითელი ნისკარტებით მიწაში იქექებოდნენ.

მათი მწყემსი ტრიფონი, ფიქრებში წასული აქეთ-იქით იყურებოდა. მისთვის კარგად ნაცნობი იყო ეს გარემო, წყაროსკენ დამრეცად დაშვებული მდელო, მასზე მიმოფანტული რამოდენიმე ხე, მისი მშობლიური სოფლის შენობები, რომლებიც ფერდობის ზემოთ მოჩანდა, უღრუბლო ცა – ტრიფონი კიდევ ერთხელ ტკებოდა ამ სილამაზით და მის გულში ის განწყობილება იქმნებოდა, რომელიც ასე კარგადაა გამოხატული ერთი ლოცვის სიტყვებში: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი, და ვერვინ შემძლებელ არს მაღლის მიცემად საკვირველებათა შენთა“.

ის სიტყვებით არ ლოცულობდა, ლოცულობდა მისი სული, იგი მთელი თავისი არსებით უფლის ტახტისკენ მიისწარფვოდა, იქით, საიდანაც შემოქმედი სიტყვა გაისმა, რომელმაც სიცოცხლისაკენ მოუწოდა მთელ ამ სილამაზეს, რომელიც მის გარშემო ბრწყინავდა...

ის ისე იყო ჩაფიქრებული, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ მირბოდნენ მისკენ მისი თანასოფლელი ბიჭები. მხოლოდ ხმამაღლა ძახილმა გამოარკვია ტრიფონი ფიქრებიდან.

– ტრიფონ, ჩქარა სახლში წადი, გეძებენ, რომიდან მოვიდნენ შენს წასაყვანად...

ტრიფონი შეკრთა. ამასობაში ბავშვებმა მასთან მიიღბინეს, წრე შემოარტყეს, ისინი აღელვებულები ჩანდნენ, მათ ძალიან

ანტერესებდათ ეს უჩვეულო ახალი ამბავი ტრიფონის ცხოვრებაში.

— ჰო, ჰო, რომიდან მოვიდნენ შენს წასაყვანად, — ყვიროდნენ ისინი. ტრიფონი გაჰყვა მათ, თან ნაღვლიანი მზერა მოავლო ნაცნობ მდელოს, თითქოს სამუდამოდ ეშვიდობებოდა აქაურობას. მისი უდარდელი ბავშვობა მთავრდებოდა და იწყებოდა გმირობისა და მოწამეობის პერიოდი.

ტრიფონი 16 წლისა იყო, როდესაც იგი რომში მიიყვანეს. ბოროტმა ძალამ, რომელიც მეფის ასულს ტანჯავდა, იგრძნო ტრიფონის მოახლოება და უბედურის ტანჯვა კიდევ უფრო სასტიკი გახდა.

— აღარ შემძლია აქ გაჩერება, — ყვიროდა ბოროტი სული, — ტრიფონი მოახლოვდება, სამ დღეში აქ იქნება... არ შემძლია მეტის ატანა. ასე ყვიროდა ბოროტი სული. ტრიფონი მართლაც მესამე დღეს მოვიდა, მეფემ იგი თბილად მიიღო. იგი მიხვდა, რომ სწორედ ეს ყმაწვილი იყო სასურველი ტრიფონი. მეფემ მას სთხოვა ხილულად ეჩვენებინა მისთვის ეშმაკი. ექვსი დღე ტრიფონმა ლოცვასა და მარხვაში გაატარა და ბოროტ სულებზე კიდევ უფრო მეტი ძალაუფლება მიეცა. მეშვიდე დღეს, გამთენიისას მან მოიხმო მეფე ამალითურთ და სულიწმიდის მადლით აღვსილმა დემონს უბრძანა: „ჩემი უფლის, იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ, ხილულად ეჩვენე აქ მყოფთ, გამოაჩინე შენი საძაგელი სახე და გვაჩვენე შენი უძლურება“. და აი, გამოჩნდა ეშმაკი, ცეცხლოვან თვალებიანი შავი ძაღლის სახით, რომელიც თავს მიწაზე მიათრევდა.

— აქ ვინ გამოგზავნა, — ჰკითხა მას წმინდანმა, — როგორ გაბედე შენ, უძლურმა და საძაგელმა ღვთის ხატად შექმნილ არსებაში შესვლა?

– მამაჩემის გამოგზავნილი ვარ, – უპასუხა ეშმაკმა, – მან მიბრძანა ამ ახალგაზრდა ქალის ტანჯვა.

– ვინ მოგცათ უფლის ქმნილებების ხელყოფის უფლება?

– ჩვენ არ გვაქვს ძალაუფლება იმათზე, ვინც აღიარებს ღმერთს და სწამს მისი მხოლოდშობილი ძე, იესო ქრისტე, რომლისთვისაც რომში მოციქულმა პეტრემ და პავლემ თავი გაწირეს. ასეთ ადამიანებს ჩვენ შიშით ვერ ვეკარებით, თუ დაშვებული არ არის მსუბუქი ცთუნებით მათი გამოცდა. ხოლო ვისაც არ სწამს ღმერთის და ჩვენთვის სასურველ საქმეებს აკეთებს, მათზე გვეძლევა ძალაუფლება.

მეფე შეძრწუნებული უყურებდა ამ საშინელ სანახაობას და შიშით ისმენდა უწმინდური სულის აღიარებას. წმიდა ტრიფონმა უბრძანა სულს, ჯოჯოხეთში ჩასულიყო და ისიც გაქრა.

მეფემ უხვად დაასაჩუქრა წმინდანი და მშვიდობით გაისტუმრა თავის ქვეყანაში. წმიდა ყმაწვილმა მეფისაგან მიღებული საჩუქრები გზად შემხვედრ ღარიბებს დაურიგა, სახლში დაბრუნდა და ჩვეულ საქმიანობას – მოწყალების გაღებას, სნეულთა კურნებას და ღვთის სათნო ცხოვრებას შეუდგა.

გორდიანეს მეფობას ფილიპეს მეფობა მოჰყვა, მაგრამ მისი მეფობაც ხანმოკლე გამოდგა, იგი საკუთარმა მეომრებმა მოკლეს. შემდეგ გამეფდა დეკიუსი, რომელმაც ქრისტიანების სასტიკი ღევნა გააჩაღა.

წმიდა ტრიფონის ტანჯვა-წამება ქალაქ ნიკეაში დაიწყო.


ბევრი სხვადასხვა წამების შემდეგ, მმართველ აკელიანეს ბრძანებით წმიდა ტრიფონი ცხენს გამოაბეს და ათრიეს. საშინელ სიცივეში მას ფეხის თითები მოეყინა და მოძვრა. იგი კი უფლისაკენ იმზირებოდა, მისი სიყვარულით თბებოდა და თითქოს ვერც გრძნობდა ამ ტანჯვას. მოწამე ფსალმუნის სი-

ტყვეებით ლოცულობდა: „სლვანი ჩემნი წარმართენ სიტყუათაებრ შენთა, და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უშჯულობაა“. და კიდევ ამას ამბობდა: „უფალო, ნუ მიუთვლი მათ ამას ცოდვად“.

ერთ-ერთი წამებისას მარტვილი ზეციურმა ნათელმა გააბრწყინა და თავზე სხივების მშვენიერი გვირგვინი დაადგა. ამან მისი მტარვალები მეტად დააფრთხო. ბოლოს მას თავის მოკვეთა მიუსაჯეს. სასიკვდილო განაჩენის აღსრულების წინ იგი აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა და უფალს შეჰლაღადა: „უფალო, ღმერთო ჩემო, მეუფეო ყოველთაო, გმადლობ შენ, რომ ღირსმყავ მე, ბოლომდე აღმესრულებინა ეს ღვაწლი... გვედრები, ნუ შემეხება უხილავ მტერთა მზაკვარი ხელი, შენი წმიდა ანგელოზების მეოხებით შემეფვანე შენს სანატრელ სასუფეველში... მშვიდობით მიიბარე ჩემი სული, ხოლო მათ, ვინც ჩემს სახელს საშველად მოუხმობს, გადმოხედე შენი წმიდა სამყოფელიდან, მიეცი მათ უხვი და უხრწნელი წყალობა, რადგან შენ მხოლო ხარ კურთხეული, შენ მხოლო ხარ მოწყალების უხვი გამცემი უკუნითი უკუნისამდე“... ლოცვის დროს, სანამ ჯალათი მახვილს დაჰკრავდა, უფალმა მიიღო მისი წმიდა სული, ხოლო პატიოსანი სხეული მისი მიწაზე დარჩა. ნიკეის ქრისტიანებმა მისი სხეული ტილოში შეახვიეს, ნელსაცხებლები სცხეს და სურდათ ნიკეაშივე დაეკრძალათ, მაგრამ წმინდანი გამოეცხადა მათ და ითხოვა ფრიგიაში, თავისი მშობლიური ქალაქის, კამპასადას მიწისთვის მიებარებინათ.

ამგვარად ბავშვობიდან ღვთივ კურთხეულმა წმიდა მოწამე ტრიფონმა ბევრი ადამიანი მიიყვანა ქრისტესთან, უამრავი ადამიანი სხვადასხვა სენისაგან განკურნა და ქრისტესთვის მრავალი ტანჯვის დათმენის შემდეგ წმიდა სამებისაგან უხრწნელი გვირგვინი მიიღო.

ბავშვობიდანვე თავი მისცე ქრისტეს და ბავშვობის წლებშივე გახდე სასწაულთმოქმედი, უშიშრად აღიარო ქრისტე მმართველების და ხალხის წინაშე, დაითმინო სასტიკი ტანჯვა, სიცოცხლეში იყო ყველას მიმართ მოწყალე, სიკვდილისწინა ლოცვაში იფიქრო მომავალ თაობებზე და მოწამებრივი სიკვდილის წუთებში, როდესაც მარტვილის ლოცვა ესოდენ სათნოა უფლისათვის, ითხოვო მათი თხოვნის შესმენა, ვინც მომავალ საუკუნეებში საშველად მოგიხმობს, და შემდეგ ადამიანებისთვის დარჩე ცოცხალი შესრულებულ დაპირებათა ამ შარავანდედში, სასწაულების ამ განუწყვეტელ ჯაჭვში! რა ბედნიერებაა, რა საოცარი ხვედრია!



წამება წმიდა ქალწულმოწამე ფავსტასი და მის
მეორე ქრისტიანულ რჯულზე მოქცეულ
მოწამეთა – მვილასისა და მამსნიმისი
(სხენება 6 თებერვალს)

ქალაქ კვიზიკში ცოდვილი იმპერატორის, მაქსიმილიანეს დროს ცხოვრობდა ახალგაზრდა ქალწული ფავსტა. მშობლებმა იგი ქრისტიანული დოგმებით აღზარდეს. ცამეტი წლის ასაკში ფავსტას მშობლები გარდაეცვალა და იგი განმარტოებულ წმიდა ცხოვრებას შეუდგა. ფავსტა მთელ დროს მარხვაში, ლოცვასა და წმიდა წიგნების კითხვაში ატარებდა, თავს უბიწოდ ინახავდა, სძულდა ყველა ამქვეყნიური საცდური: სიმდიდრე, სიამოვნებანი, ხორცის მამებლობა და მიჰყვებოდა მოღვაწებრივი ცხოვრების მძიმე გზას. მის გარშემო მყოფნი ხედავდნენ და აღილებდნენ ფავსტას სათნოებებს. ამას წარმართებიც ხედავდნენ და საღმრთო წერილის სიტყვისამებრ: „ვერ ხელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“, – ხმამ ფავსტას შესახებ თვით მაქსიმილიანემდეც მიადწია. მის მოსანახად მეფემ კვიზიკში თავისი პირველი ქურუმი ევილასი გაგზავნა და დააბარა, ფავსტა საჩუქრებით აეკსო, თუკი იგი მათ ღმერთებს მსხვერპლს შესწირავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მორევში ჩაეგდო.

და აი ევილასი უკვე კვიზიკშია. მან იხილა ასაკით სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ რწმენით და გონებით ასაკოვანი ქალი! ქურუმი აიძულებდა მას მსხვერპლი შეეწირა წარმართთა ღმერთებისათვის.

– არ შევწირავ მსხვერპლს ყრუ და ბრმა ღმერთებს, რომლებიც ადამიანის ხელით არიან შექმნილნი, – პასუხობდა

წმინდანი. ჩემი მამა ქრისტეა ზეცაში, მე მას ვერ შეველევი, ვერ ვიტყვი უარს იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც მელიოდება ჩემს უფალთან.

– შესწირე, ფავსტა, ღმერთებს მსხვერპლი, – იჟინებდა ქურუმი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი სიკვდილით მოკვდები.

– უგუნური ნუ გგონივარ, პასუხობდა ფავსტა, – მართალია ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ჩემმა გულმა ბევრი გადაიტანა და ცნობს ღმერთს.

მარტვილის სიმტკიცემ ევილასის წარმოუდგენელი მრისხანება გამოიწვია. ფავსტას შეურაცხყოფისათვის მან ბრძანა მოეკვეცათ მისთვის თმები, ჩამოეკიდათ ხეხე და მაგრად ეცემათ.

მოწამე ფავსტას ცხოვრებაში დადგა ის წუთები, რომელთაც ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი შიშით, მოუთმენლობით და ერთგვარი მოწოდებით ელოდება – იგი უნდა წამებულიყო ქრისტესთვის!

რამდენჯერ უოცნებია მას ამ წუთებზე!.. ჯერ კიდევ ბავშვობაში ოცნებობდა ამაზე, როდესაც მის ოჯახში მარტვილთა წამებაზე ჩამოვარდებოდა საუბარი... ოცნებობდა მაშინაც, როდესაც თავისი მშობლების კუბოსთან იდგა და გრძნობდა, რომ ჩაიარა იმან, რასაც ყველაზე მეტად შეეძლო მისი შეშინება – მშობლებთან განშორების სიმძიმემ, მშობლების მარადისობაში გადასვლამ კიდევ უფრო გააღვივა მასში სწრაფი დასასრულის სურვილი...

და აი, ეს წუთიც დადგა. წამება მის სხეულს შეეხო, იხსნება ზეციური სასახლე, ზღრუბლზე მისკენ ხელგაწვდილი ღვას

უფალი და ეუბნება: „მოითმინე, ფავსტა, მე გელოდები, მოითმინე და ჩემთან დაემკვიდრები...“

სასტიკ წამებაში, თითქოს გაორებული, ერთის მხრივ ტკივილით დატანჯული და მეორეს მხრივ გამოუთქმელი ბედნიერებით აღვსილი ფავსტა ლოცულობდა... და უცებ ცისფერ უღრუბლო ცაზე გაიელვა. ამ ელვამ ბევრი სასიკვდილოდ განგმირა.

მოედანი შფოთვამ მოიცვა, და როდესაც ევილასი გონს მოვიდა. შესძახა: — მითხარი, ფავსტა, ვინ ხარ შენ? ვხედავ, რომ შენ ჯადოსნურ საქმეებს ახდენ.

— მე აგისხნი, რატომ ვარ ასე გულგრილი წამებისადმი, — პასუხობდა ქალწული, — მაგრამ ამისათვის ჯერ შენს მხატვარს უბრძანე დახატოს ჩემი გამოსახულება, ყველა იმ ტანჯვა-წამებით, რასაც შენ მაყენებ.

დიდი ქურუმის ბრძანებით მხატვარმა სახელდახელოდ შეასრულა ნახატი.

— ახლა კი მისმინე, — თქვა ქალწულმა, — როგორც ჩემს გამოსახულებას ნახატზე არ შეუძლია სტკიოდეს და განიცდიდეს, ასევე ჩემი სხეული ვერ გრძნობს იმ ტანჯვას, რომელსაც შენ მაყენებ, რადგან სული ჩემი ჩემს უფალშია განმტკიცებული. ასეთია ჩემი პასუხი, ახლა მოიქეცი როგორც გსურს!

მტარვალმა ბრძანა, ფავსტა ვიწრო ხის ყუთში ჩაეჭვდათ და გაეხერხათ ყუთი ფავსტასთან ერთად.

საშინელი მოსასმენი იყო ხერხის ჭრიალი მშრალ ხეზე. მარტვილის არაადამიანური კივილის მოლოდინში ხალხი გაინაბა, მაგრამ ყუთიდან არაფერი ისმოდა, ფავსტა მშვიდად იყო.

მტარვალები სულ უფრო და უფრო მეტი ძალით აწვებოდნენ ხერხის ორივე ბოლოს, მაგრამ უშედეგოდ: მოხდა სასწაული — ფავსტას სხეული უცებ გაქვავდა. რამდენიმე საათის განმავლობაში ჯალათები უშედეგოდ შრომობდნენ და ბოლოს დაღლილობისაგან მიწაზე დაცვივნენ. ზოგიერთი ევილასთან გაიქცა და შესჩივლა: „ამ ქალწულს, რომელიც შენ საწამებლად გადმოგვეცი, ყუთში ჩაჭედებულს, პირველი საათიდან მეექვსე საათამდე ვხერხავდით და ვერაფერს გავხდით, ექვსი ხერხი დავაბლაგვეთ, მას კი ვერაფერი ვაენეთ, შემდეგ კი კიღობანი ცეცხლში ჩავაგდეთ, რათა ქალთან ერთად დაგვეწვა, მაგრამ ცეცხლი არ შეეხო მას, კიღობანიც კი არ დაიწვა“. ახალგაზრდა მარტვილი უვნებლად იდგა ცეცხლში და ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებით გალობა: „უკეთუ განხვიდე შორის ცეცხლისა, არა დაიწუე, აღმან არ შეგწუას შენ“ (ეს. 43,2).

განცვიფრებულმა ევილასმა ბრძანა, მოეყვანათ ქალწული და უთხრა მას: — შენს მიერ ჩადენილი სასწაული მაოცებს, ოთხმოცი წლის კაცი ვარ და ასეთი რამ ჯერ არ მინახავს... შენი ღმერთის სახელით გევედრები, გამიმხილე ჭეშმარიტება“.

ალბათ წინასწარჭვრეტის იმ საოცარი ნიჭით, რომელიც გადმოდის ღვთის ნათლით გაბრწყინებულ სულზე, წმიდა ქალწული მიხვდა, რომ ჭეშმარიტებას უნდა გაენათებინა წლების მანძილზე ცდომილებაში მყოფი გული. წმინდანმა საშველად ღმერთს უხმო და დაიწყო:

— ყურადღებით მისმინე, მე გაგიმხელ ჩემს საიდუმლოს... როგორც თავად ნახე, წამებისას ღვთის ძალა მიცავდა. თუ ჩემს

სიტყვებს კარგად მოუსმენ, მალე შენც ჩემი სარწმუნოების მეგობარი გახდები.

– ჩქარა მიამბე ყველაფერი, – მოუთმენლად პასუხობდა ქურუმი, – ყურადღებით მოვისმენ.

მარტვილმა დაიწყო საუბარი:

– „ღმერთი უკვდავი და მარადიულია, ჭეშმარიტია ყველა მისი საქმე, სამართლიანია მისი სამსჯავრო. ღმერთი იცავს და უფროსილდება თავის მონებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, უფალი აძლიერებს იმ ადამიანებს, რომლებმაც შეარცხვინეს ეშმაკი, უარყვეს კერპები, რომლებსაც თქვენ ღმერთებად მიიჩნევთ, და ამქვეყნიურ ბოროტ საქმეებზე გაიმარჯვეს. ჩვენ მოვიძულეთ ყოველივე მიწიერი, შევიყვარეთ ზეციური და უბიწოებაში ვცხოვრობთ. მტკიცედ ვიცავთ უფლის მცნებებს და მაღალი ღმერთი გვიფარავს ყოველგვარი ბოროტებისაგან. ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელიც ზეციდან ჩამოვიდა და ყოვლადწმიდა ქალწულისაგან იშვა... მოკლედ გეტყვი: ქრისტემ მრავალი სასწაული მოახდინა და ბევრი რამ გვასწავლა. თავად ჯვარს ეცვა, ივნო ხორციით, რათა გადავერჩინეთ, დაიმარხა, მესამე დღეს აღდგა და დიდებით მოსილი ავიდა ზეცად. კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხავად და თითოეულს დამსახურებისამებრ მიაგებს. ჩვენც, მისი მიბაძვით, მზად ვართ ზეციური დიდებისათვის ტანჯვა-წამება მივიღოთ, რათა საუკუნოდ არ დავიღუპოთ: აქ მოვკვდებით, იქ კი ვიცოცხლებთ უკუნისამდე“.

მოხუცი ქურუმი დაიპყრო არა უბრალო სიტყვებმა, რომელთაც არ ძალუძთ ადამიანის გულში აგიზგიზებული რწმენის გადმოცემა, არამედ წმიდა ქალწულის საოცარმა გა-

მომეტყველებამ და მისი ხმის ჟღერადობის შთამაგონებელმა ძალამ.

რალაც ხდებოდა, რალაც იფურჩქნებოდა ქურუმის გულში. რალაც უკეთესი, უზარმაზარი იშლებოდა მის წინ. იგი ყურს უგდებდა თავისი გამოცდილი, ბებერი გულის გრძნობებს და ხვდებოდა, რომ იცვლებოდა. მან ანიშნა ჯალათებს, გაეთავისუფლებინათ მარტვილი. მაშინ მისი ერთ-ერთი მონა დასაბეზღებლად მაქსიმელიანესთან გაიქცა:

„დიდო მეუფევ, ევილასი აბუჩად იგდებს შენს წყალობას, მას სურს ქრისტიანი გახდეს. საჩქაროდ იხსენი იგი ქრისტიანობის ხიბლისგან“.

მეფე ჩაფიქრდა, მან უკვე იცოდა, რა გადამდები იყო ეს ქრისტიანობა, რომელიც იზიდავდა მისთვის ყველაზე ახლობელსა და საჭირო ადამიანებს, რომლებიც თითქოს შეუვალნი უნდა ყოფილიყვნენ ქრისტიანობისათვის.

„ევილასი... ევილასი, უმაღლესი ქურუმი, — ჩურჩულებდა მეფე. მან გადაწყვიტა მტკიცედ ემოქმედა, მოიხმო ეპარქი მაქსიმე, სასტიკი და უღმობელი ადამიანი და ღმერთების სახელით გაგზავნა იგი ევილასთან კვიზიკში.“

განრისხებული მაქსიმე კვიზიკში ჩასვლისთანავე ევილასის დაკითხვას შეუდგა:

— როგორ გაბედე დიდი ღმერთების მიტოვება, მათი შეურაცხყოფა და უგუნურ ქრისტიანთა სექტაში გადასვლა?

— თუკი მოუსმენ ქალწულ ფავსტას, შენც იწამებ ჭეშმარიტ ღმერთს და ნეტარი გახდები, — უპასუხა ევილასმა.

მაქსიმემ ევილასის წამება ბრძანა, იგი ფავსტას მსგავსად ხეზე ჩამოკიდეს და ცემა დაუწყეს.

– ყოვლისშემძლე მეუფეო, – ლოცულობდა ევილასი, „შენ დაეხმარე ფავსტას წამებისას, რომელმაც დამანახა შენი სასწაულები, მიხსენ მეც ამ სასტიკი და უღმობელი ეპარქისაგან, რადგან მე შეგიყვარე შენ უფალო“.

შემდეგ ეპარქმა ბრძანა, ანთებული სანთლებით დაეწვათ წამებულის გვერდები. ამ ტანჯვისას ევილასი ევედრებოდა წმიდა ფავსტას ელოცა მისთვის. წმიდა ქალწული მის გვერდით იდგა და თვალყურს ადევნებდა მის ვნებას.

– უფალო, ღმერთო ჩემო, – დაიწყო ლოცვა ფავსტამ, – გარდმოგვივლინე შენი მადლი და შეისმინე ლოცვა შენი მსხვერპლისა: მიიღე ევილასი შენს სამწყსოში, ჩარიცხე იგი შენს წმინდანთა რიცხვში.

ამ დროს მაქსიმემ ბრძანა ფავსტას სამსჯავროზე გამოყვანა, რადგან სწორედ მან გადაიბირა ევილასი.

ვიმედოვნებ, რომ ევილასის მსგავსად, უფალი შენც მოგიხმობს და თავს გამოგიცხადებს. – ამბობდა ფავსტა.

– განა უგუნური ვარ, რომ ამ გამოჩერჩეტებული ბებერივით შენს ზღაპრებს დაუჯერო, – იღრიალა განრისხებულმა ეპარქმა.

დაიწყო ახალი წამება. წმიდა ქალწულს ფეხებში რკინის ლურსმნებს აჭედებდნენ, მაგრამ იგი ტკივილს ვერ გრძნობდა. მაშინ მაქსიმემ მოიხმო მეომართა რაზმი და უფრო სასტიკი წამების გამოგონება უბრძანა. ერთ-ერთი მეომრის რჩევით, ფავსტა ნადირებს მიუგდეს შესაჭმელად, მიიყვანეს სამხეცე-ში და ძუ ლომი მიუსიეს, მაგრამ ლომიც და სხვა მხეცეებიც, რომლებიც ფავსტას მიუსიეს, მის ფეხებთან მიწვნენ და ლაქუცი დაუწყეს.

შემდეგ ახალი წამება მოიგონეს, გააშიშვლეს, ფეხები შეუკრეს და მიწაზე თრევა დაუწყეს. ფავსტა კი უფალს ევედრებოდა: „უფალო, იესო ქრისტე, შემოსე შენი ქმნილება, რათა მის სიშიშვლეს არ ხედავდეს ბიწიერი თვალები“.

ნათელი ღრუბელი დაეშვა ზეციდან და საქორწინო სამოსით შემოსა ქალწული.

მოვიდა ერთი სასტიკი მეომარი – ევსევი. მან მაქსიმესგან წამების უფლება ითხოვა. და მაშინ დაიწყო ისეთი წამება, რომლის აღწერა ნებისმიერ ადამიანს შეადრწუნებს.

„ღმერთო ჩემო, – ლოცულობდა ფავსტა, – ამ ჩემი წამებით გავედრებ ეპარქ მაქსიმეს: მოაქციე მისი გული, აუხილე თვალები, ჩარიცხე იგი შენს აღმსარებელთა რიგებში“.

ჯალათმა – ევსევიმ, როცა დაინახა, რომ განგმირული და სისხლისგან დაცლილი ფავსტა თითქოს ვერც გრძნობდა ტანჯვას, ბრძანა ფისითა და გოგირდით სავსე დიდი ქვაბი მოეტანათ, აედულებინათ და შიგ ჩაეყარათ ფავსტა და ევილასი. ამ ქვაბში მოწამეები ისე იდგნენ, როგორც გრილ ადგილას, გალობდნენ და აღიდებდნენ უფალს. მოულოდნელად ცეცხლი ჩაქრა და აღმოჩნდა, რომ ქვაბი სრულიად ცივი იყო. სასწაული, რომელსაც მოწამე ფავსტა ითხოვდა, მოხდა: ეპარქმა მაქსიმემ იწამა ქრისტე.

„უკვდავო ღმერთო, – გაისმა მისი შეძახილი ზეცის მიმართ, რომელსაც იგი ამდენ ხანს ემტერებოდა, – მაქციე შენი მხევლის, ფავსტას ვნებათა თანაზიარად, მიმიღე მე წყეული ამ ორთან ერთად... უფალო გარდამომივლინე შენი მაღლი შენს უღირს მონას, რათა ჩემი მოწამეობით ვადილო შენი სახელი“.

უეცრად გაიხსნა ცა და ეპარქმა იხილა იესო ქრისტე ნათელ-
მოსილ ანგელოზებთან, მთავარანგელოზებთან და სხვა წმინდ-
ანებთან ერთად...

ამ საოცარი ჩვენებით განმტკიცებულმა მაქსიმემ ხმამაღლა
ლაღადყო: „უფალო, მიმიღე მეც, როგორც მონა შენი ევილასი
და ნუ მოიხსენებ უსჯულოებათა და ცოდვათა ჩემთა!“ მიიღბი-
ნა ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბთან, სადაც წმიდა ევილასი და
წმიდა ფავსტა იყვნენ, გადაისახა პირჯვარი და სიტყვებით:
„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა მეც
თქვენთან მოვდივარ!“ ჩავიდა ქვაბში. ახალი მოწამის ხილვი-
სას წმიდა ფავსტამ ადიდა ღმერთი.

ამ ლოცვისას ზეციდან ხმა გაისმა: „მოვედით ჩემდა
ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო
თქვენ“.

წმინდანებმა გაიგონეს ეს ხმა და გამოუთქმელი სიხარულით
აღესილებმა უფალს მიაბარეს სული...

ასე ეწამა უფლისათვის წმიდა ქალწული ფავსტა და თავისი
ღვაწლით ქრისტეს რჯულზე მოაქცია დიდი ქურუმი ევილასი
და ეპარქი მაქსიმე.



მოციქულთასწორი კირილე, სლაგური ქვეყნების
განმანათლებელი
(ხსენება 14 თებერვალს)

კარგია მაღალი, მხიარული, ხმაურიანი, ხალხმრავალი თესალონიკი, ახლანდელი სალონიკი — ბალკანეთის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო ქალაქი. აქ გაიარა მშობლების სიყვარულით გარემოცულმა სლავების განმანათლებლების — კირილეს, ერში კონსტანტინეს, და მეტოდეს ბავშვობამ.

კონსტანტინემ სწავლა შეიძლია წლის ასაკში დაიწყო. ამ პერიოდში მან საოცარი სიზმარი ნახა. მას გამოეცხადა მხედართმთავარი, რომელმაც თავი მოუყარა ქალაქის საუკეთესო საპატარძლოებს და უთხრა ყმაწვილს: „ამოირჩიე ერთ-ერთი დამხმარედ და მეგზურად“. პირველი მათ შორის იყო ენით აუწერელი სილამაზის. იგი მშვიდად იდგა, ნათელი და სასიამოვნო იყო მისი მზერა, რომელიც პირდაპირ სულში აღწევდა. მისი ფასდაუდებელი სამკაულები კარგავდნენ თავიანთ ელვარებას მისი სახის ბრწყინვალეების გვერდით. კირილე მივიდა მასთან და გაიგონა: „სოფია“.

სოფია ნიშნავს სიბრძნეს.

როდესაც კონსტანტინე წერა-კითხვის სწავლას შეუდგა, მისი მეხსიერება და ათვისების უნარი თანატოლებთან შედარებით გაცილებით მაღალი აღმოჩნდა. იგი გასაოცარი სისწრაფით ითვისებდა ყველაფერს.

ასევე ადვილად შეისწავლა მან საღმრთო წერილი. ეკლესიის წმიდა მამათა სწავლებებს შორის იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა გრიგოლი ღვთისმეტყველის თხზულებებს. მისი

ბავშვური გული აღფრთოვანებით ძგერდა. ერთხელ ეკლესიის დიდი მასწავლებლის სიტყვებით აღტაცებულმა კედელზე ჯვარი დახაზა და ქვეშ თავისი ბავშვური ლოცვა მიაწერა: „წმინდაო გრიგოლ, ხორციტ შენ აღამიანი იყავი, ცხოვრების წესით კი – ანგელოზი: შენი ბაგეები სერაფიმის მსგავსად აღიდებდა უფალს, შენმა სწავლამ მსოფლიო გაანათლა. რწმენითა და სიყვარულით მოვდივარ შენთან. გევედრები, მიმიღე, გახდი ჩემი მოძღვარი“.

ადრე კონსტანტინე თავს იქცევდა მისი ასაკისა და წოდებისათვის დამახასიათებელი გართობებით.

ერთხელ ნადირობისას, უფლის დაშვებით, მოულოდნელად ამოვარდა გრიგალი და ხელიდან მოსტაცა მას მიძინო. საყვარელი მიძინოს დაკარგვამ ყმაწვილი დააღონა. სევდა იმდენად დიდი იყო, რომ ორი დღის განმავლობაში იგი საკვებს არ მიკარებია. სწორედ ამ დროს მოხდა მასში მხსნელი გარდატეხა: იგი მიხვდა, რა სახიფათო და მავნეა სულისათვის ამქვეყნიური საგნების შეყვარება.

ამის შემდეგ მან უარი თქვა წუთიერ სიამოვნებებზე, რომლებსაც სიხარულის ნაცვლად სევდა მოაქვთ. მასში ერთბაშად გაქრა მიჯაჭვულობა ამქვეყნიურისადმი – მან თავი მისცა სწავლას, თითქმის არ გამოდიოდა სახლიდან, მხოლოდ წმიდა წიგნებს კითხულობდა... სულ უფრო და უფრო მეტ წარმატებებს აღწევდა იგი სწავლაში, ხმამ მისი ნიჭიერების შესახებ კონსტანტინოპოლამდეც მიაღწია. იგი მეფის სასახლეში წაიყვანეს ასაკით თავის ტოლ მეფე მიქაელთან. ყურადღების ნიშნები და მეფის კარზე წარჩინება, რასაც აღამიანები ასე ხარბად ესწრაფვიან, ერთბაშად თავს დაატყდა მეფის ახალგაზრ-

და ამხანაგს. მაგრამ მის სულს სიბრძნის გარდა არაფერი იზიდავდა.

კონსტანტინეს აღმზრდელმა, მისი ბრწყინვალე მომავლის განსამტკიცებლად, გადაწყვიტა თავისი აღსაზრდელისათვის დიდგვაროვანი, მდიდარი მემკვიდრეობის მქონე ქალიშვილი გაერიგებინა.

მაგრამ კონსტანტინეს საერო ცხოვრება არ ხიბლავდა, იგი ფარულად გაიქცა და ბერად აღიკვეცა.


მონაზვნური ღვაწლის რამდენიმე თვის შემდეგ იგი იპოვეს და ძალით დააბრუნეს კონსტანტინოპოლში. იგი მღვდლად აკურთხეს. ამას მოჰყვა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, შორი მოგზაურობები, შემდეგ კვლავ მშვიდი მეუღაბნოე ცხოვრება, ლოცვა, კითხვა. სულს კი რაღაც დიდი საქმე სწყუროდა, რომელსაც მთელი მისი ძალები დასჭირდებოდა.

შორეულ უდაბნოში, სადაც კონსტანტინე თავის ძმასთან, მეთოდესთან ერთად ცხოვრობდა, კონსტანტინოპოლიდან მოვიდა მეფისა და პატრიარქის გამოძახება და დაიწყო ახალი ცხოვრება.

კონსტანტინე მხურვალედ ლოცულობდა უფლისაგან კურთხევისა და წარმატების გამოსათხოვად — სლოვენ ხალხთა შორის სახარების ქადაგებისთვის, სლავური კილო-კავების შესწავლისთვის. მოხდა დიდი სასწაული, რომელმაც განამტკიცა კონსტანტინეს რწმენა მისი ღვაწლის დასაწყისში. რომის პაპის — წმიდა მოწამე კლიმენტის სხეული, რომელიც მრავალი ასწლეულის მანძილზე ზღვის ფსკერზე განისვენებდა, მორწმუნეებს გამოეცხადა. ღამე ზღვის ამ ადგილს ნათელი სვეტი დაადგა და ზედაპირზე წმიდა ნაწილები გამოჩნდა...

და აი დაიწყო ქადაგება, ხალხის ჯგუფები, ცალკეული პირები უსმენენ მას, იცვლებიან მისი სიტყვების ზემოქმედებით, ინათლებიან – საზვიამო, დაუვიწყარი, ძვირფასი სურათები მქადაგებლისთვის. აი ის ენით უთქმელი სასიხარულო დღეც, როდესაც ძმებმა შეადგინეს სლავური ანბანი და ამ ანბანით დაწერეს პირველი წმიდა სიტყვები სლავურ ენაზე:

„პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“.



სმირნელი ეპისკოპოსის, მღვდელმოწამე
პოლიკარპოს ბავშვობა
(ხსენება 23 თებერვალს)

ეს იყო ქრისტიანობის პირველი ოქროს საუკუნე, როდესაც ქვეყნიერების თავზე თითქოს ბრწყინავდა ქრისტეს ხატება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ამ მიწაზე ცხოვრობდა, როდესაც მასზე ჯერ კიდევ დადიოდნენ ის ადამიანები, რომელთაც საკუთარი თვალთ ენახათ ხორცშესხმული ქრისტე და მთელ ქვეყანას უქადაგებდნენ მისი ბაგეებიდან მიღებულ სიტყვებს...

ეს ის დღეები იყო, როდესაც ახლადმოქცეული ქრისტიანები სხვადასხვა ადგილებიდან იერუსალიმისაკენ მიისწრაფოდნენ, რათა თავყანი ეცათ ქრისტიანობის ცოცხალი სასწაულისთვის — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისთვის, შეეგრძნოთ მისგან გადმოფრქვეული მადლი, ყური დაეგდოთ მისი მოკლე, მნიშვნელოვანი სიტყვების ზეციური მუსიკისათვის.

მდიდარი, სახელოვანი ქალაქი სმირნა, სადაც ევროპული და აზიური საქონლის ფართო გაცვლა იყო გაჩაღებული, იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელშიც გაჩნდა დიდი ქრისტიანული თემი. მოციქულმა და მახარებელმა იოანე ღვთისმეტყველმა, ერთ-ერთი თავისი სამახარებლო მოგზაურობისას აქ ეპისკოპოსად ვუკოლი აკურთხა.

სმირნაში ცხოვრობდა ერთი ღვთისმოსავი ქვრივი — კალისტა. მან ქრისტიანობის ქადაგება გულში ღრმად ჩაიბეჭდა და ცდილობდა, ღვთისთვის სათნო საქმე ეკეთებინა. მისი გაქრისტიანების დღეებში სმირნაში დაობლდა ერთი ბიჭი — პოლიკარპე. კალისტას სულს ღვაწლი სწყუროდა, მას ძალიან სურდა ვინმე შეეკედლებინა, მიეცა მისთვის თავშესაფარი,

დაეყვავებინა მისთვის. როდესაც შეიტყო, რომ პატარა უსუსური ბიჭი დაობლდა, დარჩა ნათესავებისა და ლუკმა-პურის გარეშე, მან იგი იშვილა.

კალისტას სახლში პოლიკარპემ ბედნიერი ბავშვობა გაატარა. საიდუმლო წირვები ქრისტიანთა სახლებში ან სადმე გარეუბანში, გამოქვაბულში, შეხვედრები სხვა ქვეყნებიდან მოსულ ქრისტიანებთან; ისინი ყვებოდნენ ღვთისმშობელზე, ქრისტეზე, რომელიც საკუთარი თვალთ ენახათ იუდეის ქალაქებსა და სოფლებში. რა ნათელი და სასიხარულო იყო ყოველივე და რა ბედნიერებით ავსებდა ეს მის სულს!

ერთხელ, როდესაც პოლიკარპე უკვე წამოიზარდა, მისი გამზრდელი რამდენიმე თვით ქალაქიდან გაემგზავრა და მთელი თავისი მეურნეობა ყმაწვილს დაუტოვა მოსავლელად. ნეტარი ყმაწვილი კი რას შვება?

ურიგებს მოწყალებას ღარიბ-ღატაკებს, ობლებსა და ქვრივებს, არავის ეუბნება უარს პურზე, არიგებს ღვინოს, ზეთს, საკუჭნაოებში შენახულ სანოვაგეს, არიგებს ისე უხვად, რომ მდიდარი მარაგი ილევა.

ამ დროისათვის კალისტაც დაბრუნდა. ერთ-ერთი მონა შეეგება მას და უთხრა, რომ სახლში არაფერი დარჩა, რომ პოლიკარპემ ყველაფერი გაანიავა.

აი კალისტა უკვე სახლშია, შერბის საკუჭნაოში, ყველაფერი რიგზეა, გაოცებული კალისტა პოლიკარპეს უხმობს.

ნეტარი ყმაწვილი თავისი აღმზრდელის მოლოდინში დაფიქრდა იმაზე, რა მძიმე იქნებოდა მისთვის იმის გაგება, რომ მთელი მარაგი გამოლეულია. ბავშვური სუფთა რწმენით იგი შეევედრა უფალს:

– უფალო, უფალო, შემეწიე! შენ, შენი წინასწარმეტყველის – ილიას დროს, სარეუთაში ქერივს აუვსე ჭურჭელი. შენი სახელის დიდებისათვის აავეს ეს საცავებიც!

და მაშინ, ყმაწვილის ლოცვით მოხდა სასწაული – კალისტას სახლი აივსო სანოვაგით.

როდესაც კალისტამ დაინახა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მსახურზე გაბრაზდა, რომელმაც მოახსენა პოლიკარპეს დანახარჯების შესახებ და მისი დასჯა გადაწყვიტა. მაგრამ პოლიკარპემ ყველაფერი უამბო. ამ საოცარმა შემთხვევამ კალისტა კიდევ უფრო გულმოწყალე გახადა. მან სიკვდილის წინ თავისი ქონება პოლიკარპეს უანდერძა. ეს ქონება პოლიკარპემ ლატაკებს დაურიგა. ეპისკოპოსმა ვუკოლმა იგი ჯერ დიაკვნად აკურთხა, მერე მღვდლად. სიკვდილის წინ მას სასწაულებრივად ეუწყა, რომ მისი მემკვიდრე პოლიკარპე გახდებოდა.

მრავალი ათეული წლის მანძილზე პოლიკარპე მშვიდობით განაგებდა ქრისტეს სამწყსოს. გაამდიდრა ქრისტიანული სამყარო თავისი სამოძღვრო ეპისტოლეებით. დაახლოებით ასი წლის ასაკში მშობლიურ ქალაქში, პაგუსას მთის ფერდზე იგი ქრისტესთვის ევნო. ეს მოხდა 167 წელს. დღემდე არ მისცემია დავიწყებას მისი ვნების ადგილი. აქედან იწყება მთელი სმირნა, მისი შემოგარენი და თვალწარმტაცი ყურე. ამ ფერდობზე მდგომი განმარტოებული მგზავრი წარმოიდგენს, როგორ ირეოდნენ აქ წმიდა პოლიკარპეს მოწამებრივი აღსასრულის უგულო მოწმეები, რა სიკაშკაშით გაიბრწყინა ქვეყნის დასამოძღვრად მისმა რწმენამ და სიყვარულმა ქრისტესადმი.

ამჟამინდური უარყოფა მდიდარი ყმაფვილის მიერ
(წმიდა არსენ ტვერელი, ხსენება 2 მარტს)

ერთხელ, იმ კურთხეულ დროს, როდესაც ქრისტე მაცხოვარი მიწაზე დააბიჯებდა, მას მიეახლა მდიდარი ყმაფვილი და საუკუნო ცხოვრების დამკვიდრების შესახებ შეეკითხა. ამ სახარებისეულ ყმაფვილს სულიერი სრულყოფილების მისაღწევად მშვენიერი მონაცემები ჰქონდა. იგი ზუსტად ასრულებდა მოსეს სჯულის ყველა მცნებას, იყო უბიწო და მაღალი სულიერი სრულყოფისაკენ მიისწრაფოდა. და აი, იგი იდგა ღმერთკაცის წინაშე, რომელმაც აღამიანებს მისცა მცნება: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“.

შეკითხვაზე, რა გაეკეთებინა საუკუნო ცხოვრების მოსაპოვებლად, ქრისტემ მას მოსეს მცნებები ჩამოუთვალა, და ახალგაზრდა კაცი არ ცრუობდა, როდესაც განუცხადა, რომ ყველა მცნებას ბავშვობიდან იცავდა.

საამოა ახალგაზრდა აღამიანის ხილვა, რომელიც სრულყოფისაკენ მიისწრაფვის. უბიწო ახალგაზრდობას რაღაც სასიამოვნო სურნელი უდის. არ შეიძლება სიხარულის გარეშე შეიგრძნო უმაღლესი სიკეთისაკენ მიმართული ახალგაზრდა სული... ყმაფვილის პასუხის შემდეგ ქრისტემ, როგორც ამის შესახებ ნათქვამია სახარებაში, შეიყვარა იგი. რა ბედნიერებაა, რა დიდებული ხვედრია! მას საშუალება ეძლეოდა გამხდარიყო ქრისტეს ერთ-ერთ მოწაფე. მას უნდა ეცხოვრა ამაღლებულ, დიდებულ გრძნობათა სამყაროში, უნდა გამხდარიყო სრულყოფილების ნიმუში, ქრისტიანობის მხურვალე მქადაგებელი.

და აი, უფალი წარმოთქვამს ჩუმი, გულში ჩამწვდომი ხმით, იმ სიტყვებს, რომლებითაც იგი მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთ მიმართავდა:

„უკუეთუ გნებავს, რაათა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდექ მე“. ქრისტემ ეს იმიტომ უთხრა, რომ ხედავდა მასში იმ სულიერ თვისებებს, რომელიც უბიძგებდა მას ამ ღვაწლისაკენ. ქრისტემ იცოდა, რომ სიმდიდრის ცდუნება ნელ-ნელა მოთოკავდა ამ ახალგაზრდა სუფთა სულის მაღალ მისწრაფებებს, მან იცოდა, რომ მდიდარი ადამიანების ხვედრი — სიამაყე, საყოველთაო პატივისცემა, პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება, დროთა განმავლობაში ძირფესვიანად ცვლის ადამიანის კეთილშობილურ ხასიათს და მან გაუწოდა ყმაწვილს ხელი, სასწაულთმოქმედი ხელი მამის, მასწავლებლის, მეგობრის, რათა აეყვანა იგი თვითაღკვეთის უმაღლეს მწვერვალზე, უდიდეს სრულყოფილებამდე.

„დათმე წუთისოფელი — ეუბნებოდა მას ქრისტე, — რადგან იგი დაგიჩრდილავს ჩემს ხატებას; მოდი, მომეცი ყოველი შენი ფიქრი, აზრი, მისწრაფება, გულის ფეთქვა... მე არ ვარ იქ, სადაც ხმაურობს, ღელავს, ეჭვიანობს, ბილწსიტყვაობს, მზაკვრობს ეს წუთისოფელი. ჩემი ერთგული მოწაფე ვერ იქნება ის, ვისზეც ბატონობს ამქვეყნიური მოწოდება. აირჩიე — ან მე, ან შენი სიმდიდრე, ან მე მემსახურე, ან წუთისოფელს, საშუალო გამოსავალი არ არსებობს... ამ მოწოდების შემდეგ ყმაწვილში დაძაბული სულიერი ბრძოლა მიმდინარეობდა...

ერთის მხრივ ის გრძნობდა, რომ ცხოვრებაში, რომლისკენაც ქრისტე მოუწოდებდა, მას დიდი ბედნიერება ელო-

და, მაგრამ მას არ გააჩნდა ის სიმტკიცე, რომელიც ჰქონდა ქრისტეს მოსწავლეებს. ისინი ქრისტემ თევზაობისას მოიხმო, მათ მხოლოდ ნავეები, ბადეები და ღარიბული ყოფა ჰქონდათ დასათმობი. ამ ყმაწვილს კი მდიდრული, კეთილმოწყობილი სახლი, ყველანაირი პირობები, რომელთაც იგი მიჩვეული იყო, საყოველთაო პატივისცემა, გამორჩეული მდგომარეობა; ყველაფერი, რისკენაც ადამიანები წლების მანძილზე მიისწრაფვიან, მას უდარდელად და უშრომელად ერგო. და აი, ერთის მხრივ მის სულში იღვრებოდა ღვთაებრივი სინათლის სხივები, მეორეს მხრივ წუთისოფელი იზიდავდა თავისი მაცდუნებლობით... და ყმაწვილმა ვერ აჯობა საკუთარ თავს. სახარებაში მოკლედ არის გადმოცემული ყმაწვილის უარი ქრისტეს სიტყვის აღსრულებაზე და მასთან ერთად წასვლაზე: „და ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე ჭაბუკსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად“.

და მაშინ ქრისტემ წარმოთქვა: „ამენ გეტყვი თქვენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა“.

სიმდიდრე ხშირად მძიმე ჯაჭვივით ხელს უშლის ადამიანის სულს ღმერთისკენ სვლაში. სიმდიდრე რაღაცნაირად ანცალკეებს ადამიანს სხვებისაგან, აძლევს მას საშუალებას ზევადან უყუროს მათ. სახარებისეულ მდიდარს ბოროტება არავისთვის არ გაუკეთებია. ის უბრალოდ თავისი სიამოვნებისთვის ცხოვრობდა, მდიდრულ წვეულებებს აწყობდა, მაშინ როდესაც მის სახლთან საბრალო ლაზარე იწვა მშვიერი და მიუსაფარი, და ამისათვის მკაცრად განისაჯა.

ის სიმტკიცე, რომელიც ვერ გამოიჩინა სახარებისეულმა მდიდარმა ყმაწვილმა, გამოიჩინა მრავალმა მომავალმა ქრის-

ტიანმა. ქრისტიანობის ხანის ყველა საუკუნეში არსებობდნენ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებმაც ქრისტესთვის თავისი ნებით დათმეს სიმდიდრე, რადგან არ შეეძლოთ მშვიდ განცხრომაში ცხოვრება ამ მიწაზე, სადაც ქრისტემ დაითმინა შეურაცხყოფა, ვნება, სიკვდილი. მათ არ შეეძლოთ ფუფუნებაში ყოფნა მაშინ, როდესაც მათ ქრისტესმიერ ძმებს ლუკმაპური არ ჰქონდათ. მათ არ შეეძლოთ მოეკაზმათ თავიანთი სასახლეები, როდესაც ქრისტეს ამ მიწაზე არ ჰქონდა ადგილი „სადა თავი მიიდრიკოს“. სწორედ ამ მიუსაფარ ქრისტეს ისინი მთლიანად აძლევენ იმას, რაც ადამიანში უფლისთვის ყველაზე ძვირფასი და სასურველია – თავიანთ გულს. და თვითონაც ხდებოდნენ ამ ქვეყანაზე უუფლებონი, მიუსაფარნი, გლხაკნი, ისინი თავიანთ გულში აგებდნენ ქრისტესთვის შესანიშნავ სულიერ სასახლეს. დაიკარგა სახარებისეული ყმაწვილის სახელი, რომელმაც, უნდა ვივარაუდოთ, თავისი ცხოვრება გაატარა როგორც ერთმა ჩვეულებრივმა უდარდელმა და უსაქმურმა კაცმა. ხსოვნა მის შესახებ დარჩა მხოლოდ საყვედურის მარადიულ მაგალითად იმისათვის, ვისაც ქრისტე უხმობს და ისინი კი არ მიეცებიან მას.

და აი ისინიც, მომდევნო საუკუნეებში მცხოვრები ქრისტიანები, რომლებიც ქრისტეს არ მოუხმია, მაგრამ რომლებმაც ქრისტეს მოწოდება მდიდარი ყმაწვილისადმი გაითავისეს, დათმეს წუთისოფელი და გაჰყვნენ უფალს. მათი კურთხეული ხსოვნა კაცობრიობას გულთ დააქვს. ამბავი მათ შესახებ თაობებიდან თაობას გადაეცემა, რადგან მათ ქრისტეს მისცეს მთელი თავიანთი ფიქრები, გრძნობები, იმედებით აღ-

სავსე ახალგაზრდა სიცოცხლე და უკვდავნი გახდნენ ქრისტეს მიერ.

მომავალი მღვდელმთავრის, არსენის მშობლები ტვერში ცხოვრობდნენ, მათი სახელები უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ იყვნენ წარჩინებული, მდიდარი და ღვთისმოსავი ადამიანები. მათ შვილი არ უჩნდებოდათ. ისინი ამას ძალიან განიცდიდნენ და უფალს ვაჟიშვილს ევედრებოდნენ. ღმერთმა მათ თხოვნა შეუსრულა.

მოვიდა სწავლის დროც. ყმაწვილმა სწავლაში ისეთ წარმატებებს მიაღწია, თითქოს ამ ახალგაზრდა ასაკში სიბრძნის ჭაღარა ამშვენებდა. ამხანაგები მას სათამაშოდ უხმობდნენ, ის კი არ მიდიოდა მათთან, არამედ უღრმავდებოდა ფიქრებს ღმერთის შესახებ.

ის ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, როდესაც მისმა მშობლებმა იგრძნეს სიკვდილის მოახლოება. მათ მოიხმეს თავიანთი ერთადერთი ვაჟი, კიდევ ერთხელ შეახსენეს ღვთის შიშის, მოყვასის სიყვარულისა და ღვთისმოსაობის შესახებ, დაუტოვეს თავიანთი ქონება და მშვიდობით აღესრულნენ.

ყმაწვილმა მშობლებს უკანასკნელი პატივი მიაგო, დაასაფლავა ისინი და დარჩა მარტო მშობლიურ სახლში. იგი შეუდგა ფიქრს, თუ როგორ წარემართა თავისი სიცოცხლე.

„როგორც ყველა ჩემი წინაპარი მეც ამ ქვეყნის სტუმარი ვარ, — ეუბნებოდა იგი საკუთარ თავს, — ეს ცხოვრება ჩაივლის, მომავალი კი უსასრულოა. რა ავირჩიო? ოქროც და სხვა ქონებაც ბევრი მაქვს, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს ჩემთვის დაბრკოლებად, მე ქრისტეს უნდა გავყვე, თავად ქრისტემ ბრძანა, რომ მდიდარს გაუჭირდება შესვლა ცათა სასუფეველში...“

მან გადაწყვიტა მთელი თავისი ქონება ლატაკებისთვის დაერიგებინა, თავად კი დაეტოვებინა ერისკაცობა და სიწმინდეში, თავშეკავებასა და ლოცვაში ემსახურა ღვთისათვის. და შეუდგა იგი ქონების ღარიგებას: ჩაუცმელს აცმევდა, ავადმყოფს ნახულობდა და ყველგან არიგებდა მოწყალებას.

უცნაური გახდა მისი მშობლიური სახლი, აქ მიიღეს თავშესაფარი სუსტებმა და მოხუცებმა. ყმაწვილი სიხარულით იღებდა მწირებს და თავად ბანდა მათ ფეხებს. დილიდან დახმარების მისაღებად მასთან მრავალი ადამიანი მიდიოდა. არსენი იცავდა უბედურებს და შუამდგომლობდა მათ ქალაქის მესვეურებთან. მშობელთა სახელმა და მისმა წმიდა ცხოვრებამ მას ახალგაზრდულ ასაკშივე მოუტანა საყოველთაო პატივისცემა და ამიტომაც მისი თხოვნები სრულდებოდა.

ეს საოცარი ყმაწვილი ან საათობით ლოცულობდა თავის პატარა ოთახში, ან წირვას ესწრებოდა უძრავი და ისეთი დაფიქრებული, თითქოს სულით ზეცაში იყო ასული, ან ანუგეშებდა ადამიანებს, რომლებიც შეკედლებული ჰყავდა, ან მსახურებს მიყვებოდა, რომელთაც ღარიბთა და ავადმყოფთა სახლებში საჭმელი და სამოსი მიჰქონდათ.

ამ ნათელ გზაზე ყმაწვილს მრავალი დაბრკოლება შეხვდა. ნაცნობებს არ მოსწონდათ მისი ცხოვრების წესი. მისგან ითხოვდნენ ეცხოვრა სხვებივით, ურჩევდნენ მომავალში ქორწინებაზე ეფიქრა, საყვედურობდნენ ზომასზე მეტი მოწყალების გაღებას, ზოგჯერ დასცინოდნენ კიდევ: — ნახეთ, ვითომ წმინდანია, მამისეული სახლი გააპარტახა და თავის ცხოვრებასაც იღუპავს; მაგრამ არსენზე ეს საუბრები არავითარ შთაბეჭდილებებს არ ახდენდა, იგი კიდევ უფრო მეტი გულმ-

ოდგინებით აგრძელებდა ქონების დარიგებას, თითქოს ჩქარობდა მისგან გათავისუფლებას, ყველაფრის უფლის ხელში გადაცემას, რათა თავისთვის ამქვეყნად არაფერი დაეტოვებინა. მონები გაათავისუფლა და ფულითაც დაეხმარა მათ, მასში ჩამოყალიბდა გადაწყვეტილება გამომშვიდობებოდა საერო ცხოვრებას და სამშობლოდან შორს გადახვეწილიყო.

ლარიბი მწირის ტანსაცმელში გამოწყობილი, იგი ღამით ჩუმად გავიდა სახლიდან, დიდი მანძილით დაშორდა ტვერს და ერთ განმარტოებულ ადგილას შეჩერდა, მუხლი მოიყარა და ზეცისაკენ აპყრობილი ხელებით ლოცვას შეუდგა... მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. მან აღასრულა ის მცნება, რომელიც ქრისტემ სახარებისეულ მდიდარ ყმაწვილს მისცა: იგი განთავისუფლდა თავისი სიმდიდრისაგან. საით წაიყვანს მას უფალი? მისი გული მზად იყო ყველაფრისათვის. იგი სიხარულით მიიღებდა ვნებასაც, კურთხევასაც, მადლსაც და ნებისმიერ გამოცდასაც. იგი გახსნილი გულით წარსდგა უფლის წინაშე და აღტაცებით ილოცა: „უფალო, ღმერთო ჩემო, გულთამხილავო, შენ ერთმა იცი ყველა ჩემი სურვილი, შენ ხედავდი, როგორ ისწრაფვოდა შენსკენ ჩემი გული, რაც თავი მასსოვს შენს გარდა არაფერი მიზიდავდა, ყველაფერს შენი ვნების სურათი ჩრდილავდა — ჩვენთვის ჯვარცმული ქრისტესი. მე უცხო ვიყავი წუთისოფლისათვის, მან დამცინა და მომკვეთა. მაგრამ მე ამით ბედნიერი ვარ, მე ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამ მინდა: შენთან ვიყო, შენი სიტყვები მოვისმინო, შენი ნება აღვასრულო. ხედავ, ამქვეყნად არაფერი დავიტოვე, ყველაფერი დავხარჯე შენს შესაძენად. სახლი მივატოვე, რათა შენ გახლე ჩემი თავშესაფარი, ნათესავები დავტოვე, რადგან

შენი მონების რიცხვში ჩავეწერო, მშობლიური ქალაქიდან გამოვიქეცი, რათა შენი ქალაქის მცხოვრები გავხდე. აი, ვდგევარ შენს წინაშე და შენს ნებას ველოდები: ყოვლად მოწყალეო მეუფეო, მაჩვენე გზა, რომელსაც მე უნდა დავადგე. მომეც მე, მოთმინებასა და სიმშვიდეში მივალწიო შენს წყნარ ნავსაყუდელს!“ აქ, უკაცრიელ ადგილას, ღარიბი მწირის სამოსში იგი თავს უფლის ხელში გრძნობდა და იყო ისე მშვიდად, როგორც არასდროს ყოფილა ტვერში, სიმდიდრესა და პატივში.

აქ მან დაიძინა.

იმ ღამით ჰქონდა ხილვა. ვიღაც უბრძანებდა, წასულიყო პეჩორის მონასტერში — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახლში და იქ გადარჩებოდა იგი. ყმაწვილს გაგონილი ჰქონდა კიევო-პეჩორის საოცარი სავანის შესახებ, რომელიც მისი ყოვლადწმიდა ილუმენიას — ღვთისმშობლის სასწაულებსა და მადლზე იდგა. გაღვიძებულმა მან სიხარულით იქით გასწია. აი უკვე კიევში, პეჩორის მონასტერშია და დგას ილუმენის წინ. ტირილით ითხოვს მიიღონ სავანეში, ილუმენი კი ალერსიანად ეკითხება, რა აქვითინებს.

— სამსჯავროზე რომ წარვსდგები, რა ვუპასუხო უფალს? მიმიღე შენს სამწყსოში, ნუ გამაგდება, როგორც ქრისტე არ აგდებდა მასთან მისულ ცოდვილებს.

— შვილო, — ალერსიანად უთხრა ილუმენმა, — ტყუილად რატომ ჩივი? განა რა ცოდვები შეიძლება გქონდეს ასე ახალგაზრდა ასაკში? ჩვენი მონაზვნური ცხოვრება ძალიან ძნელია, შენ ვერ შეძლებ იტვირთო ეს ღვაწლი. უფალმა ხსნის მრავალი სხვა გზა გვაჩვენა. ამოირჩიე რომელიც გინდა.


ყმაწვილმა პირობა დადო უდრტვინველად აეტანა მონაზვნური სიძნელეები, და ილუმენმა იგი მიიღო.

და შეუდგა მონაზონი არსენი ღლედალამ შრომას, ასრულებდა ყოველ მორჩილებას: სამძოსთვის ამზადებდა საჭმელს, ეზიდებოდა წყალს და შეშას და არავის გაუგონია მისგან წუწუნი ან საყვედურის სიტყვები. სამძოს უკვირდა და ახარებდა მისი სიმტკიცე და მაგალითად ყავდათ ეს ახალგაზრდა.

მომავალში არსენი გახდა მოსკოველი მღვდელმთავრის, კვიპრიანეს მთავარდიაკვანი, შემდეგ კი თავისი მშობლიური ქალაქის, ტვერის ეპისკოპოსი. ტვერის გარეუბანში, ფიჭვნარში, მდინარე ტმაკას თვალწარმტაც ნაპირზე მან კიევი-პეჩორელი წმიდა მამების, ანტონისა და თეოდოსის სახელზე ააგო ხის ეკლესია და მასთან მონასტერი, სადაც უყვარდა განმარტოება.

აქ იხსენებდა იგი თავის მშვიდ ბავშვობას, ღვთისმოსავ მშობლებს, მათ გარდაცვალებას, ერიდან წასვლას, საოცარ ხილვას, რომელმაც კიევში გააგზავნა, და უკვე ეპისკოპოსის ხარისხში სამშობლოში დაბრუნებას.

საოცარი და ნათელი ცხოვრება დასასრულს უახლოვდებოდა ისე, როგორც იმ ადამიანთა ცხოვრება, ვინც მორჩილებითა და ნდობით შეისმინეს ქრისტეს მოწოდება და გაყვნენ მას.



დიდი ბანდებილის ბავშვობა
(წმიდა ბენედიქტი, სსენება 17 მარტს)

ევროპული მონაზვნობის მამა, წმიდა ბენედიქტე ნურსიელი, ბავშობიდანვე გონიერებით გამოირჩეოდა, სულ ახალგაზრდა ასაკში, თავისი ზნე-ჩვეულებით უკვე ზრდასრულ მამაკაცს ჰგავდა. მის სულს არ აღელვებდა არც ხორციელი სურვილები, არც ამქვეყნიური ამოება. მას ყველა საშუალება ჰქონდა დამტკბარიყო ამქვეყნიური სიამოვნებებით, მაგრამ ამ წუთისოფელს იგი ისე აღიქვამდა, როგორც ყვაილებიანად გამხმარ თივას. მშობლებმა ბენედიქტე სასწავლებლად რომში გააგზავნეს. იქაური ცხოვრება მას არ მოეწონა, რადგან დაინახა, რომ სასწავლებლის ახალგაზრდები ადრეულ ასაკიდანვე თავის ვნებებს ემსახურებოდნენ. მას შეეშინდა, არ დამსგავსებოდა თავის ამხანაგებს, ამიტომაც გაურბოდა მათ და ბოლოს საერთოდ მიატოვა სასწავლებელი. ცოდნის მიღების სარგებელს მან გულის სიწმინდის შენარჩუნება არჩია.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ მან მემკვიდრეობით მიღებული ქონება ღარიბებს დაურიგა, რადგან თავად მხოლოდ მონაზვნობა და მეუღაბნოე ცხოვრება იზიდავდა. მასთან ერთად წასვლა მისმა აღმზრდელმაც გადაწყვიტა. ბენედიქტე წმიდა პეტრე მოციქულის ეკლესიის მახლობლად, ერთ განმარტობულ ადგილას დასახლდა. აქ მცხოვრები ღვთისმოსავი ბერები მისადმი დიდი პატივისცემით განიმსჭვალნენ.

ერთხელ ბენედიქტეს აღმზრდელმა მეზობლებისაგან ხორბლის დასარჩევი იარაღი ითხოვა. მისი შინ არ ყოფნის დროს იარაღი მაგიდიდან გადმოვარდა და გატყდა. სხვისი ნივთის გაფუჭებამ მოხუცებული აღმზრდელი მეტად შეაწუხა, იგი

მწარედ აქვითინდა. როდესაც ნეტარმა ყმაწვილმა დაინახა, რომ მისმა აღმზრდელმა ასე განიცადა ეს ამბავი, აიღო გატეხილი იარაღის ორივე ნაწილი, განმარტოვდა, მუხლებზე დაემხო და ისეთი გრძნობით შეუდგა ლოცვას, როგორც პატარა ბავშვი სთხოვს დედას მისთვის ძვირფასი ოცნების შესრულებას.

ყმაწვილი ერთი საათი ლოცულობდა და როდესაც ფეხზე ადგა, მის წინ მთელი იარაღი იდო, მას დაზიანების კვალიც კი არ ემჩნეოდა.

ხმა ამ სასწაულის შესახებ გავრცელდა იქაურებს შორის და მათ ეს ნივთი ეკლესიის კედელზე დაკიდეს იმის სამახსოვროდ, თუ რა დიდი ძალა შეიძლება ჰქონდეს ადამიანის ლოცვას.

ამ გარემოებამ დაამწუხრა ღირსი ბენედიქტე და მან გადაწყვიტა აღმზრდელისაგან და სხვა ნაცნობებისაგან მალულად რომიდან ორმოცი ვერსტით მოშორებულ უდაბნოში განმარტოებულიყო. იქ, სრულ მარტოობაში, მან დიდხანს იღვაწა. მის შესახებ მხოლოდ ერთმა განდევილმა იცოდა, რომელსაც მისთვის საკვები მიჰქონდა.

წმიდა ბენედიქტემ რამდენიმე მონასტერი დააარსა. მან თავისი საძმოსათვის დაწერა წესდება, რომელიც შემდგომში დასავლეთის ბევრ მონასტერში მიიღეს.



ალექსი ღვთისპატივის ღვაწლი
(ხსენება 17 მარტს)

თეოდოსი დიდის შვილების, არკადის და ჰონორის ბატონობის ჟამს ძველ რომში, მდიდართა კვარტალში ცხოვრობდა ცნობილი დიდებული – ევფიმიანე. მას არაჩვეულებრივი სასახლე და ბაღი ჰქონდა. ბაღში სხვადასხვა იშვიათი ყვავილის ენით უთქმელი სურნელება იდგა.

სასახლეში უხმაუროდ მიმოდიოდნენ აბრეშუმის ღია ფერის სამოსში გამოწყობილი მსახურები, რომელთა რიცხვი 3000-მდე აღწევდა. ევფიმიანეს აგარაკებიდან ყოველდღე მოჰქონდათ რძის ნაწარმი, სათბურებში მოყვანილი ძვირფასი ბოსტნეული და ადრეული ხილი. ამ დიდებულს იტალიის სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა მამულები, საიდანაც აწვდიდნენ: მონების მიერ ქვის დოლაბებში დაფქვილ ფქვილს, ნანადირევს, გარეული ცხოველების ბეწვს, ღვინოს ტყავის ტიკებით, მიერეკებოდნენ ხარებსა და ცხვრებს, მიჰყავდათ ფრინველი, მიჰქონდათ ქარვისფერი თაფლი, ყველაფერი ევფიმიანეს დიდი მამულის საჭიროებისათვის, მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის. ამ სიუხვით ყველაზე ნაკლებად ევფიმიანე სარგებლობდა. კეთილი, წყნარი, უბოროტო ადამიანი ზედმიწევნით იცავდა უფლის მცნებებს და თავშეკავებით ცხოვრობდა. ის ყოველდღე სამ საათამდე მარხულობდა და მის სახლში ყოველდღე იშლებოდა სუფრა ქერივობოლთათვის, ღატაკებისათვის, მწირთა და ავადმყოფებისათვის. თვითონ სატრაპეზოდ მხოლოდ სამი საათის შემდეგ ჯდებოდა მწირ მონაზვნებთან ერთად.

ევფიმიანეს კეთილი გული ხარობდა, როდესაც მის მიერ გაშლილ სუფრასთან ბევრი ადამიანი სხდებოდა. ხოლო როდესაც მოტრაპეზები ცოტანი იყვნენ, წუხდა და მუხლებზე დამხობილი ამბობდა: „არა ვარ ღირსი ჩემი უფლის მიწაზე დავაბიჯებდე, შესაძლებლობა მაქვს და მოყვასს ვერ დავეხმარე“.

ასეთივე ბუნების იყო ევფიმიანეს ერთგული მეუღლე აგლაიდა, ქმარივით მოწყალე და გულუხვი.

რა დიდი ბედნიერებაა, გიყვარდეს ღარიბები, ცდილობდე მიბაძო უფლის გულმოწყალებას და იღებდე მისგან უხვად გაცემის საშუალებას!

ამ სასიხარულო, ღვთისთვის სათნო ცხოვრებაში ევფიმიანეს და აგლაიდას ერთი დიდი სადარდებელი ჰქონდათ — მათ შვილი არ ჰყავდათ. ცოლ-ქმარი სულ იმის ფიქრში იყო, რა დიდი ბედნიერება იქნებოდა, ჰყოლოდათ ვაჟი — მათი სახელისა და ქონების მემკვიდრე... ხშირად წარმოიდგენდნენ კიდევც, როგორი მზრუნველობით აღზრდიდნენ შვილს, რათა მისგან ჭეშმარიტი ქრისტიანი დამდგარიყო, რა უხვად გაიღებდნენ მთელს რომში მოწყალებას მემკვიდრის დაბადების აღსანიშნავად.

ხშირად, როდესაც ევფიმიანე მიემგზავრებოდა იმპერატორის სასახლეში ან სხვა რაიმე სახელმწიფო საქმეზე, მართო დარჩენილი აგლაიდა მოიწყენდა ხოლმე, ამ წუთებში მას განსაკუთრებით უნდოდა ჰყოლოდა შვილი, აეყვანა ხელში, მოფერებოდა და საალერსო სიტყვებით, მისი უცოდველი ბავშვისათვის ტიკტიკი ესწავლებინა, დამტკბარიყო მისით და ამ უდიდესი ქალური ბედნიერების — დედობისათვის უფლისთვის მადლობა შეეწირა. და ამ ფართო და საზეიმო დარბაზების

სიმშვიდითა და მდუმარებით მოწყენილი და შეწუხებული აგ-
ლაიდა თავს ხრიდა და უფლის ნებას ემორჩილებოდა. მაგრამ
გატანჯულ გულში ხშირად მაინც ღვიოდა იმედი. იგი სწრაფად
დგებოდა და მიდიოდა იმ ოთახში, სადაც უყვარდა განმარტოე-
ბით ლოცვა. აქ მუხლმოყრილი აღუვლენდა იგი უხილავ უფალს
თავის მხურვალე ლოცვას: „უფალო, მომიხსენე უღირსი მხ-
ევალი შენი და შეეწიე ჩემს უნაყოფობას, რათა ღირს ვიქმნე
ვიწოდებოდე დედად... გვაჩუქე მე და ჩემს ქმარს შვილი, რათა
ცხოვრება გაგვიხალისოს და სიბერეში ჩვენი იმედი იყოს“.

და ჰქმნა უფალმა თავისი მოწყალებისამებრ და აჩუქა ევფიმი-
იანეს ვაჟი. ძნელი გადმოსაცემია მშობლების სიხარული. ვა-
ჟიშვილის ნათლობის დღეს მათ ციხეებიდან გამოისყიდეს ვა-
ლის გადაუხდელობის გამო დაპატიმრებულები, დიდძალი
შესაწირი გაგზავნეს მონასტრებში, ალექსა დადეს რამდენიმე
ტაძრის აშენებისა... და ეს ყველაფერი იყო არარაობა იმ სიხ-
არულთან შედარებით, რომელიც მათ გულებს ავსებდა.

დაიწყო ღმერთის რჩეული ყმაწვილის წყნარი, კურთხეული
ბავშვობა. მშობლებმა მას ალექსი დაარქვეს.

ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან ალექსის ახსოვდა მის
გვერდით მუხლმოყრილი დედა, რომელიც ასწავლიდა უფლის
სახელის წარმოთქმას და თავის შემოქმედზე უყვებოდა,
რომელმაც დაასახლა იგი მიწაზე და ახლა მისგან – პატარა
ალექსისგან ქება-დიდებას ელოდება. და მაშინ ბიჭუნას გული
ღმერთთან სიახლოვის გრძნობით თრთოდა და ბედნიერებით
ივსებოდა. ხშირად ღამე გამოღვიძებული ალექსი ხედავდა მის
თავთან თავდანხრილ დედას, რომელიც ჩურჩულებდა ან მისად-

მი სიყვარულის სიტყვებს, ან მისთვის ევედრებოდა ყოვლისმპყრობელ უფალს.

მას კარგად ახსოვდა წირვა-ლოცვები ეკლესიაში, საეკლესიო გალობანი და წუთი იმ უდიდესი სასწაულისა, როდესაც მღვდელმსახურის ლოცვით ბარძიმში ღვინო და პური ქრისტეს სისხლად და ხორცად იქცეოდა, იქ მყოფნი კი მუხლს იყრიდნენ ამ გამოუთქმელი სასწაულის წინაშე.

ახსოვდა მამისეულ სახლში ასობით ღატაკისათვის გამართული ტრაპეზები და მშობლების ხანგრძლივი საუბრები ერთ-ერთ მმართველთან, რომელსაც ქალაქის ღარიბი უბნების შემოვლა და გაჭირვებულთა დახმარება ევალებოდა.

ბიჭუნას გონებაში წარუშლელად აღიბეჭდა ქრისტეს ჯვარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარეტელი, მეუფე ჰურიათაჲ“. ფართოდ გაშლილ, მილურსმულ ხელებზე ეკიდა წამებული ღმერთკაცი. „უფალო, უფალო, — ჩურჩულებდა ბიჭუნა ჯვრის ხილვისას, — შენ იტანჯები, მე კი ვხარობ, შენ დაგამცირეს, მე კი დიდებაში ვარ... მომეცი ძალა, დავთმო სოფელი, ვიცხოვრო შენსავით, როგორც უსახლკარო ყარიბმა, მიყვარდე და დავამტკიცო შენდამი ჩემი ერთგული, ჭეშმარიტი სიყვარული. მე არ გთხოვ ბედნიერებას, არც სიმდიდრეს და წარმატებას, მომეცი შენთვის, შენი სახელისათვის სიღარიბე, უსახელობა, განდგომილი ცხოვრება. მომეცი უდიდესი ბედნიერება — ვივნო ისე, როგორც ივნე აქ შენ, ჩემო მაცხოვარო!“

ალექსი თავის გრძნობებსა და ფიქრებს არავის ანდობდა, ყველაფერს თავის თავში ინახავდა. იგი მშვიდი და გონიერი ბიჭი იყო. ევფიმიანეს სასახლეში არავინ იცოდა, რა დიდი მოღვაწე იმალებოდა ამ მდიდარი ღიღებულის ვაჟიშვილში.

არავინ იცოდა, რომ ალექსი მთელ ღამეებს ლოცვაში ატარებდა.

ალექსი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, როდესაც მშობლებმა მისი დაქორწინება გადაწყვიტეს. ევფიმიანემ პირველმა წამოიწყო ამ თემაზე საუბარი და მეტად გაახარა მეუღლე. მან მაშინვე წარმოიდგინა, როგორ გაზრდიდა შვილი-იშვილებს, როგორ ირბენდნენ ისინი მის გარშემო და როგორ გაიხარებდნენ მათი შემხედვარე ალექსი და მისი ცოლი. თავიანთი მდგომარეობის შესაბამისად ალექსის მშობლებმა სარძლო სამეფო გვარიდან შეარჩიეს.

ჯვრისწერა დიდი ზემოთ აღსრულდა. მდიდრული საქორწილო ნადიმი მთელი დღე გრძელდებოდა.

დაკვირვებულმა ადამიანებმა შეამჩნიეს უცნაური გამომეტყველება ახალდაქორწინებულის სახეზე, იგი თითქოს არ იყო იქ — იმ საზეიმო თავყრილობაზე. აშკარა იყო, რომ მისთვის, ამ ზემომის მთავარი გმირისთვის, უცხო იყო ეს ყველაფერი... ჩანდა, რომ აზრითა და გონებით იგი სადღაც შორს იყო, და ამავე დროს იყო წყნარი, მშვიდი და მღუმარე.

აი ევფიმიანეს სასახლე უკანასკნელმა სტუმრებმაც დატოვეს და მამამ შვილი საქორწილო დარბაზში შეიყვანა. ვერცხლის ლარნაკში ჩადებული წითელი ვარდები ხაზს უსვამდნენ აღელვებული პატარძლის ფერმკრთალ სახეს. ალექსი მშვიდად მიუახლოვდა მას. მოიხსნა საქორწილო ბეჭედი, გადასცა პატარძალს და უთხრა: „შეინახე, დაე ღმერთი იყოს ჩვენს შორის, სანამ მისი მაღლი ჩვენს ცხოვრებაში რაიმე ახალს არ მოაწყობს“.

საქორწილო დარბაზის ჰაერშიც, ალექსის მოკლე საზეიმო სიტყვებშიც რაღაც უცნაური იგრძნობოდა. პატარძალი უხმოდ იჯდა, ალექსი ჩუმად გავიდა დარბაზიდან და თავისი ოთახისაკენ გაემართა. ამ ოთახში მრავალი წლის მანძილზე უხილავ ღვაწლში უფლის წინაშე მტკიცდებოდა მისი სული, და ცისკენ მიისწრაფვოდა მისი ლოცვა.

მან გაიხადა ოქრომკედით მორთული ტანსაცმელი და ღარიბული სამოსი ჩაიცვა. აიღო ამ შემთხვევისთვის წინასწარ გამზადებული ფუთა, რომელშიც მოგროვილი ჰქონდა მშობლების მიერ ნაჩუქარი ოქრო, სამკაულები და ძვირფასი თვლები. შემდეგ ნაღვლიანად მოავლო თვალი ოთახს, სადაც უფლის წინაშე ჩაიარა მისმა შინაგანმა ცხოვრებამ, აქ ის აღარასოდეს შემოვიდოდა. მტკიცე გადაწყვეტილებით, უკან მიუხედავად იგი სწრაფად გავიდა ოთახიდან და შიდა გასასვლელებით მივიდა უკანა ჭიშკართან. მეკარემ იგი ბატონის ერთ-ერთ მამულში საქმეებზე მიმავალ მონად მიიღო და გაატარა.

წინასწარ მომზადებული ცხენით ალექსიმ მალე მიაღწია ზღვის ნაპირამდე. აქ მას გემის პატრონი ელოდებოდა, რომელთანაც წინასწარ იყო მოლაპარაკებული, და იგი მცირე აზიისაკენ გაემგზავრა. ასე ჩაიარა დიდებული რომის ყველაზე მდიდარი და ცნობილი საქმროს საქორწილო ღამემ.

თენდებოდა. ზღვის თავზე ჩამოწოლილი ღამის ნისლი ჰორიზონტზე ამოწვერილი მზის პირველმა სხივებმა გაჰკვეთეს. მზის სხივების წითელი ალი სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა და ნათდებოდა, ზღვა ყველა მიმართულებით იშლებოდა,

მსუბუქი ქარი პრიალა ზედაპირზე ადვილად მიასრიალებდა პატარა იალქნიან გემს.

ყმაწვილში ადამიანური მწუხარება ებრძოდა ასრულებული ოცნების ბედნიერებას. იქ, რომში რჩებოდნენ მშობლები... ისინი გლოვობდნენ საყვარელ შვილს, მაგრამ ხომ უყვართ ქრისტე: შესწირონ ახლა მას მსხვერპლად შვილი...

იქ სოფელია თავისი სინარულით, დიდი სიმდიდრით, დიდებითა და ხელისუფლებით, მაგრამ მან ეს ყველაფერი მოიძულა, რათა არ ყოფილიყო ამქვეყნად ბედნიერი, მაშინ, როდესაც ჯვარცმული ქრისტე ჩვენთვის დაიტანჯა!

და როდესაც მშობლიურ ნაპირს ბოლოჯერ შეავლო თვალი, რომელიც უკვე ვიწრო, ირიბ ზოლად მოჩანდა, უცებ ამ ნაპირის თავზე ახლად ამოსულ მზის სხივებში გამოჩნდა ჯვარცმული ქრისტე...

ყმაწვილი მუხლებზე დაეცა, ხელები ხილვისკენ გაიწვდინა და აჩურჩულდა:

„ჯვარცმულო, ჯვარცმულო, მომაცილე ამ ამაო წუთისოფელს!... მომეც მე განკითხვის ჟამს შენს მარჯვნივ ყოფნა იმათთან ერთად, ვინც სათნო გეყო შენ!“

რომის ცნობილი დიდებულის, ევფიმიანეს გვარისა და სიმდიდრის მემკვიდრე, ბრწყინვალე ახალდაქორწინებული სამუდამოდ გაქრა სოფლიდან. მცირე აზიის ნაპირებთან იგი შეხვდა მესოპოტამიაში მიმავალ მგზავრებს. იგი შეუერთდა მათ და ქალაქ ედესაში ჩავიდა, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში ცნობილია უფალ იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატით.

იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებისას, ქალაქ ედესის პატრონმა ავგაროზმა შეიტყო, რომ პალესტინაში გამოჩნდა

წმიდა კაცი, რომელიც დიდ სასწაულებს ახდენდა. ავგაროზი უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი. მან გაგზავნა ქრისტესთან თავისი წარმომადგენლები წერილით, რომელშიც დიდი სიყვარულითა და ალერსით იწვევდა ქრისტეს თავის სამფლობელოში, ჰპირდებოდა მოსვენებასა და კეთრისაგან განკურნებას სთხოვდა.

ქრისტე არ წასულა ავგაროზთან, მაგრამ მან მოითხოვა პირსახოცი, მიიღო იგი სახეზე და მისი გამოსახულება სასწაულებრივად გადავიდა პირსახოცზე. მან იგი ავგაროზის წარმომადგენლებს გადასცა და როდესაც ისინი ედესაში დაბრუნდნენ, ქრისტეს ამ ხელთუქმნელი ხატისაგან ავგაროზი სასწაულებრივად განიკურნა. ამ ხატს დიდი მოწიწებით ინახავდნენ ედესაში. ავგაროზის გამოჯანმრთელების შემდეგ ეს ქალაქი ქრისტიანული გახდა. ქრისტეს ერთ-ერთმა მოციქულმა მონათლა ავგაროზი და მთელი მისი ქალაქი.

როგორი თრთოლვით მიეახლა ალექსი ამ უდიდეს სიწმინდეს, ცრემლიანი თვალებით აკვირდებოდა იგი ხელთუქმნელ ხატს. დიდი სულიერი ბედნიერება ავსებდა მას. იგი გრძნობდა, რომ ამ უდიდეს სიწმინდესთან მან იპოვა ნავთსაყუდელი. მან გადაწყვიტა აქ დარჩენილიყო. ედესაში ალექსიმ გაყიდა სახლიდან წამოღებული ნივთები, ფული დარიბებს დაურიგა, თავად კი დარიბულ სამოსში გამოეწყო და მათხოვრობას შეუდგა. მთელ დროს ღვთისმშობლის ტაძართან ატარებდა, მუდამ მარხულობდა, იღებდა მხოლოდ ცოტაოდენ პურს და წყალს. ყოველ კვირას წმიდა ზიარების მისაღებად ღვთაებრივი ტრაპეზის წინ იდგა. მიღებულ მოწყალებას, რამდენიმე გროშის გარდა, რომელსაც პურის საყიდლად ხარჯავდა, იგი სხვა

მათხოვრებს ურიგებდა. მზერა მუდამ ქვემოთ ჰქონდა დახრილი, გონება კი უფლისკენ ჰქონდა მიმართული. გამუდმებული მარხვისგან ძალიან გახდა, მთელი მისი ახალგაზრდული სილამაზე დაჰკნა, ჩაუქრა თვალის სხივი, თვალებიც ღრმად ჩაუცვივდა უბეებში და ტყავგადაკრულ ჩონჩხს დაემსგავსა.

ქორწილის მეორე დღეს მშობლებმა ნახეს მოღუშული და მგლოვიარე მიტოვებული პატარძალი. როდესაც მათ შეიტყვეს, რომ ალექსი დაიკარგა, საქორწილო მხიარულება ტირილით შეიცვალა.

დედა თავის ოთახში ჩაიკეტა, თავზე ნაცარი დაიყარა და მიწაზე დაეცა. დიდხანს ტიროდა და მოთქმით ამბობდა: „არ ავდგები მიწიდან, არ გამოვალ ოთახიდან, სანამ არ გავიგებ, რა მოუვიდა ჩემს ერთადერთ შვილს, სად დაიკარგა“.

მის გვერდით მდგომი პატარძალი კი ტირილით ამბობდა: „არც მე მიგატოვებ და ერთგული გვრიტის მსგავსად, რომელიც მთებსა და ველებში დაეძებს და გალობით უხმობს დაკარგულ მეგობარს, მეც მოთმინებით დაველოდები ჩემს ქმარს, სანამ არ გავიგებ სად წავიდა და რა ცხოვრება აირჩია მან“.

ალექსის მამამ შვილის საძებნელად სხვადასხვა ქვეყანაში მსახურები დაგზავნა. რამდენიმე მათგანი ედესაშიც ჩავიდა, მათ ნახეს ალექსი, მაგრამ ვერ იცნეს იგი და, როგორც მათხოვარს, მოწყალეობაც მისცეს.

წმიდა ალექსიმ იცნო ისინი და მაღლობა შესწირა უფალს, რომ ღირსი გახდა თავისი სახლის მსახურებისგან მოწყალეობა მიეღო. ხანგრძლივი, ამოო ძებნის შემდეგ მსახურები შინ დაბრუნდნენ და ბატონს მოახსენეს, რომ ალექსი ვერ იპოვეს. ცხ-

ოვრების დარჩენილი წლები მშობლებსა და ჯვარდაწერილ მეუღლეს მწარე გლოვაში უნდა გაეტარებინათ. ალექსიმ ედესაში 17 წელი დაჰყო.

შემდეგში, როდესაც ალექსიმ ედესაში პატივისცემა დაიმსახურა, დიდებას გამოექცა, მშობლიურ რომში დაბრუნდა და საკუთარი მამის მამულში მიიღო თავშესაფარი: იქ მან კიდევ 18 წელი იცხოვრა. ვერც მშობლებმა და ვერც ცოლმა იგი ვერ იცნეს. ცხოვრობდა როგორც დატაკი მწირი. მსახურები ზიზღით ეპყრობოდნენ, ხშირად შეურაცხყოფას აყენებდნენ და დასცინოდნენ მას — ამ სახლისა და სიმდიდრის ბატონ-პატრონს, ევფიმიანეს მეძკვიდრეს.

ნეტარმა ალექსიმ სიკვდილის წინ უფლისგან შეიტყო აღსასრულის მოახლოება, ერთ-ერთ მონას ქარტია, მელანი და კალამი სთხოვა, აღწერა მთელი თავისი ცხოვრება, მიუთითა ზოგიერთ საიდუმლოზე, რომელიც მხოლოდ მისი მშობლები-სათვის იყო ცნობილი, რათა ამით ისინი დარწმუნებულიყვნენ მისი მონათხრობის სიმართლეში, ახსენა ის სიტყვებიც, რომლებიც ბეჭდის გადაცემისას საცოლეს უთხრა და ბოლოს თავისი ცხოვრების აღწერა დაასრულა სიტყვებით: „გევედრებით, ჩემო თავაზიანო მშობლებო, ჩემო პატიოსანო საცოლეო, ნუ იდარდებთ იმაზე, რომ მე მიგატოვეთ და ამით ბევრი ტკივილი მოგაყენეთ, ამას მე ძალიან განვიცდი და ხშირად ვლოცულობდი თქვენთვის, რათა უფალს მოეცა თქვენთვის მოთმინება და ზეციური სასუფეველის ღირსი გაეხადეთ. იმედი მაქვს, რომ მოწყალე უფალი შეასრულებს ჩემს თხოვნას. მხოლოდ მისი სიყვარულისთვის მოგექექით ასე სასტიკად თქვენც და საკუთარ თავსაც. მაგრამ ამ წარმავალ ცხოვრებაში უძჯობესია

შენი მაცხოვრის სიტყვები შეასრულო, ვიდრე მშობლებს მიანიჭო უპირატესობა. მჯერა, რამდენადაც დაგამწუხრეთ, იმდენად დიდი სიხარული მოგენიჭებათ ზეცაში...“

მისი გარდაცვალების ჟამს რომის პატრიარქს წირვის ჩატარებისას, რომელსაც მეფეც ესწრებოდა, ჩაესმა ხმა:

„ეძებთ ახალშესვენებული ღვთის კაცი, რათა მან ქალაქისთვის ილოცოს“. და კიდევ იყო ხმა: „ეძებთ ღვთის კაცი ევფემიანეს სახლში“.

როდესაც ევფემიანეს მამულში მცხოვრებ უცნობ მათხოვართან მივიდნენ, იგი უკვე გარდაცვლილი იყო და ხელში ქარტია ეპყრა. ყველამ გაიგო მისი ცხოვრების შესახებ.

ეკლესიის წმიდა მამათა შორის მხოლოდ ალექსიმ მიიღო ეს მაღალი წოდება – ღვთის კაცი.



იოსებ მშვენიერის ამბავი

წმიდა ღიმიტრი როსტოველის მიერ დაწერილი თვენის საკითხავები წმინდანთა ცხოვრების კრებულს წარმოადგენს. ეს წიგნი, მისი გამოცემის დღიდან (წმიდა ღიმიტრი იმპერატორ პეტრე პირველის თანამედროვე იყო), თავისი თხრობის განსაკუთრებულად თბილი მანერის გამო, მორწმუნე ხალხის საყვარელ საკითხავად იქცა.

იგრძნობა, რომ თვენის საკითხავის შედგენისას მის გულში დიდი მადლი იყო, რადგანაც არაჩვეულებრივი სულიერი სიმშვიდე გადმოდის იმაზე, ვინც განეშორება ამცხოვრებისეულ ამოებებს და ჩაუღრმავდება ამ წმიდა წიგნების შესწავლას...

იმ წმინდანთა ცხოვრების აღწერის დასასრულს, რომელთა ხსენება მარტის თვეში აღინიშნება, წმინდანი ამბობს:

„რადგან უფალი ჩვენი იესო ქრისტე მარტის თვეში მოკლეს, ხოლო მისი პირველსახე ჩვენს წინაპართა შორის ძმების მიერ ეგვიპტეში გაყიდული იაკობის ძე, იოსებ მშვენიერი იყო, ამიტომ მარტის თვეს დავასრულებთ ქრისტეს ვნებების პირველსახის — იოსების ცხოვრების აღწერით.

ხორცილთა და სულით მშვენიერი იოსები, ძველი აღთქმის პატრიარქის — იაკობის ძე, ისააკის შვილიშვილი და აბრაამის შვილთაშვილი იყო.

თავისი თორმეტი შვილიდან იაკობს განსაკუთრებით უყვარდა იოსები, რადგან მისი სიბერის შვილი იყო, ამასთანავე იყო უმწიკვლო ზნის ყმაწვილი და მამის სიყვარულს იმსახურებდა. ნეტარ იოსებში ბავშვობიდანვე დამკვიდრდა სულიწმიდის მადლი. სულ პატარა იგი უკვე მამის ფარას მწყემსავდა თავის უფროს ძმებთან ერთად. ძმების უწესობისა და ცოდვების

შემხედვარე იოსები თაკილობდა მათ ბოროტ საქმეებს. იოსებს ძმების გამოსწორება სურდა. ზოგიერთი მათი დანაშაულის შესახებ მან მამას მოუთხრო, რათა მას მამაშვილურად დაესაჯა ისინი და ამით თავისი სახლისათვის რისხვა აერიდებინა. ძმებმა შეიძულეს იოსები, რადგან იგი მათ ბოროტ საქმეებში არ იღებდა მონაწილეობას და უფრო მეტიც — მამას უყვებოდა მათ შესახებ. ძმებს შურდათ, რომ მამას განსაკუთრებით უყვარდა იოსები, მის მიმართ მტრულად განწყობილნი მამასთან ცილს სწამებდნენ მას, მაგრამ იაკობს მათი არ სჯეროდა, რადგან კარგად იცოდა იოსების უდანაშაულობა. იოსებში დამკვიდრებული სულიწმიდა სიზმრებში ატყობინებდა მას მომავალს. იოსები ამ ხილვებს არ მალავდა, ყველაფერს მამას და ძმებს უყვებოდა.

— მომისმინეთ, რა დამესიზმრა, — ამბობდა იგი. თითქოს მინდორში ვიდექი და თივის ზვინს ვკრავდი. ჩემი ზვინი შუაში სწორად იდგა, მის გარშემო ჩამწყკრივებული თქვენი ზვინები კი თავს უხრიდნენ მას.

— ხომ არ ფიქრობ, რომ გამეფდები და ჩვენზე იბატონებ? — პასუხობდნენ ძმები. ამ სიზმრის შემდეგ მათ კიდევ უფრო მეტად შეიძულეს იგი. კიდევ ნახა სიზმარი იოსებმა და კვლავ მოუთხრო იგი მამასა და ძმებს:

— მესიზმრა, თითქოს მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი თაყვანს მცემდნენ (იაკობს, იოსების გარდა, ზუსტად თერთმეტი ვაჟი ჰყავდა). იოსების ამ მონათხრობმა იაკობიც კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

— ნუთუ იმას მოვესწრები, რომ მეც, შენი მოხუცებული დედინაცვალი — ლიაც და ყველა შენი ძმა მიწამდე თავს

დაგიხრით? და მან იოსებს სიზმრის გამეორება აუკრძალა, რათა ძმები კიდევ უფრო მეტად არ გაღიზიანებულიყვნენ.

ერთხელ, როდესაც იოსების ძმები მამის ფარას აძოვებდნენ, ის კი მამასთან ერთად ველზე იყო, კეთილმა იაკობმა უთხრა იოსებს: „წადი, მოინახულე შენი ძმები, გაიგე, როგორ არიან და მალე დაბრუნდი“. მამის ნების შესასრულებლად იოსები ძმებთან გაემგზავრა, ბენიამინი კი, რომელიც სულ პატარა იყო, მამასთან დარჩა. იოსები დიდხანს ეძებდა ძმებს და მათ ფარას შექემის უდაბნოში, მაგრამ ვერ მიაგნო მათ კვალს, ბოლოს ერთ კაცს შეხვდა, რომელმაც ჰკითხა: „რას ეძებ ყმაწვილო?“

– „ძმებს ვეძებ, – უპასუხა მან. – მითხარი, თუ იცი სად აძოვებენ ისინი ფარას?“ მან უპასუხა: „ისინი წავიდნენ აქედან. ყური მოვკარი, დოთაიმში წავიდეთო“. იოსებიც გაჰყვა ძმების კვალს. მას ახარებდა ძმებთან შეხვედრა, რადგან უყვარდა ისინი. როდესაც ძმებმა შეამჩნიეს მათკენ მიმავალი იოსები, მასზე ბოლმით ავსილებმა, გადაწყვიტეს მოეკლათ იგი და ერთმანეთს უთხრეს: „შეხედეთ, მოდის ჩვენი მესიზმრე, მოდი მოვკლათ, ჭაში ჩავაგდოთ და მამას ვუთხრათ, ვითომ ნადირმა შეჭამა. მაშინ ვნახავთ, როგორ აუხდება სიზმარი“.

გაიგონა ეს უფროსმა ძმამ რუბენმა. მან გადაწყვიტა ეხსნა იოსები ძმათა ხელით სიკვდილისგან და ძმებს ურჩია: „ნუ მოკლავთ, ნუ დაღვრით ძმის სისხლს, უდაბნოში რომ ჭაა, იქ ჩააგდეთ. დაე მარტო მოკვდეს“. ამას იმიტომ ამბობდა, რომ უცოდველი ყმაწვილი სიკვდილისაგან ეხსნა, შემდეგ როგორმე ჭიდან ამოეყვანა და მამასთან დაებრუნებინა.

იოსებმა არაფერი იცოდა ძმების სიძულვილის შესახებ, როგორც უწყინარი კრავი მიდიოდა მათკენ, სიყვარულით მიეგება მათ და მამის მოკითხვა გადასცა. ისინი კი, სიბოროტით აღვსილნი, მისცვივნენ ძმას, შემოაძარცვეს ლამაზი ჭრელი სამოსი, წააქციეს და კომბლით ცემა დაუწყეს, თან დასცინოდნენ. გულქვა ძმებმა იგი დამშრალ და მიტოვებულ ჭაში ჩააგეს.

თავიანთი ბოროტი ჩანაფიქრის შესრულების შემდეგ იოსების ძმები იქვე ახლოს დასხდნენ და გასაოცარი სიმშვიდით შეუდგნენ ჭამა-სმას. ისინი ისე ზეიმობდნენ თავიანთ უსირცხვილო საქციელს, როგორც ღიდ გამარჯვებას, ქალაქის აღებას ან მტრის დამარცხებას. იუდამ, იაკობის მეოთხე შვილმა, ძმებს უთხრა: „რას გვარგებს ჩვენი ძმის მოკვლა და მისი სისხლის დაფარვა? მოდი, მივეიდოთ ამ არაბებს და იგი უცხო ქვეყანაში მოკვდება, ჩვენ კი უცოდველები ვიქნებით მის სიკვდილში“. ეს აზრი დანარჩენ ძმებსაც მოეწონათ. იოსები ჭიდან ამოიყვანეს და არაბებს ოც ვერცხლად მიჰყიდეს. იოსების გაყიდვისას რუბენი ძმებთან ერთად არ იყო. როდესაც დაბრუნდა, ჭასთან მივიდა და დაინახა, რომ იოსები იქ არ იყო, სიმწრისაგან სამოსი შემოიხია, ძმებთან მიიღობინა და უთხრა: „არაა ჩვენი ძმა ჭაში, როგორ დავბრუნდე სახლში, როგორ ვისმინო მამის ქვითინი?“

ძმებმა თხა დაკლეს, მოსვარეს მისი სისხლით იოსების ჭრელი პერანგი და იაკობს გაუგზავნეს, თან შეუთვალეს: „ეს სამოსი მთაში დაგდებული ვიპოვეთ, მასში ჩვენი ძმის, იოსების პერანგი შევიცანით, შეწუხებულები ვართ, დაბრუნდა თუ არა

იგი შენთან? ჩვენ აქ ძმას არ შევხვედრივართ. ნახე, შენი შვილის არის თუ არა ეს სამოსი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისია“.


იაკობმა თავისი შვილის პერანგის დანახვისას შესძახა: „ეს ჩემი შვილის პერანგია, მძვინვარე ნადირმა შეჭამა იგი“. იაკობმა ტანსაცმელი შემოიხია, ჯვალო ჩაიცვა და მოთქმას შეუდგა: „რატომ მე არ შემჭამა, შვილო, ნადირმა! ნეტავ მე შევეჭამე და შენ ცოცხალი დარჩენილიყავი! ვაი ჩემს თავს, სად არის ჩემი დაღუპული შვილი, მის ლამაზ ცხედართან მინდა დავიგლიჯო ჭადარა! არ მინდა სიცოცხლე იოსების გარეშე, მის სიკვდილში მე ვარ დამნაშავე, მე გავვზავნე ძმებთან მთაში. მთელ ცხოვრებას ტირილში და მოთქმაში გავატარებ, სანამ ჯოჯოხეთში არ ჩავალ. შენი სხეულის ნაცვლად, შენს სამოსს დავიღებ წინ, მაგრამ შენი პერანგი მათებს იმით, რომ მთელია, არ მესმის, როგორ შეეძლო ნადირს შენი დაგლეჯა ისე, რომ ტანსაცმელი ხელუხლებელი დარჩა. ესე იგი ადამიანმა გაგაძრო იგი და შენ ადამიანის ხელით ხარ მოკლული. ნადირი არ ხდის ადამიანს სამოსს. თუნდაც გაეძრო და მერე დაეგლიჯე, მაშინ შენი პერანგი სისხლიანი არ უნდა ყოფილიყო“.

იოსების დაღუპვის შესახებ სრული გაურკვეველობა უფრო მეტად სტანჯავდა მოხუც იაკობს.

მაგრამ გასაკვირია უფლის საქმეები.

ძმების მიერ სასიკვდილოდ გამეტებული და შემდეგ მონად გაყიდული იოსები ვაჭრებმა ეგვიპტეში ჩაიყვანეს და იქ მიყიდეს ფარაონის მდიდარ კარისკაცს — პეტეფრეს. შემდეგ იგი პირადად წარუდგინეს ეგვიპტის მეფეს — ფარაონს. იოსებმა მის ქვეყანას შიმშილობა უწინასწარმეტყველა და დროულად

გაკეთებული დიდი მარაგებით ეგვიპტე ამ უბედურებისაგან იხსნა. ამისთვის მეფემ იგი მთელი ეგვიპტის მმართველად დაადგინა. ბოლოს იოსები თავის ძმებსაც შეხვდა, რომლებიც იაკობმა პურის საყიდლად გაგზავნა. იოსების სურვილისამებრ მოხუცი იაკობი ეგვიპტეში ჩავიდა და ცხოვრების დარჩენილი დღეები იქ გაატარა. ძველი აღთქმის ამბავი იოსების შესახებ არის არა მარტო ქრისტეს, არამედ ყველა იმ მართალი ადამიანის სულის წამების პირველსახე, რომლებიც ბოროტმა ადამიანებმა მოიძულეს, რადგან ბოროტებს სძულთ კეთილი ადამიანები და სიკვდილისთვის იმეტებენ მათ.



ახალგაზრდა მოწამე კალიოპეს ღვაწლი (ხსენება 7 აპრილს)

მოწამე კალიოპეს მამა იყო ცნობილი, მდიდარი პატრიცი და სენატორი. კალიოპე დაიბადა მესამე საუკუნის ბოლოს პამფილიის ქალაქ პერგეში. თავისი მდგომარეობის შესაბამისად მან საუკეთესო განათლება მიიღო. რწმენა მასში ღვთისმოსავმა დედამ – თეოკლიამ გააღვიძა. მან პატარაობიდანვე შთააგონა შვილს, რომ არ არსებობს ქრისტეს ერთგულებაზე დიდი ბედნიერება.

ეს ხანა იყო ოქროს ხანა ქრისტიანთა ცხოვრებაში. მდიდარმა და ცნობილმა ოჯახებმა, რომლებსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ იესო ქრისტეს სწავლება ჰქონდათ მიღებული, უარყვეს ყველა წარმართული ჩვეულება, ყოველივე, რითაც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ.

გარეგნულად ბრწყინვალე, მაგრამ სულით დატაკი, ქარაფ-შუტა და სუსტი უწინდელი დიდგვაროვანი ახალგაზრდობა შეცვალა ძლიერმა, ქრისტესთვის თავდადებულმა, უბიწო ზნეობით ზემთაგონებულმა თაობამ, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა ღმერთი.

ამბები წმინდანთა შესახებ, რომლებიც ეკლესიას ადიდებდნენ, იყო არა შორეული საუკუნეებისა, არა წიგნებიდან ამოკითხული, არამედ პირველი პირის მიერ მოთხრობილი, თვითმნილველის მიერ გადმოცემული. ყოველ ქრისტიანს პირზე ეკერა მოწამეთა სახელები და საოცარი ამბები ქრისტიანული სულის ურყევი ძალის შესახებ. მოწამეთა ტანჯვისას ცეცხლში, მოედნებსა და არენებზე სასწაული ხდებოდა. „ჩვენ გვწამს,

ჩვენ ქრისტიანები ვართ“ – ისმოდა მოწამეთა ბაგეებიდან. აი ასეთ ატმოსფეროში იზრდებოდა კალიოპე.

მის წარმოდგენაში ოცნება ხატავდა არა მდიდრულ ნადიმებს, ეტლებსა და დოლებს, არა კეისრის (მეფის) წყალობას, არამედ ქრისტეს ეკლის გვირგვინსა და ჯვარს – ვნებას და მოწამებრივ გვირგვინს.

კალიოპე უკვე ამთავრებდა სწავლა-განათლებას, როდესაც მათ მხარეში ქრისტიანთა დევნა დაიწყო. ნაბრძანები იყო კალიოპესთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ, მისი დიდგვაროვნების გამო. ეს შეიტყო დედამისმა და გადაწყვიტა შვილი ქალაქ ქილიკიაში გაეგზავნა.

საჩქაროდ, ერთ ღლეში მოემზადნენ: ახალგაზრდა ბატონის გასაცვილებლად მსახურები გამოყვეს, ხაზინადარს ბევრი ოქრო ჩაუთვალეს. კალიოპე ღამით უნდა გამგზავრებულიყო. დედა-შვილი მარტონი დარჩნენ. გამგზავრებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა. დედა უკანასკნელად აკვირდებოდა შვილის საყვარელ ნაკვთებს. ყველაფერი ნათქვამი იყო, ახლა ყველა სიტყვა უაზრო და უმნიშვნელო ჩანდა. დედასთან ხელჩაკიდებული კალიოპე მზერით ემშვიდობებოდა ოთახს, სადაც გაიზარდა და სწავლობდა, სადაც პირველად წარმოთქვა ლოცვა. – ოჰ, დედა, – წაიჩურჩულა მან, – მინდა ყველაფერი თან წავიღო, ბავშვობა, ყველაფერი, რაც აქ იყო, ჯვარცმის წინ დაკიდული ეს კანდელი, – დაბრუნდება კი ეს ყველაფერი?

იგი დედას თავით მიეყრდნო. ამქვეყნიურის სიყვარულმა დაამწუხრა იგი. – ვიცი, რომ იქ უკეთესია, – გააგრძელა მან, – მაგრამ რომ შეიძლებოდეს დევნულებისა და მღელვარების

გარეშე, კიდევ ცოტა ხანი გავაგრძელო ეს ცხოვრება – ჩვენი ლოცვები და მოწყალებები... მე მიმძიმს.

– ჩემო სანატრელო, ჩვენ უნდა ვიწვალოთ. ჩვენ გვქონდა უღრუბლო ნეტარება სამოთხის ბაღებში, მაგრამ ჩვენვე უარყავით იგი. ახლა კი აქ ყველაფერი სევდიანია. იქით, კალიოპე, იქით – ალტაცებით წამოიძახა თეოკლიამ და მიუთითა ცისკენ – სადაც არ არის განშორება, დევნა, სადაც დედას გულიდან არ აგლეჯენ საყვარელ შვილს. ახლა ქრისტეს დაუჯერე: ჯერ არ გამოჩენილა, ჯერ არ განცხადებულა, ჩვენი ადამიანური გულისათვის გაუგებარია იქაური სიხარული. მიენდე ქრისტეს უანგაროდ და ის მიგიღებს. არ შეშინდე, კალიოპე, მისი სიტყვები სარწმუნოა – ის შენთანაა საუკუნოდ.

ამ სიტყვებმა ყმაწვილი გაამხნევა. ახლა ის მშვიდი და მტკიცე იდგა დედის წინ.

დედამ მღუპარედ გადასახა შვილს ჯვარი, უკანასკნელად ჩაიკრა გულში. კალიოპეს ამაღლის მეთაური უკვე ელოდებოდა მას ზღრუბლთან. დედა უკანასკნელად მოეხვია ძვირფას შვილს და დარდიანად ჩახედა თვალებში.

– წადი, დედა შენთანაა, – წაიჩურჩულა მან დარდისაგან ჩახლეჩილი ხმით.

შვილი დედას განშორდა. დედამ კიდევ ერთხელ, ახლა უკვე შორიდან გადაწერა შვილს ჯვარი, უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და უთხრა: – შენი რწმენა არ შეარცხვინო!

კალიოპე მშობლიურ ქალაქს შორდებოდა.

როდესაც კალიოპე პამფილიის ქალაქ ქილიკიაში ჩავიდა, იქ კერპებისადმი მიძღვნილ დღესასწაულს ზეიმობდნენ.

სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი, მორთულ-მოკა-ზმული სახლები, გამოცოცხლებული სახეები; ყოველივე ამან გააკვირვა კალიოპე, იგი მიუახლოვდა მოქალაქეთა ერთ ჯგუფს და იკითხა, რითი იყო გამოწვეული ეს ზეიმი.

– როგორც ჩანს, ჩამოსული ხარ, – უპასუხეს მას, – ჩვენი ქალაქის მმართველმა, მაქსიმემ, დღევანდელ დღეს, ჩვენი ღმერთების პატივსაცემად დააწესა მსხვერპლშეწირვა, ცეკვები და თამაშობანი. ჩვენ ყველანი ვზეიმობთ და შენც გეპატიჟებით. ამოდ ცდილობდა კალიოპეს მსახური, გაერიდებინა იგი იქაურობისთვის. ყმაწვილს თვალები აენთო, გაიმართა, ბრბოს თამამად შეხედა და თქვა: – მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანულ დღესასწაულებს როკვით კი არა, მარხვითა და ლოცვით აღვნიშნავ, თქვენს ზეიმში მონაწილეობას ვერ მივიღებ. ქრისტეს მაღივებელი ბაგეები ბილწ კერპებს ხოტბას არასოდეს შეასხამს.

აღშფოთებულმა ბრბომ ყმაწვილი ქალაქის მმართველს მიჰკვარა.

– ვინ ხარ შენ? ჰკითხა მან კალიოპეს.

– მე ქრისტიანი ვარ და ჩემი სახელი კალიოპეა.

– რატომ არ იღებ მონაწილეობას ჩვენი ღმერთების პატივსაცემ ზეიმში?

– იმიტომ, რომ ვიცი, რა არის ჭეშმარიტება და ნათლისკენ მივისწრაფი. თქვენი ღმერთები კი სიცრუეა და თქვენ ბნელში ცხოვრობთ.

– ყმაწვილო, ახალგაზრდობის გამო თავხედობა არ გეპატიება, ვინ ხარ ასეთი, საიდან?

– მე პამფილიის ქალაქ პერგედან ვარ, სენატორთა და პატრიცთა გვარიდან, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ისაა, რომ ქრისტიანი ვარ.

– შენი მშობლები?

– მამა გარდამეცვალა, დედა ცოცხალია.

– ახლა ვიცი, ვინც ხარ, დიდია შენი დანაშაული, მაგრამ დიდია შენდამი ღმერთების წყალობაც, რომლებმაც უხვად დაგაჯილდოვეს გვარიშვილობით, სიმდიდრითა და სილამაზით. თუ ღმერთებს ქედს მოუხრი, ვფიცავ იუპიტერს, დავივიწყებ შენს დანაშაულს, გაპატიებ და ჩემს ერთადერთ ქალიშვილს ცოლად შეგერთავ.

– როგორც გენებოს ისე მოიქეცი, მე ქრისტიანი ვარ.

– კალიოპე სასტიკად აწამეს. ლითონის წკეპლების ყოველ დარტყმაზე ის წამოიძახებდა:

– გამადლობთ შენ, ჩემო ქრისტე, რომ შენთვის წამების ღირსი გამხადე.

– თაყვანი ეცი ღმერთებს, – უთხრა მას მაქსიმემ. – შენ კვლავ იხილავ სამშობლოს, დედაშენს. ნახე, რა საშინელ წამებაში ხარ...

– მე ვხედავ მომავალი განსვენების სიტკბოებას და ტანჯვას ვერ ვგრძნობ. აქ მართო არა ვარ. ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესია ჩემი დედაა, ხოლო ზეციური სამეფო, რომელსაც ვუახლოვდები, – ჩემი სამშობლოა. მე ვევენები და რაც უფრო მძიმე იქნება ტანჯვა, მით მეტი იქნება სიხარული, მე გვირგვინი მწყურია. ტანჯვის გარეშე გვირგვინოსანი არავინ გამხდარა.

მაშინ ახალი წამება მოიგონეს. კალიოპე ბორბალზე დააკრეს, რომლის ბასრი დანები მოწამეს სხეულს უსერავდა, ქვემოდან კი ცეცხლი შეუნთეს.

როდესაც ტანჯვა აუტანელი გახდა, მოწამე ღმერთს შეევედრა: – ღმერთო, შეეწიე შენს მონას, რათა მე, უღირსმა შევძლო ვადიდო შენი წმიდა სახელი, რათა ყველამ დაინახოს, რომ არ გაწბილდება შენდამი მონდობილი.

და აი წარსდგა უფლის ანგელოზი, ჩააქრო ცეცხლი, გააჩერა ბორბალი. კალიოპე წამების იარაღიდან გადმოხსნეს. ხალხმა, რომელიც გაოგნებული უყურებდა ამ ყმაწვილის მოთმინებას, შესძახა: „ო, უსამართლო სამსჯავრო, დიდებულია ეს ყმაწვილი!“

კალიოპე საპყრობილეში ჩააგდეს. იგი გრძნობდა, რომ უკვე ახლოს იყო აღსასრული, რომ მას ერგო მოწამის ხვედრი, რომლის შესახებ ბავშვობაში სმენოდა, რომ წარსული ცხოვრება სამუდამოდ გაქრა, ყველაფერი ახლით სუნთქავდა – და ის მზად იყო, დაეტოვებინა ამქვეყნიური ბედნიერება: სიმდიდრე, სახელი, ბუნების სიმშვენიერე, – ყველაფერი ეს ისეთი უსუსური იყო იმასთან შედარებით, რაც მის წინ იხსნებოდა. ამ მიწაზე გატარებულ უკანასკნელ საათებში იგი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა.

„დედა, დედა“, – ჩურჩულებდა კალიოპე დასუსტებული ნმით. მას სურდა, რომ დედა მასთან ყოფილიყო, დაელოცა მისი თავდადება და ენახა დედის ანდერძის ერთგული შვილის სიკვდილი.

კალიოპეს სურვილი ასრულდა. დედამ შეიტყო შვილის ამბავი. სასწრაფოდ შეადგინა ანდერძი: გაათავისუფლა მონები,

ოქრო-ვერცხლი და სხვა ძვირფასეულობა ღარიბებს დაურიგა, უძრავი ქონება — სოფლები, ვენახები, ყანები — ეკლესიას გადასცა, დატოვა სამშობლო და ქილიკიაში გაემგზავრა, სადაც მისი შვილი ქრისტესთვის ეწამებოდა.

თეოკლიამ დაცვა მოისყიდა და საპყრობილეში შევიდა.

კალიოპემ თვალი გაახილა და წაიჩურჩულა: „ო, დედა, რა კარგია რომ მოხვედი“. მეტის თქმა ვერ შეძლო, მაგრამ ამ სიტყვებში იგრძნობოდა გამოუთქმელი სიხარული.

დედა შვილის წინ დაიხარა, მუხლებზე დაჩოქილმა ჭრილობებიდან ჩირქი მოწმინდა და თქვა: „ნეტარი ვარ, რადგან ჩემი შვილის მოწამეობა ვნახე“. მთელი ღამე იჯდა დედა შვილის ფეხებთან და ლოცულობდა.

შუალამისას დიადმა ნათელმა გააბრწყინა საპყრობილე და გაისმა ხმა: „თქვენ უფლის წმიდა აღმსარებლები ხართ, თქვენ დატოვეთ სამშობლო, მამული და ქრისტესთან ერთად იტანჯებით“.

გათენდა. იყო დიდი ხუთშაბათი — საიდუმლო სერობის დღე.

კალიოპეს ჯვარცმა მიუსაჯეს. მთელი ტანჯვის განმავლობაში თეოკლია შვილს არ მოშორებია და სიტყვებით ამხნევებდა მას. პარასკევს, დღის მესამე ჟამს ზეციდან ხმა გაისმა: „მოდი, ქრისტეს თანამოქალაქევ, წმინდანთა მემკვიდრევ“, — და მაშინ კალიოპეს სული ზეცაში ავიდა.

დედამ ჯვრიდან გადმოხსნილი შვილის სხეული გულში ჩაიკრა, აღიდა ღმერთი და სული განუტევა.



იოანე ახალი, ახალგაზრდა მოწამე
(ხსენება 18 აპრილს)

ამ მოწამის სამშობლო საბერძნეთის პროვინცია ეპირი გახლავთ.

ადრე დაობლებული ყმაწვილი კონსტანტინოპოლში წავიდა, იქ ბაზარში იპოვა ადგილი და ხელოსნობით გაჰქონდა თავი. ღმერთი ეხმარებოდა მას, მისი სათნოების, უმწიკვლოების, ღვთისმოშიშობის და მცნებათა დაცვის გამო.

იმ დროისათვის კონსტანტინოპოლი თურქებს უკვე დაჰყრობილი ჰქონდათ. მრავალი ქრისტიანი გამაჰმადიანდა და სწორედ ასეთი განდგომილების გვერდით უწევდა ყმაწვილს ვაჭრობა. ის ხშირად კამათობდა მათთან სარწმუნოების გამო, ამხელდა მათ განდგომილებას, იყო თამამი, ენაწყლიანი და უშიშრად იცავდა ჭეშმარიტებას. ვაჭრებმა შეიძულეს ყმაწვილი, რადგან ის მათ ამხელდა და თანაც საქმეც კარგად მისდიოდა.

იოანე გრძნობდა, როგორ მოიძულეს იგი, მაგრამ ნეტარს არა თუ ეშინოდა, არამედ მთელი სულით უნდოდა წამებულყო ქრისტესთვის.

წმიდა იოანემ თავისი გადაწყვეტილება მოძღვარს გაანდო. თავიდან მოძღვარი არ ეთანხმებოდა, ცდილობდა დაეყოლიებინა ყმაწვილი, უარი ეთქვა მოწამებრივ ღვაწლზე, რადგან შიშობდა, რომ ასეთი ახალგაზრდა ვერ გაუმკლავდებოდა ამ მძიმე ხვედრს; ბოლოს დაეთანხმა და ღვთის ნებას მიანდო იგი.


მეორე ღლეს იოანე გაბრწყინებული სახით, ანთებული სულით მივიდა მოძღვართან და უთხრა: „მამაო, ამ ღამით ხილვა მქონდა, ცეცხლის ალში გახარებული და გამარჯვებული ვიდ-

ექი, როგორც ოდესღაც სამი ყრმა იდგა ბაბილონის ღუმელში. იმედია, უფლის შეწევნით, კეთილად დასრულდება ჩემი ჩანაფიქრი. ილოცე ჩემთვის!“

იმავე დღეს ვაჭრებმა ბაზარში განაცხადეს, რომ იოანეს მიღებული ჰქონდა მაჰმადიანობა და შემდეგ განუდგა მათ სარწმუნოებას.

– არასოდეს, წამოიძახა ახალგაზრდა აღმსარებელმა, – არასოდეს განვდგომივარ ქრისტეს. ქრისტეს რჯულით ვცხოვრობ, მუდამ ასე ვიცხოვრებ და მზად ვარ მისთვის თავიც გავწირო.

ქრისტიანული აღმსარებლობის გამო ყმაწვილი შეიპყრეს. რამდენიმე დღის საშინელი ტანჯვის შემდეგ მისი სული მარადიულ ნეტარებაში გადავიდა. ეს მოხდა 1526 წელს.



წმიდა თეოდორე სიკეიმთის ბავშვობა,
ყრმობა და ახალგაზრდობა
(ხსენება 22 აპრილს)

წმიდა თეოდორე წარმოშობით მცირე აზიიდან, სოფელ სიკეიდან იყო. მისი მამა, კოზმანი იმპერატორ იუსტინე დიდის კარზე მსახურობდა.

თეოდორეს დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე დედამისს — მარიამს ძილში ხილვა ჰქონდა — დიდი, კაშკაშა ვარსკვლავი ციდან მისკენ დაეშვა. გამოღვიძებისთანავე მან ეს ხილვა თავის დედას, ელპიდიას და დას, დისპენიას უამბო. შემდეგ შორსმჭვრეტელ განდევილ ბერთან მივიდა, მას უამბო თავისი ხილვის შესახებ და თან გაანდო, რომ ფეხმძიმედ იყო.

ბერმა უთხრა: „ბავშვი, რომელსაც შენ მუცლით ატარებ, ნამდვილად დიდი კაცი იქნება, არა მარტო ადამიანების, არამედ ღმერთის წინაშე... შენ ეს ვარსკვლავი ამქვეყნიურ მეფურ დიდებას კი არა, შენს შვილზე გადმოსულ ღვთაებრივ დიდებას, სათნობასა და კურთხევას გამცნობს, რადგან უფალი თავის რჩეულებს დაბადებამდე, დედის მუცელშივე აკურთხებს“.

ეს უწინასწარმეტყველა ბერმა მარიამს და მშვიდობით გაისტუმრა. ამ ამბის შესახებ შეიტყო ადგილობრივმა ეპისკოპოსმა თეოდოსიმ. მასაც მიაჩნდა, რომ მომავალი ბავშვი უფლის რჩეული იქნებოდა.

მარიამი, ბერის რჩევით, ღვთისათვის სათნოდ ცხოვრობდა, სრულ უბიწოებაში დედასთან და დასთან ერთად.

როდესაც დრო მოვიდა, მარიამმა გააჩინა ეს ღვთის მონა და სახელად თეოდორე უწოდა, რაც ბერძნულად „ღვთის საჩუ-

ქარს“ ნიშნავს. ასე რომ, სახელიც კი მეტყველებდა იმაზე, რომ ეს ბავშვი უფლის დიდი საჩუქარი იქნებოდა ამ ქვეყნისათვის.

როდესაც ბიჭს ექვსი წელი შეუსრულდა, დედამ გადაწყვიტა წინასწარ ჩაეწერა იგი სამხედრო წოდებაში. მოუძადა მას ოქროს ქამარი, ძვირფასი ტანსაცმელი და ყველაფერი, რაც მეომრისთვის იყო საჭირო. იგი კონსტანტინოპოლში აპირებდა გამგზავრებას, რათა იქ მეფისთვის ეთხოვა, რომ მისი შვილი სამეფო ჯარში ჩაერიცხა.

ღამე მარიამს წმიდა დიდმოწამე გიორგი გამოეცხადა და უთხრა, რომ ამაო იყო მისი ფიქრი შვილის სამხედრო სამსახურზე, რადგან უფალს თავისთვის უნდოდა მისი ვაჟი. გამოღვიძებული მარიამი ატირდა, რადგან ეგონა, რომ შვილი მალე მოკვდებოდა. მაგრამ ბიჭი იზრდებოდა და წლებთან ერთად უფრო გონიერი ხდებოდა.

რვა წლის ასაკში დედამ შვილი სასწავლებლად მიაბარა. ღვთის მადლით იგი ყველაზე კარგად სწავლობდა და თავისი კეთილზნობით ყველას თავი შეაყვარა. ბავშვურ თამაშებში ზრდასრული კაცის გონებას ამჟღავნებდა, არ წამოსცდებოდა ცუდი სიტყვა, ფიცი ან გმობა და მეგობრებსაც იცავდა ამისაგან. მას ისეთი გავლენა ჰქონდა ამხანაგებზე, რომ აღვილად ახერხებდა მათ შორის ატეხილი ყოველგვარი ჩხუბისა და ბრძოლის შეჩერებას.

მათ სახლში ცხოვრობდა ღვთისმოსავი მოხუცი კაცი, სტეფანე. თეოდორემ შეამჩნია, რომ დიდ მარხვაში მოხუცი მხოლოდ საღამო ჟამს ჭამდა ცოტაოდენ პურს წყალთან ერთად. ბიჭმა გადაწყვიტა მიეზადა ამ ღვთისმოსავი მოხუცისათვის და საღამომდე თავს იკავებდა საკვების მიღებისაგან. დედა აძალებ-

და შვილს ეჭამა, ბიჭი უარს ამბობდა და ამაზე საუბარი რომ აღარ ყოფილიყო, სასწავლებელში რჩებოდა და სახლში საღამომდე არ ბრუნდებოდა. დედა მასწავლებელს მოელაპარაკა, სადილისთვის სახლში გამოეშვა ბიჭი, რადგან ხანგრძლივი თავშეკავების გამო ის ძალიან გამხდარი და დასუსტებული იყო. მაგრამ როდესაც თეოდორეს უშვებდნენ, სახლში დაბრუნების ნაცვლად იგი წმიდა მოწამე გიორგის სახელობის ეკლესიაში მიდიოდა, აქ დიდმოწამე მშვენიერი ყმაწვილის სახლით ეცნადებოდა თეოდორეს და შეჰყავდა ეკლესიაში, სადაც იგი კითხვაში ვარჯიშობდა.

როდესაც თეოდორე ცხრა წლის იყო, მას შეეყარა სოფელში მოღებულნი გადამღები დაავადება. ბიჭი სიკვდილის პირას იყო, ახლობლებს აღარ ჰქონდათ მისი გადარჩენის იმედი. ცოცხალმკვდარი იგი იოანე ნათლისმცემლის ტაძარში გადაიყვანეს და საკურთხეველის წინ დააწვინეს. უეცრად ტაძრის თაღზე გამოსახული მაცხოვრის ფრესკიდან ცვრის ორი წვეთი გადმოვარდა, ავადმყოფ ბავშვს დაეცა და იგი სრულიად განკურნებული ფეხზე წამოდგა.

როდესაც თეოდორეს სახლში ეძინა, მასთან მოდიოდა წმიდა დიდმოწამე გიორგი, აღვიძებდა მას და ეუბნებოდა: „აღექი თეოდორე, უკვე მზე ამოვიდა, დილის ლოცვის დროა, წავიდეთ წმიდა დიდმოწამე გიორგის ეკლესიაში“. და ყმაწვილიც სიხარულითა და ხალისით დგებოდა.

დედას და ოჯახის დანარჩენ ქალებს თავიდან უკვირდათ, რომ თეოდორე დილაობით ლოგინში არ ხვდებოდათ, შემდეგ კი მიხვდნენ, რომ იგი ღამ-ღამობით ეკლესიაში მიდიოდა.

დედას ეშინოდა ველურ ნადირებს არ დაეგლიჯათ ბავშვი და ამიტომაც მზის ამოსვლამდე შვილს ეკლესიაში სიარული აუკრძალა. მაგრამ ნეტარი ყმაწვილი დედას არ უჯერებდა და დიდმოწამის მიერ გაღვიბებული კვლავ განაგრძობდა ეკლესიაში სიარულს.

ქალები ეკითხებოდნენ მას, როგორ არ ეშინოდა ნადირების, გათენებამდე რომ მიდიოდა ეკლესიაში. თეოდორემ აუხსნა მათ, რომ ყოველ ღამე მას გაცისკროვნებული ყმაწვილი აღვიძებს, მიჰყავს ეკლესიაში და გზად ნადირებისაგან იცავს. მაშინ მიხვდნენ ქალები, რომ ყმაწვილს ეცხადება და იცავს წმიდა დიდმოწამე გიორგი, რომელიც მათ ღამე ხილვაში ნახეს. ამ დროიდან ხელი აღარ შეუშლიათ თეოდორესთვის, მიანდეს იგი ღვთის განგებას, რათა მასზე უფლის ნება-სურვილი აღსრულებულიყო.

თეოდორეს ჰყავდა უმცროსი და, ვლათა, რომელიც დედამისს მეორე ქმრისაგან შეეძინა. ვლათა ხშირად დაყვებოდა ძმას ეკლესიაში, ლოცულობდა და ცდილობდა მისთვის მიებაძა. ვლათაზეც, როგორც თეოდორეზე, გადმოსული იყო სულიწმიდის მადლი.

მათი სახლის მახლობლად იყო წმიდა მოწამე ემელიანეს ტაძარი, რომელიც ქალაქ ანკირაში ჯვარს აცვეს უღმრთო იულიანე განდგომილის დროს. ერთხელ თეოდორე მთელი ღამე ლოცულობდა ამ ტაძარში. შუადამისას მას ხილვა ჰქონდა. იგი იდგა ტანტზე დიდებით დაბრძანებული მეფის წინაშე. მეფეს მრავალი მეომარი ეხვეოდა, მის მარჯვნივ მეწამულში შემოსილი ქალი იჯდა. გაისმა მეფის ხმა: „იღვაწე, თეოდორე, რათა

სრულყოფილი ჯილდო მიიღო ზეციურ სასუფეველში... მე სახელს გაგითქვამ და დიდებით შეგმოსავ ხალხის წინაშე“.

ეს ხილვა თეოდორეს თორმეტი წლის ასაკში ჰქონდა. მას შემდეგ მას ღვთისმსახურების კიდევ უფრო დიდი სურვილი გაუჩნდა, ღვთისადმი კიდევ უფრო მხურვალე სიყვარულით აინთო მისი გული. იგი ნათლისღებიდან ბზობის კვირამდე ჩაიკეტა თავისი სახლის საკუჭნაოში და დრო მარხვაში, ლოცვასა და სასულიერო წიგნების კითხვაში გაატარა. საუბრობდა მხოლოდ ღმერთთან.

ხოლო როდესაც დიდმარხვა დამთავრდა და აღდგომის ბრწყინვალე ღღესასწაული დადგა, მოძულე ეშმაკმა ვერ აიტანა ყმაწვილის სათნოებანი და მისი დაღუპვა გადაწყვიტა.

მან მიიღო თეოდორეს ამხანაგის — გერონტის სახე, მივიდა მასთან და გასეირნება შესთავაზა, შეიტყუა მაღალ მთაზე, უფსკრულის პირას დააყენა და მის ცდუნებას შეეცადა, როგორც ოდესღაც თვით ქრისტეს სცდიდა იორდანეს უდაბნოში.

— კეთილო თეოდორე, თუ მამაცი ხარ, გადახტი აქედან, — ეუბნებოდა ის.

— მეშინია, პასუხობდა თეოდორე, — სიმაღლე ძალიან დიდია.

— სასწავლებელში ყველაზე მამაცი იყავი და ახლა გეშინია? — აღვივებდა მის პატივმოყვარეობას ეშმაკი. — აი მე კი არ მეშინია, ახლავე შემიძლია გადავხტე.

— ნუ იზამ ამას, თორემ სასიკვდილოდ დაიმსხვრევი, — შეეწინააღმდეგა მას თეოდორე.

ეშმაკი არწმუნებდა, რომ არაფერი მოუვიდოდა.

– თუ გადახტები და არაფერი მოგივა, მაშინ მეც გავბედავ შენს მერე გადმობტომას, – პასუხობდა თეოდორე.

მაშინ ეშმაკი გადაეშვა უფსკრულში და იქიდან ეძახდა თეოდორეს.

ამ საოცარი მოვლენის შემხედვარე თეოდორე ასე ფიქრობდა: როგორ შეიძლო გერონტიმ, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმამაცით, ასეთი სიმაღლიდან უზნებლად ჩამხტარიყო? ამ ფიქრებში იყო ყმაწვილი, როდესაც წმიდა დიდმოწამე გიორგი გამოეცხადა, ხელი მოჰკიდა და უთხრა: „მე წამომყევი, ნუ უსმენ მაცდურს, რომელსაც შენი სულის დალუპვა სურს, ეს გერონტი კი არა – ადამიანთა მტერია“.

დიდმოწამემ ყმაწვილი თავის ეკლესიაში მიიყვანა, აქ მას დედა და ბებია ელოდნენ, მათ სურდათ ნეტარი სახლში წაეყვანათ, რადგან იქ ნათესავები და მეზობლები ელოდნენ. ყმაწვილს კარგად ახსოვდა, რომ ამქვეყნიურის სიყვარული ღმერთის ღალატია, ამიტომ არ წაყვა მათ.

მათგან ათიოდე ვერსის მოშორებით დიდ ღვაწლში იყო განმარტოებით მცხოვრები ბერი გლიკერიოსი. კურთხევის მისაღებად თეოდორე მასთან გაემგზავრა...

შორსმჭვრეტელმა გლიკერიოსმა მაშინვე შეიცნო ყმაწვილში ჩასახლებული სულიწმიდა, სიხარულით მიიღო იგი და თავაზიანი ღიმილით უთხრა:

– შვილო, გიყვარს ბერული ცხოვრების წესი?

– ძალიან, მამაო, – უპასუხა ყმაწვილმა.

იმ დროს ქვეყანაში დიდი გვალვა იყო. ისინი სენაკიდან გამოვიდნენ, იოანე ნათლისმცემლის ტაძრის წინ დადგნენ და წმიდა გლიკერიოსმა უთხრა ნეტარ ყმაწვილს: – შვილო, მუხლი

მოვიყაროთ და ვილოცოთ, რათა უფალმა ჩვენზე მოწყალება მოიღოს და წვიმა გამოგვიგზავნოს. ასე მივხვდებით, მიიღო თუ არა უფალმა ჩვენი ლოცვა.

ბერმა ეს ღმერთის გამოსაცდელად კი არ ჩაიფიქრა, არამედ იმედი ჰქონდა, რომ ღმერთი შეისმენდა ამ წმიდა ყმაწვილის ლოცვას.

მუხლმოყრილები ისინი ლოცვას შეუდგნენ. უცებ ცა ღრუბლებით დაიფარა, და როდესაც ლოცვა დაამთავრეს და ფეხზე წამოდგნენ, კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ბერის კურთხევის მიღების შემდეგ ყმაწვილი დაემშვიდობა მას და სახლში დაბრუნდა.

თოთხმეტი წლის ასაკში თეოდორემ საბოლოოდ გადაწყვიტა, სახლიდან წასულიყო და წმიდა გიორგის ეკლესიასთან დაახლოებულიყო. ოჯახის წევრებს კი დაბეჯითებით მოსთხოვა ხელი არ შეეშალათ მისთვის გადაწყვეტილების შესრულებაში და ხშირი სტუმრობით არ მოეცდინათ. მათ ვერ გაბედეს წინააღმდეგობის გაწევა, რადგან იცოდნენ, რომ თეოდორე ღმერთის რჩეული იყო.

და აი, თეოდორემ საკურთხევლის ქვეშ მთაში პატარა გამოქვაბული გამოთხარა და იქ დასახლდა, მხოლოდ ლოცვისთვის მიდიოდა ეკლესიაში. დედა საჭმელს უგზავნიდა, მაგრამ თეოდორე მას პირს არ აკარებდა, გზის პირას ქვებზე ტოვებდა ფრინველებისა და ცხოველებისთვის, თვითონ კი სეფისკვერებით იკვებებოდა. ნათლისღების დღესასწაულზე იგი სხვებთან ერთად წყლის კურთხევაზე მიდიოდა, წყალში ფეხშიშველა შედიოდა და მსახურების დამთავრებამდე გაუნძრევლად იდგა.

ნათლისღების შემდეგ მღვიმეში ბრუნდებოდა და გამოუსვლელად იყო მდუმარებაში ბზობის კვირამდე.

ელპიტე ბებიას შვილებზე მეტად თავისი შვილიშვილი — თეოდორე უყვარდა და ხარობდა მისი ღვაწლით. მას მიჰქონდა მისთვის პური და ბოსტნეული, რომელსაც თეოდორე შაბათ-კვირას იღებდა.

ყველას უკვირდა მისი ღვაწლი ასე ახალგაზრდა ასაკში და ადიდებდნენ ღმერთს. ის, რაც დაფარული არს ბრძენთათვის, გაცხადებულ არს ჩვილთათვის.

ადგილობრივი ეპისკოპოსიც, რომელსაც გაგონილი ჰქონდა თეოდორეს ღვაწლასთან დაკავშირებული საკვირველი ნიშნები, ხარობდა ყმაწვილის ღვაწლით, აქებდა მას და ამბობდა, რომ ღმერთი განაბრძნობდა თეოდორეს ცხოვრების ამგვარად წარმართვაში.

ერთხელ თეოდორე გაცივდა და ავად გახდა. მას წმიდა დიდმოწამე გიორგი გამოეცხადა და ავადმყოფობის მიზეზი ჰკითხა. ყმაწვილმა ირგვლივ მიმოიხედა, დაინახა უწმინდური სული, დიდმოწამეს მასზე მიუთითა და უთხრა: „აი ამ ბილწმა და საძაგელმა დამაავადა“. წმიდა გიორგიმ გააგლო უწმინდური, თეოდორეს ხელი გაუწოდა და უთხრა: „ადექი, გამოჯანმრთელდი, გაიძვერა მტერი აღარ გამოჩნდება შენ წინაშე“.

თეოდორე სრულიად ჯანმრთელი წამოდგა.

თეოდორე ოცნებობდა მიებაძა იოანე ნათლისმცემლის და ილია წინასწარმეტყველის მეუღაბნოე ცხოვრებისათვის. იპოვა უღაბური ადგილი, გამოთხარა მღვიმე და ერთ სათნო დიაკონს სთხოვა, განსაზღვრულ ღროს მოეტანა ხოლმე მისთვის ცოტაოდენი პური და წყალი. ასევე სთხოვა მოეტანა მისთვის

უხეში სამოსი, რადგან აქამდე დედამისის მოტანილ რბილ ტანსაცმელს ატარებდა. იგი მღვიმეში ჩაიკეტა, დიაკონმა კი მისი თხოვნით შესასვლელი ამოქოლა, დატოვა მხოლოდ პატარა ნაპრალი ჰაერისთვის და პურისა და წყლის მისაწოდებლად.

ასეთ განდევილობაში, მიწაში მიცვალებულივით დაფლულმა წმინდანმა ორი წელი გაატარა. დიაკვნის გარდა მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. თანასოფლელებს უკვირდათ, რომ თეოდორეს ეკლესიაში ვერ ხედავდნენ. ერთხელ მათ სოფელზე სამხედრო რაზმებმა ჩაიარეს, ზოგიერთმა იფიქრა, რომ თეოდორე ამ სამხედროებმა ძალით წაიყვანეს და თავიანთი ქვეყნის მმართველს სთხოვეს გაეგზავნა ხალხი მის საძებრად. როცა თეოდორე იქაც არ აღმოჩნდა, გადაწყვიტეს, რომ იგი ნადირმა შეჭამა. დედა და მთელი ოჯახი დასტიროდა დაკარგულ ყმაწვილს.


ორი წლის შემდეგ დიაკონმა, რომელსაც გულს უკლავდა თეოდორეს დედის ქვითინი და თანაც ეშინოდა ყმაწვილი არ მომკვდარიყო ასეთ მძიმე პირობებში, გათქვა საიდუმლო.

გახარებულმა თანასოფლელებმა სასწრაფოდ ამოთხარეს მღვიმე და ამოიყვანეს თეოდორე. დღის შუქის შემხედვარე ყმაწვილი ხმას არ იღებდა, თავი სულ მთლად ფუფხებით ჰქონდა დაფარული. ატირებულმა ოჯახის წევრებმა იგი წმიდა გიორგის ეკლესიაში მიიყვანეს.

დედას სურდა სამკურნალოდ შვილის სახლში მიყვანა, მაგრამ იგი არ დათანხმდა და კვლავ ეკლესიასთან დასახლდა. თავიც მალე მოურჩა.

ეპისკოპოსმა შეიტყო ღვთის მონის – თეოდორეს ღვაწლის შესახებ და დიაკვანთან ერთად მის სანახავად წამოვიდა. ღვთის შთაგონებით მან ახალგაზრდა მოღვაწე ჯერ დიაკვნად აკურთხა, ხოლო შემდეგ – მღვდლად. მაშინ თეოდორე თვრამეტი წლისა იყო. მისი კურთხევა აღესრულა წმიდა ტიმოთეს მსგავსად, რომელიც წმიდა მოციქულმა პავლემ ახალგაზრდა ასაკში ეპისკოპოსად აკურთხა.

წმიდა თეოდორე სიკეთმა დიდი სასწაულებით გაითქვა სახელი. მომავალში იგი ეპისკოპოსად აკურთხეს.



რუსული სამონაზვნო ცხოვრების მამის,
კიევი-პეჩორის მონასტრის ილუმენის, ღირსი
თეოდოსის ბავშვობა და სიყმაწვილე
(სსმნება 3 მაისს)

ძველი კიევი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. მის სახელთანაა დაკავშირებული რუსეთში მართლმადიდებლობის დასაწყისი.

კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმერმა ირწმუნა ქრისტე, კონსტანტინოპოლში მონინათლა და ამის შემდეგ მთელი კიევი მონინათლა მდინარე დნეპრში.

რუსეთში მართლმადიდებელი რწმენა მთელი ძალით გაიფურჩქნა. ვლადიმერის მემკვიდრეების პერიოდში კიევში დაარსდა საოცარი სამონასტრო ბუდე, სადაც თავშესაფარი იპოვეს იმ ადამიანებმა, რომელთაც სწყუროდათ ქრისტესთვის თავგანწირვა, წუთისოფლისაგან სრული განშორება, მკაცრი ცხოვრება.

ეს გახლდათ კიევი-პეჩორის მონასტერი, რომელიც ღირსმა ანტონიმ და ღირსმა თეოდოსიმ დააარსეს.

ჩერნიგოვის მხარის მკვიდრმა ღირსმა ანტონიმ მონაზვნობა ათონზე დაიწყო. იქიდან ჩავიდა კიევში და დნეპრის პირას მღვიმეში განმარტოვდა, სადაც გადმოცემის მიხედვით მოღვაწეობდა კიევის მიტროპოლიტი ილარიონი. ამ მღვიმეში პირველად დაიწყო რუსეთში მონაზვნური ცხოვრების ღვაწლი. ნელ-ნელა მის ამ სულისკვეთებას სხვა ადამიანებაც შეუერთდნენ. სავანე გაიფურჩქნა, იგი კიევის მთავრებისა და მთელი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერითა და პატივისცემით სარგებლობდა.

კიევი-პეჩორელი ბერები დიდი სათნოებით გამოირჩეოდნენ. ზოგიერთი მათგანი ტოვებდა სავანეს და ქრისტეს რჯულს ველურ წარმართ ტომებში ქადაგებდა.

მონასტერი ძლიერდებოდა ღვთისმშობლის სასწაულებით და იზრდებოდა კიევი-პეჩორის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის გარშემო. ეს სასწაულებრივი ხატი კონსტანტინოპოლში თავად ღვთისმშობელმა გადასცა თორმეტ ხუროთმოძღვარს და დაავალა მათ რუსეთის მიწაზე მისი სახელობის ტაძარი აეგოთ.

ახლა, როდესაც მომლოცველი მოხვდება კიევი-პეჩორის ლავრის დიდ ტაძარში, მოუსმენს მონასტრის გუნდის განსაკუთრებულ გალობას, ჩავა ბნელ მღვიმეში, სადაც უხრწნელად განისვენებენ კიევი-პეჩორელი ღირსი ბერები, იქიდან ამოსული კი კურთხეული კიევის მზის სხივებით გაბრწყინებული დნებრის ულამაზეს ხეობას გადახედავს, რომლის ნაპირზე კიევი-პეჩორის ლავრა დგას, მაშინ მის სულში გაიღვიძებს იმ ადამიანთა გრძნობები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ, გაიხსენებს ღვთის თავდადებულ მონას, ანტონის, და გულმოდგინე ღირს თეოდოსის.

კიევიდან ორმოცდაათი ვერსის მოშორებით, ქალაქ ვასილევიში ცხოვრობდნენ თეოდოსის მშობლები, ქრისტიანული რწმენით განათლებული და მრავალი სათნოებით შემკული ადამიანები. აქ დაიბადა წმინდანი. მერვე დღეს, ქრისტიანული წესისამებრ, სახელის დასარქმევად იგი ტაძარში მიიყვანეს. მღვდელმა წინასწარ განჭვრიტა, რომ ეს ბავშვი ადრეული ასაკიდანვე ღმერთს მიუძღვნოდა თავს და დაარქვა მას თეოდოსი, რაც ბერძნულად „ღვთის საჩუქარს“ ნიშნავს.

თავადის ბრძანებით, რომელშიც, რა თქმა უნდა, ღვთის ნება გამოიხატებოდა, წმინდანის მშობლები ქალაქ კურსკში გადასახლდნენ.

ყმაწვილს ასაკთან ერთად სიბრძნე და ღვთის სიყვარული ემატებოდა. იგი მშობლებს სასწავლებლად საღვთისმეტყველო წიგნებს სთხოვდა. მან ისე სწრაფად შეისწავლა საღმრთო წერილი, რომ ყველა გააოცა მისმა გონიერებამ. თეოდოსი ყოველდღე დადიოდა ეკლესიაში, დიდი გულისყურით ისმენდა წირვას, თავს არიდებდა ბავშვებთან თამაშს, მდიდრულ ჩაცმულობას უბრალო სამოსელს ამჯობინებდა.

ცამეტი წლის იყო თეოდოსი, როდესაც მამა გარდაეცვალა. მას შემდეგ მან მოუხშირა თავის მსახურებთან ერთად ყანაში მუშაობას. დედა ამაყი ქალი იყო, მას მიაჩნდა, რომ ასეთი ცხოვრების წესი მის შვილს არ შეეფერებოდა. იგი უკრძალავდა შვილს მუშაობას, ითხოვდა, რომ ყმაწვილს კარგად ჩაეცვა და თანატოლებთან ეთამაშა.

მაგრამ ნეტარი ჭაბუკი დედას არ ემორჩილებოდა, მას ღარიბული ცხოვრება სურდა, რის გამოც დედა სცემდა კიდევ.

ღვთისმოსავი ყმაწვილი მხოლოდ სულის ცხონებაზე ფიქრობდა. მას გაგონილი ჰქონდა წმიდა ადგილების შესახებ, სადაც იესო ქრისტე დაიბადა, სადაც დადიოდა და თავის წმიდა სწავლებას ავრცელებდა. თეოდოსი გულით ლოცულობდა: „ღმერთო ჩემო, იესო ქრისტე, შეისმინე ჩემი ლოცვა და ღირსმყავ, ვნახო წმიდა ადგილები და თაყვანი ვცე მათ“.

ერთხელ კურსკში მწირები ჩამოვიდნენ. ნეტარ ყმაწვილს გაუხარდა, სიყვარულით მიესალმა მათ და გამოჰკითხა, საიდან მოდიოდნენ და საით მიემართებოდნენ. ჩვენ წმიდა ქალა-

ქიდან — იერუსალიმიდან ვართ — უპასუხეს მათ, — თუ ღმერთი ინებებს ისევ იქ ჩავალთ.

ბიჭი შეეხვეწა ისიც თან წაეყვანათ. მწირები დათანხმდნენ და შეატყობინეს კურსკიდან გასვლის დრო. ბიჭი ღამით სახლიდან გაიპარა და დიდი სიხარულით გაემართა მწირებისაკენ.

მაგრამ ღმერთმა არ დაუშვა, რომ რუსეთიდან წასულიყო ის, ვინც რუსეთის ბერ-მონაზვნობის მამამთავრად გამოირჩია.

სამი დღის შემდეგ დედამ შეიტყო, რომ მისი შვილი მწირებს გაჰყოლოდა. თავის უმცროს ვაჟთან ერთად დაედევნა და დაეწია გაქცეულებს. თმით ითრია, უმოწყალოდ სცემა, სახლში წამოიყვანა, გათოკა და ოთახში ჩაკეტა. ნეტარი თეოდოსი ყველაფერს სიხარულით იღებდა და მაღლობდა ღმერთს.

ორი დღის შემდეგ დედამ ოთახიდან გამოუშვა და ცოტაოდენი საჭმელი მისცა, ფეხებზე ბორკილები დაადო, რომ ოთახიდან არ გაქცეულიყო. ყმაწვილი დიდხანს იყო ბორკილდადებული. ბოლოს დედას გული მოუღბა და შვილს ალერსით სთხოვა, არ გაქცეულიყო, რადგან იგი გამორჩეულად უყვარდა და მის გარეშე სიცოცხლე არ შეეძლო. თეოდოსი დედას დაეთანხმა. ამის შემდეგ ის ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა — ყოველდღე ეკლესიაში დადიოდა.

თეოდოსი ტაძრის დასახმარებლად შეუდგა სეფისკვერების ცხოვას. სეფისკვერების გაყიდვით მიღებული ფულით იგი ღარიბებს ეხმარებოდა. ხორბალს ყიდულობდა, თავისი ხელით ფქვავდა და ისევ სეფისკვერებს აცნობდა. ამით ღვთის ნება სრულდებოდა — ტაძარში უბიწო ყრმის გამომცხვარი სე-

ფისკვერები შეჰქონდათ. ასე იმუშავა მან დაახლოებით ორი წელი.

ბოროტის წაქეზებით თანატოლები დასცინოდნენ და საყვედურობდნენ მას ამ საქმიანობის გამო, მაგრამ ნეტარი სიხარულითა და მღუმარებით იტანდა მათ საყვედურებს. მაცდური არ ისვენებდა, ყმაწვილი კი თავისი შრომისმოყვარეობით და თავმდაბლობით არცხვენდა მას. ამიტომაც დედა აუმხედრა, რათა შვილისთვის ხელი შეეშალა ღვთის სათნო საქმიანობაში. და აი დედა ალერსიანად ეუბნება შვილს: „გთხოვ, თავი დაანებე ამ სამუშაოს, ამით შენ ჩვენ გვარს არცხვენ, ყველა შენ გასყვედურობს ამ საქმიანობისთვის, არ შემძლია ამის გაგონება, თანაც ეს საქმე შენი ასაკისთვის შეუფერებელია“. თეოდოსი დედას თავმდაბლად პასუხობდა: „გევედრები, დედა, ყურადღებით მომისმინე. უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ თვითონ გაილატაკა და დაიმდაბლა თავი და ამით მაგალითი მოგვცა, რომ მისთვის თავი დავიმდაბლოთ; ქრისტეს აფურთხებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, მან კი ყველაფერი მოითმინა ჩვენი ცხონებისათვის. იმისათვის, რომ ქრისტეს სათნო-ვეყოთ, ჩვენც ასეთი მოთმინება გვმართებს. ხოლო ჩემი საქმიანობის შესახებ გეტყვი: უფალმა ჩვენმა ქრისტემ საიდუმლო სერობაზე პური აკურთხა, გატეხა, თავის მოწაფეებს გაუწოდა და თქვა: „მიიღეთ და ჭამეთ. ესე არს ხორცი ჩემი“. როგორ არ მახარებდეს ის, რომ უფალმა ღირს მყო ისეთი პურის დამზადებისა, რომელზეც უდიდესი საიდუმლო უნდა აღსრულდეს?“

ამ სიტყვებმა დედა განაიარაღა, მან თავი დაანება შვილს, მაგრამ ცოტა ხანში კვლავ აუმხედრდა. ერთი წლის შემდეგ მან თვალი მოჰკრა თეოდოსის, რომელიც სეფისკვერების ცხობი-

სას ღუმელის კვამლით გამურულიყო. დედა საშინლად გაღიზიანდა და კვლავ შეუტია შვილს. ხან მუქართ, ხან ტკბილი სიტყვით, ხან ცემით ცდილობდა, შვილი ამ საქმისთვის მოეცილებინა.

თეოდოსი გრძნობდა, რომ ცუდს არაფერს აკეთებდა. ის წმიდა საქმეს ასრულებდა და არ სურდა ამაზე უარის თქმა. მაგრამ არც გაღიზიანებული მშობლის წინააღმდეგ სურდა წასვლა. ყმაწვილმა სახლის მიტოვება გადაწყვიტა. ღამით სხვა ქალაქში გაიპარა, იქ ერთ მღვდელთან დასახლდა და თავისი საქმიანობა გააგრძელა.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ დედამ მიაგნო თეოდოსის და ცემით წამოიყვანა მღვდლის სახლიდან. „ახლა ვერსად გამექცევი – ეუბნებოდა დედა, – სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან გიპოვი და ჩემს ქალაქში შეკოჭილს წამოგიყვან“.

ნეტარი ყმაწვილი მღუმარებდა, მხოლოდ ლოცულობდა და ყოველდღე ეკლესიაში დადიოდა. ყველას მიმართ თავაზიანმა, ალერსიანმა და მშვიდმა თეოდოსიმ ქალაქ კურსკის მმართველის ყურადღება მიიპყრო. ის ხედავდა, როგორი სიყვარულით დადიოდა ყმაწვილი ეკლესიაში და თავის კარის ეკლესიაში მიიპატიჟა: აჩუქა ლამაზი სამოსი, რომელიც მას რამდენიმე დღე ეცვა და შემდეგ ღარიბებს მისცა, თავად კი ძველი ჩაიცვა. მმართველმა მას კიდევ უფრო კარგი სამოსი მისცა, მაგრამ მან ისიც გასცა, ასე განმეორდა რამდენჯერმე.

მიუხედავად ყმაწვილის სიმტკიცისა, მისი სული მშვიდად ვერ იყო, მას აწუხებდა გაუთავებელი დაბრკოლებები, რომლებსაც დედა უწყობდა, თავს აბეზრებდა წუთისოფელი, მასში ნელ-ნელა იღვიძებდა სრული განმარტოების სურვილი,

სადაც ღმერთის გარდა არავის შესახებ არაფერს გაიგონებდა; მას სურდა ღმერთისთვის მიეცა მთელი თავისი ზრახვები, გრძნობები, ძალები და მისწრაფებები...

ერთხელ ეკლესიაში მან გაიგონა სახარების სიტყვები: ვისაც დედა და მამა ჩემზე მეტად უყვარს, ჩემი ღირსი არ არის. და კიდევ: მოდით ჩემთან ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი და მე განგისვენებ თქვენ.

ამ წმიდა სიტყვებმა მისი გული ღმერთისადმი მხურვალე გულმოდგინებით აანთო. მან გადაწყვიტა, დედას ხელიდან დასხლტომოდა და ბერად აღკვეცილიყო. ერთხელ, როდესაც დედამისი თავის მამულში იყო წასული, ყმაწვილმა ილოცა და გამოვიდა მშობლიური სახლიდან. თან არაფერი წაუღია, გარდა იმისა, რაც ტანთ ეცვა და ცოტაოდენი ხმელი პურისა.

თეოდოსი კიევში მიდიოდა, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ იქ ცხოვრობდნენ ბერები, მაგრამ გზა არ იცოდა და ღმერთს ევედრებოდა, მისთვის თანამგზავრი გამოეგზავნა. მის გზაზე ვაჭრები გამოჩნდნენ. თეოდოსი გამხნევდა, ღმერთს მადლობა შესწირა და კიევისკენ მიმავალ ვაჭრებს აედევნა. იგი შორი-ახლო მიყვებოდა და არ ენახვებოდა მათ. სამი კვირის შემდეგ თეოდოსიმ კიევში ჩააღწია. მან მოიარა მონასტრები და ამაოდ ევედრებოდა ბერებს მიეღოთ იგი თავისთან: ყველა ერიდებოდა ჩამოკონკილი უცხო ყმაწვილის მიღებას. მაშინ თეოდოსიმ შეიტყო მღვიმეში მცხოვრები ღირსი ანტონის შესახებ. მას გულმა უგრძნო, რომ ამ ბერთან უნდა დამკვიდრებულიყო. მისი დანახვისთანავე თეოდოსი მუხლებზე დაემხო და თვალცრემლიანი ევედრებოდა, მიეღო იგი. „შვილო – უთხრა მას რუსეთის მონაზვნობის მამამ – ხედავ, მღვიმე ვიწრო და ბნელია,

შენ ვერ გაუძლებ აქ ცხოვრებას“. წმინდანი ამ სიტყვებს გამო-
საცდელად კი არ ეუბნებოდა, არამედ წინასწარ განჭვრიტა,
რომ თეოდოსი გააფართოვებდა ამ ადგილს, მოაწყობდა მონას-
ტერს და მრავალ ბერს შემოკრებდა.

– პატიოსანო მამაო, – უპასუხა თეოდოსიმ, – მე ქრისტემ
მაკურთხა, რათა შენით გადავრჩე, ყველაფერს გავაკეთებ,
რასაც მიბრძანებ.

– კურთხეულია ღმერთი, რომელმაც მოგმადლა ასეთი
სიმტკიცე, შვილო ჩემო. აქ არის შენი ადგილი.

ნეტარი თეოდოსი მის ფეხებთან დაემხო. წმინდანმა
აკურთხა იგი და ღირს ნიკონს დაავალა მისი ბერად აღკვეცა.
წმიდა ნიკონი გამოცდილი მონაზონი იყო. ეს მოხდა 1032 წელს.

და აი დაიწყო ღირსი თეოდოსის მონაზვნური მოღვაწეობა.
მთელი ღამეები ფხიზლობდა და ღვთის დიდებაში ატარებდა,
ღლეებს კი – თავშეკავებასა და მარხვაში. ნეტარი ანტონი და
ღირსი ნიკონი გაკვირვებულნი იყვნენ მისი თავმდაბლობითა და
კეთილზნეობით, სულის მხნეობითა და სხეულის სიმტკიცით
ასე ახალგაზრდა ასაკში და ამისათვის აღიღებდნენ ღმერთს.

ამასობაში თეოდოსის დედა დიდხანს და ამაოდ ეძებდა
შვილს. მწარედ დასტიროდა მას. ყველგან დაგზავნა განცხადე-
ბები თავისი დაკარგული შვილის შესახებ და მის ძპოვნელს
ჯილდოს ჰპირდებოდა.

ბოლოს კივიდიან ჩამოსულმა მგზავრებმა ამბავი მოიტანეს,
რომ ოთხი წლის წინ ნახეს იგი კიევში, როდესაც იგი მონას-
ტერში თავშესაფარს ეძებდა.

თეოდოსის დედამ არ დაიზარა, თავად ჩასულიყო კიევში,
მოიარა ყველა მონასტერი და ბოლოს შეიტყო, რომ მისი
შვილი ღირს მამა ანტონთან იმყოფებოდა მღვიმეში.


მან პირფერობით დაიწყო ბერის მღვიმიდან გამომხობა, იქ მყოფებს ეკედრებოდა: „უთხარი მამა ანტონს, გამოვიდეს, გრძელი გზა გამოვიარე, რათა მისთვის თავყვანი მეცა და კურთხევა მიმელო“.

ბერი გამოვიდა. ქალმა მიწამდე თავი დაუკრა. ანტონმა დალოცა იგი და ისინი სასაუბროდ დასხდნენ. დამწუხრებული დედა ბევრ რამეზე ესაუბრა ბერს და ბოლოს ჩამოსვლის მიზეზი გაუმხილა: „გეკედრები, მამაო, მითხარი, აქ არის ჩემი შვილი? მე იმდენი მწუხარება გადავიტანე, რადგან არ ვიცოდი ცოცხალი იყო თუ არა იგი“. ბერმა წრფელი გულით უპასუხა, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო. მაშინ დედამ უთხრა: „მანახე ჩემი შვილი. მე დიდი გზა გამოვიარე მის სანახავად. ვნახავ, და უკან დავბრუნდები“. „შვილის ნახვა თუ გინდა, – უპასუხა ბერმა, – ხვალ მოდი, მე შევეცდები დავითანხმო იგი, რადგან მას არავის ნახვა არ სურს“. დედა გამოემშვიდობა ბერს და იმ იმედით წავიდა, რომ მეორე დღეს ნახავდა შვილს. ღირსი ანტონი მღვიმეში შევიდა და თეოდოსის დედის ჩამოსვლის შესახებ შეატყობინა. თეოდოსი მეტად შეწუხდა, რომ ვერ დაეძალა დედას. ბერმა ვერაფრით დაითანხმა იგი დედასთან შეხვედრაზე და ქალთან მარტო გავიდა, შვილის უარის გადასაცემად. მაშინ ქალის თავმდაბლობა გაქრა, მან ყვირილი დაიწყო და ღირსი ანტონი დაადანაშაულა იმაში, რომ მან მისი შვილი მღვიმეში ჩაკეტა და ხელს უშლის მათ შეხვედრას. დედა იმუქრებოდა, რომ მონასტრის კართან მოიკლავდა თავს, თუ შვილს არ ანახებდნენ. შეწუხებული წმიდა ანტონი მღვიმეში შევიდა და კიდევ ერთხელ შეევედრა ყმაწვილს, დედასთან გასულიყო. თეოდოსის არ სურდა ბერის გაწბილება და გარეთ გავიდა.

დედამ რომ დაინახა, როგორ გამოცვლილიყო მისი შვილი შრომისა და თავშეკავებისგან, გულში ჩაიკრა და მწარედ ატირდა. როდესაც დამშვიდდა, აღერსიანად დაუწყო შეგონება: „დაბრუნდი, შვილო, სახლში, და იქ აკეთე ყველაფერი, რაც შენი სულის ცხონებისთვისაა საჭირო, ოღონდ ნუ მიმატოვებ, ხოლო როცა დრო მოვა და ჩემს სხეულს მიწას მიაბარებ, მაშინ დაბრუნდი კვლავ მღვიმეში, მე კი შენს გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია“. ნეტარმა უპასუხა: „დედა, თუ გინდა ხშირად მხედავდე, დარჩი კიევში და დედათა მონასტერში აღიკვეცე, ამ გზით მეც მნახავ ხოლმე და სულსაც გადაირჩენ. თუ ასე არ მოიქცევი, ჭეშმარიტად გეუბნები, ველარასდროს ველარ მნახავ. რამდენიმე დღის განმავლობაში თეოდოსი ცდილობდა დედა დაეყოლიებინა, მაგრამ ქალს ამის გაგონებაც არ სურდა.

როდესაც დედა მიდიოდა და თეოდოსი მღვიმეში ბრუნდებოდა, იგი გულმოდგინედ ლოცულობდა დედისთვის. უფალმა შეისმინა მისი ვედრება. რამდენიმე დღეში დედამისი კვლავ მოვიდა და უთხრა: „შვილო, მე შევასრულებ შენს სურვილს, აღარ დავბრუნდები ჩემს ქალაქში. თუ ღმერთს ასე სურს, დავრჩები დედათა მონასტერში, აღვიკვეცები და სიცოცხლის ბოლომდე იქ ვიქნები. შენი შეგონებით შევიგნე ამ წუთისოფლის ამაოება“. გახარებულმა თეოდოსიმ წმიდა მამა ანტონს მოახსენა დედის გადაწყვეტილება. ბერმა ადიდა უფალი ქალის სინანულისკენ მოქცევისათვის, გავიდა მასთან, ბევრი სული-სათვის სასარგებლო რჩევა მისცა, შემდეგ წმიდა ნიკოლოზის დედათა მონასტერში მიიყვანა, სადაც იგი აღკვეცეს. აქ მან მრავალი წელი გაატარა და მშვიდობით მიიცვალა.

ნეტარი მამის, თეოდოსის ცხოვრების შესახებ — ყრმობიდან დაწყებული მღვიმეში მისვლამდე, — მან უამბო ერთ-ერთ ძმას, თეოდორეს, რომელიც შემდეგში ნეტარ მამასთან დიაკვნად მსახურობდა.



დიდმოწამე ირინე, ქრისტეს ახალგაზრდა
ადმსარამელი და სასწაულთმოქმედი
(სსმნება 5 მაისს)

წმიდა დიდმოწამე ირინეს ცხოვრება ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარია წმინდანთა ცხოვრებებს შორის. ქრისტეს სარწმუნოებაზე მისი საოცარი მოქცევა, ტანჯვა, რომელიც მან ქრისტესთვის დაითმინა, უამრავი ხალხი, რომელიც მან ქრისტესთან მიიყვანა — ყოველივე ეს ადამიანზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი ცხოვრების გაცნობისას მზად ხარ სიხარულით ტაში დაუკრა იმ დიდებულ გამარჯვებას, რომელიც ქრისტესთვის მოიპოვა ამ ახალგაზრდა დიდმოწამემ და შესძახო: „გიხაროდენ, წმიდაო დიდო მოწამეო ირინე“.

ქრისტესთვის სხვა მოწამეთა ტანჯვა გრძელდებოდა რამდენიმე დღის ან რამდენიმე თვის განმავლობაში, ხოლო ირინეს მოწამებრივი ღვაწლი სხვადასხვა ქალაქში ათწლეულობით გაგრძელდა.

მისი მოწამებრივი და მქადაგებლური ღვაწლის განსაკუთრებულობას აძლიერებდა ისიც, რომ ირინე ცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში და წმიდა მოციქულ ტიმოთეს მოწაფე იყო.

იმ დროს, როდესაც ხალხი წმიდა სარწმუნოების გარეშე, წყვიდალსა და კერპთაყვანისმცემლობის მომაკვდინებელ გარემოში ცხოვრობდა და წმიდა მოციქულთა ქადაგებებით ბჟუტვა დაიწყო ჭეშმარიტი სარწმუნოების ნათელმა, ქალაქ მაკედონში (მაკედონიის მახლობლად) ცხოვრობდნენ მეფე ლიკინიუსი და მისი ძეუღლე ლიკინეა. მათ შეეძინათ ქალიშვილი პენელოპე.

მამას სურდა მისი ქალიშვილი გაზრდილიყო ამქვეყნიური ხმაურისაგან მოშორებით, რათა ავ თვალს არ შეეხედა მისთვის, რათა მის ყურს არ გაეგონა უხეში სიტყვა. და აი ქალაქიდან მოშორებით, მყუდრო, ლამაზ ადგილას აავი მრავალდარბაზიანი, მდიდრულად მოწყობილი ციხე-კოშკი. ავეჯი მთლიანად ოქროთი იყო მოჭედილი. ლიკინიუსმა პენელოპე აქ დაასახლა ცამეტ მშვენიერ ასულთან ერთად და მის დასაცავად ყველა კუთხეში კერპები დააყენა. პენელოპეს ამ ციხე-კოშკში სრულწლოვანებამდე, გათხოვებამდე უნდა ეცხოვრა. აღმზრდელად მამამ მას პათივსაცემი მოხუცებული ქალი — კარია მიუჩინა, რომელიც განუყრელად მასთან უნდა ყოფილიყო და დანარჩენი ასულებისთვისაც მიეხედა. პენელოპესთან ყოველდღე მოდიოდა კეთილშობილი, ჭკვიანი და განათლებული აპელიანე, რომელიც გოგონას სხვადასხვა მეცნიერებებს ასწავლიდა.

ასე გაატარა მან ექვსი წელი და სამი თვე. როდესაც პენელოპეს თორმეტი წელი შეუსრულდა, მამა დაფიქრდა, რომელი უფლისწულისთვის მიეთხოვებინა იგი. ამასობაში მოზარდ პენელოპეს სულს რაღაც უცნაური გრძნობები აფორიაქებდა. მშვენიერი იყო მშობლების მზრუნველი სიყვარულით გარემოცული მისი ცხოვრება: მან არ იცოდა, რა არის უბედურება, ავადმყოფობა და სიკვდილი, და მიუხედავად ამისა, მაინც უკმაყოფილო იყო... მის გულს რაღაც სურდა, იგი თითქოს გრძნობდა, რომ არსებობს მისთვის უცნობი სამყარო და მხოლოდ იქ არის ნამდვილი ბედნიერება.

ერთხელ გოგონა თავისი კოშკიდან გაჰყურებდა ბუნების მშვენიერებას: ბუმბერაზ მთებს, ლამაზ მყუდრო ხეობას, ახ-

ლადშეფოთლილ ტყეს, დამწიფებულ ყანებს, ლამაზ ბაღებში ჩაფლულ სახლებს. ყველა ქმნილება საოცარი სიმშვიდით გამსჭვალულიყო...

გოგონა მშვიდად უყურებდა ამ სურათს. უეცრად მასთან ოთახში მტრედი შემოფრინდა, მაგიდაზე ზეთისხილის რტო დატოვა და გაფრინდა. მტრედის გამოჩენამ გოგონას გული აუჩუყა და გაახარა. შემდეგ არწივი მოფრინდა, ნისკარტით ყვავილების გვირგვინი მოიტანა, იმავე მაგიდაზე დადო და გაფრინდა. ბოლოს ყვავი მოფრინდა, მის ნისკარტში პატარა გველი იკლაკნებოდა, ყვავმა გველი მაგიდაზე დადო და გაფრინდა. პენელოპემ აღმზრდელსა და თანატოლებს დაუძახა. ყველა გაოცდა, მათ ვერ გაიგეს, რისი მანიშნებელი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი. მხოლოდ აპელიანემ, რომელიც ფარულად აღიარებდა ქრისტიანობას და განსაკუთრებით საზრიანი ადამიანი იყო, შესძლო აეხსნა გოგონასთვის მომხდარის მნიშვნელობა: „მომისმინე, მეფის ასულო. იცოდე, რომ მტრედი შენი სათნოების, თავმდაბლობის, სიმშვიდისა და ქალწულებრივი უმანკოების სიმბოლოა, ხოლო ზეთისხილის რტო შენზე გადმოსულ ღვთის წყალობას მოასწავებს; არწივი მეფეს და გამარჯვებას ნიშნავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შენ შენს ვნებებზე გაიმარჯვებ და უხილავ მტრებს პატარა ჩიტებივით დაამარცხებ; ყვავილების გვირგვინი კი იმის ნიშანია, რომ უფალ იესო ქრისტესგან ზეციურ სასუფეველში დიდ ჯილდოს მიიღებ, იქ შენ მარადიული დიდების უხრწნელი გვირგვინი გელოდება; ყვავი კი შენს მტერზე — ეშმაკზე მიგითითებს, რომელსაც შენთვის უბედურება, დარდი და ღვენა მოაქვს. იცოდე, რომ დიდებული მეუფე, რომელიც ზეცის და ღედამიწის მფლობე-

ლია, თავისი სასუფეველისთვის გამზადებს, რისთვისაც ბევრი ტანჯვის მოთმენა მოგიწევს“...

მეორე დღეს მეფე დედოფლისა და ამალის თანხლებით პენელოპესთან მივიდა. მას სურდა შეეტყო შვილის მოსაზრება ქორწინების შესახებ. როდესაც მან დაინახა მზის სხივებით გაბრწყინებული შვილის ლამაზი სახე, გაიხარა და თქვა: „ჩემო საყვარელო შვილო, შენ უკვე მიაღწიე ქორწინების ასაკს, მითხარი, რომელი მეფის ვაჟს გაპყვები ცოლად?“

გოგონამ მოსაფიქრებლად მამას შვიდი დღე სთხოვა.

მამის წასვლის შემდეგ იგი მივიდა კერპებთან და უთხრა მათ: „მამას ჩემი გათხოვება სურს, მე კი ქალწულების დაცვა მინდა, რადგან ამქვეყნიურზე ზრუნვა ხელს უშლის ღვთის სამსახურს. თუ თქვენ ღმერთები ხართ, მითხარით, როგორ მოვიქცე – გავთხოვდე თუ არა?“

მუნჯი კერპები დუმდნენ, როგორც უსულო საგნები. მაშინ პენელოპე აღმოსავლეთისკენ მიბრუნდა, თვალები ზეცისკენ აღაპყრო და თქვა: „თუ შენ ჭეშმარიტი ღმერთი ხარ, რომელსაც გალილეველები აღიარებენ, გთხოვ მომეცი რაიმე ნიშანი, გავთხოვდე თუ ქალწულებაში დავრჩე“. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ პენელოპეს ჩაეძინა. მან სიზმარში იხილა უფლის ანგელოზი, რომელმაც უთხრა: „პენელოპე, დღეიდან შენ გერქმევა ირინე (რაც ბერძნულად მშვიდობას ნიშნავს), შენ იქნები ადამიანებისათვის მშვიდობიანი თავშესაფარი და ათასები შენით მოექცევიან და ცხონდებიან, ცნობილი და დიდებული იქნება შენი სახელი ქვეყანაზე, ხოლო ის, რაც აპელიანემ გითხრა ფრინველების შესახებ, სრული ჭეშმარიტებაა... ამ ღამით შენთან მოვა ღვთის კაცი ტიმოთე, იგი პავლე

მოციქულის მოსწავლეა, მას დავალებული აქვს, მოგნათლოს და გასწავლოს, როგორ მოიქცე“. გოგონას გამოეღვიძა. დიდი სინარულით ელოდა იგი პრესვიტერს. ცოტა ხნის შემდეგ ანგელოზმა მოიყვანა მოციქული ტიმოთე გოგონას კოშკთან. აპელიანემ შეიყვანა სტუმარი. მოციქული დაჯდა და სწავლებას შეუდგა. მას სულგანაბლნი უსმენდნენ პენელოპეც, მისი აღმზრდელიც და თანატოლებიც. წმიდა ტიმოთე საუბრობდა ჭეშმარიტ ღმერთზე – იესო ქრისტეზე, წმიდა სარწმუნოებაზე და ნათლობის საიდუმლოზე. მან ყველანი მონათლა და პენელოპეს სახელად ირინე უწოდა. მოციქული არწმუნებდა გოგონას მამაცურად ეტვირთა მოწამებრივი ღვაწლი, რომელიც მას ქრისტესთვის, ჭეშმარიტი ღმერთისთვის, უკვდავი სიძისთვის ელოდა. ტიმოთემ დალოცა ყველა იქ მყოფი, უფლის მადლს მიაბარა ისინი და წავიდა.

ნეტარი ღღე და ღამე თანატოლებთან ერთად მადლობდა და აღიღებდა ღმერთს, სწავლობდა მოციქულთა ნაწერებს, რომლებიც მას წმიდა ტიმოთემ გადასცა. მან შეიძულა კერაპები და სათითაოდ გადაყარა ისინი ფანჯრიდან.

შვიდი ღღის შემდეგ მეფე-ღედოფალი შვილთან მივიდნენ, ქორწინების შესახებ მისი პასუხის გასაგებად. შესვლისთანავე მათ შეამჩნიეს შვილის უჩვეულო დიდებულება, რაც მის თითოეულ მოძრაობაში იგრძნობოდა. ირინემ მშობლებს განუცხადა: „იცოდეთ, რომ ქრისტეს მონა ვარ, იგი ვიწამე და შევიყვარე, ჭეშმარიტი, მარადიული ზეციური მეფე... სხვა ღმერთს არ ვიცნობ, რადგან არ არსებობს სხვა ღმერთი. ნეტავ გენახათ, როგორ იმსხვრეოდნენ ფანჯრიდან გადაყრილი თქვენი ღმერთები, მათ საკუთარ თავს ვერ უშველეს და თქვენ როგორ-

და დაგეხმარებიან, ტყუილად გაქვთ მათი იმედი, ამათა თქვენი მსხვერპლშეწირვა კერპებისადმი. გერჩიათ, ოქრო-ვერცხლი ღარიბებისათვის, მათხოვრებისათვის, ქვრივ-ობლებისათვის დაგერიგებინათ. როდემდე იქნებით ასე უგუნური, შეიცანით ცოცხალი ღმერთი, თაყვანი ეცით მას, რომელსაც შეუძლია მკვდრეთით აღდგენა და განცხოველება; მაშინ თქვენს გულში სინარული დაისადგურებს, გაგშორდებათ ეშმაკი, რომელიც სინათლიდან ბნელში გიტყუებთ თქვენი სულების დასაღუპავად... მამა, შეიცანი ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც სიტყვით შექმნა სამყარო. როდესაც შენ ჩემთვის კოშკის აგება ჩაიფიქრე, ამისათვის სამი ათასი მუშა და სამასი ზედამხედველი აამუშავე და მათ ცხრა თვეში ძლივს მოასწორეს ამ საქმის დასრულება. ღმერთმა კი ერთი სიტყვით შექმნა ცა, ყველაფერი, რაც მიწაზე ხარობს, წყალში ბინადრობს, თუ ცაში დაფრინავს — ყოველივე ამას კი მიწისაგან შექმნილი ადამიანი დაუყენა ბატონად.

ეს ყოველივე მან თავისი სიტყვით ექვს დღეში შექმნა. ადამიანის დაცემის შემდეგ კი თავისი ძე — იესო ქრისტე გამოგვიგზავნა... იესო ცხოვრობდა ადამიანებს შორის, ახდენდა სასწაულებს, კურნავდა კეთროვნებს, თვალის ჩინს უბრუნებდა ბრძებს, აღადგენდა მკვდრებს. ბოლოს იგი ჯვარს აცვეს, მაგრამ სიკვდილისა და დაკრძალვის შემდეგ მესამე დღეს იგი მკვდრეთით აღსდგა, ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა. თავის მოწაფეებს სულიწმიდა მოუვლინა და დაავალა, ქვეყნიერება მოევლოთ, ხალხი გაენათლებინათ, დახმარებოდნენ შეცდომაში შეყვანილთ, დაღუპულები გადაერჩინათ, რად-

გან მას ყველას გადარჩენა სურს, მისი წყალობა ადამიანთა მოდგმისადმი არასოდეს დაიღვევა“.

ასე საუბრობდა შთაგონებული წმინდანი და ყველა გულმოდგინედ უსმენდა. მეფე-დედოფალმა ქალიშვილი ქალაქში გაიყვანეს. აქ მეფის ასულს გვირგვინებით შეხვდნენ, მთელი ხალხი აღიდებდა მშვენიერ პენელოპეს. ასე დაიწყო ირინეს მქადაგებლური ღვაწლი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

დიმიტრი როსტოველის თვენის საკითხავი დაწვრილებით მოგვითხრობს ქრისტეს ახალგაზრდა მქადაგებლის შემდგომი ღვაწლის შესახებ. ბოროტი სულის შთაგონებით მამა განრისხდა ქალიშვილზე და ბრძანა ცხენების ფლოქვებ ქვეშ ჩაეგდოთ იგი. ცხენებმა აიწყვიტეს და ლიკინიუსი ფლოქვებით სასიკვდილოდ გათელეს; წმიდა ირინემ ლოცვით გააცოცხლა მამა, რომელმაც სამი ათას ადამიანთან ერთად აღიარა ქრისტე და ხელისუფლება დატოვა.


წმიდა ქალწული თავის ყოფილ მასწავლებელთან, აპელიანთან დასახლდა. იგი მთელ დღეებს მარხვაში ატარებდა, მხოლოდ საღამოს იღებდა ცოტაოდენ პურსა და წყალს, ეძინა მიწაზე და მთელ დროს ლოცვასა და წმიდა წიგნების კითხვაში ატარებდა.

არაადამიანური ტანჯვა-წამება მიაყენა მას მაგედონის ახალმა მმართველმა. მაგრამ ამ ვნებამ რვა ათასი კაცი მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე. მისი წამება განაგრძო მეორე მმართველმაც, მაგრამ ეს ცდაც უთვალავი ადამიანის ნათლობით დასრულდა.

სამი წელი ეწამებოდა იგი ქალაქ მაგედონში, შემდეგ სხვა ქალაქში გაგრძელდა მისი წამება, მაგრამ უვნებელი გადარჩა. ერთ ქალაქში იგი სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ უფლის ანგელოზმა აღადგინა. ქალაქში შესვლისას ნეტარ ირინეს ზეთისხილის რტო ეკავა ხელში. მისმა დანახვამ ყველანი გააკვირვა. მისი მტანჯველიც კი დაეცა წმინდანის ფეხებთან და ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლება სთხოვა.

მცირე აზიის ცნობილ ქალაქ ეფესოში დიდმოწამე ღრუბელმა გადაიყვანა. მან უფალს სული პირველი საუკუნის ბოლოს მიაბარა.

ასე ეწამებოდა და იღვწოდა ქრისტესთვის დიდმოწამე ქალწული – ირინე.



კვიპრელი ეპისკოპოსის, წმიდა ეპიფანეს ბავშვობა
(სსმნება 12 მაისს)

კვიპრელი ეპისკოპოსის, წმიდა ეპიფანეს ბავშვობის ამბავი ნათლად გვიჩვენებს ადამიანზე ღვთის განგების ძალას და იმ საოცარ გზებს, რომლითაც უფალს თავისი შვილები ცხონებისკენ მიჰყავს.

ნეტარი ეპიფანე დაიბადა ახლანდელ სირიაში, ქათქათა თოვლით დაფარული ლიბანის ქედის მიდამოებში. წარმომშობით იგი ებრაელი იყო. მამამისს ორი შვილი ჰყავდა: ვაჟი — ეპიფანე და ასული — კალიოპე. ბიჭი ათი წლისა იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. დედა დიდ გასაჭირში ჩავარდა, იგი თავისი შრომით ძლივს ახერხებდა შვილების გამოკვებას. მათ ერთი ურჩი ზნის ვირი ჰყავდათ. უფულობის გამო დედამ შვილს დაავალა, ვირი ბაზარში წაეყვანა და გაეყიდა.

ამ დავალების შესასრულებლად ბიჭი უხალისოდ მიდიოდა, მას ერიდებოდა მყიდველისთვის ავი ზნის ვირის მიჩენება და როდესაც ბაზარში მასთან ვიღაც ებრაელი მივიდა, ბიჭმა გულახდილად უთხრა, რომ ვირი გაუხედნავი და ავი ზნისა იყო, რომ ის დედის დავალებას ასრულებდა, რათა აღებული ფულით საჭმელი ეყიდა. ეპიფანეს კეთილსინდისიერებით გულაჩუყებულმა მყიდველმა ჰურის საყიდლად მას სამი მონეტა მისცა. ბიჭი თავის ვირთან ერთად სახლში წავიდა.

გზაში მას ქრისტიანი, სახელად კლეობი შეხვდა. მან ვირის ფასი ჰკითხა ბიჭს, მაგრამ ეპიფანე იმავე მიზეზის გამო არ თანხმდებოდა ვირის გაყიდვაზე. მათი საუბრისას ვირი ხმამაღლა აყროყინდა, განზე გაიწია, ეპიფანე ძირს გადმოაგდო და გაიქცა. ბიჭი ძლიერ დაშავდა, მხარი ისე იტკინა, რომ ადგომა

არ შეეძლო. მიწაზე იწვა და ტიროდა. მაშინ ქრისტიანი კლეობი მასთან მივიდა, მტკივნეული ადგილი გაუსინჯა, სამჯერ გადასახა ჯვარი და მიწიდან სრულიად ჯანმრთელი წამოაყენა. შემდეგ ვირისკენ მიტრიალდა და თქვა: „ჯვარცმული იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ, გაჩერდი, და რადგან აქ შენი პატრონის მოკვლა გინდოდა, ნურც მოშორებიხარ ამ ადგილს!“ – და მაშინვე ვირი მკვდარი დაეცა.

ადვილი წარმოსადგენია მგრძნობიარე ბიჭის გაცოცება! მან მაშინვე იკითხა: – მითხარი, ვინ არის ჯვარცმული იესო, რომლის სახელითაც ასეთი სასწაული ხდება?

იესო არის ძე ღვთისა, რომელიც ებრაელებმა ჯვარს აცვეს. – უთხრა კლეობიმ. ეპიფანეს შეეშინდა და უთხრა, რომ ისიც ებრაელია.

ბიჭი მარტო დაბრუნდა შინ. იგი უცნობ ქრისტეზე ფიქრობდა და სურდა ერწმუნა მისი.

მალე დედამ თავისი ყანა გაყიდა და რადგან საჭმელი არაფერი ჰქონდათ, ეპიფანეს ქალაქში წასვლა უბრძანა, რათა იქ რაიმე ხელობით დაკავებულიყო მათ გამოსაკვებად.

ბიჭის მონაცემებს ყურადღება მიაქცია ერთმა ებრაელმა, ტრიფონმა, რომელმაც აღსაზრდელად აიყვანა იგი. აღმზრდელს ძალიან შეუყვარდა ეპიფანე. მან გადაწყვიტა თავისი ქალიშვილი მისთვის მიეთხოვებინა, მაგრამ გოგონა ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მალე გარდაიცვალნენ ეპიფანეს დედაც და აღმზრდელიც. ეპიფანე დარჩა მარტო თავის დასთან ერთად და მემკვიდრეობით მიიღო ტრიფონის მდიდრული მამული.

ერთხელ ეპიფანე ქრისტიან ლეონტის შეხვდა, რომელსაც მათხოვარი მოწყალებას სთხოვდა. ლეონტი ღარიბი კაცი იყო,

მას არ ჰქონდა მათხოვრისთვის მისაცემი ფული, ამიტომ ტანსაცმელი გაიხადა, მისცა მათხოვარს და უთხრა: „ეს გაყიდე და პური იყიდო“. ეპიფანე აღფრთოვანებული უყურებდა მისთვის უჩვეულო სანახაობას. ამ დროს მან სასწაული ნიშანი დაინახა: ზეციდან თეთრი, ნათელი ტანსაცმელი დაეშვა და ლეონტი შემოსა. ყმაწვილს თავზარი დაეცა. ცხენიდან გადმოხტა, ლეონტის წინ მუხლებზე დაემხო და ევედრებოდა, ეთქვა, ვინ იყო იგი. ამის შემდეგ ყმაწვილი დაუახლოვდა ქრისტიანს და სახლში წაიყვანა. მისგან შეიტყო ყველაფერი ქრისტეს შესახებ, რომლის ძალამ იგი ბავშვობაში გააკვირვა, ვისზეც ოცნებობდა ისე, რომ არც კი იცნობდა მას.

ეპიფანე დასთან ერთად მოინათლა. ნათლობის დროს მისი სახე გაბრწყინდა და მის თავზე გვირგვინი დაეშვა — მომავალი მოღვაწეობის ნიშნად.

ეპიფანემ გაყიდა მამული და ფული ღატაკებს დაურიგა. თავისთვის მხოლოდ წმიდა წიგნების საყიდელი ფული დაიტოვა და ლეონტისთან ერთად ქალაქიდან წავიდა. ლეონტის მონასტერი ჰქონდა, იქ ათი ბერი ერთად ცხოვრობდა, ისინი დაკავებულნი იყვნენ წიგნების გადაწერით, რომლებსაც ჰყიდდნენ და ამით იკვებებოდნენ.

ეპიფანე ბერად აღიკვეცა. თავისი წმიდა ცხოვრებით მან დიდი სულიერი ნიჭები მოიხვეჭა. შემდგომში იგი ეპისკოპოსი გახდა. ეპიფანე კვიპრელი ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი წმინდანია.



ღვთის რჩეულის, ღირსი მკჷთიჲმ ათონელის
ცხოვრება
(ხსენება 13 მაისს)

ათონის მთა რჩეული ადგილია და მას სამართლიანად უწოდებენ ღვთისმშობლის წილხვდომილს.

როგორც წმიდა გადმოცემა მოგვითხრობს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გემით კუნძულ კვიპროსისაკენ მიემგზავრებოდა, რათა მონახულებინა ქრისტეს მეგობარი ლაზარე, რომელიც იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა. მაგრამ ტალღებმა იგი ათონის მთასთან მიიყვანა. ღვთისმშობელი გემიდან გადმოვიდა, კუნძულზე ფეხი შედგა, აკურთხა იგი და იწინასწარმეტყველა, რომ აქ დასახლდებოდნენ ადამიანები, რომლებიც განადიდებდნენ მის სახელს, და ათონმა მრავალი წმიდა მონასტრით გაითქვა სახელი. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ივერთა მონასტერი, რომელიც ივერიიდან ანუ საქართველოდან ჩასულმა მორწმუნეებმა დააარსეს.

იშვიათია ხალხი, რომელსაც ასეთი თავგანწირვით დაემტკიცებინოს ქრისტესადმი ერთგულება, როგორც ქართველებს.

ივერიელმა ხალხმა მრავალ უბედურებას, თავდასხმას და ტყვეობას გაუძლო; ამოდ ცდილობდნენ წარმართი დამპყრობლები ჩაეკლათ მათში მართლმადიდებლობა. ქართველი ხალხი იმ წმიდა სარწმუნოების ერთგული დარჩა, რომელიც მას მოციქულთასწორმა განმანათლებელმა ნინომ მოუტანა.

მეთუ საუკუნის დასასრულისა და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ივერიის საგანეში რამდენიმე დიდმა ქართველმა წმინდანმა გაიბრწყინა. მათ შორისაა ივერონის პირველი ილუმენი იოანე და მისი შვილი ექვთიმე. ისინი კეთილშობილი

გვარის წარმომადგენლები იყვნენ. იოანე მამაცობითა და სიბრძნით გამოირჩეოდა... ის ივერიის მეფის, დავით კურაპალატის მრჩეველი და მხედართმთავარი იყო. ამქვეყნიურმა დიდებამ დაქანცა მისი დიდსულოვანი გული, მან ქრისტეს სიყვარულით მიატოვა წუთისოფელი და სულიერი ღვაწლისთვის მონასტერში წავიდა. იოანეს მოღვაწეობის ამბავი რომ განცხადდა, იგი კვლავ განეშორა კაცთა მიერ დიდებას და საბერძნეთში წავიდა, ულუმბოს მთაზე.

ამასობაში იოანეს შვილი — პატარა ექვთიმე, სხვა უფლისწულებთან ერთად საბერძნეთის მეფეს მძევლად მიჰგვარეს. იოანემ ეს რომ შეიტყო, ჩავიდა კონსტანტინოპოლში და ექვთიმე თავისთან წაიყვანა მონასტერში. მალე იგი შვილთან და რამოდენიმე მოწაფესთან ერთად ათონზე ჩავიდა, ათანასე დიდის ლავრაში.

იოანეს სურდა შვილისთვის საფუძვლიანი განათლების მიცემა და ამიტომ ქართულიცა და ბერძნულიც სრულყოფილად შეასწავლა. მან იცოდა, რომ განათლებული ადამიანისთვის უფრო ადვილია ქრისტიანული რწმენის გავრცელება. ექვთიმეზე სიყრმიდანვე გადმოვიდა მაღლი სიბრძნისა და მიეცა გულისხმისყოფა წმიდა წიგნებისა.

ბავშვობაში ექვთიმეს მძიმე სენი შეეყარა. იოანეს შვილის გამოჯანმრთელების ყოველგვარი იმედი ეწურებოდა, ბიჭს უკვე მეტყველებაც წაერთვა. იოანე ღვთისმშობლის ტაძარში შევიდა, იქ ყოვლადწმიდა ქალწულის ხატთან დაიჩოქა, თვალებზე მკვრივი ლოცულობდა და ღვთისმშობელს ექვთიმეს შეწევნას სთხოვდა. იოანემ მღვდლის მოსაყვანად კაცი გაგზავნა, რათა სწეული შვილი ეზიარებინა. როდესაც იოანე ექვთიმეს


სენაკში დაბრუნდა, კეთილსურნელება შეიგრძნო, რომელიც ირგვლივ იფრქვეოდა, მისი შვილი კი მხნედ და მხიარულად იჯდა საწოლზე. მან უამბო მამას საოცარი ხილვის შესახებ – მის წინაშე წარსდგა ნათლით შემოსილი დედოფალი, ხელი გაუწოდა და ტკბილად უთხრა: „არაფერი გჭირს, ადექი, ნუ გეშინია, და ქართულად დაუბრკოლებლად იმეტყველე“. ამ ხილვის შემდეგ ბავშვი განიკურნა და უზადოდ ამეტყველდა ქართულად.

მამის კურთხევით ექვთიმემ ქართულ ენაზე თარგმნა საღმრთო წერილი, წმიდა მამათა სწავლებები და ცხოვრებები, საღმრთისმსახურო საკითხავები, ლოცვები.

წმიდა ექვთიმე იყო უდიდესი საკვირველთმოქმედი.

ერთხელ ათონის მთაზე დიდი გვალვა იყო. ექვთიმემ მამის კურთხევით წმიდა ილია წინასწარმეტყველის ტაძარში წირვა აღასრულა და ზიარების დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ხანდაზმული წმიდა ექვთიმე ჯორზე ამხედრებული კონსტანტინოპოლის ქუჩაში მიდიოდა. ამ დროს მათხოვარი მოწყალების სათხოვნელად მიუახლოვდა. ჯორს შეეშინდა და ბერი გადმოაგდო. ამის შემდეგ ღირსი მამა მონასტერში წაიყვანეს, სადაც მალე აღესრულა ლოცვაში და ღვთის მადლობაში.



პირილე ბელოჯერელის სიყმაწვილე
(ხსენება 9 ივნისს)

ღირსი კირილე წარმოშობით ღვთისმოსავი ოჯახიდან იყო. იგი მოსკოვში დაიბადა. ბავშვობიდანვე მოკრძალებასა და საღმრთო წერილის შემეცნებაში აღზრდილი, შემდგომში მაგალითს აძლევდა მის მიერ დაარსებული მონასტრის მონაზვნებს, რომლებმაც თავიანთი წინამძღვრის მსგავსად შეიყვარეს სულიერი განათლება.

კოზმას – ასე ერქვა მას ერში – მშობლები ადრე გარდაიცვალნენ. სიკვდილის წინ ყმაწვილი თავიანთ ნათესავს ტიმოთე ვალუევიჩს ჩააბარეს. ამ უკანასკნელს დიდი თავადის დიმიტრი დონელის კარზე მაღალი თანამდებობა ეჭირა და სიმდიდრითა და სახელით ბევრ ბოიარს სჯობდა.

მდიდარ და ცნობილ ოჯახში ცხოვრებას არ უმოქმედია კოზმას თავმდაბლობაზე, მისი გონება და სურვილი მიწიერზე არასოდეს ჩერდებოდა და ფარულად ბერად აღკვეცაზე ოცნებობდა.

კოზმა დიდი სიბეჯითით და კეთილსინდისიერებით ასრულებდა ყველაფერს, რასაც თავადი ავალებდა. ასეთი სათნოების გამო მისმა მფარველმა ის დაიახლოვა და თავისი მამულის მმართველობა მიანდო. ვერც ამ დიდმა ნდობამ და ხელისუფლებამ ვერ დათრგუნა მასში მონაზვნობისადმი მისწრაფება.

კოზმას საყვარელი საქმიანობა მწირებთან საუბარი იყო. ისინი ხშირად ჩნდებოდნენ მათ სახლში და კოზმა მათ ყოველთვის თბილად იღებდა. მათთან საუბარში კოზმა იგებდა ხალხის მიერ აღიარებული, შორეული, დიდი მოღვაწეების

შესახებ, რომლებიც თავიანთი წმიდა ცხოვრების გამო დაჯილდოვებულები იყვნენ მაღალი სულიერებით.

ერთხელ მოსკოვში ჩამოვიდა ღირსი სტეფანე, მახრიშჩის მონასტრის დამაარსებელი. ეს მონასტერი დღემდე არსებობს, იგი ღირსი სერგი რადონეჟელის ლავრის მახლობლად მდებარეობს.

კოზმა მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას, ვინაიდან ბევრი სმენოდა მის სიწმინდებზე და ეწადა მისთვის გული გადაეშალა.

სტეფანესთან მართოდ დარჩენილი კოზმა მღელვარების ცრემლებით გაეხსნა წმიდა ბერს. უამბო, თუ რა უცხო იყო მისთვის წუთისოფელი და როგორ სურდა ერთხელ და სამუდამოდ გაქცეოდა მას. უამბო სურვილზე, რომელიც დიდი ხანია განმარტოებისაკენ უხმობდა, რათა სრულ სიჩუმეში გულიდან ამოსული მისი ლოცვა თავისუფალი ჩიტივით ღმერთთან გაფრენილიყო. გაანდო ისიც, თუ როგორ ამძიმებდა ის მდიდრული ყოფა, რომელშიც ცხოვრობდა. კოზმა შეევედრა ბერს, არ უკუეგლო იგი, ისე როგორც ქრისტემ არ უკუაგლო არც ერთი ცოდვილი.

კოზმას ასეთმა გულმოდგინებამ ღირს სტეფანეს გული აუჩუყა. მან ყმაწვილში სულიწმიდის რჩეული ჭურჭელი შეიცნო, ანუგემა იგი და სურვილის შესრულებას დაჰპირდა.

ყოველივე ამის შემდეგ მათ დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყობოდა კოზმას ბერად აღკვეცა, რადგან ცხადი იყო, რომ ბოიარი ტიმოთე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა.

ღირსმა მამამ გადაწყვიტა მაშინვე შეემოსა ყმაწვილი მონაზვნის სამოსელში, უწოდა მას კირილე, დანარჩენი კი ღვთის ნებას მიანდო.

აღკვეცის შემდეგ წმიდა სტეფანე შევიდა ბოიართან. ტიმოთე პატივისცემით შეხვდა მას და კურთხევა სთხოვა.

— შენთვის მლოცველი კირილე გაკურთხებს — წარმოთქვა სტეფანემ. განცვიფრებულმა ბოიარმა იკითხა, ვინ იყო კირილე.

— კოზმა, შენი ყოფილი თანაშემწე, ბერად აღიკვეცა, ღმერთის სამსახურში ჩადგა და თქვენთვის ლოცულობს.

თავადისთვის მძიმე იყო ამ მოულოდნელი ამბის გაგება და კირილეს სახით კარგი მმართველის დაკარგვა. განრისხებულმა ღირსი მამის მისამართით საწყენი სიტყვები წარმოთქვა... მაშინ სტეფანე ზღრუბლთან შეჩერდა და თავადს მიმართა: „ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტესგან ნაბრძანები გვაქვს, გავჩერდეთ იქ, სადაც მიგვიღებენ და მოგვისმენენ, თუ არა, ფეხზე შერჩენილი მტკვრიც კი იქვე ჩამოვიბერტყოთ, ჩვენი არ მიღების ნიშნად“.

თქვა ეს სტეფანემ და გაშორდა იქაურობას. ტიმოთეს ღვთისმოსიშმა ცოლმა უსაყვედურა ქმარს ბერის შეურაცხოვისათვის. თავადმა სინანული იგრძნო და სტეფანეს მოსაბრუნებლად ხალხი გაგზავნა. მათ სიყვარულით პატიება სთხოვეს ერთმანეთს, რის შემდეგაც თავადმა ახალგაზრდა ბერს — კირილეს ნება დართო აესრულებინა თავისი გულის წადილი. გახარებულმა კირილემ მთელი თავისი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა.

შინ მიმავალმა ნეტარმა სტეფანემ სვიმეონის მონასტერში ახალი მონაზონი მიიყვანა. ეს მონასტერი სერგი რადონეჟელის ნათესავის, არქიმანდრიტ თეოდორეს დაარსებული იყო მდინარე მოსკოვის სანაპიროზე. არქიმანდრიტმა სიხარულით

მიიღო კირილე, რომელსაც მამა სტეფანე ძალიან კარგად ახასიათებდა, და ღირს მამა მიქაელს მიაბარა, რომელიც მკაცრი ცხოვრებით ცხოვრობდა და მომავალში ეპისკოპოსი გახდა.

კირილე თავის სულიერ მამას ბაძავდა და ცდილობდა ყველაფერში დამორჩილებოდა მას. მარხვა მისთვის საამო იყო, ხოლო ზამთარში თბილი ტანსაცმლის უქონლობა სითბოდ მიანდა. მას თითქმის არ ეძინა და საჭმელიც სურდა ორ-სამ დღეში ერთხელ მიეღო. გამოცდილმა სულიერმა ხელმძღვანელმა მკაცრად უბრძანა ძმებთან ერთად გაეზიარებინა ტრაპეზი, მაგრამ არა ძლომამდე.

ახალგაზრდა მონაზონი ღამეებს ფსალმუნთა კითხვასა და მეტანიებში ატარებდა, ხოლო ზარის პირველივე დარეკვისთანავე უკვე ტაძარში იდგა. იგი ბოროტის ცდუნებას ქრისტეს სახელითა და პირჯვარის გადაწერით ებრძოდა. როდესაც არქიმანდრიტმა ახალგაზრდა მონაზონს მორჩილება საცხოვრებელში დაუნიშნა, იგი დიდი გულმოდგინებით შეუდგა შრომას — თავად მოჰქონდა წყალი, ჩეხდა შეშას, ზელდა ცომს და აცხობდა პურს, შემდეგ კი თბილ-თბილს სენაკებში ჩამოარიგებდა.


დრო და დრო სვიმეონის სავანეში თავისი ნათესავის — არქიმანდრიტ თეოდორეს მოსანახულებლად, თავად ღირსი სერგი მობრძანდებოდა. პირველ რიგში იგი საცხოვრებელში, ახალგაზრდა კირილეს მოსანახულებლად მიდიოდა და დიდხანს საუბრობდა მასთან. მონასტრის სამყო განცვიფრებული იყო იმით, რომ ღირსი მამა ტოვებდა არქიმანდრიტსა და დანარჩენ ბერებს და მხოლოდ კირილეთი იყო დაკავებული, არ შურდათ, რადგან იცოდნენ კირილეს სათნოება.

საცხობიდან იგი სამზარეულოში გადაიყვანეს. იქ ღუმელის მხურვალე ცეცხლის შემხედვარეს მარადიული ცეცხლი ახსენდებოდა და თავისთავს ეუბნებოდა: „ითმინე, ითმინე, კირილე, რათა აქაური ცეცხლით იქაურს გადაურჩე“.

კირილე მუდმივად ღმერთის მასთან ყოფნას გრძნობდა და ეს იმდენად უჩუყებდა გულს, რომ მის მიერ გამოძცხვარ პურსაც კი ცრემლების გარეშე ვერ ჭამდა. ძმები კირილეს ღვთის ანგელოზს ადარებდნენ. მოგვიანებით, არქიმანდრიტ თეოდორეს როსტოვში ეპისკოპოსად არჩევის შემდეგ, კირილე, მიუხედავად მისი სასტიკი უარისა, აყვანილ იქნა წმიდა სვიმეონის სავანის არქიმანდრიტის წოდებაში.

ერთხელ ღვთისმშობლის ხატის წინ დაუჯდომელის კითხვისას ხმა მოესმა: „კირილე, განეშორე აქაურობას და თეთრ ტბაზე წადი, იქ შენ მომზადებული გაქვს ადგილი, სადაც შეგიძლია სული გადაირჩინო“.

ღირსმა კირილემ იქ საფუძველი ჩაუყარა მონასტერს, რომელსაც კირილო-ბელოზერსკი ეწოდა. იქ განისვენებს მისი წმიდა ნაწილები. იგი ოთხმოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა.



**ყრმა აკვილინა,
ქრისტეს სახელის აღმსარებელი და მოწამე
(სსმნება 13 ივნისს)**

ის რაც დაფარულია ბრძენთათვის, გაცხადებულ არს ჩვილთათვის.

– უნებლიედ გახსენდება მაცხოვრის ეს სიტყვები, როდესაც კითხულობ სანუკვარ ამბავს წმიდა მოწამე აკვილინას ცხოვრების შესახებ, რომელიც უკვე ათი წლის ასაკში გაბრწყინდა აღმსარებლობის ღვაწლითა და მოწამეობით.

აკვილინა დაიბადა პალესტინის ერთ პატარა ქალაქში, სადაც ქრისტიანობა თავად ქრისტეს მოციქულთა მიერ იყო დანერგილი და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს დალოცვილი ბავშვი ჩვილობაშივე მონათლეს. მამა ერთი წლის ასაკში გარდაეცვალა, შვიდი წლის ასაკში კი ქრისტიანობის სიბრძნეს ეზიარა. ადრეული ასაკიდანვე მან არად ჩააგდო უწმინდური მეფეების ბრძანება, კერპების თაყვანისცემის შესახებ და ფეხქვეშ გათელა წარმართობა.

ქრისტიანობის უღმობელი მღევნელის, დაუნდობელი დიოკლეტიანეს შვიდწლიანი მეფობის შემდეგ, პალესტინის მთავრად დაინიშნა ვინმე ვოლუსიანე. იმ ხანებში აკვილინა თავგამოდებით ქადაგებდა ქრისტეს სარწმუნოებას თავის თანატოლებს შორის. ის უხსნიდა მათ, თუ რა უგნურებაა უსულო კერპების თაყვანისცემა და რა ღიღებულია მისი ღმერთი, რომელმაც შექმნა ცა, დედამიწა, ზღვაც და ყველაფერი, რაც მათშია, რომ ის არის სიცოცხლის მომცემელი და მაკურთხეველი ყველა ქმნილებისა. იგი უყვებოდა მათ, როგორ დაეცნენ ადამიანები ცოდვით, როგორ განკაცდა ღმერთი, იცხოვრა მიწაზე და ევნო ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად.

ვოლუსიანეს ერთ-ერთმა მონამ შემთხვევით მოისმინა ეს ქადაგებები და სასწრაფოდ შეატყობინა მდევენელს, რომ ქალაქში ცხოვრობს ერთი გოგონა, რომელიც არ ემორჩილება მეფის ბრძანებას ღმერთების თაყვანისცემის შესახებ, აძაგებს კერპებს და ქადაგებს რომელიღაც ჯვარცმულ ღმერთს, რითაც ბავშვებს ხელს აღებინებს მამა-პაპათა წარმართულ სარწმუნოებაზე.

ვოლუსიანემ მის სამსჯავროზე აკვილინას მოყვანა ბრძანა. და აი თორმეტი წლის გოგონა დგას სასტიკი მმართველის წინაშე. იგი კარგად გრძნობს თავს. მის სულს სწყურია, სახალხოდ იქადაგოს თავისი ღმერთი, მისთვის წამება დაითმინოს და მიეახლოს უფალს მაღლა ზეცაში.

გარშემო ყველაფერი საამოა. მზე ციდან მცხუნვარე სხივებს აფრქვევს. ამ სხივების კაშკაშა, საზეიმო შუქი აკვილინას მარადიულ მზეზე ესაუბრება. მახლობელი მთების ნაცნობი კონტურები, ბაღებში ზეთისხილის ხეები თითქოს ლოცულობენო, ცაში თეთრი მტრედები ფარფატებენ, სიმშვიდე სუფევს დედამიწაზე. აკვილინა კი გრძნობს, რომ მისი ღვაწლის მოლოდინში მას დაჰყურებს და აკურთხევს მისი უფალი — ქრისტე...

— უბედურო, შენ ეწინააღმდეგები მეფის ბრძანებებს და სხვებსაც აცთუნებ, თაყვანი სცენ ჯვარცმულს? — დაიწყო ვოლუსიანემ, — განა არ იცი, რომ ნაბრძანებია, ქრისტეს აღმსარებელთა წამება და სიკვდილით დასჯა? შეაქციე მას ზურგი, თაყვანი ეცი და მსხვერპლი შესწირე უკვდავ ღმერთებს, წინააღმდეგ შემთხვევაში წამება არ აგცდება.

— შენ თუ მე მაწამებ, — ჩუმად დაიწყო გოგონამ, — ამ წამებით მივიღებ იმ სამარადისო გვირგვინს, რომელსაც მე ჩემი

მაცხოვრისაგან მისი აღმსარებლობისათვის კელოდები. უსასტიკეს წამებაშიც კი არ უარყოფ მას. ამიტომ დაუყონებლივ შეუდევქი წამებას და თავად დაინახავ, რომ ჩემი რწმენის ერთგული ვარ და შენი სრულიად არ მეშინია.

ვოლუსიანემ სცადა ალერსით ჩაეგონებინა მისთვის:

– ვხედავ, რომ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, მებრალები, წამებას თუ მოგისჯი, მაშინ შენი სხეულის ნაწილები დაიმსხვრევა, უღმობელი ჯალათები სასტიკი წამების შემდეგ მოგკლავენ. შენ ასე ნორჩი მოკვდები და შენი ღმერთი ვერაფერს გიშველის.

– არ ვსაჭიროებ შენს მოწყალებას – პასუხობდა წმინდანი, – შენ გინდა წამართვა ღმერთი და ამით საშინელი ზიანი მომაყენო. ნუ დამინდობ, გამოამჟღავნე მთელი შენი სისასტიკე და თავად დარწმუნდები, რომ ის, ვინც ქრისტეს მიენდობა, ბოლომდე უდრეკი რჩება.

მტარვალმა ბრძანა სახეში ერტყათ პატარა მორწმუნისათვის, თან აყოლებდა: „აი წამების დასაწყისი, ტკბილი და სასიამოვნოა იგი შენთვის?“

შემდეგ ვოლუსიანემ უბრძანა ორ ჯალათს ბავშვი სასტიკად ეცემათ, თან ამბობდა: „სად არის აკვილინა შენი ღმერთი, რომელიც მე არ მაპატიებს თავის სამსჯავროზე? მოვიდეს და გიხსნას“. ამის შემდეგ მტარვალმა შეაჩერა წამება და შეეცადა დაერწმუნებინა აკვილინა, დამორჩილებოდა მას და არ ჰქონოდა იმის იმედი, ვინც, მისი თქმით, საკუთარ თავსაც ვერ უშველა, როდესაც ჯვარს აცვამდნენ.

– მე ვერ ვგრძნობ შენს მიერ მოყენებულ ტკივილებს, – პასუხობდა წმინდანი. – თუ შენი მამა, ეშმაკი შენში ჩემს მიმა-

რო მრისხანებას გიმრავლებს, მითუმეტეს ქრისტე ძალასა და მოთმინებას მმატებს მე.

მაშინ ვოლუსიანემ გამოუცხადა, რომ წყვეტს მის წამებას და რამდენიმე დღეს მოსაფიქრებლად აძლევს.

– რამდენ დღეს? – იკითხა გოგონამ.

– რამდენიც გსურს

– არ მჭირდება არც ერთი დღე, არც ერთი საათი. მე ბავშვობიდანვე თაყვანს ვცემ და ვენდობი ერთ ღმერთს, რომელიც ზეცაში სუფევს და თავისთან უხმობს ადამიანებს.

– ამაოა ჩემი მცდელობა დაგარწმუნო! – გაცოფებულმა შესძახა ვოლუსიანემ და ბრძანა ბავშვი სასტიკად ეწამებინათ.

საჭირო იყო მტკიცე რწმენა და ისეთი ძლიერი ლოცვა, რომელიც სრულიად შთანთქავდა ყველა სხვა გრძნობას, რომლის დროსაც სული თითქმის აღარ გრძნობს სხეულს და ფიზიკური ტანჯვა განიცდება, როგორც უცხო ადამიანის განცდა. ამ განსაცდელში გასაძლიერებლად წმიდა ბავშვი ასე ლოცულობდა: „უფალო ჩემო, იესო ქრისტე, ჩემო აღმზრდელი და სიმართლის სხივებით განმანათლებელო; შენ, ჩემო გამაძლიერებელო ეშმაკის წინააღმდეგ მედგრად ბრძოლაში; შენ, მორწმუნეთათვის ჭეშმარიტი სიბრძნის მომცემო, შემეწიე ამ ღვაწლში, რათა იმ ხუთ წინდანელულ ქალწულთან ერთად შემოვიდე შენს წმიდა სასახლეში და ვადილო შენი სახელი“.

აკვილინამ მთელი თავისი ძალები ლოცვისაკენ მიმართა და სასტიკი წამებისაგან მკვდარივით დაეცა.

ვალუსიანემ ჩათვალა, რომ აკვილინა მოკვდა და ბრძანა მისი სხეული ქალაქიდან მოშორებით, გზის პირას დაეგდოთ.

შუალამისას ღმერთმა ნეტარ ქალწულს თავისი ანგელოზი გამოუგზავნა. ანგელოზი შეეხო მას და უთხრა: „ადექი, შენ

ჯანმრთელი ხარ, წადი ვოლუსიანესთან და ამხილე მისი არარაობა“.

მაღლიერი ქება-დიდება აღმოხდა სასწაულით გადარჩენილ გოგონას. კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და სიმამაცით აღვსილი აკვილინა მტარვალისკენ გაეშურა.

„უფალო, – ლოცულობდა იგი გზაში, – ღირს მყავ შენი გვირგვინისა, დამატკბე იმით, რასაც შენს ერთგულ ადამიანებს დაგვპირდი, მომეცი უფლება შენთვის წამებულ წმინდანთა დასთან ერთად მეც ვადილო შენი სახელი“.

„მოდი, – გაისმა ხმა ზეციდან, – მიიღებ, რასაც თხოულობ“.

ეს იყო საოცარი გზა. რაღაც უცნაური სინათლე უნათებდა გზას. ქალაქის კარიბჭე თავისით გაიხსნა აკვილინას წინ, ღვთის ანგელოზი კი წინ მიუძღოდა. ასე მივიდა იგი ვოლუსიანეს დარბაზებამდე. იგი შეუფერხებლად მიუახლოვდა მძინარე მმართველის სარეცელს. მმართველმა გაიღვიძა, გაარჩია ადამიანის სილუეტი, შეშინებულმა მსახურებს მოუხმო და სანთლების მოტანა უბრძანა.

მის წინ ცხადად იდგა საშინელი წამების შემდეგ ქალაქგარეთ გადაგდებული აკვილინა.

ვოლუსიანემ ბრძანა დილამდე მისი საპყრობილეში ჩამწყვდევა. დილით, როდესაც პატიმარი მიჰგვარეს, შეძრწუნებული მმართველი თავის თავს ეუბნებოდა: „თუ ასეთმა წამებამ ვერაფერი დააკლო, მაშ რა გზით შეიძლება მისი მოკვლა?“ და გამოიტანა ასეთი განაჩენი: „უკვდავი ღმერთების უარმყოფელი, მეფის ურჩი, ასაკით ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ჯადოქარი აკვილინა ვერაფრით ვერ დავაყენეთ სწორ გზაზე. ამიტომ მრავალი წამების შემდეგ, რომელთაც ამ ჯადოქარს ვე-

რაფერი დააკლეს, ვბრძანებ მისი ქალაქიდან გაყვანას და სიკვდილით დასჯას თავის მოკვეთით“.

და აი ნეტარი ბოლოჯერ გადის ქალაქიდან.

მისი სული, რომელიც ბავშვობიდანვე ქრისტესკენ მი-
ისწრაფვოდა, ენით უთქმელი სიხარულით ივსებოდა, რადგან
გმირობით გასხივოსნებული ახლა ქრისტესთან მიდიოდა. ბუნ-
დოვნად ჩაიარა მის თვალწინ ნაცნობმა ქუჩებმა და შენობებმა,
მთებმა და ლურჯმა ცამ, სადაც მალე მისი სული უნდა
ასულიყო.

და აი სამსჯავროს ადგილი... აკვილინამ ითხოვა დრო
სალოცავად, თვალები ზეცისაკენ ალაპყრო და წარმოთქვა:

„უფალო, ყოვლადძლიერო ღმერთო ჩემო, მადლობას გიხ-
დის, რომ მომეცი ძალა, ბოლომდე ამეტანა ჩემი განსაცდელი!
გადიდებ შენ, ღმერთო ჩემო, ყოვლისშემქმნელო, რომ ამოდ
არ გავიარე ჩემი ცხოვრების გზა, გაკურთხებ შენ, რომ ჩემით
შეარცხვინე მტარვალი, მე კი მარადიულ გვირგვინს მიმზადებ.
მშვიდობით მიიღე ჩემი სული, რათა მიწიერის დათმობით
ზეციური მოვიპოვო“.

და როდესაც ლოცვა დაასრულა, ზეციდან ხმა გაისმა:

„მოდის, რჩეულო ქალწულო, მმართველის მრისხანების
დამთრგუნველო და შენი გმირობით ეშმაკის შხამის გამაქარ-
წყლებელო... მოდი და მიიღე საზღაური“.

და ამ ხმაზე ქრისტეს წმიდა მოწამემ, მახვილის დარტყმამ-
დე, თავისი საბოლოო ძილით დაიძინა.

ჯალათმა დაინახა, რომ იგი გარდაიცვალა, მაგრამ ბრძანებ-
ის არ შესრულება ვერ გაბედა და მიცვალებულ წმინდანს თავი

მოკვეთა, და მაშინ ჭრილობებიდან სისხლის ნაცვლად რძემ გამოჟონა.

იქ მყოფმა ქრისტიანებმა მის მრავალტანჯულ სხეულს ნელ-საცხებლები სცხეს, ტილოში გაახვიეს და იმავე ქალაქში დამარხეს. მის საფლავზე, ქრისტეს სადიდებლად მრავალ ავადმყოფს კურნება ეძლეოდა.



ღირსი ლევკი, ახალგაზრდა იღუმენი
(ხსენება 20 ივნისს)

ალექსანდრიაში ცხოვრობდა ერთი პატიოსანი კაცი, სახელად ევლოკი — კაცი მართალი, მმარხველი, მლოცველი და მოწყალების უხვად გამცემი. მას ჰყავდა შვილი ევტროპი, მომავალში წმიდა ლევკი. ეს სახელი მას თავად ღმერთმა უწოდა.

ბიჭუნა ათი წლის სრულდებოდა, როცა დედა გარდაეცვალა. დაქვრივებულმა მამამ მონასტერს მიაშურა. ევტროპიც იმავე მონასტერში მიიყვანა.

მშვიდი, თავმდაბალი და მორჩილი ყმაწვილი თავგამოდებით ემსახურებოდა საძმოს წევრებს. იგი არა მარტო უყვარდათ, არამედ პატივს სცემდნენ ხასიათის, გონიერებისა და სიბრძნის გამო, რაც მასში ღვთის მადლით მოჭარბებულად იყო.

ევტროპი თვრამეტი წლის იყო, როდესაც გარდაეცვალა მონასტრის იღუმენი და ბერებმა სთხოვეს ახალგაზრდა ევტროპის, ჯერ კიდევ ბერად აღუკვეციელს, გამხდარიყო მათი წინამძღვარი. ის უარზე იდგა, მითუმეტეს, რომ მამამ კატეგორიულად აუკრძალა, დათანხმებულიყო უჩვეულო პასუხისმგებლობის ტვირთის ზიდვას, იმ ასაკში, როდესაც თვითონ საჭიროებდა ხელმძღვანელს. მაგრამ ბერებს სხვა არავინ სურდათ. ამიტომ მონასტერი შვიდი წელი უწინამძღვროდ დარჩა.

როდესაც ევტროპი ოცდახუთი წლისა შესრულდა, ძმებმა უთხრეს:

— რატომ ტოვებ უპასუხოდ ჩვენს გასაჭირს? შვიდი წელია წინამძღვრის გარეშე ვართ და თითოეული ჩვენთაგანი თავის ნებაზე ცხოვრობს. გაფრთხილდი, არ მოგიწიოს ღმერთის

წინაშე პასუხის გაცემა, ჩვენი სავანის დაქცევისათვის. ჩვენ შენს გარდა არავინ გვსურს წინამძღვრად, რადგან ვხედავთ ღმერთის მიერ შენთვის ნაბოძებ სიბრძნეს.


— რატომ მტანჯავთ ამ თხოვნით, მამანო და ძმანო? — პასუხობდა მათ ევტროპი, — თქვენ ხომ შეუძლებელს მთხოვთ... როგორ შემიძლია, ვიყო თქვენი ილუმენი, როდესაც ასე ახალგაზრდა ვარ და ამავე დროს ბერიც კი არა ვარ, არავითარი საეკლესიო წოდება არ გამაჩნია. როგორ ვიქნები თქვენთვის მამა, თუკი არა მაქვს ხელისუფლება, გითხრათ ჭკუის დამრიგებლური სიტყვა ეკლესიაში, მე თავად ახალგაზრდამ როგორ უნდა გასწავლოთ უხუცესებს? ამაოდ ცდილობდნენ ბერები მის დაყოლიებას. ევტროპის გულში ეწადა მონაზვნობა, მაგრამ ეშინოდა, რომ მერე ძალით დაადგენდნენ ილუმენად. მოხუც ევდოკის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ეუწყა, რომ მისი აღსასრული მოახლოებული იყო, ხოლო მისი ვაჟი ეპისკოპოსი გახდებოდა და იტალიის ერთ-ერთ მხარეში კერპებს გაანადგურებდა, ხოლო ამ მხარის მკვიდრთ ქრისტესთან მიიყვანდა... და ჩაესმა ხმა, რომელმაც აუწყა: „შენს შვილს სახელად ეწოდოს ლევკი, ნიშნად იმისა, რომ მასზე სულიწმიდა გადმოვიდა“.

ღლით, როდესაც მამამ შვილს უამბო ამ ხმის შესახებ, ყმაწვილი ღმერთისადმი უსაზღვრო მადლიერების გრძნობით მუხლებზე დაეცა. და კვლავ გაისმა ხმა ზეციდან: „ლევკი, ლევკი, სულით ნათელო და გულით სუფთავ, შენი სახელი ზეცაში წერია და ხსოვნა შენი არ წაიშლება სიცოცხლის წიგნიდან“. ყოველივე ეს საკათედრო ქალაქში ხდებოდა და ეს ხმა ეპისკოპოსსაც ესმოდა.

დილით ეპისკოპოსს მონასტრის საძმო ეახლა და დაჟინებით სთხოვა, ევტროპი მათ წინამძღვრად დაეყენებინა, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში უარს ამბობდა ილუმენობაზე. ახალი უარის შემთხვევაში, მათ სურდათ, ძალით დაენიშნათ ევტროპი მონასტრის უფროსად.

იმ დღეს ლიტურგიაზე, ეპისკოპოსის ბრძანებით, დიაკონმა სამჯერ იკითხა: „ვის ჰქვია აქ მყოფთა შორის ლევკი?“ არავინ უპასუხა.

მესამე შეკითხვის შემდეგ ლევკი დარწმუნდა, რომ მის გარდა არავინ იყო ლევკი და გამოეხმაურა. ევდოკიმ გაამხილა თავისი შვილის სახელის დარქმევის საიდუმლო. ხალხი ხარობდა, ეპისკოპოსმა კი დაარწმუნა ლევკი, მიეღო სამღვდელო წოდება და ილუმენობა და ხელდასხმაც აღასრულა. მოგვიანებით, თავისი ქადაგებით, ლევკიმ გაანათლა და გააქრისტიანა იტალიის ერთ-ერთი კუთხე და იქვე მშვიდობით მიიციკალა.



იოანე ნათლისმცემელისა და წინამორბედის
დაბადება და ბავშვობა
(სსმნება 24 ივნისს)

მარადიული მზის – იესო ქრისტეს ამობრწყინებას წინ უსწრებდა ცისკრის მნათობი, იოანე ნათლისმცემლის სახით.

მისი მშობლები იყვნენ მღვდელი ზაქარია და ელისაბედი. ისინი ორივენი მართალნი იყვნენ ღმერთის წინაშე, ასრულებდნენ უფლის ყველა მცნებასა და განაწესს. შვილები მათ არ ჰყავდათ, ორივენი ხანში შესულები იყვნენ. ერთხელ, როდესაც ზაქარია ტაძარში შევიდა საკმეველად, მთელი ხალხი კი გარეთ ლოცულობდა, მას მოევლინა ღვთის ანგელოზი, საკურთხევლის მარჯვნივ მდგომარე. ზაქარია შეძრწუნდა და შეშინდა, ანგელოზმა კი უთხრა: „ნუ გეშინია, ზაქარია, შენი ვედრება შესმენილ იქნა. შენი ცოლი ელისაბედი გიშობს ძეს, რომელსაც შენ იოანეს დაარქმევ. ეს ამბავი შენი სიხარული იქნება. მისი შობით მრავალი გაიხარებს. ღვთის არ დალევს, ბავშვობიდანვე სულიწმიდით აღივსება და ისრაელის მრავალ ძეს მოაქცევს უფლის მიმართ და უწინამძღვრებს მათ ელიას სულითა და ძალით“.

დამშვიდებულმა ზაქარიამ ანგელოზს ჰკითხა:

– როგორ დავიჯერო ეს, მეც და ჩემი ცოლიც ხომ მოხუცები ვართ?

ანგელოზმა მიუგო, – „ღმერთის წინაშე მდგომარე გაბრიელი ვარ და მოვედი, რათა გახარო ეს ამბავი. შენ კი რადგან არ ირწმუნე ჩემი სიტყვები, დადუმდები და სიტყვას ვერ დაძრავ იმ დღემდე, სანამ არ აღსრულებდა ჩემს მიერ თქმული“.

ამასობაში ხალხი ელოდა ზაქარიას და უკვირდით მისი დაყოვნება ტაძარში, ის კი გამოვიდა და ვერ შესძლო ხმის ამოდება, მხოლოდ ანიშნა მათ, რომ ხილვა ჰქონდა და დამუნჯებული იყო. მისი შინ დაბრუნების შემდეგ ელისაბედი დაფეხმძიმდა.

იოანეს დაბადებამდე სამი თვით ადრე, ასაკოვანი ელისაბედი მონიხულა ნათესავმა, ყოვლადკურთხეულმა მარიამმა ნაზარეთიდან, სადაც მას მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და აუწყა, რომ იგი შობდა ძეს ღვთისას.

მომავალი დედობითა და საყვარელ მარიამთან შეხვედრით გახარებული ელისაბედი აღივსო სულიწმიდით და მან, პირველმა ადამიანთა შორის, წინასწარმეტყველურად აღიარა ყოვლადწმიდა ქალწული ღვთისმშობლად: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა! და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა?“

მაშინ მარიამმა დიდი თავმდაბლობით იწინასწარმეტყველა თავისი მომავალი დიდება: „ამიერიეთგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი“. მარიამმა ელისაბედთან სამი თვე დაჰყო და შემდეგ თავის სახლში დაბრუნდა.

როდესაც ელისაბედისთვის შობის ჟამმა მოაღწია, ნათესავები და მეზობლები მივიდნენ მასთან და გაიხარეს, რომ უფალმა სიბერის ჟამს მისცა მას ძე და ამით განადიდა მისი სახელი. როდესაც ჩვილისათვის სახელის დარქმევის დრო დადგა, ელისაბედმა, კვლავ წინასწარმეტყველების სულით აღვსილმა, წინადადებაზე – დაერქვათ მამის სახელი ზაქარია, განაცხადა: „ეწოდოს იოანე“.

დამუნჯებულმა ზაქარიამ მოითხოვა ფიცარი და დაწერა: „მისი სახელი იოანე“.

ზაქარიამ მაშინვე ამოიდგა ენა, ხმა ამოიღო, აკურთხებდა ღმერთს და წინასწარმეტყველებდა თავისი შვილის მომავალს.

იოანე ნათლისმცემლის შესახებ სახარება მოკლედ გვიამბობს:

„ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა. და იყო უდაბნოს, ვიდრე გამოცხადებამდე მისა ისრაელისა მიმართ“.

დიმიტრი როსტოველის თენის საკითხავებში მოთხრობილია, რა სასწაულებრივად გადაურჩა იოანე ნათლისმცემელი მეფე ჰეროდეს დევნას, ბეთლემის ყრმათა ამოხოცვის დროს. მეფე ჰეროდემ ზაქარიას ძის, იოანეს მოკვლაც ბრძანა, რადგან მის შესახებ ბევრი საოცარი რამ სმენოდა და მასშიც შეეძლო იუდეველთა მეფე ევარაუდა. მან მკვლელები ზაქარიას სახლში გაგზავნა, მაგრამ ჩვილი იქ არ აღმოჩნდა. როდესაც მოწყვეტილ ყრმათა გოდება ბეთლემის მახლობელ ქებრონში ელისაბედმა გაიგო, იგი თავის პირმშო იოანესთან ერთად მაღალმთიან რაიონში გადაიძალა. მღვდელი ზაქარია ამ დროს ტაძარში მღვდელმსახურებას აღასრულებდა. ელისაბედი თვალცრემლიანი ეკედრებოდა ღმერთს, დაეცვა იგი თავის შვილთან ერთად. როდესაც მღევრები დაეწივნენ, მან მთას შესთხოვა: „მთაო ღვთისაო, მიიღე დედა პირმშოსთან ერთად“. მთა გაიხსნა, მიიღო დედა-შვილი და მკვლელებისაგან დაიფარა. ისინი ჰეროდესთან ხელცარიელნი დაბრუნდნენ. მაშინ მეფემ ზაქარიასთან ტაძარში გაგზავნა ხალხი და მოსთხოვა მას გაეცა ძე, იოანე.


– მე ჩემს ღმერთს ვემსახურები და არაფერი ვიცი ჩემი შვილის შესახებ, განაცხადა ზაქარიამ.

განრისხებულმა ჰეროდემ კვლავ გაგზავნა მეომრები ბრძანებით მისი მოკვლის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ზაქარია არ გასცემდა ვაჟს.

სასტიკმა წარგზავნილებმა, საბოლოო უარის მიღების შემდეგ, მოკლეს ზაქარია საკურთხეველთან. მისი სისხლი მარმარილოს იატაკზე დაიქცა.

ღვთივ დაცული ელისაბედი კი თავის ძესთან ერთად კვლავ მთას აფარებდა თავს. უფლის ნებით, იქ გამოქვაბული წარმოიქმნა და წყარომ ამოხეთქა. გამოქვაბულის თავზე ფინიკის ხე წამოიმართა და როდესაც დედა-შვილს მოშივდებოდა, ხე მათკენ დაიხრებოდა, თავისი ნაყოფით დაანაყრებდა და კვლავ გაიმართებოდა.

ზაქარიას მოკვლიდან ორმოცი დღის შემდეგ წინამორბედის დედა, ელისაბედი ამ გამოქვაბულშივე მიიცვალა. წმიდა იოანეს ანგელოზები კვებავდნენ ჭაბუკობის ასაკამდე და უდაბნოში იფარავდნენ ისრაელისათვის მისი გამოცხადების ჟამამდე.



ყრმა პოტიტემს წამება (სსმმება 1 ივლისს)

იმპერატორ ანტონინის მეფობისას, როდესაც ქრისტიანები იდეენებოდნენ, სარდინიაში ცხოვრობდა წარმართი ჰელასი. მას ჰყავდა ცამეტი წლის ვაჟი, პოტიტე.

ღვთის წყალობით, ყმაწვილმა შეიცნო თავისი შემოქმედი. იგი უარყოფდა უსულო კერპებს, ერთ ღმერთს ეთაყვანებოდა და მის მიმართ ლოცულობდა. თავისი მახვილი გონებით პოტიტე ჩაუფიქრდა საღმრთო წერილს და მოიპოვა ისეთი სულიერი სიბრძნე, რომ შეეძლო სხვებისთვისაც ესწავლებინა.

მამას აღიზიანებდა შვილის განწყობა და ითხოვდა მისგან კერპთაყვანისმცემლობაზე დაბრუნებას, მაგრამ ვერაფერს მიადწია. მაშინ მან ყმაწვილი საკუჭნაოში ჩაკეტა, აკრძალა მისთვის საჭმლის მიტანა: „დაე, გამოკვებოს ღმერთმა, რომელსაც ეთაყვანება“.

პატიმრობაში მყოფი ყმაწვილი აღტაცებით ლოცულობდა. მამისგან უსმელ-უჭმელობით დატანჯულს ღმერთი სულიერი საზრდოთი და სულიწმიდის მადლით ავსებდა. ყმაწვილი მხიარული და ჯანმრთელი იყო, მისი სახე ბრწყინავდა.

პოტიტე მხურვალედ ეკედრებოდა ღმერთს, შეხებოდა მამამისის გულს. ღმერთმა მას ზეციდან ანგელოზი გამოუგზავნა, რომელმაც აუწყა, რომ მისი ვედრება შესმენილ იქნა. შვილის ლოცვითა და ხანგრძლივი შეგონებით ჰელასმა ირწმუნა და მოინათლა.

მამის ნათლობის შემდეგ პოტიტემ დატოვა მშობლიური ქალაქი და საქადაგებლად უცხო ქვეყნებს მიაშურა.

ქალაქ ვალერიაში პოტიტე ერთ-ერთი სახლის კართან ჩამოჯდა და სახლიდან გამოსულ მონას წყალი სთხოვა.

— აქ ითხოვ წყალს? — გაიკვირვა მონამ. — ჩვენი სახლიდან ყველა გარბის, რადგან ჩვენი ქალბატონი კირიაკია, სენატორ აგათონის მეუღლე, კეთრითაა დაავადებული, ექიმები ვერაფერს შველიან მას.

— მე ქრისტეს მონა ვარ. — უთხრა პოტიტემ, — ჩემი მეუფე ყველაფრის მკურნალია. იგი არჩენდა კეთროვნებს, ფეხზე აყენებდა სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულებს, ბრძმებს მხედველობას უბრუნებდა, მკვდრებს სიტყვით აღადგენდა.

— თუ შენ მისთვის მხოლოდ მონა ხარ, განა შეგიძლია კეთროვნის განკურნება?

— იქ სადაც რწმენაა, განკურნებაც იქნება.

— მაშ ჩვენი ქალბატონის განკურნება შეგიძლია?

— თუ ჩემს ღმერთს, ქრისტეს ირწმუნებს — განიკურნება.

— თუ განკურნავ, მისი ქონების ბატონ-პატრონი გახდება.

— არ მსურს, — უპასუხა ყმაწვილმა, — არც ოქრო-ვერცხლი და არც მისი მამულები. მსურს, მისი სული ქრისტეს, ჩემს ჭეშმარიტ ღმერთს ვაზიარო.

პოტიტემ ავადმყოფს ქრისტეს შესახებ უამბო, შემდეგ მუხლი მოიყარა და მისთვის ილოცა.

როდესაც კირიაკიას ნათლობა აღსრულდა, იგი სრულიად ჯანმრთელი ამოვიდა ემბაზიდან, ახალშობილივით სუფთა კანით... ამ სასწაულმა ქრისტეს რჯულზე მოაქცია მისი ქმარი, შინაურები და ნახევარი ქალაქი.

პოტიტე დაემშვიდობა ახალგაქრისტიანებულებს და გარგარის უდაბურ მთაზე წავიდა. ის იქ, ველურ ნადირთა შორის,

როგორც ცხვერებთან, ისე ცხოვრობდა; უფლის ბრძანებით მხეცები ყმაწვილს ემორჩილებოდნენ.

იმ დროს რომში მეფე ანტონინეს ასული, აგნია, ეშმაკეული სულით შეპყრობილი იტანჯებოდა. მამა ამაოდ სწირავდა კერპებს მსხვერპლს შვილის გამოსაჯანმრთელებლად. ბოლოს ეშმაკმა ავაღმყოფი გოგონას პირით წარმოთქვა: „მე არ გამოვალ აგნიას სხეულიდან, სანამ აქ არ მოვა გარგარის მთაზე მცხოვრები პოტიტე“.

მეფემ იმ მთაზე, პოტიტეს საძებნელად, დაახლოვებული პირი ორმოც მეომართან ერთად გააგზავნა. გარგარის უდაბნოს გავლისას მათ დაინახეს ნადირებით გარშემორტყმული, მთაზე მჯდომი ქრისტეს მონა. მეომრებმა გაქცევა დააპირეს, რადგან მხეცებმა მათკენ გაიწიეს, მაგრამ ნეტარმა უბრძანა მათ: „დაბრუნდით თქვენს ადგილზე, არავის არაფერი დაუშავოთ“. და ისინიც დაბრუნდნენ. პოტიტე კი რომში წაიყვანეს.

იმპერატორმა ანტონინემ პირობა მისცა წმინდანს, თუ მისი ასული აგნია განიკურნებოდა, იგი ქრისტეს ირწმუნებდა. პოტიტემ უწმინდური სულის საწინააღმდეგო ლოცვა წარმოთქვა და ისიც შავი გველის სახით ასულის სხეულიდან გამოვიდა.

მეფემ სიტყვა გატეხა და ყმაწვილს კერპებისადმი თაყვანისცემასა და წამებას შორის არჩევანი შესთავაზა. პოტიტე გააშიშვლეს და სცემეს, შემდეგ კი, მისი სურვილისამებრ საკერპოში შეიყვანეს. მეფის მოთხოვნაზე, კერპებისთვის თაყვანისცემა, მან უპასუხა, რომ ჯერ სურდა ენახა ეს ღმერთები.

და აი პოტიტე საკერპოში კერპების წინ დგას, რომლებიც მისთვის საძულველ წარმართობას განასახიერებენ. ყმაწვილის

სულში გაიდვიდა ნატვრამ, რომელიც იმავე დროს ლოცვაც იყო, რომ ღმერთს დაემსხვრია ეს კერპები. და ამ შესანიშნავ დღეს ყველაფერი ისე ასრულდა, როგორც ის ნატვრობდა.

საშინელმა გრიგალმა მოიცვა საკერპო, უხილავმა ძალამ სადგომიდან გადმოყარა კერპები, რომლებიც დაცემისთანავე ნამსხვრევებად იქცნენ.

პოტიტე იღვა მღუმარედ, ხელაპყრობილი და თვალებიდან სინარულისა და მადლობის ცრემლები სდიოდა.

მეფე განრისხდა. მისი ბრძანებით ბორკილდადებული ყმაწვილი საპყრობილეში ჩააგდეს. იქ ჯურღმულში, ღამით ლოცვისას, მას გამოეცხადა ნათლით მოსილი ანგელოზი. მან დაამშვიდა, გაამხნევა ყმაწვილი და მის სხეულზე მძიმე რკინის ჯაჭვები ცვილივით დადნა, სიბნელე ნათელმა მოიცვა და იქაურობა ენით უთქმელმა კეთილსურნელებამ აავსო. ეს მცველებმაც შეიგრძნეს, სარკმელში შეიხედეს, დაინახეს საოცარი ნათება და ბორკილდაწყვეტილი წმინდანი, რომელიც ღმერთს აღიდებდა და ანგელოზს ესაუბრებოდა. ყოველივე ამის შესახებ მეფეს მოახსენეს.

ღლით მაუწყებლები ხალხს მოედანზე იხმობდნენ, სადაც მეფე მრისხანედ ეკითხებოდა მოწამეს:

– სად დგებარ, პოტიტე?

– მე ვხელავ ჩემს თავს ჩემი ღმერთის მიწაზე მდგომარეს. – უშიშრად პასუხობდა ის.

– მოვიდა შენი სიკვდილი და ჩემი ხელიდან ვერ გიხსნის შენი ღმერთი.

– როგორ არ გრცხვენია? ძაღლიც კი შენზე უკეთ აზროვნებს; იგი იმ ადამიანს, ვინც მას პურს აწვდის, მადლო-

ბის ნიშნად ეალერსება. შენ კი ჩემი ღმერთისაგან შვილის კურნება მიიღე და მაინც გმობ მას.

კვლავ შეუდგნენ პოტიტეს წამებას, ის კი მეფეს ეუბნებოდა:

– ეს ჩემი წამება ჩემს სხეულს კი არა, შენს გულს აყენებს ტანჯვას, რადგან მე ტანჯვას მოთმინებით ვამარცხებ და სიხარულით ვიღებ მას.

სიბოროტით აღვსილმა მეფემ წმინდანის ნადირებისთვის მიგდება ბრძანა. ნადირები კი ყმაწვილს ელაქუცებოდნენ და ხელ-ფეხს ულოკავდნენ. მაშინ მეფემ ნეტარის ნაწილებად დაჭრა ბრძანა. როდესაც ჯალათები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, მისი სხეული გაქვავდა. ამ სასწაულმა ორი ათასი კაცი ქრისტეს რჯულზე მოაქცია.

უშველებელ ტაფაზე გააცხელეს ზეთი, მოწამე ზედ დააწვინეს და ზემოდან კიდევ გამდნარ კალას ასხამდნენ... მაგრამ ყრმა სიგრილეს გრძნობდა, აღიდებდა ღმერთს და მეფეს ეუბნებოდა:

– ბრძანე, მეტი კალა დამასხან – მე ის მაგრილებს.

მეფე ფიქრობდა, კიდევ რა მოეგონებინა, როგორ ეწამებინა ყმაწვილი.

ახლა მას რკინის ლურსმნების ჩაჭედება დაუწყეს. ღვთის ძალით მოწამე ცოცხალი და ჯანმრთელი იყო, ტკივილს ვერ გრძნობდა, პირიქით ეს ტკივილი მეფეზე გადავიდა, იგი ხმამაღლა უყვიროდა მოწამეს:

– შემიწყალე, ქრისტეს მონავ, მისხენ ამ ტკივილისაგან და მე შევიცნობ შენი ღმერთის ძალას.

მაშინ ნეტარმა ბრძანა მეფის ასული მოეყვანათ. ქალი შეევედრა ყმაწვილს მონათლა იგი. წმინდანმა ემბაზი მოატანიდა და რადგან ყველა მღვდელი დევნის გამო მალვაში იყო, თვითონვე მონათლა ასული. პოტიტემ მეფეც განკურნა, მაგრამ უმეცარმა, იმის ნაცვლად, რომ ღმერთი ედიდებინა, თავის კერპებს თავყანი სცა. ამის შემდეგ მეფემ ყმაწვილისთვის ენის მოჭრა და თვალების დათხრა ბრძანა.

და აი მოხდა სასწაული — ქრისტეს მოწამე მოჭრილი ენით მკაფიოდ გამოთქვამდა ფსალმუნის სიტყვებს: „ვაკუროთხო უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ქებაჲ მისი პირსა ჩემსა“. ასე შეარცხვინა უღმობელი მღვდელი ღვთის ძალამ, რომელიც ყმაწვილ პოტიტეში მოქმედებდა. მეფემ ქვეყნის დასაცინად გაიხადა თავი. ამ შერცხვენისთვის ბოლო რომ მოელო, მეფემ პოტიტესთვის თავის მოჭრა ბრძანა.

ასე დაასრულა თავისი მოწამებრივი ღვაწლი ქრისტეს წმიდა მოწამე — პოტიტემ. მან ყრმობის წლებში შესწირა სული ქრისტეს და ახლაც მასთან ერთადაა ზეცაში სამარადისოდ.



ღირსი ათანასე ათონელის სიმშობის სიჭაბუკე
(სსმნება 5 ივლისს)

ღირსი ათანასე ათონელის სამშობლო კავკასიასთან ახლოს მდებარე ქალაქი ტრაპეზუნტი (ტრაპიზონი). მამა მის დაბადებამდე გარდაიცვალა. დედამ მოასწრო შვილის მონათვლა და ისიც გარდაიცვალა.

ობოლი, რომელსაც ნათლობისას აბრაამი დაარქვეს, აღსაზრდელად ერთმა ენკრატისმა (ქალი მონაზონი) აიყვანა. იგი ჯერ კიდევ ყრმობის წლებში ისეთ თვისებებს ამჟღავნებდა, რაც მასში მომავალ დიდ მოღვაწეზე მიუთითებდა. ბავშვობიდანვე ძალიან გონიერი იყო. თანატოლებთან თამაშისას არასოდეს ყოფილა მეფე ან მხედართმთავარი, ყოველთვის იღუმენი იყო. ამიტომაც ბავშვობიდანვე ეჩვეოდა მონაზვნურ ცხოვრებას. გატაცებული თავისი აღმზრდელის მაგალითით, რომელიც მუდმივ ღოცვასა და მარხვაში იყო, ჭაბუკი ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მის ასაკში, მიეზება მისთვის – ელოცა და ემარხულა.

სწავლაში ყველა თანატოლს სჯობდა, ტანით და გონებით სწრაფად იზრდებოდა. ყრმობის წლებმა გაიარა. ამ დროს გარდაიცვალა მონაზონი, რომელმაც მას დედის მაგივრობა გაუწია. მეორედ დაობლებულმა, მწარედ დაიტირა იგი. ჭაბუკს დიდი სურვილი ჰქონდა სწავლა ბიზანტიაში გაეგრძელებინა, რაშიც ღმერთი დაეხმარა. იმპერატორ რომანოზის ერთ-ერთმა დიდებულმა, რომელიც ტრაპეზუნტში სახელმწიფო საქმეების გამო იყო მივლინებული, ნახა აბრაამი, მოიხიბლა მისი კეთილზნობით და სათნო გარეგნობით, თან წაიყვანა ბიზანტიაში, მიაბარა

ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებელს – ათანასეს. მალე მოსწავლე ცოდნით მასწავლებელს გაუტოლდა.

ბიზანტიაში აბრაამს ნაცნობობა ჰქონდა ცნობილ მხედართმთავართან, რომლის ვაჟი მის ნათესავზე დაქორწინდა. მხედართმთავარმა შესთავაზა აბრაამს, გადასულიყო მასთან საცხოვრებლად.

აბრაამი მდიდრულ სახლში ცხოვრობდა, სადაც პატრონებისთვის უხვი და დახვეწილი სუფრა იშლებოდა, მაგრამ ყმაწვილი არ თმობდა მარხვას და თავშეკავებას, რომელსაც მისმა აღმზრდელმა მონაზონმა მიაჩვია. მას არ სურდა მაგიდასთან დაჯდომა, შიმშილს ბალახებითა და ბოსტნეულით იკმაყოფილებდა, ცოტა ეძინა, საერთოდ ყოველნაირად ითრგუნავდა თავს, რათა ხორცი სულისთვის დაემორჩილებინა.

მისი კეთილზნეობისა და გონიერების გამო იგი ყველას უყვარდა. მეფემაც კი შეიტყო მის შესახებ და დააყენა იგი ახალგაზრდების მოძღვრად, მისი მასწავლებლის – ათანასეს თანასწორად. და რადგან აბრაამი უფრო ნიჭიერი იყო თავის მასწავლებელზე, მალე გაითქვა სახელი და მასთან უფრო მეტი მოსწავლე მიდიოდა ვიდრე, ათანასესთან. ამან ყოფილ მასწავლებელს გულში შური აღუძრა. თავისი მასწავლებლისათვის გული რომ არ დაეწყვიტა, აბრაამმა მასწავლებლობაზე უარი თქვა და თავის სახლში გააგრძელა სულიერი მოღვაწეობის საქმეები.


ერთხელ აბრაამი მეფის ბრძანებით აღმოსავლეთში მივლინებულ დიდებულს თან ახლდა. გზად მათ ათონის მთა მონახულეს. ამ მონაზონთა სავანემ ჭაბუკზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ მიხვდა ის თავის მოწოდებას და სახლ-

ში რომ დაბრუნდა, ათონზე და მონაზვნობაზე ფიქრობდა. ღვთის განგება აახლოვებდა მას თავის ოცნებასთან.

კონსტანტინოპოლში ჩავიდა ცნობილი მოღვაწე მიქაელ მაღლინი. იგი ათონის მახლობლად ცხოვრობდა. მასთან საუბარში აბრაამმა კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი მისწრაფება.

მას შემდეგ აბრაამი ღიდხანს არ დარჩენილა ერში, რომელიც არასოდეს იზიდავდა, დატოვა იგი, წავიდა მიქაელ მაღლინთან და მაშინვე შეუდგა წლების მანძილზე დაგროვილი გულმოდგინებით ღიდ ღვაწლს.

ათანასეს სახელით აბრაამი გახდა მართლმადიდებლური მონაზვნობის უდიდესი მოღვაწე. ის ცხოვრობდა ანგელოზებრივი ცხოვრებით. გადმოცემები ამ ცხოვრებისა და იმ სასწაულების შესახებ, რომელთაც ათანასე აღასრულებდა, მონაზვნური ცხოვრების ისტორიის მიმზიდველ ფურცლებს მიეკუთვნება.



ქვემოთაშენი ქვემოთაშენი, ღმერთი და მარიაში ედესის მცხოვრებლები იყვნენ. ისინი ქრისტიანულად ცხოვრობდნენ, იყვნენ ღვთისმომადგინი, ემსახურებოდნენ უფალს და ბევრ მოწყალეებას იქმოდნენ, რადგან ძალიან მდიდრები იყვნენ. პირველად მათ ქალიშვილი შეეძინათ. ცოლ-ქმარს ვაჟი სურდა. ისინი გულმოდგინედ ლოცულობდნენ, რათა ღმერთს მათთვის ძე გამოეგზავნა.

დიდმარხვის პირველ შაბათს, როდესაც ეკლესია იხსენიებს დიდმოწამე თეოდორე ტირონს, ცოლ-ქმარი ტაძარში დილის მსახურებაზე შესაწირით მივიდა. ისე მოხდა, რომ ორივეს ჩასთვლიდა და ორივეს ხილვა ჰქონდა.

მათ ეჩვენათ, რომ პავლე მოციქულის ტაძარში იდგნენ დიდმოწამე თეოდორე ტირონთან ერთად. დიდმოწამემ მოციქულს მათზე მიუთითა და უთხრა: „ქრისტეს მოციქულო, ესენი გულმოდგინედ ლოცულობენ, ღმერთს ვაჟს სთხოვენ, უშუამდგომლედ მათ უფალთან, რათა შეუსრულდეთ თხოვნა და მიეგოთ მათი შესაწირისა და უხვი მოწყალეებისამებრ. მაშინ მოციქულმა მათ ხელში ახალშობილი ვაჟი ჩაუწვინა და წარმოთქვა: „აი თქვენი ძე“. დიდმოწამემ დაამატა: „იყოს მისი სახელი თეოდორე, რადგან ეს ბავშვი ჭეშმარიტად ღვთის საჩუქარი იქნება (თეოდორე ბერძნულად „ღვთის საჩუქარს“ ნიშნავს).

დილის მსახურების დამთავრების შემდეგ მეუღლეებმა ერთმანეთს ხილვის შესახებ უამბეს. ისინი გაოცდნენ იმით, რომ

ორივეს ერთნაირი ჩვენება ჰქონდა. ისინი მხურვალედ მადლობდნენ ღმერთს იმის გამო, რომ ემცნოთ ვაჟის დაბადების შესახებ და გახარებულები დაბრუნდნენ შინ.

მთელი ფეხმძიმობა მარიამმა უდიდეს თავშეკავებაში გაატარა, იგი გულმოდგინედ იცავდა იმის სიცოცხლეს, ვინც სულიწმიდის ჭურჭელი უნდა გამხდარიყო. ახალშობილს თეოდორე დაარქვეს, როგორც ხილვისას უწოდა მას დიდმოწამემ.

როცა თეოდორე წამოიზარდა, მშობლებმა იგი სასწავლებლად მიაბარეს. ბიჭი სუსტი მეხსიერების გამო ცუდად ითვისებდა და ამიტომ სწავლა უჭირდა. ეს უფლის ნებით მოხდა, რათა მას არა ადამიანებისაგან, არამედ ღვთის მადლით მიეღო სიბრძნე. მშობლებიც და თანატოლებიც მას ხშირად საყვედურობდნენ. თეოდორეს აზრი გაუჩნდა უფლისთვის ეთხოვა შეწევნა. მან დაიწყო ტაძარში სიარული და გულმოდგინე ლოცვა.

ერთ კვირა დღეს, წმიდა ლიტურგიის დაწყების წინ, ბიჭი ეკლესიის საკურთხეველში შეიპარა და წმიდა ტრაპეზის ქვეშ დაიმალა. იგი არავის შეუმჩნევია. მღვდელმთავარი მოვიდა და წირვის ჩატარებას შეუდგა. ამ ხნის განმავლობაში თეოდორეს წმიდა ტრაპეზის ქვეშ ეძინა.


ძილში ყმაწვილს ხილვა ჰქონდა. მზესავით ბრწყინვალე მისი ტოლი ბიჭი მას ფიჭიან თაფლს აჭმევდა, შემდეგ მოძვრის კვერთხი მისცა ხელში და აკურთხა. თეოდორეს გამოეღვიძა და ტრაპეზის ქვეშიდან გამოძვრა. მისი ნახვით გაკვირვებული მღვდელმთავარი და საკურთხეველის მსახურნი

ეკითხებოდნენ, თუ როგორ გაჩნდა აქ ბიჭმა უამბო მათ საკუთარი თავის და ხილვის შესახებ.

ამ ამბავმა მღვდელმთავარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მან ბიჭი მეღავითნედ დაადგინა და ამის შემდეგ თეოდორეს გონება გაეხსნა. სწრაფად აითვისა წიგნებში გადმოცემული სიბრძნე და ჭკუით არა მარტო თანატოლებს, არამედ უფროსებსაც გაუსწრო. მან შეიძინა როგორც სულიერი, ასევე საერო სიბრძნე. ის იყო ედესის ცნობილი მასწავლებლისა და ფილოსოფოსის — სოფრონის მოსწავლე.

როდესაც იგი თვრამეტი წლის იყო, გარდაიცვალა მამამისი, ხოლო ერთი წლის შემდეგ მას დედაც მიჰყვა. თეოდორემ მშობლების დანატოვარი მამულის ნაწილი ღარიბებს დაურიგა, ნაწილი კი დას მისცა, რომელიც გათხოვილი იყო და ჰყავდა ვაჟიშვილი ბასილი — შემდგომში ამასიის ეპისკოპოსი; მან თავისი ბიძის ცხოვრება აღწერა.

ოცი წლის იყო თეოდორე, როდესაც უფლის საფლავის თაყვანისსაცემად წმიდა მიწაზე გაემგზავრა, მან სხვა წმიდა ადგილებიც მოილოცა და ღირსი საბა განწმედილის ლავრაში მონაზვნად აღიკვეცა. ედესის ეპისკოპოსი თეოდორე აღმოსავლეთის იმ წმიდა მამების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც, უფლისაგან უმაღლესი ნიჭით დაჯილდოვებულებმა, საოცარი სასწაულებით გაითქვეს სახელი.



ღირსი ანტონე კეჩოროელი
(ხსენება 10 ივლისს)

ღირსი ანტონი სამართლიანად არის აღიარებული რუსული მონაზვნობის მამად. ერში მას ანტიპა ერქვა. წარმოშობით იგი პატარა დასახლებიდან, ლუბეჩიდან იყო, რომელიც ჩერნიგოვიდან ორმოცი ვერსტის დაშორებით მდებარეობს. ის ადრეული ასაკიდანვე გრძნობდა განმარტოებული ცხოვრებისაკენ მოწოდებას. ამას მოწმობს მის სამშობლოში დღემდე შემონახული გამოქვაბული, რომელშიც ანტონი სულიერ მოღვაწეობას ეწეოდა. შემდეგ, უფლის შთაგონებით, მოგზაურობა დაიწყო. მოგზაურობისას ათონის მთას მიაღვა. ანტიპამ შემოიარა ათონი, ნახა იქაური მოღვაწეების ცხოვრება. ერთ-ერთ სავანეში ანტიპა ბერად აღკვეცეს და ანტონი დაარქვეს. განდევილი ცხოვრებისადმი დიდი ხნის მიდრეკილების დასაკმაყოფილებლად ანტონი სანაპიროს კლდის მღვიმეში შეუდგა მოღვაწეობას. მისი სულიერი მოძღვარი გახდა ესფიგმენუს სავანის ილუმენი, თეოქტისტე, რომელიც ეხმარებოდა მას სულიერ ღვაწლში და უხილავ მტრებთან ბრძოლას ასწავლიდა. მალე წმიდა ანტონი სულიერად მომწიფდა და ბერმა თეოქტისტემ უთხრა: „ანტონი! წადი რუსეთში, რათა სხვებსაც მოუტანო სარგებელი და წმიდა ათონის მაღლი“.

ანტონი დაემორჩილა ბერის სიტყვას, დატოვა წმიდა მთა და 1013 წელს კიევში ჩავიდა. იქ, დნეპრის პირას, უღრანი ტყით დაფარული, ციცაბო მთის კალთაზე იყო მღვიმე, რომელშიც ადრე ყაჩაღები იმალებოდნენ. სწორედ ეს მღვიმე აირჩია ანტონმა, რათა იქ მარხვით, განუწყვეტელი ლოცვითა და მღვიმარებით ეღვაწა. რუსეთში კიევის მთავრის, ვლადიმერის მკვ-

ლელობას დიდი მღელვარება და სისხლის ღვრა მოჰყვა. ამის გამო ანტონი იძულებული შეიქნა იქაურობა დაეტოვებინა და ათონზე დაბრუნებულიყო.

რამოდენიმე წელი დაჰყო მან ამ „მონაზონთა სამეფოში“. ბოლოს მისმა სულიერმა მამამ კვლავ უბრძანა, წასულიყო რუსეთში. ანტონი ჩავიდა იქ, დნეპრისპირა ბორცვში მღვიმე გამოთხარა და იქ დასახლდა. ეს იყო 1028 წელი. ქრისტესადმი მხურვალე სიყვარულით ფრთაშესხმულმა წმინდანმა არ იცოდა მოსვენება თავის ღვაწლში. სიყვარულისა და მადლიერების ცრემლები, მღვიძარება, მარხვა, მეტანიები და განსაკუთრებით, ათონელთა რჩევით, განუწყვეტელი „გონებით“ ლოცვა (იგულისხმება იესოს ლოცვა – უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი) – მისი მუდმივი საქმიანობა იყო. სახარების მიხედვით, ის, ვინც სულიერ სიმდიდრეს მოიპოვებს, სხვა ყველაფერს მიატოვებს; ის, ვინც უფალთან საოცარი ურთიერთობის ღირსი გახდება, ვერავითარი მიწიერი საცთურით ვერ მოიხიბლება. ამიტომ არც ანტონს სჭირდებოდა ამქვეყნიური დიდება, სახელი და სიმდიდრე. ღმერთის განდიდებით თვითონ იყო ღმერთისაგან განდიდებული. როგორც ჟამთააღმწერელი ნესტორი ამბობს, მისი სახელის დიდება ანტონი ეგვიპტელის მსგავსად სწრაფად გავრცელდა. ბევრი მიდიოდა მასთან, მიჰქონდათ პური, სთხოვდნენ წმიდა ლოცვით შეწევნას; ზოგიერთი იქვე ტოვებდა ამქვეყნიურ მიდრეკილებებს და წმიდა ანტონის ცხოვრების მიმბაძველი ხდებოდა. ასეთები იყვნენ: მოსე, ლეონტი, ილარიონი, თეოდოსი. თავისი ცხოვრების ანტონთან ერთად გატარება პირველად მღვდელმონაზონმა ნიკონმა გადაწყვიტა. 1054 წელს ტახტზე

ახლად ასული კიევის დიდი თავადი იზიასლავი თავის მხლებლებთან ერთად ესტუმრა ანტონს და სთხოვა ელოცა მისთვის. მოღვაწეობა ადამიანის სულის მოთხოვნილებაა, ამიტომაც იზიდავს იგი როგორც უსწავლელებს, ასევე ნასწავლებს, მდიდრებსაც, ღარიბებსაც და დიდებულებსაც. იზიასლავის სამეფო კარის წარმომადგენლებმა — ვარლაამმა და ეფრემმა განდეგილი ცხოვრება ისურვეს და ანტონიმ ისინი ბერად აღკვეცა. ამის გამო, მთავარმა დევნა დაუწყო წმიდა მოღვაწეს. ანტონი თავის მოწაფეებთან ერთად უკვე მზად იყო, კიევი დაეტოვებინა, მაგრამ მალე მოვიდა შეტყობინება მთავრის ბრძანების შესახებ, შეეწყვიტათ ბერების დევნა. „რალაც საქმის გამო პოლონეთიდან გააძევეს ბერები და ამის გამო ქვეყანას ბევრი უბედურება დაატყდა თავს“, — ეუბნებოდა იზიასლავს მისი პოლონელი მეუღლე.

როდესაც ძმების რიცხვი თხუთმეტამდე ავიდა, მოღვაწეებმა მღვიმეში ეკლესია მოაწყვეს. ამის შემდეგ ანტონიმ მათ უთხრა: „ძმებო, ამიერიდან იცხოვრეთ უჩემოდ, მე ილუმენს დაგიდგენთ და წავალ სხვა მთაზე, რათა კვლავაც მარტო ვიყო, როგორც ადრე მიცხოვრია“. მან ძმებს ილუმენად ვარლაამი დაუდგინა, თვითონ კი ძველი მღვიმიდან 100 საჟენის მოშორებით ახალი მღვიმე გამოთხარა და იქ დასახლდა. სწორედ ეს მღვიმე ატარებს ანტონის სახელს.

ახლადშექმნილი ბერთა ერთობის მთავარი ხელმძღვანელი და მოძღვარი კვლავ ანტონი იყო. მართალია მან თავისი დიდი თავმდაბლობის გამო ილუმენობაზე უარი განაცხადა, წმინდანი არ ტოვებდა საძმოს საჭირო რჩევისა და აუცილებელი თანადგომის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში იგი შუამდგო-

მლობასაც უწევდა მათ მთავართან. ასე მაგალითად, 1057 წელს მან იზიასლავს შეუთვალა: „ჩემო მთავარო! ღვთის შეწევნით ჩვენი საძმომ მრავლდება, ადგილი არ გვეყოფნის, ხომ არ დაგვითმობ მთას, რომელიც გამოქვაბულის თავზეა?“ წმინდანის თხოვნა შესრულებულ იქნა. იმდენად დიდი იყო ანტონის სიყვარული ძმების მიმართ, რომ შვიდი წლის მანძილზე მას თვითონ დაჰქონდა საჭმელი დაყუდებულ ისააკთან; სულით ის მუდამ საძმოსთან იყო და თავისი ღოცვით მათთვის ღვთის წყალობას ითხოვდა.

1067 წელს რუსეთში ყივჩაღები შეიჭრნენ. თავადები — იზიასლავი, სვიატოსლავი და ვსევოლოდი მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ. საბრძოლველად გამგზავრების წინ თავადები მამა ანტონს ეახლნენ კურთხევისათვის. მოღვაწემ ცრემლთა ღვრით მათ მარცხი უწინასწარმეტყველა. მაშინ ერთ-ერთი მხედართმთავარი, სიმონი მუხლებზე დაეცა და შეევედრა ანტონს ელოცა მის გადასარჩენად. „თქვენ გაგთელავენ, ზოგ თქვენგანს აჩეხავენ და ზოგს წყალში ჩაახრჩობენ, მაგრამ შენ, ჩემო შვილო, გადარჩები და აქაურ ტაძარში დაიმარხები“ — უპასუხა წმიდა ანტონმა. ყივჩაღებთან ბრძოლა მდინარე ალტაზე მოხდა. რუსები მართლაც დამარცხდნენ. დაჭრილი სიმონი გვაძებში იწვა. მან ზეცისკენ აიხედა და დიდებული ტაძარი დაინახა. „ღმერთო, ღვთისმშობლის, ღირსი ანტონისა და თეოდოსის ღოცვებით მიხსენი მწარე სიკვდილისაგან!“ — შეევედრა იგი უფალს. მოულოდნელად რაღაც ძალამ აიტაცა იგი გვაძებიდან და იმწამსვე განიკურნა.

მდინარე ალტასთან დამარცხების შემდეგ კიეველები იზიასლავს აუჯანყდნენ. ის იძულებული შეიქნა პოლონეთში

გაქცეულიყო. იზიასლავის ადგილი ვსესლავმა დაიკავა, რომელიც დიდ პატივს სცემდა წმიდა ანტონს, ხშირად სტუმრობდა მას და ისიც სიყვარულით იღებდა თავადს. ამან იზიასლავის უკმაყოფილება გამოიწვია და როდესაც იგი კიევში კვლავ დაბრუნდა, თავისი რისხვა ღირს მამას თავს დაატეხა „ვსესლავის გამო“. ჩერნიგოველმა სვიატოსლავმა შეიტყო ამის შესახებ და ანტონი თავისთან წაიყვანა, ახლად დაარსებულ ჩერნიგოვის ელექციის მონასტერში. ანტონს აქ განსაკუთრებით ბოლდინის მთა მოეწონა და ამ მთაზე მღვიმე გამოთხარა. თავადმა კი აქ ილია თეზბიტელის სახელობის ეკლესია ააგო. მალე ანტონის გარშემო მრავალმა ზნეკეთილმა ადამიანმა მოიყარა თავი, ანტონმა დიდება და სახელი მოიხვეჭა. მთავარმა იზიასლავმა მალე შეიგნო თავისი შეცდომა და წმინდანს შეუთვალა დაბრუნებულიყო კიევში. კეთილმა ანტონიმ ამაში ღვთის ნება დაინახა, დაბრუნდა ძველ გამოქვაბულში და თავის უწინდელ ღვაწლს შეუდგა.

ამ გამოცდის შემდეგ უფალმა წმინდანს უდიდესი ნუგეში გამოუგზავნა. პეჩორის ლავრაში კონსტანტინოპოლიდან ოთხი ქვისმთლელი მოვიდა და იკითხა, სად აეშენებინათ ეკლესია. როდესაც გამოიკითხეს, თუ რატომ მოვიდნენ და ვინ გამოაგზავნა ისინი, ქვისმთლელებმა უპასუხეს, რომ თითოეულ მათგანთან დილით ადრე მოვიდა შიკრიკი შეტყობინებით, რომ დედოფალი (იგულისხმება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი) მას ვლაქერნის ეკლესიაში იბარებდა. როდესაც ისინი იქ მივიდნენ, დედოფალმა მათ უთხრა:

– მინდა, რუსეთში, კიევში ავაშენო ეკლესია. აიღეთ სამი წლის საყოფი ოქრო, წაღით და ააშენეთ.

– ვისთან წავიდეთ უცხო ქვეყანაში? – იკითხეს ქვის მთელელებმა. მაშინ დედოფალმა მიანიშნა მის გვერდით მდგომ ორ მამაკაცზე და უთხრა:

– აი მათთან – ანტონისთან და თეოდოსისთან, რომლებიც იქ დაგხვდებიან. ანტონი თქვენს საქმიანობას აკურთხებს და გადავა სამუდამო განსასვენებელში. ერთი წლის შემდეგ მას თეოდოსიც გაჰყვება... დედოფალმა ისიც გვითხრა, რომ ტაძარი ღვთისმშობლის სახელობის უნდა ყოფილიყო. მოგვცა წმიდა მოწამეთა – არტემის, პოლიევქტის, ლეონტის, აკაკის, არეთას, იაკობის და თეოდოსის წმიდა ნაწილები და გვიბრძანა მათი ტაძრის საძირკველში ჩაბრძანება.

– მაშ, სად ავაშენოთ ტაძარი? – იკითხეს ხუროთმოძღვრებმა საუბრის ბოლოს.

– მოითმინეთ სამი დღე – უთხრა ანტონიმ.

ამ ხნის განმავლობაში იგი გაძლიერებით ლოცულობდა, რათა უფალს გაემხილა მისთვის ტაძრის აშენების ადგილი. მისი ლოცვა შესმენილ იქნა. პირველ ღამეს რჩეული ადგილი მშრალი იყო, გარშემო კი ყველაფერი დაცვარული. მეორე ღამეს კი მხოლოდ ეს ადგილი იყო დაცვარული, დანარჩენი კი მშრალი. სწორედ ამ ადგილზე აკურთხა წმინდანმა ეკლესიის აშენება და ძალევე გარდაიცვალა. მისი ნეტარი აღსასრული დადგა 1073 წლის 7 მაისს, 90 წლის ასაკში. ანტონის ნაწილები დღემდე მის მღვიმეში განისვენებს. რამდენიმეჯერ სცადეს მისი წმიდა ნაწილების აღმოყვანება, მაგრამ წმინდანი შეეწინააღმდეგა ამას. „მან არ დაუშვა ეს ერთხელ ცეცხლის, მეორედ კი წყლის საშუალებით“. თავმდაბლობით ჩვენც შეგვიძლია დავამარცხოთ ეშმაკის ხრიკები და ცათა სასუფეველი მოვიპოვოთ.

ყრმა მოწამე კვირიკე და დედამისი ივლიტა
(სსენება 15 ივლისს)

რომის მეფეთა შთამომავალი, კეთილშობილი ქრისტიანი ქალი ივლიტა, ახალგაზრდა ასაკში დაქვრივდა, მას დარჩა ერთადერთი ვაჟი კვირიკე.

იმ დროის იმპერატორმა დიოკლეტიანემ ქრისტიანებს სასტიკი დევნა გამოუცხადა, რის გამოც ივლიტა სხვადასხვა ქალაქებს აფარებდა თავს. მცირე აზიის ქალაქ ტარსოსში ყოფნის დროს ღმერთმა განსაცდელი დაუშვა ქალზე. მაშინ, როდესაც იგი ღატაკებს შორის იმალებოდა, ვიღაცამ იგი ქრისტიანების სასტიკ მღევნელთან, ქალაქის მმართველ ალექსანდრესთან დაასმინა. ალექსანდრე მოედნის შუაგულში იჯდა, როდესაც ივლიტა მიუყვანეს, ქალს სამი წლის კვირიკე ეჭირა ხელში.

მაღლიან ქრისტიანულ გარემოში გაზრდილი ეს პატარა ბიჭი უკვე იცნობდა წმიდა მოწამეთა ცხოვრებას. მან უკვე იცოდა, რომ ქრისტესადმი ერთგულება მარადიულ სასუფეველში გამარჯვების გვირგვინს იმსახურებდა. კვირიკეს უკვე შეეძლო ქრისტეს სახელის წარმოთქმა. იგი უცოდველ გულზე იწყობდა ხელებს და ბავშვურ მზერას ცას აპყრობდა. ის იყო ერთ-ერთი იმ ბავშვთაგანი, რომელთა სულიერი ცხოვრება ასაკს წინ უსწრებს.

მოკლე დაკითხვის დროს ივლიტამ აღიარა თავისი ქრისტიანობა. მმართველის ბრძანებით მას ბავშვი ხელიდან გამოგლიჯეს და ხარის ძარღვებით უმოწყალოდ სცემეს. პატარა უყურებდა დედის ტანჯვას, ტიროდა და ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა ჯალათებს, რათა დედასთან მიერბინა. მმართვე-

ელს იმდენად მოეწონა ბავშვი, რომ კალთაში ჩაისვა, ამშვიდებდა და ეფერებოდა. ბიჭი ეწინააღმდეგებოდა, მის კოცნას სახეს არიდებდა, დედისკენ მიიწევდა და ტირილით ყვიროდა: „მე ქრისტიანი ვარ, გამიშვით დედაჩემთან!“ უშიშარი ბავშვი მმართველს სახეს ფრჩხილებით უკაწრავდა. მმართველი განრისხდა. მან ბავშვი ძირს დაანარცხა, ფეხი ჰკრა და მაღალი ფიცარნაგიდან გადმოაგდო. კვირიკე ქვის საფეხურზე დაგორდა და კიბის კუთხეს მიარტყა თავი, იქაურობა მისი სისხლით მოირწყო, ყმაწვილმა ღმერთს მიაბარა თავისი წმიდა, უმანკო სული. ასე დაიდგა წამებულის გვირგვინი წმიდა ყრმამ, კვირიკემ.

ნეტარმა ივლიტამ ვერ დაინახა შვილის ვნება. ის მამაცურად იტანდა წამებას და იძახდა: „მე ქრისტიანი ვარ, არ შეგწირავ კერპებს მსხვერპლს“. როდესაც წამება დროებით შეაჩერეს, ივლიტა წამოდგა და სისხლში ამოსვრილი შვილი დაინახა, რომელიც უსულოდ ეგდო მიწაზე. ივლიტამ სიხარულით შეჰკლავდა ღმერთს: „გმადლობ შენ, უფალო, რომ ჩემზე უწინ ჩემი შვილი გახადე ღირსი მოწამებრივი სიკვდილით აღსრულებულიყო და მიეღო შენი დიდების გვირგვინი“.


ივლიტას წამება გრძელდებოდა, სხეულს რკინით უფხეკდნენ, იარებზე გამდნარ ფისს ასხამდნენ. ბოლოს, როდესაც მტარვალმა მასზე მთელი თავისი ბოროტება გადმოანთხია, ივლიტასთვის თავის მოკვეთა ბრძანა. როდესაც მოწამე ქალაქიდან გაჰყავდათ, მან მუხლი მოიყარა და ილოცა: „ღმერთო ჩემო, იესო ქრისტე, გმადლობ შენ, ჩემზე წინ რომ ჩემი შვილი იხმე, რომ ღირსყავ წამებულები შენი წმიდა სახელისათვის, რომ ამაო ცხოვრების წილ წმინდანების გვერდით მარადიული

სასუფეველი დაუმკვიდრე. მიმიღე მეც, შენი უღირსი მხევალი, და შენი მადლით იმ ბრძენ ქალწულთა რიცხვს მიმაკუთვნე, რომლებიც შენს სასახლეში უხრწნელად შევიდნენ“.

ორმა ერთგულმა მონამ ივლიტა და კვირიკე საიდუმლო ადგილზე დაკრძალა. ერთ-ერთმა მათგანმა იცოცხლა მოციქულთასწორ კონსტანტინეს იმპერატორობის დრომდე. როდესაც ქრისტიანების დევნა შეწყდა, მან უჩვენა ქრისტიანებს, სად განისვენებდა მოწამეთა, კვირიკესა და ივლიტას წმიდა ნაწილები, თან უამბო მათი მოწამებრივი აღსასრულის შესახებ.

კეთილსურნელებით აღსავსე უხრწნელმა ნაწილებმა, რომლებიც მიწიდან ამოაბრძანეს, ბევრ ადამიანს კურნება მიმადლა.

ამ მოწამეთა ვნებანი აღიწერა ქრისტიანთა გასამტკიცებლად და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სადიდებლად მამასთან და სულიწმიდასთან ერთად უკუნითი უკუნისამდე!



ღირსი მაკრინეს ბავშვობა
(**სსენება 19 ივლისს**)

ქრისტიანობის პირველმა საუკუნეებმა, რომელთა დროს მორწმუნეთა შორის ქრისტეს სიტყვა ასე ცოცხალი და მოქმედი იყო, წმიდა ოჯახების ცხოვრების საოცარი სურათები მოგვცა. ერთ-ერთი ასეთი ოჯახიდან გახლდათ ეკლესიის ცნობილი მამა – ბასილი დიდი.

მის მშობლებს, ბასილის და ემილიას ჰყავდათ უფროსი ქალიშვილი მაკრინე. სულ მათ ოჯახში 10 ბავშვი იზრდებოდა – 4 ვაჟი და 6 ქალიშვილი. სანამ ემილიას უფროსი შვილი შეეძინებოდა, ესიზმრა, რომ ხელში გოგონა ეჭირა. მასთან მივიდა ნათლით მოსილი კაცი, რომელმაც აღერსიანად შეხედა ბავშვს და სამჯერ დაუძახა მას სახელი – თეკლა, იმის ნიშნად, რომ გოგონა მომავალში წმიდა პირველმოწამე თეკლას ცხოვრების მიმბაძველი იქნებოდა.

ემილიას გამოეღვიძა, მაშინვე იმშობიარა და ახალშობილს თეკლა დაარქვა. მაგრამ ოჯახის წევრები და ნათესავები ბავშვს მაკრინეს ეძახდნენ, ბებიის პატივსაცემად, რომელიც თავგამოდებული ქრისტიანი იყო. იმპერატორ მაქსიმილიანეს დროს მაკრინეს ბებია, სხვა ქრისტიანებთან ერთად, ქრისტეს აღსარებისთვის იდევენებოდა. მან შვიდი წელი უდაბნოში, უკიდურეს გასაჭირში გაატარა, ვიდრე არ შეწყდა ქრისტიანების დევნა.

გოგონამ გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი გონებრივი შესაძლებლობები. დედამ პატარაობიდანვე შეასწავლა მას კითხვა. ის აძლევდა ბავშვს წასაკითხად არა წარმართულ წიგნებს, უხამსი მოთხრობებითა და არაკებით, არამედ აკითხებდა სო-

ლომონის სიბრძნეს, დავითის ფსალმუნს და სხვა საღმრთო წიგნებს. ემილია გოგონას ყურადღებას განსაკუთრებით იმ სტრიქონებზე უმახვილებდა, რომლებშიც გულმხურვალე ლოცვა ან ღვთის სადიდებელი იყო. ბავშვი სწრაფად ითვისებდა ყველაფერს. დღის განმავლობაში მისი ბაგეებიდან ისმოდა ჟამნის შესაფერისი ლოცვები და სიტყვები წმიდა წერილიდან. გაღვიძებისას თუ რაიმე საქმის კეთებისას, ჭამის წინ თუ ჭამის შემდეგ, შუადღისას თუ საღამოს, არასოდეს ტოვებდა ლოცვას.

წერა-კითხვის გარდა დედამ მაკრინეს ხელსაქმეც შეასწავლა. ემილია შვილს არ აძლევდა ნებას, დრო უქმად, საბავშვო თამაშებში გაეტარებინა. გოგონა ან წიგნის კითხვაში ვარჯიშობდა, ან ხელსაქმით იყო დაკავებული.

თორმეტი წლის მაკრინე შეუდარებლად ლამაზი იყო. მხატვარიც კი ვერ შეძლებდა მისი გასაოცარი სილამაზის გადმოცემას... მრავალი გამორჩეული ადამიანი ცდილობდა მაკრინე თავისი შვილისთვის გაერიგებინა. მამამისმა ერთ ახალგაზრდაზე შეაჩერა არჩევანი, რომელიც არა მარტო მშობლების წარჩინებით და მდგომარეობით, არამედ საზრიანობითა და კეთილზნეობით გამოირჩეოდა, და დანიშნა მასზე მაკრინე.


მაკრინეს ქორწინება მამამ მის ზრდასრულ ასაკამდე გადადო და საქმროც კეთილი ნებით ელოდა საცოლეს. მაგრამ უფალმა, რომელიც თავისი სიბრძნისამებრ განაგებს ყველაფერს, საქმრო თავისთან — ზეციურ უკვდავებაში მიიხმო.

ეს ქორწინება მაკრინეს მაინცდამაინც არ სურდა. იგი უფრო მამის ნებას ემორჩილებოდა. საქმროს გარდაცვალება ქალიშვილმა ღვთის მოწოდებად მიიღო. მრავალი სთხოვდა მას

ხელს, მშობლებიც და ნათესავებაც გათხოვებას აძალებდნენ. ის ახლობლებს ასე პასუხობდა:

– დანიშნულ ქალწულს არ ეკადრება სხვაზე გათხოვება. უსინდისობაა განსვენებულის ღალატი. კანონით ქორწინება ერთია, ისევე როგორც დაბადება და გარდაცვალება. რატომ მეუბნებით, რომ ჩემი დანიშნული მოკვდა? მე მჯერა, რომ იგი ღროებით დაგვშორდა მომავალი აღდგომის იმედით: ის არ მომკვდარა, უბრალოდ ამქვეყნიდან წავიდა საყოველთაო აღდგომამდე. დიდი სირცხვილი და ცოდვაა, თუ ცოლი ღროებით წასულ ქმარს უღალატებს. მე არ შემძლია ჩემი საქმროს ხსოვნის ერთგული არ ვიყო.

აქედან დაიწყო მაკრინეს მონაზვნური მოღვაწეობა, რომელმაც იგი წმინდანობამდე მიიყვანა.



წმიდა მოწამე ქრისტინე
(ხსენება 24 ივლისს)

ძლევამოსილი, მდიდარი, ცნობილი ურბანი ქალაქ ტვიროსის მმართველი იყო. მას ჰყავდა ქალიშვილი ქრისტინე.

თერთმეტი წლის ქრისტინე საოცარი სილამაზით ჩრდილავდა თანატოლებს. მამას სურდა, ქალიშვილი კაცთა თვალთაგან დაეფარა, რათა ზედმეტ მზერას მისი ქორფა, ნაზი სილამაზე არ წაეხილწა. მან გოგონა ოქრო-ვერცხლისაგან გაკეთებული კერპებით მორთულ სასახლეში დაასახლა და ასწავლა, როგორ ეკმია მათთვის გუნდრუკი.

იმ ახალგაზრდების მამები, რომელთაც გაგონილი ჰქონდათ ქრისტინეს სილამაზის შესახებ, ურბანთან მიდიოდნენ ასულის ხელის სათხოვნელად. ურბანი ასე პასუხობდა მათ:

—ქრისტინე არ გათხოვდება, რადგან ღმერთების რჩეულია და ქალწულებაში უნდა ემსახუროს მათ.

ქრისტინე კი ამ დროს თავის სასახლეში ღრმა ფიქრებს მისცემოდა. მას უყვარდა ამქვეყნიური სილამაზე, მზის ბრწყინვალება, ვარსკვლავთა ციმციმი. ბუნება სულ უფრო მეტად უნერგავდა მას აზრს იმის შესახებ, რომ სამყაროს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ერთი შემოქმედი. მან შეიჯავრა კერპები და აღარ უკმევდა მათ. გულში იგი ეთაყვანებოდა ერთ, ზეცაში მყოფ ღმერთს და ცრემლებით ევედრებოდა, გამოცხადებოდა მას, რათა შეეცნო ის, ვისი სიყვარულითაც იყო მისი გული ანთებული. ღმერთმა შეისმინა თავისი მხევლის ლოცვა და გამოუგზავნა ანგელოზი, რომელმაც მას ჯვარი გადასახა და უწინასწარმეტყველა მოწამებრივი ღვაწლი, აუწყა, რომ სამი ჯალათი აწამებდა მას წმიდა სამების რწმენის გამო. ან-

გელოზმა მოწამებრივი გმირობისათვის გაამხნევა ქრისტიანე და წმიდა პურით გამოკვება, რადგან ხანგრძლივი მარხვით იყო დაძაბუნებული. ქრისტეს სიყვარულით დამტკბარი, უზომოდ ბედნიერი ქრისტიანე ახალგაზრდული შემართებით შეუდგა ოქროსა და ვერცხლის კერპების მსხვერველს. ლითონის ნატეხებს, რომელსაც იგი ღამით ფანჯრიდან ყრიდა, დილით გამვლელები კრეფდნენ. ენით აუწერელი იყო ურბანის მრისხანება, როდესაც შეიტყო, თუ როგორ მოექცა კერპებს მისი ქალიშვილი. მან სიკვდილით დაასჯევინა მონები, რომლებიც ქრისტიანეს ჰყავდა მიჩენილი. გოგონა კი, რომელიც აუღელვებლად აღიარებდა ქრისტიანობას, აცემინა და საპყრობილეში ჩააგდო.

მეორე დღეს ურბანი თავისი ასულის სახალხო გასამართლებას შეუდგა, არა როგორც საკუთარი შვილის, არამედ როგორც კერპების შეურაცხმყოფელის.

თავდაპირველად მამამ აღერსიანად დაუწყო შვილს შეგონება, მოენანიებინა თავისი ცოდვა ღმერთების წინაშე. როდესაც ქრისტიანემ ურბანს უთხრა, რომ ის მისი ქალიშვილი აღარ იყო, რადგან მათ აღარაფერი ჰქონდათ საერთო, გაშმაგებულმა მამამ გოგონას ბასრი რკინებით გაროზგვა ბრძანა.

წამება სასტიკი იყო. მოწამე დუმდა. სხეულის აუტანელი ტანჯვის დროს მის სულში იდუმალი სიტკბოება სუფევდა. ზეციდან მოვლენილი ანგელოზი უმსუბუქებდა მას ტანჯვას... უცებ ცეცხლიდან, რომლითაც მას აწამებდნენ, ამოვარდა ალი და ათასამდე წარმართი დაწვა.

ღამით ქრისტიანესთან საპყრობილეში ღვთის ანგელოზი წარსდგა. მან განკურნა მისი წყლულები, გამოაჯანმრთელა და დააპურა იგი. გოგონა სიხარულით ადიდებდა ღმერთს.

მეორე დღეს ქრისტინე ნავში ჩასვეს, გაიყვანეს ზღვაში, კისერზე მძიმე ქვა მოაბეს და წყალში გადააგდეს. მაგრამ ანგელოზმა იგი ხელში აიყვანა, კისრიდან ქვა ჩამოსნა და წმინდანმა, თავისი უსხეულო წინამძღოლის დახმარებით, წყალზე, როგორც ხმელეთზე ისე გაიარა!

როდესაც ქრისტინე უვნებელი წარსდგა მამის წინაშე, ურბანი ისე შეშინდა, რომ დიდხანს ვერ მოვიდა გონს. მან ბრძანა, მეორე დღეს სიკვდილით დაესაჯათ ქრისტინე, მაგრამ ღამით სიკვდილის ცელმა მტარვალი მოულოდნელად გამოასალმა სიცოცხლეს.

ქრისტინეს წამება ურბანის ადგილზე მოსულმა ახალმა მმართველმა გააგრძელა, მაგრამ გოგონა მტკიცედ ქადაგებდა იესო ქრისტეს სახელს. მან შემუსრა აპოლონის კერპი, რომლის დამხობისას მმართველიც უსულოდ დაეცა. ამ სასწაულმა უფლისკენ სამი ათასი კაცი მოაქცია.

შემდეგ ტვიროსის მმართველად იულიანე დანიშნეს. მისი ბრძანებით წმიდა მოწამეს ხუთი დღის განმავლობაში წვავენ დიდ ღუმელში, მაგრამ უფალმა ბაბილონელი ყრმების მსგავსად, ქრისტინეც უვნებელი გამოიყვანა ღუმელიდან. გოგონას შხამიანი გველები მიუსიეს, მაგრამ ისინი ქრისტინეს სიტყვას დაემორჩილნენ და უდაბური ადგილებისაკენ გასრიალდნენ. ბოლოს წმიდა ქალწული მახვილებით განგმირეს. ისეთი ურყევი იყო მოწამის რწმენა და ისე იყო ქრისტეს მხევალი ღვთის მადლით გაძლიერებული, რომ სამმა მძვინვარე მმართველმა ვერ დაამარცხა ეს ახალგაზრდა ქალწული.



ღირსი ქალწული ეკპრაქსია – ახალგაზრდა
მონაზონი
(ხსენება 25 ივლისს)

კონსტანტინეპოლში ღვთისმოსავი თეოდოსი დიდის მეფობის დროს, ცნობილ დიდებულებს შორის ბრწყინავდა მეფის ნათესავი, ანტიგონე. ბრძნული და გონივრული იყო მისი სიტყვაც და საქმეც. იგი მეფეს ყოველთვის კეთილ რჩევებს აძლევდა. ანტიგონე ხალხის დიდი გულშემატკივარი იყო, მოწყალე მათხოვრებისადმი, იგი ხალხისთ ეხმარებოდა ღარიბებს. მეფეს იგი უყვარდა არამარტო როგორც ნათესავი, არამედ როგორც ღვთისმოსავი ქრისტიანი და კეთილი მრჩეველი.

ანტიგონე ძალიან მდიდარი იყო. მან ცოლად შეირთო მშვენიერი ქალწული, სახელად ეკპრაქსია – კეთილმსახური, ღვთისმოშიში, ეკლესიის ერთგული, მხურვალე მლოცველი. იგი ტაძრებს თავის ძვირფასეულობებს სწირავდა სიწმინდეების შესამკობად.

ამ ღვთისმოსავ წყვილს ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მშობლებმა დედის სახელი – ეკპრაქსია დაარქვეს. შვილის შეძენის შემდეგ მეუღლეები შეთანხმდნენ, თავშეკავებაში ეცხოვრათ, და-ძმასავით. მათ გადაწყვიტეს თავიანთი ქონება ქრისტიანული საქმეებისთვის მოეხმარათ. „ამ ქონებას მიწაში ხომ არ წავიდებთ?“ – ამბობდნენ ისინი – კეთილი განზრახვით დაკურთვებთ ღარიბებს, რათა მათ ჩვენთვის ილოცონ“.

ანტიგონემ მხოლოდ ერთი წელი იცხოვრა ასეთი ცხოვრებით და გარდაიცვალა. მეფემ და დედოფალმა გულით დაიტირეს იგი. დაკრძალვის შემდეგ ისინი შეეცადნენ ენუგეშებინათ ეკპრაქსია, მაგრამ მან თავისი ქალიშვილი ხელში

ჩაუწვინა მეფე-დედოფალს, მათ წინ მუხლებზე დავარდა და თქვა: „უფლისა და თქვენს ხელში ვტოვებ ამ ობოლს; თქვენი ნათესავის, ანტიგონეს ხსოვნისთვის, მიიღეთ ეს ბავშვი და იყავით მისთვის დედ-მამა“. ამ სიტყვების გამგონე ტიროდნენ მეფე-დედოფალიც და გარშემო მყოფი ადამიანებიც.

ოთხი წლის შემდეგ მეფემ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ევპრაქსია ცნობილ ყმაწვილზე, სენატორის შვილზე დანიშნა, რომელიც მის სრულწლოვანებას უნდა დალოდებოდა.

საქმრო დედასაც გამოუჩნდა და ამ საქმეს თვით დედოფალი უწყობდა ხელს! მეფემ ეს ამბავი გაიგო და განურისხნა დედოფალს: „შენ უკადრისი საქციელი ჩაიდინე. როგორ შეგეძლო ჩვენი ახლო ნათესავისა და მრჩევლის, ანტიგონეს დავიწყება, როგორ ისურვე მისი ცოლის, რომელიც ანგელოზებრივ ცხოვრებას შეუდგა, კვლავ საერო ცხოვრებისაკენ მობრუნება? ნუთუ ღმერთის არ გეშინია?“ ევპრაქსიას გამო მეფე-დედოფალს შორის მაშინ დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა. ევპრაქსია ისე შეაწუხა ამ ამბავმა, რომ დადარდიანებულმა გადაწყვიტა კონსტანტინოპოლის დატოვება. მან თავისი დარდი თავის შვილს გაუზიარა.

– შვილო, – თქვა დედამ. – ჩვენ ეგვიპტეში დიდი მამულეები გვაქვს. წავიდეთ, ვნახოთ მამაშენის და ჩემი მიწები. ეს ყველაფერი შენი იქნება.

ევპრაქსიამ რამოდენიმე მონა გაიყოლია, კონსტანტინოპოლი დატოვა და ეგვიპტეში გაემგზავრა.

იმ დროს ეგვიპტის უდაბნოში მრავალი დედათა და მამათა მონასტერი იყო. ევპრაქსიამ გულმოდგინედ დაიარა ისინი და გულუხვად გასცა ოქრო-ვერცხლი. იქვე მახლობლად იყო დე-

დათა მონასტერი, რომელშიც 130 მონაზონი ცხოვრობდა. მათ ცხოვრებაზე საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ, რომ არც ერთ მათგანს არ გაუსინჯავს ღვინო, ზეთი, ბოსტნეული. მათ საკვებს შეადგენდა პური და წყალი, მოხარშული ფოთლები, თაფლი და უხეთო ბალახი. საკვებს ზოგი მხოლოდ დღეში ერთხელ, საღამოს, ზოგი დღეგამოშვებით და ზოგიც ორი დღის გამოშვებით იღებდა. თავს მოსვენების უფლებას არ აძლევდნენ. იძინებდნენ მიწაზე, ტანთ გრძელი ძაძა ეცვათ, ყოველი მათგანი თავისი შესაძლებლობის შესაბამისად შრომობდა.

ქვრივ ევპრაქსიას უყვარდა ეს მონასტერი მისი დების საოცარი ცხოვრების გამო და ხშირად მოდიოდა აქ ქალიშვილთან ერთად, მას სანთლები და საკმეველი მოჰქონდა მონასტერში.

ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს, ილუმენიამ ჰკითხა გოგონას:

— გიყვარს ეს მონასტერი და აქ მცხოვრები დები?

— დიახ, ძალიან მიყვარხართ, — უპასუხა გოგონამ.

— თუ გიყვარვართ, — გააგრძელა ილუმენიამ, — დარჩი ჩვენთან მონაზვნად.

— ძალიან მინდა, — უპასუხა ევპრაქსიამ, — თუ დედაჩემს არ ეწყინება, მე აქ დავრჩები.

ევპრაქსია უსმენდა ამ საუბარს, ჩუმად იცრემლებოდა და თან უკვირდა შვილის კეთილგონიერება. ილუმენიაც სიყვარულით უსმენდა ბავშვს და უკვირდა, თუ როგორ აზრიანად პასუხობდა მას შვიდი წლის გოგონა.

ლამდებოდა. დედა და ილუმენია არწმუნებდნენ გოგონას, სახლში წასულიყო, მაგრამ მას არ სურდა მონასტრის დატოვება.

– შვილო ჩემო, – უთხრა ილუმენიამ – თუ აქ ყოფნა გსურს, უნდა ისწავლო წერა-კითხვა, იმარხულო საღამომდე, როგორც ამას სხვა დები აკეთებენ.

– ვიმარხულებ კიდევაც, ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერსაც ვისწავლი, ოღონდ აქ დამტოვეთ.

ღვთის შთაგონებით ილუმენია მიხვდა, რომ გოგონას გადაწყვეტილება ურყევია და დედამისს უთხრა: – დატოვეთ აქ შვილი. მე ვხედავ, რომ მასში ღვთის მაღლი გაბრწყინდა.

დედის დიდსულოვან გულში მძიმე ბრძოლა გაიმართა. მას იმედი ჰქონდა, რომ ქალიშვილი სიცოცხლის ბოლომდე მისი მანუგეშებელი იქნებოდა, ახლა კი ღვთისათვის უნდა მიეძღვნა იგი! კეთილშობილი ევპრაქსია წამოდგა ფეხზე, მტკიცე ნაბიჯით მიიყვანა ბავშვი მაცხოვრის ხატთან, თვალცრემლიანმა ალაპყრო ხელები ცისკენ და წამოიძახა: „ღმერთო, მიიღე ჩემი შვილი საჩუქრად, მან თვითონ ინება თავი შენთვის მოეძღვნა“.

შემდეგ იგი ბავშვს მიუბრუნდა:

– უფალმა განგამტკიცოს, ჩემო შვილო, ღვთის შიშში.

ამ სიტყვებით მან შვილი ილუმენიას გადასცა და აქ მისმა გულმა ვეღარ გაუძლო: ქალი აქვითინდა, თან გულში მჯიღს იცემდა. მასთან ერთად ტიროდნენ მონაზვნებიც. ამ გმირული თავგანწირვის შემდეგ დედამ დატოვა მონასტერი, შვილი კი უფლის ნებას მიანდო.

მეორე დღეს შვიდი წლის ევპრაქსია მონაზვნად აღკვეცეს, და როდესაც დედამ თავისი შვილი სამონაზვნო სამოსელში იხილა, ხელები ცისკენ ალაპყრო და ღმერთს შესთხოვა:

„მეუფეო დაუსაბამო, რომელმაც ჩემს შვილში კეთილი საქმე წამოიწყო! შენვე დაასრულე იგი! შენი წმიდა ნებისამებრ ატარე იგი, რათა შენი წყალობა მოიპოვოს. ეს ობოლი პატარაობიდანვე შენი მიმღევარია“.

ევპრაქსია დაშორდა შვილს და წავიდა ეგვიპტის მონასტრებისა და ღარიბთა თავშესაფრის მოსანახულებლად. ყველგან ქველმოქმედებას ეწეოდა თავისი მდიდარი მამულების საშუალებით.

რამოდენიმე წლის შემდეგ მთელ ქრისტიანულ სამყაროში ხმა დაირხა ღვთისმოსავ ქვრივზე, ევპრაქსიაზე, რომელიც ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა და დაულაღავად გასცემდა მოწყალებას, ყოველდღე მარხულობდა და მხოლოდ საღამოს გვიან იღებდა მცირეოდენ სამარხო საჭმელს. ყველას უკვირდა, თუ როგორ ახერხებდა ასეთი მდიდარი ქალი ასეთ თავშეკავებულ ცხოვრებას.

რამოდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ევპრაქსია კვლავ ესტუმრა მონასტერს, იღუმენიამ მას უთხრა:

– ქალბატონო, ნუ შეშფოთდები იმის გამო, რასაც ახლა გეტყვი: ხილვა მქონდა, ვნახე თქვენი მეუღლე ანტიგონე, რომელიც მეუფეს, იესო ქრისტეს ევედრებოდა, შენი სული სხეულს განშორებოდა...

ღვთისმოსავი დედა კი არ შეშფოთდა, არამედ გაიხარა, რადგან უკვე დიდი ხანია ელოდა უფლისაგან ნებართვას, სხეულისაგან გათავისუფლებულიყო და ქრისტესთან წასულიყო.

მან შვილი მოიხმო (მაშინ ევპრაქსია 12 წლის იყო) და უთხრა: „შვილო ჩემო, ევპრაქსია, უფალი თავისთან მიხმობს, დადგა ჩემი აღსასრულის დღე, გიტოვებ ჩემი და მამაშენის მა-

მულებს. საუკეთესო საქმეს მოახმარე ისინი, რათა ზეციური სასუფეველი მოიპოვო“. ეს რომ მოისმინა, ევპრაქსია ატირდა.

– ნუ ტირი, – ამშვიდებდა დედა, შენ გყავს ქრისტე, შენი მამა. შენ მარტო არა ხარ, არც ობოლი ხარ. დედის მაგივრობას ილუმენია გაგიწევს, ოღონდ ეცადე, ყველაფერი, რაც ქრისტეს შეჰპირდი, კარგად შეასრულო. პატივი ეცი დებს, მორჩილებით ემსახურე მათ, ნურასოდეს გაიხსენებ, რომ დიდებულთა შთამომავალი ხარ; ნუ იტყვი, ისინი უნდა მომემსახურონ და არა მე მათ, იყავი თავმდაბალი, რათა უფალმა შეგიყვაროს, იყავი ღარიბი მიწაზე, რათა გამდიდრდე ზეცაში. ახლა ყველაფერი შენს ხელთ იქნება. თუ მონასტერს რაიმე დასჭირდება, დაეხმარე და სიცოცხლის ბოლომდე შენი მშობლებისთვის ილოცე.

სამი დღის შემდეგ ნეტარი ევპრაქსია გარდაიცვალა. იგი იმავე მონასტერში დაკრძალეს.

როდესაც მეფემ ევპრაქსიას გარდაცვალების ამბავი შეიტყო, მოიხმო სენატორი, რომლის ვაჟზეც იყო დანიშნული ევპრაქსია და უამბო, რომ მისმა დანიშნულმა ზურგი შეაქცია წუთისოფელს და მონასტერში დასახლდა. მეფემ ამ დიდებულის თხოვნით ევპრაქსიას ბრძანება გაუგზავნა, სასწრაფოდ კონსტანტინოპოლში დაბრუნებულიყო თავის საქმროსთან დასაქორწინებლად. ევპრაქსიამ ბრძანება მიიღო და მეფეს ასეთი პასუხი მისწერა: „მეფევ, ბატონო, შენ მიბრძანებ მე, შენს მონას, ქრისტე მივატოვო და შევუერთდე ადამიანს, რომელიც დღეს ცხოვრობს და ხვალ მოკვდება და მატლი შეჭამს. მე ასე არ მოვიქცევი. ნულარ შეგაწუხებს ჩემს გამო ეს ადამიანი. ჩემი მშობლების მოსახსენიებლად კი გთხოვ, ჩემი მამულები დაუ-

რიგო წმიდა ეკლესია-მონასტრებს, ქვრივ-ობლებსა და გაჭირვებულებს. გაათავისუფლე ჩემი მონები, მიეცი განკარგულება ჩემი მშობლების საქმეთა მმართველს, ყველა მოვალეს ვალი აპატიოს. ჩემო მეუფევე, გთხოვ, გულმოდგინედ მოაწყო ეს საქმე, რომ მე უდარდელად და დაუბრკოლებლად ვემსახურო ქრისტეს, რომელსაც მთელი სულით მივენდე. დედოფალთან ერთად ილოცე ჩემთვის, რათა უფალი შეემეწიოს მისდამი ჩემს მსახურებაში“.

მეფემ და დედოფალმა წაიკითხეს ევპრაქსიას წერილი. მეფეს გული აუჩუყდა და ატირდა. მეორე დღეს მან მოიხმო დიდებულები და ევპრაქსიას საქმროს მამა. მისი ბრძანებით წერილი ხმამაღლა წაიკითხეს. ბევრი აატირა ამ წერილმა. მეფეო, – თქვეს დიდებულებმა, – ეს გოგონა ჭეშმარიტად შენი ფესვებიდანაა. თავისი კეთილი მშობლების, ანტიგონესა და ევპრაქსიას ღირსეული შვილია, წმიდა ფესვის წმიდა რტოა.

მეფემ შეასრულა გოგონას თხოვნა, ანტიგონეს მამულები ტაძრებსა და ღარიბებს დაურიგა. ამის შემდეგ ევპრაქსიამ უფრო გააძლიერა თავისი ღვაწლი. საღამომდე არ ღებულობდა საჭმელს. ზოგჯერ ორი დღის განმავლობაშიც არ ჭამდა. ის თავმდაბლად ასრულებდა ყველა შავ სამუშაოს, ასუფთავებდა სატრაპეზოს და სხვა სენაკებს, უგებდა დებს ლოგინს, დაჰქონდა შეშა და წყალი, რეცხავდა ჭურჭელს, არავინ იყო მასზე ბეჯითი მონაზვნურ მორჩილებაში.

უფალმა თავის ერთგულ მსახურს სასწაულთმოქმედების ნიჭი მიმადლა.

ქალწული ევპრაქსია მართლმადიდებლური მონაზვნობის დიდ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნება.

ახალგაზრდა ღიღმოწამე, უპერცხლო მკურნალი
პანტელეიმონი
(ხსენება 27 ივლისს)

რაოდენ სანუგეშოა თავისი უმანკოებით გაბრწყინებული ამ ღიღმოწამის გამოსახულება, რომელსაც ერთ ხელში წამლებიანი კოლოფი უჭირავს, მეორეში ფუნჯი, ავადმყოფთათვის ზეთის საცხებად. რა ძვირფასი და ცნობილია ხალხისთვის მკურნალი პანტელეიმონი! რამდენი სხვადასხვა ამბის გაგება შეიძლება ქრისტიანულ ოჯახებში ახალგაზრდა ღიღმოწამეზე, რომელიც სასწაულ საქმეებს იქმნოდა და უიმედო ავადმყოფებს კურნავდა!

წარმოშობით იგი მცირე აზიის ქალაქ ნიკომიდიიდან იყო. მამამისი წარმართი იყო, ხოლო დედა ქრისტიანი. მან შვილი ქრისტიანული ღვთისმოსაობით აღზარდა, ასწავლა მას ერთი ჭეშმარიტი ღმერთის, იესო ქრისტეს რწმენა და თაყვანისცემა. ყმაწვილის გონება დედის სიტყვებს შეძლებისდაგვარად იმანსოვრებდა. სამწუხაროდ, პანტელეიმონი პატარა იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა.

მამას ყმაწვილი ხშირად დაჰყავდა კერპებთან, უნერგავდა წარმართულ აზრებს. იმ დროს ნიკომიდიაში ცნოვრობდა ცნობილი ექიმი ევფროსინე. მამამ მას მიაბარა პანტელეიმონი სამედიცინო ხელოვნების შესასწავლად. ყმაწვილმა გასაოცრად სწრაფად აითვისა სამედიცინო სიბრძნე. მოკლე ხანში იგი თავისი ცოდნით მასწავლებელს გაუტოლდა.

პანტელეიმონი თანატოლებში სიმშვიდით, ალერსიანი საუბრით, მშვენიერი გარეგნობით და თავაზიანი საქციელით გამოირჩეოდა. მის შესახებ იმპერატორმა მაქსიმიანემაც შე-

იტყო. ევფროსინეს ხშირად უწევდა მეფესთან სასახლეში ყოფნა, მას პანტელეიმონიც თან ახლდა. ყველას აოცებდა მისი სილამაზე და გონიერება. მასთან შეხვედრისას მეფეც დაინტერესდა მისი წარმომავლობით და ევფროსინეს უბრძანა დაეჩქარებინა ყმაწვილის განათლების დასრულება, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, ყმაწვილი სასახლეში ექიმად აეყვანა.

იმ ხანად ნიკომიდიაში ცხოვრობდა მღვდელი ერმოლოსი, რომელიც რამდენიმე ქრისტიანთან ერთად ერთ სახლში იმალებოდა. პანტელეიმონი ხშირად დადიოდა ამ სახლის წინ. მისი გარეგნობა მის სულიერ სიმდიდრეს გამოხატავდა. ერმოლოსი ფანჯრიდან აკვირდებოდა ბიჭს და გრძნობდა, რომ ეს ყმაწვილი სულიწმიდის რჩეული ჭურჭელი გახდებოდა.

ერთხელ ერმოლოსი შეხვდა ყმაწვილს და შინ შეიპატიჟა. მისგან შეიტყო, რომ ყმაწვილს მამა წარმართი ჰყავდა, დედა კი ქრისტიანი.

— შენ რომელი სარწმუნოების აღმსარებელი გინდა იყო? — ჰკითხა ერმოლოსმა.

— როდესაც დედა ცოცხალი იყო და თავის სარწმუნოებას მასწავლიდა, მე მიყვარდა ეს სარწმუნოება, მაგრამ ახლა მამა მაიძულებს ელინურ კანონებს მივყვე და იმპერატორის კარზე ვიმსახურო.

— ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი უფალი იესო ქრისტეა. — უთხრა ხუცესმა. თუ ირწმუნებ მას, მისი წმიდა სახელის მოწოდებით ყველა ავადმყოფის განკურნებას შეძლებ, რადგან ქრისტე ბრძმებს თვალის ჩინს უბრუნებდა, კეთროვნებს წმენდდა, მკვდრებს აღადგენდა — და არა მარტო თვითონ, არამედ მისი ტანსაცმელიც კურნების მატარებელი იყო: ქალი,

რომელიც ოცი წლის მანძილზე სისხლდენით იტანჯებოდა, უფლის სამოსის კიდის შეხებისთანავე განიკურნა. ვინ მოთვლის მის სასწაულებს: მისი სასწაულები აღურიცხავია ისევე, როგორც ზღვაში ქვიშა და ცაზე ვარსკვლავები. დღესაც ის ძლიერი შემწეა თავისი ერთგული მონების, ანუგეშებს და განსაცდელისაგან იხსნის მათ. ის არ უცდის ჩვენს ვედრებას, ის წინასწარ გრძნობს ჩვენს ლოცვას, ჩვენი გულის მოქმედებას. მათ, ვისაც იგი უყვარს, უფალი აძლევს უდიდესი სასწაულები-ის ნიჭს და აგრეთვე მარადიულ სიცოცხლეს თავის ზეციურ სასუფეველში.

პანტელეიმონი უსმენდა ხუცესს და ეს სიტყვები მის გულს ძალამოდ ედებოდა. ამ სიტყვებმა გაახსენა დედის საუბრები, დედის ლოცვები იმ ღმერთისადმი, რომელზეც ახლა ესაუბრებოდა ერმოლოსი. ამის შემდეგ ყმაწვილი ხშირად სტუმრობდა ერმოლოსს და საუბრობდა მასთან.

ერთხელ ევფროსინესგან მიმავალმა ყმაწვილმა გზად გველის ნაკბენისგან მკვდარი ბავშვი ნახა. პანტელეიმონს ძალიან შეეცოდა ბავშვი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ სიცოცხლით აღსავსე იყო, ახლა კი უსულოდ იწვა. უცებ მას ერმოლოსის სიტყვები გაახსენდა და მათი საქმით შემოწმება გადაწყვიტა. მან თვალეები ზეცისკენ ალაპყრო და მხურვალედ წარმოთქვა:

„უფალო იესო ქრისტე, არა ვარ ღირსი შენ მოგიხმო, მაგრამ თუ გნებავს, რომ შენი მონა გავხდე, გამომიცხადე შენი ძალა. ჰქმენ ისე, რომ შენი სახელით ეს ბავშვი გაცოცხლდეს, გველი კი მოკვდეს“.

და მოხდა სასწაული. ბავშვი ახალგამოღვიძებულივით წამოდგა ფეხზე, გველი კი შუაზე გასკდა და მოკვდა.

რას გრძნობდა იმ წუთებში ახალგაზრდა პანტელეიმონი? ის ჰგავდა კაცს, რომელმაც ფასდაუდებელი განძი შეიძინა და რომლის პატრონიც მთელი ცხოვრება იქნებოდა. იგი ერმოლოსთან გაიქცა და უამბო სასწაულის შესახებ, რომელიც მან იესო ქრისტეს სახელით მოახდინა. ერმოლოსი გაჰყვა მას მკვდარი გველის სანახავად და უფალს მადლობა შესწირა ამ სასწაულისთვის, რომელმაც პანტელეიმონი საბოლოოდ მიიყვანა ღმერთთან.

შვიდი დღე ღარჩა ყმაწვილი ხუცესთან და ერმოლოსის ბაგეებიდან მომდინარე დამრიგებლურ სიტყვებს, როგორც წმიდა წყაროს ისე ეწაფებოდა.

მერვე დღეს, როდესაც ყმაწვილი სახლში დაბრუნდა, მამამ ჰკითხა, სად იყო იგი ამდენ ხანს.

ყმაწვილმა უპასუხა: „სასახლეში ვიყავი ჩემს მასწავლებელთან ერთად, მეფის საყვარელ ადამიანს ვმკურნალობდით, შვიდი დღე არ მიმიტოვებია, სანამ არ გამოვაჯანმრთელეთ“.

წმიდა ყმაწვილი არ ცრუობდა. ის საუბრობდა ქარაგმებით. თავის მასწავლებელში მან წმიდა ერმოლოსი იგულისხმა, ავადმყოფში კი – საკუთარი სული, რომელიც უყვარდა ზეციურ მეუფეს.

დაგვიანების მიზეზი ევფროსინემაც ჰკითხა. ყმაწვილმა თავი ასე იმართლა: „მამაჩემმა მამული იყიდა და მე გამაგზავნა მის ჩასაბარებლად. შევყოვნდი, რადგან მამული დიდია და ძვირად არის ნაყიდი“.

ასე საუბრობდა ყმაწვილი წმიდა ნათლობის შესახებ, რომელიც ერმოლასის ხელით მიიღო, და მისთვის განცხადებულ სარწმუნოების საიდუმლოთა შესახებ.

მალე ნეტარმა ყმაწვილმა განკურნა ბრმა. ამ სასწაულით აღსრულდა ყმაწვილის გულისწადილი – მამამისმა ქრისტე ირწმუნა და მალე გარდაიცვალა.

პანტელეიმონმა მეძველდრებით მიღებული მამის ქონება უანგაროდ დაურიგა მის მიერ გათავისუფლებულ მონებს, გაჭირვებულებს, ღარიბ-ღატაკებსა და ქვრივ-ობლებს. იგი დადიოდა საპყრობილეებში, მკურნალობდა პატიმრებს, ამხნევებდა მათ და ლოცულობდა მათთვის; იგი კურნავდა არა მარტო სხეულს, არამედ სულიერ სიღატაკეს. პანტელეიმონს უფალმა კურნების ნიჭი უწყალობა. ამის შემდეგ იგი კურნავდა ადამიანებს არა იმდენად თავისი წამლებით, რამდენადაც ქრისტეს სახელის მოხმობით. მისი სახელი ისეთი ცნობილი გახდა, რომ ხალხი სხვა ექიმებთან აღარ მიდიოდა, რადგან ვერავისგან იღებდნენ ასეთ სწრაფ და სრულყოფილ დახმარებას. იგი ყველას უსასყიდლოდ კურნავდა... წინ კი ქრისტესთვის მოწამებრივი ღვაწლი ელოდა...



სოლომონია და მისი შვილი ვაჟი მაკაბელნი
(სსმნპა 1 აპკისტოს)

დედა, რომელმაც შვილები რწმენაში აღზარდა და ჩაუნერგა მათ ცოცხალი სიყვარული უფლისადმი; დედა, რომელმაც შვილების ტანჯვა რწმენისათვის სიხარულს ანიჭებდა; დედა, რომელმაც იტანჯა თითოეულ შვილში, შვიდგზის შესწირა უფალს მსხვერპლი, შემდეგ კი თავის შვილებს აჰყვა ზეცაში, რომლებიც საკუთარი ხელით დააყენა მოწამებრივ გზაზე, — აი ძველი აღთქმის ამადელვებელი ამბავი მაკაბელი ძმებისა და მათი დედის — სოლომონიას შესახებ.

იმ დროს სირიასა და პალესტინაში მეფობდა ანტიოქე ეპიფანე. მღვდელმთავარმა იასონმა წარმართი ეპიფანეს გულის მოსაგებად დაიწყო წარმართული უსჯულოების დანერგვა. ბევრმა მცირედმორწმუნე ებრაელმა დაივიწყა ღვთის სახლი და დროს სანახაობებზე ატარებდა. ღვთის სჯული ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა, ზეიმობდა უსჯულოება.

ღვთის ერთგული ებრაელები ოცნებობდნენ ანტიოქეს უღლის გადაგდებაზე, მაგრამ მან ძალით აიღო იერუსალიმი და სამი დღის განმავლობაში ოთხმოცი ათასი კაცი ამოჟლიტეს, ორმოცი ათასი კი ტყვედ წაიყვანეს. იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ მან იქ სასტიკი ჯალათები დატოვა.

მალე ანტიოქემ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით მის მიერ დაპყრობილ ხალხს კერპთაყვანისმცემლობა უნდა მიეღო.

შიშის გამო ბევრმა იუდეველმა კერპებს მსხვერპლი შესწირა. მეფემ იერუსალიმში საიმედო დიდებულები გამოგზავნა, რათა მათ ებრაელები აეძულებინათ, შეესრულებინათ წარმართული წესები, განსაკუთრებით კი — ეჭამათ ნაკერპავი

ღორის ხორცი, რომლის ჭამას მათ მოსეს კანონი უკრძალავდა.

ამ დროს დედასთან ერთად შეიპყრეს შვილი ძმა და ცნობილი წარმომავლობის გამო მეფეს მიჰგვარეს, რომელიც მათ ნაკერპავი ხორცის ჭამას აიძულებდა.

ეს ძმები იყვნენ იერუსალიმში მოწამებრივად აღსრულებული სჯულისმეცნიერის – ელეაზარის მოსწავლეები. მათ კარგად ახსოვდათ მოძღვრის დარიგებანი; ამიტომაც მტკიცედ იდგნენ თავიანთ სარწმუნოებაზე და არ სურდათ სჯულის დარღვევა. მეფე მათ შოლტითა და ხარის ძარღვებით აწამებდა, მაგრამ ისინი უშიშრად ამხელდნენ მტარვალს.

– რისი გაგება გსურს ჩვენგან? – უთხრა მეფეს უფროსმა ძმამ. – ჩვენ მზად ვართ მოვკვდეთ, ვიდრე მამა-პაპათა სჯული დავთმოთ.

გამძვინვარებულმა მეფემ ბრძანა, დედისა და ძმების თვალწინ უფროსი ძმისთვის მოეჭრათ ენა და სხეულის სხვა ნაწილები. ყმაწვილის სხეული კვლავ სუნთქავდა და მეფემ მისი გახურებულ ტაფაზე დაგდება ბრძანა. ამ დროს დედა და დანარჩენი ძმები ერთმანეთს ამხნეებდნენ. ღმერთი ხედავს ჩვენს ტანჯვას და შეგვიწყალებს, – ამბობდნენ ისინი.

პირველ ძმას მეორე მიჰყვა. მას თავიდან კანი თმიანად აადრეს და შემდეგ ჰკითხეს, შეჭამდა თუ არა ნაკერპავ ხორცს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწილებად აქნიდნენ. მისი პასუხი იყო – „არა“. მან თავი სატანჯველად გაწირა. სიკვდილის წინ მოწამემ წარმოსთქვა:

– მტანჯველო, შენ გვართმევ ამქვეყნიურ ცხოვრებას, მაგრამ ქვეყნის მეუფე მისი სჯულისთვის თავდადებულებს სამარადისო ცხოვრებისათვის აღგვადგენს...

მესამე ძმას უბრძანეს ენა გამოეყო და ხელები წინ გაეშვირა მოსაკვეთად. მან თამამად გაიშვირა ხელები და წამოიძახა: სხეულის ყოველი ნაწილი უფალმა მომცა, მისი სჯულისთვის არ დავინანებ მათ, იმ იმედით, რომ უფალივე დამიბრუნებს ყველაფერს უკან.

მეფე და მისი გარემოცვა გააკვირვა ყმაწვილის სიმამაცემ, რომელიც ტანჯვას არად აგდებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მეოთხე ძმის წამება, რომელმაც სიკვდილის წინ თქვა:

— ჩვენ ადამიანი გვკლავს, მაგრამ უფალი აღგვადგენს, შენ კი ვერ აღდგები სიცოცხლისათვის.

გამოიყვანეს მეხუთე, რომელმაც უთხრა მეფეს:

შენ, მოკვდავს, გაქვს ხელისუფლება ადამიანებზე და აკეთებ, რაც გსურს, მაგრამ ნუ გგონია, რომ ჩვენს მოდგმას ღმერთი გაწირავს. მოიცადე და შენივე თვალთ ნახავ, როგორ დაგტანჯავს ღმერთი შენც და შენს შთამომავლობას.

როდესაც მეექვსე ძმა წამებით კვდებოდა, მან თქვა:

ჩვენ ჩვენი ცოდვების გამო ვიტანჯებით, შენ კი სასჯელი არ აგცდება, რადგან ღმერთს ბრძოლა გამოუცხადე.

დედა გაქვავებული იდგა, ხედავდა, როგორ იღუპებოდნენ მისი შვილები ერთი მეორის მიყოლებით და თითოეულს ანუგეშებდა... მისი ნაზი, ქალური გული თითქოს კაცის გულად გადაიქცა. იგი შვილებს ეუბნებოდა:

— შემოქმედმა შექმნა ადამიანთა მოდგმა. იგი კვლავ დაგიბრუნებთ თქვენ სიცოცხლეს, რადგან მისი სჯულის დაცვისათვის თქვენ თავი გაწირეთ.

ანტიოქე თავს დამცირებულად გრძნობდა. მისმა მრისხანებამ მიზანს ვერ მიაღწია. ძმები კვდებოდნენ, მაგრამ მის ნებას არ ასრულებდნენ. რჩებოდა მაკაბელთა უკანასკნელი ძმა — პატარა ბიჭუნა. ანტიოქეს მისი დაყოლიების იმედი ჰქონდა. იგი ჰპირდებოდა, ეფიცებოდა ყმაწვილს, რომ მდიდარსა და ბელნიერს გახდიდა მას, გახდებოდა მისი მეგობარი და საქმეების გაძლოლასაც ანდობდა. ბიჭმა მისი სიტყვები არაფრად ჩააგდო.

მაშინ მეფემ დედა მოიხმო და სთხოვა, დაეყოლიებინა შვილი, რომ ბავშვს თავი გადაერჩინა. მაგრამ დედამ შვილს ასე მიმართა:

— მიმოიხედე ირგვლივ, შეხედე ცას და მიწას და გაიხსენე შენი შემოქმედი. ნუ შეგაშინებს ეს ჯალათი. იყავი შენი ძმე-ბივით ღირსეული და შეეგებე სიკვდილს...

ქალს სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, როდესაც ყმაწვილმა მეფეს მიმართა: — ვის ელოდები, რატომ აყოვნებ ჩემს წამებას? მე ვემორჩილები მოსეს ხელით მოცემულ სჯულს და არა მტარვალის ბრძანებას. შენ ისეთი ბოროტება გამოაჩინე ჩვენს მიმართ, რომ ღვთის რისხვას ვერ გადაურჩები. მე კი, ჩემი ძმების მსგავსად, მამა-პაპათა სჯულის დასაცავად თავს გავწირავ. უფალს ვევედრები, ისრაელი შეიწყალოს, შენ კი სასჯელითა და ტანჯვით დაგარწმუნოს, რომ მხოლოდ ის არის ღმერთი.


მაკაბელთა უმცროსი ძმაც უფალს მსხვერპლად შეეწირა. მათი დედა ენით უთქმელი სიხარულით იყო აღვსილი იმის გამო, რომ შვილები უმანკონი გაგზავნა უფალთან. სოლომონია შვილების ნატანჯვ სხეულებთან დადგა, ხელები ცისკენ აღმარ-

თა, სიხარულის ცრემლებით სავსემ ილოცა და უფალს მიაბარა სული. ასე აღესრულნენ სოლომონია და მისი ძენი. მათ ყოვლისმპყრობელი უფლის სჯულს შესწირეს თავი.

მაკაბელთა სისხლმა უფლის წყალობა მოუტანა ებრაელ ხალხს. მან მიუტევა მათ შეცოდება და მამაცი მხედარი – იუდა მაკაბელი მოუვლინა, რომელმაც დაამხო ანტიოქე, განდევნა მისი მხედართმთავრები და იერუსალიმის ტაძარი ბილწი კერპებისაგან განწმინდა. მეფე ანტიოქეს ღვთის სამართლიანი სასჯელი ეწია. იგი უკუზრუნებელი წყლულით დაავადდა, სასტიკად იტანჯებოდა, მისი სხეული აუტანელ სიმყრალეს გამოსცემდა.

მაშინ მეფემ, უმცროსი მოწამის წინასწარმეტყველებისამებრ, აღიარა ისრაელის ღმერთი, რომელსაც ადრე გმობდა, და დაიწყო იმის ძებნა, ვისაც ადრე ებრძოდა. მაგრამ ვერ მოიპოვა ღვთის წყალობა და ნაძრახი სიკვდილით გარდაიცვალა.

წმიდა მოწამე ძმათა სახელებია: აბიმი, ანტონინე, გური, ელიაზარი, ევსევონი, ალიმი და მარკელი.



შვიდი ეფესელი ყრმა
(სსმნა 4 აპოკალიფსის)

ქალაქ ეფესოში იმპერატორ დეკიუსის ზეობის ჟამს ცხოვრობდა შვიდი წმიდა ყრმა. ისინი ღვიძლი ძმები არ იყვნენ, მაგრამ ერთნი იყვნენ ქრისტესმიერი სიყვარულით და რწმენით. ყმაწვილები ლოცვით, მარხვით, სიწმინდითა და უმანკოებით ცხოვრობდნენ.

ამ პერიოდში ეკლესია სასტიკად იღვევებოდა. დევნამ ეფესომდეც მიაღწია. თვით კეისარი ჩავიდა ამ ქალაქში, მოედანზე კერპები აღმართა, სამსხვერპლოები მოაწყო და ქალაქის უხუცესებს უბრძანა, კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირათ. მიწა შეიღება დაკლული ცხოველების სისხლით, ჰაერი კვამლითა და მსხვერპლის სიმყრალით გაიჟღინთა.

მესამე დღეს მეფემ ბრძანა, შეეპყროთ ეფესოში მცხოვრები ყველა ქრისტიანი და აეძულებინათ მსხვერპლი შეეწირათ კერპებისთვის. ქრისტიანთა ნაწილი შიშის გამო დალატობდა სარწმუნოებას და მეფის ბრძანებას ასრულებდა, ნაწილი კი მოწამებრივ აღსასრულზე მიდიოდა. მიწა მოწამეთა სისხლით მოირწყა, მათ სხეულებს გზებზე ყრიდნენ, ხოლო თავებს ქალაქის კარიბჭესთან სარებზე ასობდნენ.

დეკიუსს მოახსენეს, რომ შვიდი ყმაწვილი, ცნობილი ოჯახების შვილები, მართლმადიდებელი სარწმუნოების მტკიცე აღმსარებლები იყვნენ. მეფე გააოცა ყმაწვილების კეთილშობილურმა გარეგნობამ და შეგონება დაუწყო, უარი ეთქვათ ქრისტეზე; ღირსების შესალახად მეფემ ყმაწვილებს ქამრები მოხსნა და გაუშვა. თვითონ დროებით ქალაქიდან მიდიოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ყმაწვილები გონს არ მოეგებოდნენ, საბოლოოდ გაესამართლებინა ისინი დაბრუნებისთანავე.

შინ დაბრუნებულმა ყმაწვილებმა ოქრო-ვერცხლი დაურიგეს ღარიბებს და გადაწვივიტეს, ქალაქგარეთ მთის მღვიმეში განმარტოებულიყვნენ და იქ მომავალი ღვაწლისათვის ლოცვითა და მარხვით მომზადებულიყვნენ. აიღეს ცოტაოდენი ფული სურსათის შესაძენად და ოქლონის მთის გამოქვაბულს მიაშურეს. უმცროსი ძმა, იამბლიქო, გლახაკის სამოსში გადაცმული მიდიოდა ხოლმე ქალაქში ჰურის საყიდლად. ქალაქის ქუჩებში იგი ყურს უგდებდა ხალხის საუბარს, რათა შეეცყო, ხომ არ დაბრუნებულა კეისარი. და აი, ერთხელაც მან მეგობრებს მოუტანა ამბავი, რომ კეისარი ეფესოშია, რომ მეორე დღისთვის საზეიმო მსხვერპლშეწირვა დაუნიშნავს და უბრძანებია სასწრაფოდ მათი მოძებნა. მაშინ ყრმებმა მუხლი მოიყარეს, ტირილითა და გოდებით ღვთის ნებასა და წყალობას შეავედრეს თავი. ლოცვის შემდეგ ჰური გაინაწილეს და ერთმანეთის დამშვიდებას შეუდგნენ. ტირილით მოქანცული ყმაწვილები თვლემამ მოიცვა.

კაცთმოყვარე ღმერთმა შვიდ ყრმას საოცარი და უცნაური ძილი მოჰკვარა, რათა მათზე შემდეგში დიდი სასწაული მომხდარიყო და ურწმუნოებს მკვდრეთით აღდგომა ერწმუნათ. წმიდა ყმაწვილებმა სასიკვდილო ძილით დაიძინეს: მათ სულებს ღმერთი იფარავდა, ხოლო სხეულები უხრწნელი და უცვლელი მღვიმეში ესვენა.

ყრმები რომ ვერ იპოვა, დეკიუსმა მათი მშობლები დაიბარა. მშობლებმა მეფეს მოახსენეს, რომ ყმაწვილებმა ოქრო-ვერცხლი მოიპარეს, ღარიბებს დაურიგეს და თავი ოქლონის მთის მღვიმეს შეაფარეს, ქრისტიანობა კი მშობლების ნების წინააღმდეგ მიიღეს. მაშინ მეფემ მღვიმის შესასვლელი ამო-

აქოლვინა, რათა ყრმები შიმშილისა და წყურვილისაგან დახოცილიყვნენ. კეისრის კარზე მომსახურე ორმა კაცმა, რომლებიც ფარული ქრისტიანები იყვნენ, ორ კალის დაფაზე ჩამოწერეს ამ ყრმათა სახელები, მათი მოწამებრივი აღსასრული და როცა მღვიმეს ქოლავდნენ, მათ ეს დაფები სპილენძის ყუთში მოათავსეს და ქვის უკან დადეს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ოდესღაც მღვიმეს გახსნიდნენ, იპოვიდნენ წმიდა ნაწილებს, ნახავდნენ მათ სახელებს და ცნობილი გახდებოდა ქრისტეს სიყვარულისთვის მათი მოწამებრივი აღსასრული.

დრო გადიოდა. ქრისტიანთა დევნა გრძელდებოდა; ჩნდებოდნენ ახალი მოწამეები; დაიხოცნენ დეკიუსის თანამედროვენი; დავიწყებას მიეცა მღვიმეში ჩაქოლილ ყრმათა სახელები, მხოლოდ უფლის ფხიზელი თვალი ხედავდა მათ ღვაწლს.

დედამიწაზე ახალი აისი აენთო. მეფე კონსტანტინემ ქრისტიანებს თავისუფლება გამოუცხადა. იქ, სადაც მოწამეთა სისხლი იღვრებოდა, ახლა ჭეშმარიტ ღმერთს ტაძრებს უგებდნენ. მაგრამ ეკლესიური აღმშენებლობის ამ პერიოდში ეკლესიის შიგნით აღგილი ჰქონდა უთანხმოებას. იმპერატორ თეოდოსი უმცროსის მეფობის დროს გამოჩნდა მწვალებელთა სექტა, რომელიც მკვდრეთით აღდგომას უარყოფდა. შფოთის ჩასახშობად და საეკლესიო წყლულის მოსაშუშებლად მეფე გულმოდგინედ ლოცულობდა. უფალმა შეისმინა მეფისა და მრავალი მორწმუნის ვედრება და ყველას გაუცხადა გარდაცვლილთა მომავალი აღდგომისა და მარადიული ცხოვრების საიდუმლო.

ოქლონის მთის მეპატრონე საძოვრისათვის ქვის ყორეს აშენებდა. მისი მონები შესასვლელთან მიგორებული ქვის მტკრევას შეუდგნენ. მათ არ იცოდნენ, რომ იქ მღვიმე იყო. პა-

ტარა ხვრელი გამოტეხეს, რომელშიც მხოლოდ ერთი კაცი გა-
ეტეოდა. მღვიმეში ყველაფერი ძველებურად იყო. ყრმათა სახ-
ეები უშფოთველი სიმშვიდით ბრწყინავდა, თითქოს მძიმე დღის
შემდეგ ტკბილად ეძინათ. სანამ მღვიმეში მზის სხივი შეაღწე-
ევდა, სიცოცხლისა და სიკვდილის მეუფემ – იესო ქრისტემ
ყრმები გააცოცხლა. მათ ცისკრის ლოცვა დაიწყო. მათ სახეზე
სიკვდილის არანაირი კვალი არ იყო. ტანსაცმელი მთელი და
ახალი ეცვათ, სახეები კვლავ ახალგაზრდული და ლამაზი
ჰქონდათ; ლოცვის შემდეგ საუბარი კერპებისთვის მსხვერ-
პლშეწირვის შესახებ დაიწყო და იამბლიქოს სთხოვეს გაემე-
ორებინა, რაც ქალაქში ყოფნისას შეიტყო. და როდესაც გაიგ-
ეს, რომ გასამართლება და სიკვდილი ელოდათ, გადაწყვიტეს
ბოლომდე მტკიცედ მდგარიყვნენ. იამბლიქო პურის მოსატანად
გაუშვეს, რათა ბრძოლის წინ მოძლიერებულიყვნენ. ბიჭმა
ვერცხლის მონეტა აიღო და მზის პირველ სხივებთან ერთად
მღვიმიდან გავიდა. იგი გააკვირვა ქვამ, რომელიც აქამდე
თავისუფალ გასასვლელს უღობავდა. ბიჭი ქალაქს უახლოვდე-
ბოდა, თან შიშობდა, არავის ეცნო. ქალაქის შესასვლელთან
აღმართული ჯვრის დანახვისას იამბლიქო გაოცებული შეჩერ-
და, მიმოიხედა და ბევრი ისეთი შენობა დაინახა, რომელიც
აქამდე არ ენახა, ყველა ჭიშკარზე ჯვარი ბრწყინავდა.
ყმაწვილი ჩაფიქრდა: „ნუთუ მესიზმრება? ჯერ კიდევ გუშინ
ჯვარი არსად იყო, ნუთუ ნამდვილად ეფესოში ვარ?“.

ბიჭმა შეშფოთებული სული ლოცვით დაამშვიდა და ქალაქ-
ში შევიდა. ის ვერ ცნობდა ქუჩებს, სახლებს, სავაჭრო დახ-
ლებს, სახეებსა და ტანსაცმელს. ამ ყველაფერს იგი პირველად
ხედავდა, თითქოს მშობლიურ ქალაქში კი არა, სხვა ქალაქში

მოსვედრილიყო. მან გამვლელს ჰკითხა, რომელ ქალაქში იმყოფებოდა. როდესაც პასუხად გაიგო, რომ ეფესოში იყო, არ დაიჯერა, იფიქრა, რომ გზა აერია და გადაწყვიტა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას. იამბლიქო ქალაქის მოედანზე გადავიდა და მეპურეს დეკიუსის გამოსახულებიანი მონეტა გაუწოდა. ხაბაზმა მონეტა დაათვალიერა და შემდეგ სხვებს აჩვენა. ხალხი ბიჭს შემოეხვია. ყველა იმაზე ალაპარაკდა, რომ ყმაწვილმა მიწაში ჩაფლული განძი იპოვა. იამბლიქოს შეეშინდა მეფესთან არ მიეგვარათ. მან ხაბაზს სთხოვა, პური მიეცა მისთვის და გაეშვა.

— არა! — დაიყვირეს ბრბოში — შენ განძი იპოვე, ჩვენც გაგვინაწილე და შემდეგ წადი.

როგორ არ არწმუნებდა ყმაწვილი ხალხს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. გაშმაგებულმა ბრბომ იგი შეკრა. ქალაქში ხმა დაირხა, რომ უცნობმა ყმაწვილმა განძი იპოვა და ახლა მონეტებს ცვლის. ამოდ ეძებდა იამბლიქო თუნდაც ერთ ნაცნობ სახეს, რომელიც გააგებინებდა ამ ხალხს, თუ ვინ იყო იგი. არც მშობლები, არც ნათესავები... ქალაქში, სადაც მამამისს ყველა იცნობდა, ვერავინ იცნო და ვერავინ თქვა, ვისი შვილი იყო იგი. მისთვის ყველანი უცხოები იყვნენ. იამბლიქოს შესახებ ქალაქის მმართველმა და ეპისკოპოსმა შეიტყვეს და ბრძანეს ყმაწვილი მათთან მიეყვანათ.

— სად იპოვე განძი? ეს მონეტა განძიდან აილე?

— ეს მონეტა ჩემი მშობლებისაა, ქალაქში სულ ასეთი ფული ტრიალებს, მიკვირს რატომ მეკითხებით.

— საიდან ხარ?

— ვფიქრობ, ამ ქალაქიდან.

– ვისი შვილი ხარ? თუ ვინმე გიცნობს, დაამოწმოს შენი სიტყვების სიმართლე, მაშინ ჩვენც დაგიჯერებთ.

ყმაწვილმა დაასახელა თავისი მშობლები და ნათესავები, მაგრამ მათი სახელები არავინ იცოდა. ყმაწვილმა თავი ჩაქინდრა. ხალხში გაისმა: „გიჟია“, „თავს იგიჟიანებს, რათა გასაჭირიდან თავი დაიხსინოს“.

ქალაქის მმართველმა უსაყვედურა:

– როგორ ამბობ, რომ მონეტა მშობლებს გამოართვი, მასზე ძველი მეფე დეკიუსია გამოსატული. ნუთუ შენს მშობლებს ახსოვთ იგი? შენ ხომ ასეთი ახალგაზრდა ხარ? საპყრობილეში ჩაგაგდებ, სანამ განძის ადგილ-სამყოფელს არ გაგვიძიებ.

– დეკიუსი ჯერ კიდევ გუშინ მეფობდა, ამიხსენით, რატომ ამბობთ, რომ იგი ძველ ღროში მეფობდა? – ჩუმად იკითხა ყმაწვილმა.

– შვილო, ახლა მეფობს ღვთისმოსავი მეფე თეოდოსი.

– გემუდარებით, – წამოიყვირა იამბლიქომ, – წამომყევით მღვიმეში, სადაც რამოდენიმე ღლის წინ დავემალეთ იმპერატორ დეკიუსს, რომელიც ჩვენს დასჯას აპირებდა. წამოდი, ჩემი მეგობრები ყველაფერს გაამბობენ... ისინიც ეფესოდან არიან, მე კი ვერ გამოვივა სად ვიმყოფები.

ეპისკოპოსმა გაიფიქრა: „ამ ბიჭის საშუალებით ღმერთი საიდუმლოს გაგვიძიებლს“, და ქალაქის მმართველი მღვიმეში წასვლაზე დაიყოლია.

მღვიმის შესასვლელში ეპისკოპოსმა იპოვა სპილენძის კოლოფი ორი დაფით. დაფებზე ეწერა, რომ შვიდი ყრმა – მაქსიმილიანე, იამბლიქო, მარტინიანე, იოანე, ღიონისე, ექსაკუსტოლიანე, ანტონინე, – მღვიმეში დაემალნენ იმპერატორ დე-

კიუსს, მან კი მღვიმე ამოაქოლინა და ყმაწვილები მოწამებრივად აღესრულნენ. გაოცებული ხალხი თრთოლვით აღიღებდა ღმერთს.

მღვიმეში შესულებს ღვთის მადლით გაბრწყინებული ყმაწვილები დახვდნენ. მაშინ ეპისკოპოსმა, ქალაქის მმართველმა, დიდებულებმა და ხალხმა წმინდანების წინ მუხლი მოიყარეს და ამ სასწაულისთვის ღმერთი აღიღეს.

მეფეს წერილი გაუგზავნეს, სადაც ნათქვამი იყო, თუ როგორ გამობრწყინდა მომავალი მკედრეთით აღდგომის სახე აწ აღმდგარი წმინდანების მაგალითზე. იმპერატორი თეოდოსი თავისი ამალით ეფესოში ჩამოვიდა და ყრმებს ესაუბრა. მათ უამბეს დეკიუსის შესახებ. სულიერი საუბრით ყმაწვილები სულს უტკბობდნენ მეფესაც და ხალხსაც. მეშვიდე ღღეს ნეტარმა ყმაწვილებმა ყველას თვალწინ თავები ჩაქინდრეს და ახლა უკვე სამუდამო ძილით მიიძინეს.

მეფემ დაიტირა წმიდა ყრმები და ბრძანა მათთვის ოქროს ღუსკუმების დამზადება. წმიდა ყრმები მას ძილში გამოეცხადნენ და სთხოვეს დაეტოვებინა მათი ცხედრები მიწაზე, როგორც უწინ.

ეპისკოპოსთა დიდმა კრებამ წმიდა მოწამეთა პატივსაცემად ღღესასწაული დაადგინა. ყველა ხარობდა და აღიღებდა ქრისტეს.



ჟრმა პონტის, მომავალი მოწამის მოქცევა ქრისტეს
სარწმუნოებაზე
(ხსენება 5 აბპისტოს)

პონტი რომის წარმართი სენატორის, მარკოზისა და მისი მეუღლის, იულიას ერთადერთი ვაჟი იყო, რომელიც მათ ოცი წლის უშვილობის შემდეგ შეეძინათ.

პონტი გონიერი და ბეჯითი ბავშვი იზრდებოდა. წაკითხულ წიგნებს მისი გონება როგორც წიგნის საცავი ისე ინახავდა.

ერთხელ მან იმ სახლის წინ ჩაიარა, რომელშიც ქრისტიანები პაპ პონტიანესთან ერთად დილის ფსალმუნებს გალობდნენ. ყმაწვილს რამდენიმე ამხანაგი და მამამისის მონები ახლდნენ. ისინი შეჩერდნენ, რათა მოესმინათ ეს უცნობი გალობა. ბიჭმა შემდეგი სიტყვები გაარჩია:

„ღმერთმან ჩუენმან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ყოველივე, რაჲცა უნდა, ქმნა. კერპნი წარმართთანი ოქროჲსანი და ვეცხლისანი, ქმნულნი ხელთა კაცთანი; პირ ათქს და არა იტყვიან, თუალ ასხენ და არა ხედვენ... ემსგავნედ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვენ მათ“.

ამ სიტყვებში ყმაწვილმა უცნობი ძალა შეიგრძნო. იგი ცდილობდა ჩაწვდომოდა მათ აზრს, მის გულში რაღაც ხდებოდა: მასში სულიწმიდის მაღლი მოქმედებდა... პონტიმ იგრძნო, რომ რაღაც დიდი საიდუმლოების წინ იდგა. ხელები ზეცისკენ ალაპყრო და ლოცვა დაიწყო:

– ღმერთო, ვისი ქება მესმის მე აქ? მომეც ძალა შეგიცნო შენ!

ბიჭმა კარზე კაკუნი ატეხა. შიგნით მყოფებმა ფანჯრიდან გამოიხედეს, ყმაწვილის შესახებ პაპს მოახსენეს და სთხოვეს შემოეშვა იგი. სულიწმიდის შთაგონებით პაპმა მათ უთხრა:

– გაუღეთ კარი, ასეთებისთვისაა ცათა სასუფეველი.

პონტიმ თანმხლებნი გარეთ დატოვა ერთი მეგობრის – ვალერის გარდა, რომელმაც შემდეგ მისი ცხოვრება აღწერა.

ამ დროს სახლში ღვთაებრივი ლიტურგია აღესრულებოდა. პონტი გაუნძრევლად იდგა კუთხეში, მთელი გულისყურით უსმენდა და გული სიყვარულით ევსებოდა. მსახურების დამთავრების შემდეგ პაპს ფეხებში ჩაუვარდა და სთხოვა აეხსნა მისთვის გაგონილი ფსალმუნის მნიშვნელობა.

და პაპიც ახსნას შეუდგა. მან უამბო კერპების შესახებ, რომლებსაც ქვის ქანებისაგან ამზადებენ და შემდეგ გასაყიდად გამოაქვთ. ესაუბრა ღმერთის შესახებ, რომელსაც ქრისტიანები აღიარებდნენ, რომელიც ცაშია, რომლის დანახვა მხოლოდ სულიერი თვალით შეიძლება, და რომლის შეცნობა მხოლოდ რწმენით შეიძლება. პონტიმაც უამბო პაპს, როგორ აწუხებდა მას კერპების სიმრავლე ბაზრებში, ქუჩებსა და ტაძრებში. ბიჭს ისიც აკვირვებდა, რომ კერპებს რკინის სიმაგრეებს უკეთებდნენ, რათა ქარს არ წაექცია და დაემსხვრია ისინი; მას ისიც აფიქრებდა, რომ ოქროსა და ვერცხლის კერპებს ხშირად იპარავდნენ ყაჩაღები – მაშ, როგორღა დაიცავდნენ ისინი ადამიანებს, თუ საკუთარი თავის დაცვა არ შეეძლოთ?

პაპი გააოცა ყმაწვილის კეთილგონივრულმა საუბარმა. ბიჭმა უამბო, რომ დედა გარდაეცვალა, მამა კი კერპების ერთგული თაყვანისმცემელი იყო. პაპმა დაამშვიდა ყმაწვილი და უთხრა, რომ ქრისტეს მაღლით მამამისის მოქცევა იყო შესაძლებელი. სიხარულით აღვსილი პონტი და ვალერიანე პაპს დაშორდნენ. მას შემდეგ ყმაწვილები ყოველდღე მიდიოდნენ პაპთან და სწავლობდნენ მასთან.

ერთხელ მარკოზმა ჰკითხა:

— შვილო, რა ისწავლე შენს მასწავლებელთან?

— ჩემი სწავლის პერიოდში არასოდეს მსმენია უფრო მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ახლა გავიგე. არასოდეს მიმიღია უფრო სასარგებლო რჩევა, ვიდრე ახლა მივიღე. — უპასუხა პონტიმ.


მამამ სიამოვნებით მოისმინა შვილის პასუხი, რადგან ეგონა, რომ ბიჭმა კარგად შეითვისა რომელიმე ამქვეყნიური სიბრძნე.

მაგრამ ნეტარი ყრმა არ აპირებდა მამასთან მუდამ ქარაგმებით საუბარს. ის ეძებდა შემთხვევას მამის დასარწმუნებლად. ბოლოს პონტი ალაპარაკდა, ის უმტკიცებდა მამას კერპების უძლურებას. თავდაპირველად მარკოზი ისე განრისხდა, რომ სურდა შვილისთვის მახვილი დაეკრა, მაგრამ შემდეგ დამშვიდდა, შვილს მოუსმინა და საბოლოოდ დათანხმდა პაპთან წაყოლაზე.

ძნელი აღსაწერია შვილის სიხარული, როდესაც მამამისმა მთელი გულით ირწმუნა იესო ქრისტე და შვილთან და პაპთან ერთად დაიწყო იმ კერპების შემუსვრა, რომელიც მის სახლში იყო. ამის შემდეგ მარკოზი და მისი ოჯახის წევრები მოინათლნენ. მარკოზმა მოხუცებულობამდე იცხოვრა და შემდეგ წარსდგა უფლის წინაშე.

პონტი მაშინ ოცი წლის იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, მალე იგი სენატორად აირჩიეს. მას რამდენიმე მეფის დროს მოუწია მოღვაწეობა და ყველასგან პატივცემული იყო. მაგრამ ყველაზე მეტად იგი დაფასდა მეფე ფილიპეს დროს, რომელმაც თავისი ვაჟი — ფილიპე თანამმართველად გაიხადა. პონტის ბრძნული შეგონებით ორივე მოინათლა.

მაგრამ მხოლოდ ოთხი წელი გაატარა ეკლესიამ სიმშვიდეში. ტახტზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქრისტეს მოძულე იმპერატორები. მათ შორის იყო ვალერიანე. პონტიმ საშინელი წამების შემდეგ მიაბარა უფალს ერთგული სული. თავისი სიცოცხლის ბოლო საათებში ალბათ მის თვალწინ გაიელვა ახალგაზრდობის იმ დღეებმა, როდესაც პირველად გაიგონა ფსალმუნთა გალობა, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როდესაც პაპთან დადიოდა და ხანგრძლივ საუბრებს ისმენდა.



ყრმა ტიმოთმს – მომავალი ტიხონ ზადონელის
პავშვობა
(ხსენება 13 აბვისტოს)

მღვდელმთავარი ტიხონ ზადონელი მიეკუთვნება იმ წმინდ-
ანთა რიცხვს, რომლებიც ხალხს განსაკუთრებით უყვარს. მან
ადრე მიიღო ეპისკოპოსის ხარისხი, მაგრამ დიდხანს არ უმარ-
თავს ვორონეჟის ეპარქია, მიატოვა იგი, რათა განმარტოებულ
ღვაწლს შესდგომოდა.

მოღვაწეობრივი ყოფა, მრავალგვარი ქველმოქმედება,
შთაგონებული სასულიერო წიგნების წერა – აი, რისგან
შედგებოდა მისი ცხოვრება.

წმიდა ტიხონი მეტად მოკრძალებულად ცხოვრობდა. საწო-
ლის მაგივრობას უწევდა ფარდაგი ორი ბალიშით, საბნად ცხ-
ვრის ტყავს ხმარობდა; წელზე შემორტყმული ჰქონდა ტყავის
ქამარი; მხოლოდ ერთი ანაფორა ჰქონდა – მაუდის. სახლში
ქალამნებით დადიოდა, მხოლოდ ეკლესიაში იცმევდა ტყავის
ჩექმებს; ჰქონდა უბრალო ტყავის სკენილი. არ ჰქონდა სკივრი.
მგზავრობისას თან დაჰქონდა ტყავის ქისა, რომელშიც წიგნე-
ბი და სავარცხელი ედო.

სამი წლის განმავლობაში ის სარგებლობდა ორთვალა ეტლ-
ში შებმული ცხენით, რომელიც მას ერთმა მემამულემ მიართ-
ვა. როდესაც იგი სასეირნოდ მიემგზავრებოდა ტყეში ან მინდ-
ორში, მესენაკეს ეუბნებოდა:

– მიდი, შეაბი ცხენი ორთვალაში, გავისეირნოთ. თან წამ-
ოიდე ჭიქა და ცული, მოუყელოთ ბალახი „ბებერს“, ჩვენ კი
წყალი დავლიოთ. მეუფე თავად ცელავდა ბალახს, მესენაკეს
აგროვებინებდა და ეუბნებოდა:

– დადე ორთვალაზე, „ბებერს“ გამოადგება.

მთელ თავის პენსიას, ღონის კაზაკთა ძმობის შემოწირულობას, ვორონეჟიდან და ოსტროგოჟსკიდან გამოგზავნილ თავადებისა და ვაჭრების შესაწირს წმინდანი ღარიბებს ურიგებდა. იგი ურიგებდა ღარიბებს ტანსაცმელს, ყიდულობდა მათთვის საქონელს, უშენებდა ქოხებს. ზოგჯერ იგი თავის მესენაკეს ფულის სასესხებლად ქ. ელეცაში რომელიმე მდიდარ ვაჭართან აგზავნიდა:

– ახლა აღარაფერი მაბადია... ჩემთან ღარიბები მოდიან, მე კი უნუგეშოდ ვუშვებ მათ, ძალიან მებრალებიან ისინი.

წმინდანი წუხდა, როცა ღარიბს უარით ისტუმრებდა, მეორე დღესვე აგზავნიდა მესენაკეს:

– აილე ფული, გეთაყვა, წაუღე, იქნებ ასე მაინც დაამშვიდო იგი.

როდესაც ტიხონს ბევრი მთხოვნელი ჰყავდა და ბევრი ფულის დარიგებას ახერხებდა, მაშინ იგი კმაყოფილი იყო, ხოლო იმ დღეს, როდესაც არ ჰყავდა მთხოვნელები ან იყვნენ ძალიან ცოტანი, მაშინ ის მოიწყენდა ხოლმე. თუკი მღვდელმთავარი ხედავდა სამუშაოდ მიმავალ გლეხებს, ან დაღლილებს და სნეულებს, იგი მათ სახლში იპატიჟებდა, მიუტანდა ბალიშს, ასვენებდა, უმზადებდა საჭმელს, ასმევდა ჩაის, გვერდით ეჯდა და სულიერი საუბრებით ამხნევებდა. თუ ავადმყოფი გარდაიცვლებოდა, წესს უგებდა, წმიდა ტიხონი ეხმარებოდა დაზარალებულთ ახალი სახლების აშენებაში.

მოყვასისადმი მისი სიყვარული იმდენად დიდი იყო, რომ მან ერთხელ საუბარში თქვა:

– ზოგჯერ ვგრძნობ, რომ მზად ვარ ყველას მოვეხვიო და ჩავეკონო. წმინდანი იშვიათად ჭამდა ცრემლების გარეშე. ტრაპეზობისას მას უკითხავდნენ სულიერ წიგნებს; ხშირად იგი ჭამას წყვეტდა და ტირილს იწყებდა... ჭამის წინ ის ყოველთვის ამბობდა:

– მაღლობა ღმერთს ამ კარგი საჭმლისათვის... ჩემს თანამოძმეთაგან ზოგი ღარიბია, ზოგი პატიმარი, ზოგი მაგიდიდან მშვიერი დგება, ზოგს მაგიდაც არა აქვს და ისე ჭამს...

ასეთი მოწყალე ადამიანის ცხოვრება დიდ სილატაკეში დაიწყო. თუ გულცივ, სულით ღარიბ ადამიანს ცხოვრების გზაზე გადატანილი ტანჯვა აბოროტებს, წმიდა ტიხონ ზადონელის მსგავს წმინდანებს, პირიქით, გულს უთბობს, სიბრალულსა და თანაგრძნობას უნერგავს იმათ მიმართ, რომლებიც ისევე იტანჯებიან, როგორც თავის დროზე ისინი იტანჯებოდნენ. ისინი მთელი ძალით ცდილობენ ამ ადამიანებმა იმაზე უკეთ იცხოვრონ, ვიდრე თვითონ ცხოვრობდნენ.

წმიდა ტიხონი დაიბადა 1724 წელს ნოვგოროდის გუბერნიის სოფელ კოროცკში, დიაკონ საბელ კირილოვის ოჯახში.

ტიმოთეს (ასე ეძახდნენ ბავშვობაში მეუფე ტიხონს) მამა მამის გარდაეცვალა, როდესაც ჯერ კიდევ ჩვილი იყო. ოთხი ძმა და ორი და ობლად დარჩნენ. უფროსმა ძმამ მამის თანამდებობა მიიღო, შუათანა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. დანარჩენები საშინელ გაჭირებაში ცხოვრობდნენ, ბავშვებს ლუკმა-პური ენატრებოდათ, დედას ძალიან უჭირდა მათი აღზრდა.

მათთან ოჯახში ხშირად სტუმრობდა ერთი უშვილო მეეტლე, რომელსაც ტიმოთე უყვარდა და დედამისს ხშირად ეუბნებოდა:

– მომეცი შენი ტიმოთე, შვილის მაგივრად გავზრდი და ჩემს ქონებასაც დავეუტოვებ. ეს კი ნიშნავდა სასულიერო წოდებაზე და განათლებაზე სამუდამოდ უარის თქმას. ამიტომაც დედა უარზე იყო, მაგრამ ერთხელ, როცა გაჭირვება გაუსაძლისი გახდა, დედამ გადაწყვიტა ტიმოთეს უცხო ხელში გადაცემა. მან ხელი მოჰკიდა შვილს და მეეტლესთან წაიყვანა.

ამ დროს ტიმოთეს უფროსი ძმა – მედავითნე შინ არ იყო. როდესაც დაბრუნდა, დისგან შეიტყო ძმის მეეტლესთან წაყვანის ამბავი. უფროსი ძმის დაბრუნება, რა თქმა უნდა, ღვთის ნებით მოხდა, ამან რუსეთის ეკლესიას უდიდესი წმინდანი შეუნარჩუნა.

როდესაც შეიტყო, რომ ტიმოთეს მომავალი წყდებოდა, ძმა შეშფოთდა, გაეკიდა დედას, დაეწია მას, დაეცა მუხლებზე და უთხრა:

– სად მიგყავს ჩემი ძმა? ხომ იცი, რომ თუ მეეტლესთან გაიზრდება, თავადაც მეეტლე გამოვა. მირჩევნია ვიმათხოვრო, ძმა კი მეეტლეს არ მივცე. ვეცადოთ წერა-კითხვა ვასწავლოთ, მერე კი თავად გადაწყვეტს მედავითნე გამოვიდეს თუ მნათე.

შვილის მხურვალე მუდარამ დედა აიძულა შინ დაბრუნებულიყო.

ოჯახი კვლავ გაჭირვებაში იყო. ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ტიმოთეს უხდებოდა მდიდარ გლეხთან სამსახური – იგი ხნულს ფარცხავდა. მთელი დღის შრომის გასამრჯელოდ ყმაწვილი მხოლოდ თავის სამყოფ პურს ღებულობდა; და ამითაც კმაყოფილი იყო.

როდესაც ტიმოთე წამოიზარდა, ნოვგოროდში გაიხსნა სემინარია. ქვრივმა წაიყვანა შვილი ნოვგოროდში, სემინარიაში

მიაბარა და მალევე გარდაიცვალა. ბიჭმა გააგრძელა სწავლა სახაზინო (სახელმწიფო) ხარჯზე. იგი დიდ გაჭირვებას განიცდიდა. როდესაც მას სახაზინო პურს ურიგებდნენ, თავისთვის ნახევარს იტოვებდა, მეორე ნახევარს კი ჰყიდდა, ალებული ფულით სანთელს ყიდულობდა, რათა საღამოობით წიგნი ეკითხა.

ტიმოთეს ეცვა ძველი, დაკონკილი სამოსი, მის სიღარიბეს დასცინოდნენ მისი ამხანაგები. თუ თამაშისას ხელში ჩაუვარდებოდათ ქალამანი, ტიმოთესკენ დაიწყებდნენ მის ქნევას საცეცხლურივით და დაცინვით ქება-დიდებას ასხამდნენ.

როდესაც ტიმოთე ეპისკოპოსად აკურთხეს და ნოვგოროდში ჩავიდა, იგი შეხვდა თავის ყოფილ ამხანაგებს, რომელთაგან ზოგი მღვდლად და ზოგიც დიაკვნად მსახურობდა. ისინი ტიმოთესთან (მეუფე ტიხონთან) კურთხევის მისაღებად მივიდნენ.

— როდესაც ჩვენ ბავშვები ვიყავით და სემინარიაში ვსწავლობდით — უთხრა მათ წმინდანმა — თქვენ, ძმებო, დამცინოდით, ქალამანს მიკმევდით. ახლა კი საცეცხლურის კმევა მოგიწევთ.

— შემინდე, წმიდა მეუფეო, — ეუბნებოდნენ შეცბუნებული მღვდლები და მეტანიას აკეთებდნენ მის წინაშე.

— მე ხუმრობით გითხარით, ძმებო, — თავმდაბლად უპასუხა უწყინარმა წმინდანმა.

ბრწყინვალე წარმატებების გამო ტიმოთე, ჯერ კიდევ სრული კურსის დამთავრებამდე, ნოვგოროდის სემინარიის მასწავლებლად დანიშნეს. იგი ოცდარვა წლის ასაკში ბერად აღიკვეცა ტიხონის სახელით, ერთი წლის შემდეგ კი ტვერის სემინარიის რექტორად დაინიშნა.

თუკი სემინარიის ამხანაგებთან შეხვედრისას წმინდანი გარკვეული სიმწარით იხსენებდა მათ დაცინვას, სულ სხვაგვარი იყო მისი შეხვედრა დასთან, რომელიც ახალგაზრდა დაქვრივდა და უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. ქალი იძულებული იყო მდიდართა სასახლეებში იატაკის რეცხვით ერჩინა თავი. როდესაც მისი ძმა ნოვეგოროდში მასწავლებლად დაინიშნა, მან და თავისთან წაიყვანა და არჩენდა მას.

შეიძლება დას ეგონა, რომ მიღწეული წარმატებებით ძმა გაამაყდებოდა და მათ შორის უფსკრული განხდებოდა. მაგრამ ტიხონი ისეთივე დარჩა, როგორც იყო. დილით ეპისკოპოსმა თავის დას ეტლი გაუგზავნა. როდესაც ქალი მივიდა, მან სენაკში შესვლა ვერ გაბედა, ძმამ თავად შეიპატიჟა იგი:

— აქეთ მობრძანდი, დაო!

სენაკში შესული ქალი აქვითინდა.

— რა გატირებს, დაო? ჰკითხა მეუფემ.

— მეტი სიხარულისგან ვტირი, ძმაო, მახსენდება, რა სიღარიბეში გაგვზარდა დედამ. იყო ღრო საჭმელიც გვენატრებოდა... ახლა კი ასეთი მაღალი წოდება გაქვს, გუშინ ხალხში ვიდექი და ვხედავდი როგორი შეხვედრა მოგიწყევს.

ძმამ დას თხოვნით მიმართა, ხშირად მოსულიყო მასთან, თავისი ეტლიც შესთავაზა. დამ კი, რომელსაც თავისი ბედნიერების არ სჯეროდა, უპასუხა:

— მეშინია, ჩემი სტუმრობით თავი არ შეგაწყინო.

— არა, ჩემო საყვარელო, — უთხრა ტიხონმა, — არასოდეს მომწყინდება შენი სტუმრობა. მე გულით მიყვარხარ და დიდ პატივს გცემ.

ტიხონს დიდხანს არ მოუწია დაზე მზრუნველობა, ნოვეგოროდში ჩამოსვლიდან ერთ თვეში იგი გარდაიცვალა.

წმიდა ტიხონი ბავშვებისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა. იგი ცდილობდა, გლეხის ბავშვები წირვაზე სიარულისთვის მიეჩვია. ტაძრიდან ბავშვებს თავისთან ეპატიჟებოდა, ღარიბი გლეხის ბავშვები ჯგეროდ მიჰყვებოდნენ მას სენაკში. მიუხედავად მღვდელმთავრის მაღალი წოდებისა, ისინი მხიარული სახეებით შეჰყურებდნენ მას და თამამად შედიოდნენ დარბაზში, სადაც წმიდა ტიხონი თავის ხელით ასაჩუქრებდა მათ: ზოგს ხურდა ფულით, ზოგს თეთრი პურით, ზაფხულობით კი მწიფე ვაშლებს ურიგებდა.

სენაკში შესვლისას ბავშვები ხმამაღლა ამბობდნენ:

— დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

— ბავშვებო, სად არის ღმერთი ჩვენი? — ეკითხებოდა წმინდანი.

— ღმერთი ჩვენი არის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა — პასუხობდნენ ბავშვები.

— აი ყოჩაღ, ეუბნებოდა წმინდანი, ეფერებოდა და საჩუქრებს ურიგებდა მათ.

ბავშვები კი ლოცვას ამბობდნენ... უფროსები — იესოს ლოცვას, უმცროსები კი, სამი-ოთხი წლისანი, მთელი ძალით ყვიროდნენ:

— უფალო შეგვიწყალებ! უფალო შეგვინდე! ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვნე ჩვენ! ასე ლოცულობდნენ მის კელიაში პატარა მლოცველები. წმიდა ტიხონი მამაშვილურად ესაუბრებოდა მათ, უნერგავდა თავმდაბლობას, უბრალოებას, სიკეთესა და სიმშვიდეს.

ასე ცხოვრობდა ეს დიდებული ადამიანი, რომელმაც თავისი ღვაწლის, დიდი ნიჭისა და სიბრძნის მიუხედავად ცხოვრე-

ბის ბოლომდე რაღაც ბავშვური შეინარჩუნა. მასზე აღსრულ-
და ქრისტეს სიტყვები: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვი-
თარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“.



ახალგაზრდა წინასწარმეტყველი სამომელი
(სსენება 20 აბვისტოს)

სანამ ისრაელის ხალხში მეფეები გაჩნდებოდნენ, მათ სათავეში მსაჯულები იდგნენ.

ქალაქ არიმათში¹ ცხოვრობდა ლევიტელთა ტომის წარმომადგენელი ელკანა. ის ყოველთვის მიდიოდა დიდ დღესასწაულებზე ქალაქ სელომში, სადაც მაშინ ებრაელთა ტაძარი იყო.

იმ დროს ისრაელის მსაჯული იყო მღვდელმთავარი ელი, რომელსაც ორი ვაჟი — ოფნი და ფინეხი ჰყავდა.

ელკანას ცოლს, ანას, შვილი არ უჩნდებოდა და ამის გამო დამწუხრებული იყო. ქმართან ერთად სელომში რომ ჩავიდა, ტაძარში შევიდა და მხურვალე ლოცვას შეუდგა:

— უფალო ღმერთო, თუ გადმომხედავ მწუხარებაში მყოფ შენს მხევალს და მაჩუქებ ვაჟიშვილს, მე მას შენ მოგიძღვნი, რათა მთელი ცხოვრების მანძილზე შენ გემსახუროს, არასოდეს დალიოს ღვინო, არ დათვრეს და მის თავს არასოდეს მიეკაროს სამართებელი.

ასე ლოცულობდა იგი უხმოდ უფლის წინაშე და ლოცვის ძალა მასში უფრო და უფრო იზრდებოდა.

მღვდელმთავარი ელი უყურებდა მის ბაგეებს, რომლებიც მოძრაობდნენ, მაგრამ ხმას არ გამოსცემდნენ, რადგან ქალი გულში ლოცულობდა. ელის მოეჩვენა, რომ ის მთვრალი იყო.

— რამდენ ხანს იდგები აქ მთვრალი? — ჰკითხა მან. — გადი ღმერთის სახლიდან და გამოფხიზლდი.

¹ ამ ქალაქიდან იყო წარმოშობით იოსებ არიმათიელი, რომელმაც იესო ქრისტეს წმიდა სხეული საფლავში გადაასვენა.

– არა, ბატონო ჩემო, – უთხრა ანამ, რომელიც თითქოს ვერც კი გრძნობდა შეურაცხყოფას, არა ვარ მთვრალი, დიდი დარდით ვარ შეღონებული. არც ღვინო დამიღვევია და არც სხვა რაიმე სასმელი, მე უფალს ვევედრები...

– წადი მშვიდობით. დაე ისრაელის ღმერთმა შეგისრულოს ყველა სათხოვარი. – უპასუხა ელიმ.

უფალმა მოხედა ანას სიმდაბლეს და მისცა მას ვაჟი, რომელსაც სამოელი დაარქვეს, რაც „ღმერთისგან გამოთხოვილს“ ნიშნავს.

შვილის დაბადების შემდეგ ანა ვეღარ მიჰყვებოდა ქმარს სელომში, სადაც იგი სალოცავად და თავისი მიწებიდან მოწეული მებათედის შესაწირად მიდიოდა, ის შინ რჩებოდა შვილის გამოსაკვებად. ებრაელებს წესად ჰქონდათ შვილის ძუძუთი კვება სამი წლის მანძილზე.

ამ დროის გასვლის შემდეგ ანა კვლავ გაჰყვა ქმარს სელომში. თან სამი ხბო და პურის ფქვილი წაიღეს შესაწირად. სელომში დედამ შვილი მღვდელმთავარ ელის მიუყვანა და უთხრა:

– მე ის ქალი ვარ, რომელიც შენ აქ სამი წლის წინ ნახე. მაშინ მე უფალს შვილს ვევედრებოდი. მან შეასრულა ჩემი თხოვნა და მომცა ვაჟი. ახლა მე შვილს დაპირებისამებრ ვუძღვნი უფალს, რათა მთელი ცხოვრება ემსახუროს მას.

ასე ჩააბარა ანამ ელის თავისი შვილი. ელკანამ კი გადასცა საჩუქრად ჩატანილი ძღვენი. მაშინ ანამ იგალობა გალობა, რომელიც ხშირად სრულდება ღვთისმსახურებისას. სამადლობელი ძღვენის შეწირვისა და აღვლენილი ლოცვის შემდეგ ელკანა და ანა შინ დაბრუნდნენ, ღვთის სახელზე შეწირული სამი წლის სამოელი კი ელის დაუტოვეს.

ბიჭი ტაძარში იზრდებოდა, სწავლობდა წერა-კითხვას და ღვთისმსახურებას.

დედა ხშირად დადიოდა ტაძარში, მიჰქონდა შესაწირი ღმერთისთვის, შვილისთვის კი მიჰქონდა ტანსაცმელი. იგი სიხარულით შეჰყურებდა წამოზრდილ შვილს, რომელიც თეთრ შესამოსელში გამოწყობილი ტაძარში მსახურობდა.

ელი ამჩნევდა მის გულმოდგინებას მსახურებისას, გრძნობდა მასში ღვთაებრივ ნიჭს.

მას შემდეგ, რაც სამოელი ღმერთს მიუძღვნა, ანამ დაიწყო შვილების გაჩენა. სამოელი კი იზრდებოდა უფლისთვის სათნო, ადამიანთათვის თავაზიან ყმაწვილად.

ელის ვაჟები, ოფნი და ფინეზი ცუდად იქცეოდნენ; ხალხს ავიწროვებდნენ, შესაწირის საუკეთესო ნაწილს თავად ითვისებდნენ. უფალმა ახალგაზრდა სამოელის მეშვეობით გააფრთხილა მათი მამა.

ერთხელ ღამით, ელის თავის ჩვეულ ადგილას, ტაძრის წინკარში ეძინა, თორმეტი წლის სამოელს კი — შიგ ტაძარში, სადაც კანდელში ცეცხლის ჩაუქრობლად შენახვა ევალებოდა. ამ დროს შემოესმა ხმა:

— სამოელ, სამოელ...

ბიჭს გაეღვიძა, მღვდელთან მიირბინა და უთხრა:

— აქ ვარ, მეძახდი?

— არა, — უპასუხა ელიმ. — დაბრუნდი შვილო და დაიძინე. სამოელმა დაიძინა და უფალმა მეორედ მოუწოდა:

— სამოელ, სამოელ...

ბიჭმა კვლავ მიირბინა ელისთან, მან კვლავ გაისტუმრა იგი. (სამოელი მაშინ ჯერ კიდევ არ იცნობდა უფლის ხმას, რად-

გან არ ჰქონია ღვთაებრივი გამოცხადება). როდესაც ყმაწვილ-მა მესამედ მიირბინა ელისთან, მაშინ მიხვდა მღვდელმთავარი, რომ ბიჭს ღმერთი უხმობდა, და უთხრა:

— წადი შენს ადგილზე, შვილო, და დაიძინე; თუ კვლავ გაიგონებ ხმას, ასე უპასუხე: „ბრძანე, უფალო, შენი მონა გისმენს“.

სამოელი დაბრუნდა და დაიძინა. და მოვიდა უფალი და კვლავ დაუძახა:

— სამოელ, სამოელ!

სამოელი წამოხტა და შესძახა:

— ბრძანე, უფალო, შენი მონა გისმენს!

ღმერთმა განუცხადა ყრმას, რომ ელის დასჯას აპირებდა მისი ძეების გამო, რომლებიც ძვირს ამბობდნენ ღმერთზე. მამამ კი იცოდა ეს და არ სჯიდა მათ.

თრთოლვით ისმენდა სამოელი ღვთის ნებას და როცა ხილვა დასრულდა, ჩაეძინა და დილამდე ეძინა. დილით ვერ გაბედა მოეთხრო თავისი ხილვის შესახებ მღვდელმთავარ ელისთვის და მხოლოდ მისი დაჟინებული თხოვნის შემდეგ უამბო ყველაფერი.

სამოელი დღითი-დღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა სულით; უფალი მასთან იყო და მისი ბაგეებიდან მოედინებოდა წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც ყოველთვის სრულდებოდა. მაშინ მიხვდა ხალხი, რომ სამოელი ღმერთის დიდი წინასწარმეტყველი იყო.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში წინასწარმეტყველმა სამოელმა, ღვთის ნებით, მეფედ აკურთხა საული — ბენიამინის ტომიდან. ხოლო როდესაც საულმა თავისი ბოროტე-

ბით უფალი განარისხა, სამოელმა უფლის ბრძანებით ნელ-საცხებელი სცხო იესეს შვილს, ახალგაზრდა დავითს ბეთლემიდან.

ამ უკანასკნელი საქმის აღსრულების შემდეგ იგი დაბრუნდა თავის სამშობლოში, არიმათში, სადაც ღრმა მოხუცებულობაში მიიცვალა.



წმიდა მოწამე ვასა და მისი შვილები – თეობემა,
ალაკი და პისტი
(ხსენება 21 აგვისტოს)

ქალაქ ედესაში (პალესტინის მახლობლად), ქრისტიანთა მღევნელის, რომის იმპერატორ მაქსიმილიანეს დროს, ცხოვრობდა წარმართი ქურუმის, ვალერიის მეუღლე – ვასა. ქალი ქრისტიანი იყო და შვილებიც ქრისტიანული ღვთისმოსაობით აღზარდა.

ძძიძე იყო იმ ქრისტიან ქალთა ცხოვრება, რომელთაც წარმართი ქმრები ჰყავდათ. ზოგიერთი უმაღლავდა თავის ქრისტიანობას წარმართ მეუღლეს. სხვები უშიშრად აღიარებდნენ თავის რწმენას და ახლობლები მათ მღევნელთა ხელში აგდებდნენ.

ქურუმმა მეუღლემ დააბეზდა ვასა და იგი საპყრობილეში ჩააგდეს. ვასას უხაროდა, რომ მასთან ერთად მისი სამი ვაჟიც შეიპყრეს. იგი განუწყვეტლივ ევედრებოდა უფალს, არ დაეცილებინა იგი თავისი შვილებისაგან იმ წამებაში, რომელსაც იგი წინასწარ გრძნობდა და მოელოდა.

შვილებთან ერთად ქრისტესთვის სიკვდილი მას უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნდა. თრთოლვით ევედრებოდა იგი უფალს, ეღირსებინა მისთვის ეს ბედნიერება. და აი საპყრობილეში შვილებთან ყოფნის ბოლო საათებში ქრისტიანი დედა მოუწოდებდა მათ, ზეცაში ქრისტესთან ერთად ყოფნისთვის დაეთმინათ ხანმოკლე წამება. იგი ეუბნებოდა შვილებს, რომ ხშირად, ქრისტეს საოცარი ძალით განმტკიცებული მოწამეები წამებას ისე იტანენ, თითქოს მათ სხეულს ეს არც ეხება, ისინი აცნობიერებენ წამების სისასტიკეს, მაგრამ ვერ გრძნობენ

მას. დედა უყვებოდა შვილებს იმ არაჩვეულებრივ სიტკბოებაზე, რომელსაც მათი სულები წამების დროს შეიგრძნობენ ქრისტესადმი ერთგულების გამო. იგი უხატავდა შვილებს სამოთხეში მათი დიდებით შესვლის სურათებს, როდესაც ნათლით მოსილი ქრისტე მიეგებებოდა მათ; ეუბნებოდა, რომ ქრისტე ანგელოზების გუნდითა და მოწამეთა სულებით გარშემორტყმული ზეციდან გადმოჰყურებს მათ და ელოდება მათგან ერთგულების სახალხოდ გამოცხადებას, ელოდება მათგან ამ სიტყვებს:

— გვაწამეთ — ჩვენ ქრისტიანები ვართ და არ განვუდგებით ქრისტეს.

დადგა წამების დროც.

მოწამეები ერთმანეთს უყურებდნენ, ერთმანეთისაგან იღებდნენ ვაჟკაცობასა და მოთმინებას და დუმდნენ. ორი უფროსის შემდეგ აწამეს მესამე ძმაც.

ბედნიერი დედა ხან ხმამაღლა აღიღებდა ღმერთს იმისათვის, რომ ღირსყო იგი ენახა თავისი შვილების მოწამეობა, ხან შვილებს ამხნეებდა. გამარჯვება მოპოვებულ იქნა, წამება დამთავრდა, ძმები მახვილით მოკლეს: სულიერ ზეცაში ახალი ვარსკვლავები აინთო.

აუწერელი იყო დედის სიხარული, რომელმაც თავისი საყვარელი შვილები ქრისტესთან გაგზავნა. რალა იყო ახლა მისთვის ბნელი საპყრობილეები, მძიმე ბორკილები, შიმშილი. მისი გული ზეიმობდა! მისი სული თითქოს უკვე ზეციურ სასუფეველში იყო თავის შვილებთან ერთად. ამიტომაც ყოველგვარ წამებას ადვილად იტანდა. მტარვალმა ვერ მოკლა იგი


შიშშილით: ანგელოზს მოჰქონდა მისთვის საკვები და აძლიერებდა მას.

მას აიძულებდნენ მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს. იგი ხან წყალში ჩააგდეს, ხან ცეცხლში, ხან ქვები დაუშინეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. როდესაც იგი საკერპოში შეიყვანეს, მან ხელი სტაცა იუპიტერის კერპს, ძირს დაანარცხა და დაამსხვრია. მაშინ იგი შესაჭმელად ნადირებს მიუგდეს. მხეცები მას არ მიეკარნენ...

წმინდანს კისერზე ლოდი მოაბეს და ზღვაში მოისროლეს, მაგრამ ყველამ დაინახა, რომ სამმა ნათელმოსილმა ჭაბუკმა იგი გემზე აიყვანა. რამდენიმე დღეში იგი პალესტინის კუნძულზე მეომრებს გამოეცხადა.

მისმა მტანჯველმა, მაკედონიის მმართველმა ფილიპემ, გადასცა იგი ჰელესპონტის მმართველს, რათა მას აეძულებინა იგი კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირა. ვასას ხელები შეუკრეს და არგნებით სცემეს. ბოლოს თავი მოჰკვეთეს.

მისი სული სინარულით გაემართა თავის მოწამე შვილებთან.



წმიდა მოწამე ევლალია ქალწული
(სსენება 22 აგვისტოს)

ესპანეთის ერთ-ერთი ქალაქის მახლობლად ცხოვრობდა ქალწული ევლალია. იგი ქრისტიანული ოჯახიდან იყო.

გოგონამ ყრმობიდანვე შეიყვარა ქრისტი. მშობლებს იგი განსაკუთრებულად უყვარდათ მისი სიმშვიდის, სიმდაბლისა და გონიერების გამო. ევლალიას უყვარდა წმიდა წერილის კითხვა და ოცნებობდა, მთელი თავისი სიცოცხლე ქრისტი-ესთვის შეეწირა.

დროდადრო მისი სიყვარული ქრისტეს მიმართ ამოხეთქვას ცდილობდა რაიმე ღვაწლის სახით. მისი სული კი თრთოდა, როდესაც ესმოდა მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ აღიარებდნენ საქვეყნოდ ქრისტეს და ეწამებოდნენ მასავით ახალგაზრდა ქალწულები.

მაშინ მძიმე დრო იყო, ქრისტიანებს სასტიკად დევნიდნენ და ხშირად წამებით კლავდნენ.

ევლალია მეთექვსმეტე წელში იყო. მეზობელ ქალაქში მმართველი დეკიანე ქრისტიანებს აიძულებდა კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირათ.

ეს ამბავი ევლალიამ ღვთის მოწოდებად მიიჩნია, მაგრამ თავისი განზრახვა არავისთვის გაუმხელია. თავის საძინებელში კი აღტაცებით შეუდგა ლოცვას: გმადლობ, უფალო, რომ მანიჭებ იმას, რაზეც ვოცნებობდი. მწამს, რომ შენი დახმარებით ავისრულებ ჩემს გულის წადილს.

ამ დროს, მისი ოთახის ახლოს მიმავალმა მამამ გაიგო ეს ლოცვა და შეეკითხა, თუ რა აწუხებდა მას. მაგრამ გოგონას არ სურდა თავისი საიდუმლოს გამხელა: მას ეშინოდა, რომ მისი

უსაზღვროდ მოყვარული მშობლები ხელს შეუშლიდნენ მის ღვაწლს და არ მისცემდნენ საშუალებას აღესრულებინა სანუკვარი ოცნება — გამხდარიყო ქრისტეს მოწამე.

დადგა ღამე. სახლში ყველას ეძინა, უკვე მამალმაც დაიცივლა პირველად. მთელი ღამის ლოცვაში გატარების შემდეგ ევლალა ფხიზლად გამოიპარა სახლიდან. თავისი მიზნით მთლიანად შეპყრობილს, არც კი შეუხედავს უკანასკნელად მშობლიური სახლისთვის, არც კი გახსენებია, თუ რა ბედნიერად ცხოვრობდა აქ, თავის ოჯახში.

ღამის სიბნელეში ევლალა უშიშრად მიაბიჯებდა ქალაქისაკენ ჩუმი ლოცვითა და ქრისტეზე ფიქრით და სრულებით არ აწუხებდა ის, რომ ქვიან გზაზე ფეხები უსისხლიანდებოდა.

მან გამთენიას ქალაქს მიაღწია და ქალაქის ჭიშკარში შესვლისას შიკრიკთა ხმა მოესმა. ისინი ხალხს მოედანზე შესაკრებად იხმოზდნენ. იქ, ამაღლებულ ადგილზე, მმართველი დეკიანე დაბრძანებულიყო. მას ყოველი მხრიდან ხალხი შემოხვეოდა. ევლალიამ ხალხში შეაღწია და მთავართან მისულმა, უშიშრად მიმართა მას:

— უსამართლო მსაჯულო, მაღალ ტახტზე წამომჯდარხარ, ღმერთისა კი არ გეშინია, ღმერთისა, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას! განა იმისთვის ზიხარ აქ, რომ დაღუპო უდანაშაულო ადამიანები, რომელნიც უფალს თავის ხატად და მსგავსად შეუქმნია, რათა მას ემსახურონ, შენ კი მათ სატანისაკენ უბიძგებ და სჯი!

ხალხი განცვიფრებული იყო ამ სიტყვებით. მმართველმა კი ჰკითხა:

– ვინ ხარ შენ, რომ ბედავ ჩვენს სამსჯავროზე დაუპატიჟებლად მოსვლას და თავხედურად მელაპარაკები?

ევლალიას სინორჩით გულაჩვილებულმა დეკიანემ ამაოდ სცადა დაეყოლიებინა გოგონა მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის.

ევლალია მიაბეს საწამებელ ხეზე, რომელსაც ჯვრის ფორმა ჰქონდა, და შეუდგნენ მის წამებას. გოგონა კი ფსალმუნს გალობდა:

„აჰა ესერა ღმერთი შემწე ჩემდა არს და უფალი შემწყნარებელ სულისა ჩემისა“.

ხოლო როდესაც მისკენ საწამებლად მიმართული სანთლების ალი ჯალათებისკენ მიექცა და დაუწვა მათ სახეები, ამ სასწაულით გახარებულმა ახალგაზრდა მოწამემ უფალ იესო ქრისტეს მიმართა ლოცვით:

– შეისმინე ლოცვა ჩემი, უფალო, გამოაჩინე ჩემზე შენი მოწყალება და მიმიღე შენს სასუფეველში რჩეულთა შორის სამარადისოდ!

ამ ლოცვით მან სული განუტევა. იმ წუთებში ხალხმა დაინახა: თოვლივით თეთრი მტრედი როგორ გამოფრინდა მისი ბაგეებიდან და აიჭრა ცაში...

ასე დაასრულა თავისი მოწამებრივი ღვაწლი ახალგაზრდა ქრისტიანმა ქალწულმა, ევლალიამ.

მისი სიმაძაცით შერცხვენილმა მმართველმა განრისხებულმა ბრძანა, არავის ჩამოეხსნა წამებული ევლალიას სხეული ჯვრიდან, სანამ ფრინველები არ დაკორტნიდნენ მას. როდესაც დეკიანე წავიდა, ღრუბლებიდან მოულოდნელად თოვლი წამოვიდა და მოწამის წმიდა სხეული თეთრი სამოსელით შე-

მოსა. მცველები შიშმა აიტანა, მათ ახლოს დგომა ვეღარ გაბედეს და უკან დაიხიეს...

ამასობაში, დილით მშობლებმა გაიღვიძეს და შეუდგნენ ქალიშვილის ძებნას მთელ სახლში. შუადღისას მოაღწია ხმამ, რომ ევლალია ეწამა ქრისტესთვის, და გაიქცნენ მოედნისაკენ, სადაც ჯვარზე გაკრული იპოვეს იგი.

შვილის სხეულთან მიახლოება მათ არ შეეძლოთ, რადგან მცველები არ უშვებდნენ, მაგრამ რამდენიმე ღვთისმოსავმა კაცმა ისარგებლა ღამის წყვდიადით, მოიტაცა წამებული ქალწულის სხეული და მშობლების თანდასწრებით შეახვია სუფთა სუდარაში.

ერთ-ერთმა მათგანმა, სახელად ფელიქსმა (მოგვიანებით ასევე წამებულმა ქრისტესთვის), ნატანჯი ქალწულის სახის შეხედვისას სიხარულით შესძახა:

— ქალბატონო ევლალია, შენ ჩვენზე ადრე გახდი ღირსი მოწამებრივი გვირგვინის დადგმისა.

და ფელიქსის ამ მისალმებისას, სამიოდე ღღის წინ ნაწამები ქალწულის სახეზე სიხარულის ღიმილმა ინათა.



ყრმა მამანტი,
მოწაჲმ და ღიღი სასწაულთმოქმედი
(სსენება 2 სექტიმბერს)

მამანტის მშობლები, თეოდოტე და რუფინე, დიდებულთა შთამომავლები, მდიდრები და სახელგანთქმულნი იყვნენ.

ნეტარი რუფინე პირველ შვილზე ფეხმძიმედ იყო, როდესაც ქრისტიანობის ერთ-ერთი მღვწელის ბრძანებით მეუღლესთან ერთად დააკავეს და საპყრობილეში ჩააგდეს.

თეოდოტემ კარგად იცოდა მტარვალის სისასტიკე და თავისი ხორციელი უძღურება. მას არ სურდა ქრისტესთვის ეღალატა, მაგრამ შიშობდა, რომ საშინელ ტანჯვას ვერ გაუძლებდა და ამიტომ გულწრფელად შესთხოვა უფალს:

„ყოვლადძლიერო ღმერთო, გმადლობ და გადიდებ იმისათვის, რომ ღირს მყავ სახელისა შენისათვის საპყრობილეში ვყოფილიყავ ჩაგდებული. მაგრამ გევედრები, უფალო, ჩემი უძღურების გამო, ამ საპყრობილეშივე მიიღე ჩემი სული, რათა მტერმა არ გაიხაროს ჩემი დამარცხებით“.

მართლაც, უფალმა, ჩვენმა შემქმნელმა და გულთა მხილველმა, შეისმინა ერთგული მონის ვედრება და აჩუქა მას მშვიდი აღსასრული. გამოიხმო დილეგიდან მისი სული და დაამკვიდრა ზეციურ სასუფეველში.

ქმრის სიკვდილით უსაზღვროდ დამწუხრებულმა რუფინემ ნაადრევად შვა ძე, ღმერთს შეავედრა იგი და ქვითინით ასე ილოცა:

– ყოვლისშემძლე უფალო, ადამისა და მისი ნეკნიდან ევას შემქმნელო, ღირს მყავ გავყვე ჩემი მეუღლის გზას, მიმიღე შენს სამუდამო სასუფეველში, ხოლო ჩემგან შობილი პირმშო

აღზარდე შენი ნებისამებრ. იყავ მისთვის მამაც, დედაც და სიცოცხლის მფარველიც.

ასე შეჰღალადებდა უფალს მწუხარებაში მყოფი ერთგული ცოლი და მან შეისმინა მისი ვედრება. ქალმა სული განუტევა და ღმერთის მიერ აყვანილ იქნა სასუფეველში...

ქალაქ კესარიაში, სადაც მოხდა ეს ამბავი, ცხოვრობდა კეთილშობილი, ღვთისმოსავი და ძალიან მდიდარი ქალბატონი ამია. ღამის ხილვაში ღმერთმა მას უბრძანა, გამოეთხოვა ხელისუფლებისგან საპყრობილეში გარდაცვლილ წამებულთა სხეულები, ხოლო მათი ვაჟი საკუთარი შეილევით აღეზარდა.

ამიამ, საკუთარ ვენახში პატივით დაკრძალა წამებულ თეოდოტესა და რუფინეს სხეულები, რომლებიც საპყრობილეში ერთმანეთის გვერდით, მიწაზე იპოვა. მან თან წამოიყვანა ახალდაბადებული ბავშვი, რომელიც ნათელი და მხიარული სახით, მშვიდად იწვა გარდაცვლილი მშობლების გვერდით.

ყმაწვილს სწავლის საოცარი ნიჭი აღმოაჩნდა. თავად თავგამოდებული ქრისტიანი, სკოლის მეგობრებსაც ქრისტიანობას უქადაგებდა. ასწავლიდა მათ ჭეშმარიტი ღმერთის — ქრისტეს თაყვანისცემას.

გავიდა დრო. კესარიაში ახალი მმართველის ბრძანებით განახლდა ქრისტიანთა დევნა. მას მოახსენეს, რომ დიდგვაროვანი ყმაწვილი მამანტი „რყვნის“ თავის ამხანაგებს ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებით.

იმ დროს მამანტი მეთხუთმეტე წელში იყო და დედობილი ახალი დაკრძალული ჰყავდა. ამიამ, გარდაცვალების შემდეგ, მამანტი მთელი თავისი დიდძალი ქონების მეშვეობით დატოვა.

მმართველთან მიყვანილმა მამანტიმ უშიშრად გამოაცხადა თავი ქრისტიანად და თამამად უთხრა მმართველს, რომ ამ უკანასკნელს მისთვის თითის დაკარების უფლებაც კი არ ჰქონდა, ვინაიდან იგი დიდგვაროვან სენატორთა შთამომავალი იყო.

მმართველი დარწმუნდა, რომ მამანტი ნამდვილად ცნობილი რომაელი დიდებულის შთამომავალი იყო და რომ ის სახელგანთქმულმა ამიამ აღზარდა და თავის მემკვიდრედ გახადა.

მაშინ მმართველმა ბორკილდადებული ყმაწვილი მეფე ავრელიუსთან გააგზავნა. და აი, ქრისტეს სახელის ახალგაზრდა აღმსარებელი იმპერატორის წინაშე წარსდგა. ამოდ ცდილობდა ავრელიუსი დაყვავებითა და სიმდიდრით გადაებირებინა ყმაწვილი. მისი ყოველი წინადადება უარყოფილ იქნა და აი, წამებაც დაიწყო.

სხეულს უწვავდნენ აალებული ფისის მაშხალებით, მაგრამ ალი ჯალათებს უბრუნდებოდა, აყრიდნენ ქვების სეტყვას, მაგრამ ის სხეულს კეთილსურნელოვანი ყვავილების მსგავსად რბილად ეფინებოდა. კისერზე სიმძიმე ჩამოკიდებული ზღვაში ჩააგდეს, მაგრამ უფლის ანგელოზი ელვასავით თავს დაატყდა ჯალათებს და აქეთ-იქით გაფანტა, წმიდა ყმაწვილი კი, ხელში ატაცებული, უდაბნოს მაღალ მთაზე აიყვანა და უბრძანა იქ დამკვიდრებულიყო.

დაიწყო საოცარი დღეები და საკვირველი ამბები.

ორმოცი დღე და ღამე იმარხულა მამანტიმ ამ მთაზე და მოსეს მსგავსად კვერთხი ებოძა სასწაულებრივად. კვერთხი მიწას დაჰკრა და მიწის წიაღიდან წმიდა სახარება ამობრძანდა. მცირე სამლოცველოს მოწყობის შემდეგ ყმაწვილი იქ

ლოცულობდა და კითხულობდა სასწაულებრივად მოპოვებულ სახარებას.

ღმერთის ბრძანებით მასთან უდაბნოს ყოველი მხრიდან, როგორც ცხვრები მწყემსთან, მოდიოდნენ ცხოველები, ეფერებოდნენ მას და ემორჩილებოდნენ მის სიტყვას. საკვებად გარეული ცხოველების რძე ჰქონდა. მამანტი მათ წველიდა, რძისგან აკეთებდა ყველს არა მარტო თავისთვის, არამედ ღარიბებისთვისაც. დაგროვილი ყველი ქალაქში ჩაჰქონდა და გლეხებს ურიგებდა.

ყმაწვილის არაჩვეულებრივი ცხოვრების შესახებ ხმა ახალ მმართველამდეც მივიდა. ღვთაებრივი ყმაწვილის შესაპყრობად მან მთაზე ჯარისკაცთა რაზმი გაგზავნა. მთაზე ასულთ თავად მამანტი შემოხვდათ და ჰკითხა, თუ ვის ეძებდნენ. მათ იგი მწყემსი ეგონათ და უპასუხეს:

— ვეძებთ მამანტის, რომელიც სადღაც აქ, უდაბნოში ცხოვრობს. ხომ არ იცი, სად არის იგი?

— რატომ ეძებთ? — შეეკითხა მამანტი.

მმართველს აუწყეს, რომ ის მოგვია. მან კი მის შესაპყრობად გამოგვიშვა, რათა შემდეგ აწამოს.

— კარგი, მე მიგასწავლით მის სამყოფელს, ოღონდ ჯერ ჩემს ქოხში შემობრძანდით, დაისვენეთ და წაიხემსეთ.

ქოხში ყმაწვილმა ჯარისკაცებს თავისი ყველი შესთავაზა, და სანამ ისინი შეექცეოდნენ, მამანტისთან ჩვეულებისამებრ ირმები და გარეული თხები შეგროვდნენ. მამანტიმ თხები მოწველა, მეომრებს რძე დაუდგა, თავად კი ლოცვას შეუდგა. ამ დროს მთაზე ამოსვლა იწყეს გარეულმა ცხოველებმა. შეშინებული მეომრები წმინდანს მივარდნენ დახმარებისთვის.

მამანტიმ უთხრა, არ შეშინებოდით, და გამოუტყდა, რომ სწორედ ის იყო, ვისაც ეძებდნენ. მეომრებმა სთხოვეს დაეცვა ისინი ნადირთა თავდასხმისაგან. მამანტი დაჰპირდა სრულ უსაფრთხოებას და გაუშვა ისინი მმართველთან იმ პირობით, რომ თავადაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

და აი, ახალი აღმსარებლობა და ახალი ტანჯვა...

კვლავ უსერავდნენ სხეულს რკინით, მაგრამ კუნთიც კი არ უტოკდებოდა სახეზე. მტკიცე იყო მისი მზერა, მიმართული ზეცისაკენ, საიდანაც დახმარებას ელოდა. და აი, წამებისას ზეციდან ხმა გაისმა: „განმტკიცდი და გამხნევი, მამანტი“.

წამების შემდეგ იგი საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც კიდევ ორმოცი კაცი იყო. როდესაც წყურვილისა და შიმშილისაგან ყველას ძალა გამოეცალა, წმიდა ყმაწვილის ლოცვით საპყრობილეში მტრედი შემოფრინდა, ნისკარტით არაჩვეულებრივი საჭმელი — უტკბილესი თაფლი შემოიტანა, მამანტის წინ დადო და გაფრინდა. ეს საკვები სასწაულებრივად გამრავლდა, ისე როგორც ოდესღაც უდაბნოში ქრისტეს ხელით ხალხისთვის მცირე რაოდენობის პური გამრავლდა.

შუალამისას წმინდანის ლოცვით საპყრობილის კარი გაიღო და ყველა პატიმარი გავიდა, მამანტის გარდა.

დილით მამანტი გავარვარებულ ღუმელში შეაგდეს, მაგრამ სამი დღის შემდეგ უვნებელი იპოვეს იქ. მაშინ მიუშვეს მასზე გარეული ცხოველები... მაგრამ მშვიერი დედა დათვი მშვიდად დაუწვა მას ფერხთით და თათები მოხვია ფეხებზე. მძვინვარე ლეოპარდმა სწრაფი ნახტომით თათები მამანტის მხარზე დააწყო და ენით აულოკა სხეულიდან ოფლი.

წარმართები სიბრაზისაგან კბილებს აღრჭიალებდნენ და მოითხოვდნენ მთავრისაგან, რომ მოგვი და ჯადოქარი ქვევით ჩაექოლათ. უზომოდ გამძვინვარებულმა ერთმა ქურუმმა სამკაპი ჩაარტყა წმინდანს მუცელში. წმინდანისთვის ეს უკანასკნელი წამება იყო. დაჭრილმა ყმაწვილმა ქალაქთან ახლოს მდებარე გამოქვაბულამდე მიაღწია და იქ შეჩერდა. მაშინ გაისმა ზეციდან ხმა, რომელიც სასუფეველში მოუხმობდა მას და მამანტიმ სიხარულთ მიაბარა სული უფალს, რომლისთვისაც ასე თავგამოდებით ეწამა.



წმიდა დიდმოწამენი – პისტი, ელპიდი, ალასი და
მათი დედა სოფიო
(ხსენება 17 სექტემბერს)

ქრისტიანთა მღევნელი იმპერატორის, ადრიანეს მეფობის დროს რომში ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი სოფიო. უმცროსი ქალიშვილის გაჩენის შემდეგ ის მალევე დაქვრივდა. უფლისათვის სათნო იყო მისი ლოცვა, მარხვა, მოწყალება. სოფიო შვილებს რწმენით ზრდიდა.

მშვენიერი იყო ამ პატარა ოჯახის ცხოვრება. გოგონებმა ადრეულ ასაკში ისწავლეს კითხვა, უყვარდათ ლოცვა. ხან წმიდა წერილს კითხულობდნენ, ხან საოჯახო საქმეს აკეთებდნენ და ხან ხელსაქმით იყვნენ დაკავებულნი.

მათი სათნოებისა და სილამაზის შესახებ ამბავი მთელ რომს მოედო.

ქალაქის თავმა, ანტიოქემ, შეიტყო, რომ სოფიო და მისი შვილები ქრისტიანები იყვნენ და მეფესთან დააბეზლა. ადრიანემ ისინი დაიბარა.

თავიანთი მყუდრო სახლიდან გასვლის წინ ქვრივი შვილებთან ერთად მხურვალედ ლოცულობდა და ემზადებოდა ქრისტეს სახელისათვის თავის გასაწირად. ხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ ისინი რომის ქუჩაზე და განუწყვეტლივ ლოცულობდნენ უფლის წინაშე, რომელმაც ბრძანა: „უ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკლვად“. მეფის სასახლესთან მისულებმა, პირჯვარი გადაიწერეს და ღმერთს შეწევნა სთხოვეს.

შესანიშნავ ტახტზე მჯდომ ადრიანეს გარს მცველები და მრჩევლები ეხვეოდნენ. მათ ხელში გაშიშვლებული ცულები

ეკავათ. მოწამეები უშიშრად წარსდგნენ მის წინაშე. ამ წამე-
ბაზე ისინი, როგორც სანატრელ წვეულებაზე ისე მივიდნენ...

მეფე გაესაუბრა მათ. ის გააკვირვა გოგონების კეთილშო-
ბილმა გარეგნობამ. აღრიანემ ისინი რამდენიმე დღით ერთ
ქვრივ ქალთან — პალადიასთან გაგზავნა, სამი დღის შემდეგ კი
ბრძანა, მათი სასამართლოზე მიყვანა.

ვინ მოთვლის იმ ზრუნვას, რომელიც სოფიომ გასწია ამ სამი
დღის განმავლობაში, რათა შვილები რწმენაში განემტკიცები-
ნა!

დედა უამბობდა შვილებს იმ ენით უთქმელ ტანჯვაზე,
რომელიც მაცხოვარმა ადამიანებისათვის გადაიტანა, უამბობ-
და იმ უღრუბლო ბედნიერებაზე, რომელიც გოგონებს მცირე
ტანჯვის შემდეგ ზეცაში ელოდათ, უამბობდა, თუ როგორ უმზ-
ერდა მათ ქრისტე და ელოდა მათგან დიდ ღვაწლს.

ეს სიტყვები კეთილ ნიადაგზე დაეცა: სოფიოს ქალიშ-
ვილებმა მოწამეობისთვის გაწირეს თავი.

დადგა სასამართლოს დრო. აღრიანე ათასნაირ პატივს
სთავაზობდა გოგონებს, თუ ისინი მსხვერპლს შესწირავდნენ
კერპებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სიკვდილით ემუქრებო-
და.

— ჩვენ მხოლოდ ერთ ღმერთს ვეთაყვანებით — პასუხობდ-
ნენ განსასჯელები — და შენი მუქარის არ გვეშინია. ჩვენთვის
ტკბილი იქნება ქრისტეს სიყვარულისთვის ტანჯვა.

მეფემ სოფიოს შვილების ასაკი ჰკითხა.

— ჩემს პირველ შვილს პისტი ჰქვია, ის თორმეტი წლისაა.
მეორეს — ელპიდი, ის ათისაა, ხოლო მესამეს — ალაპი, ის
ცხრა წლისაა.

ადრიანეს გაუკვირდა ასეთი ყმაწვილი გოგონების გონიერება. მან ცალ-ცალკე სცადა მათი დაყოლიება.

პისტიის აიძულებდა არტემიდესთვის შეეწირა მსხვერპლი, მაგრამ უარი მიიღო და ბრძანა მისი გაშოლტვა. გოგონა სასტიკად აწამეს, მაგრამ ვერაფრით დაიყოლიეს და მეფემ მისთვის თავის მოკვეთა ბრძანა.

განაჩენის გაგონებისას პისტიმ სიხარულით შესძახა დედას: „ილოცე ჩემთვის, რათა მივიღე სასურველ დასასრულამდე და ვიხილო ჩემი საყვარელი და მაცხოვრებელი უფალი“.

– გახსოვდეთ, – მიმართა მან დებს, – ვის შეჰპირდით ერთგულებას! გახსოვდეთ, რომ უფალმა წმიდა ჯვრით აღგვებეჭდა. ამიტომ ბოლომდე დავითმინოთ! ერთმა დედამ გვშვა, ერთმა აღგვზარდა და გვასწავლა... დაე, დასასრულიც ერთი გვექონდეს. წამომყევით უფალთან, რომელიც თავისთან გველოდება!

გოგონა მოეხვია დებს, დედას და სიხარულით შეეგება მახვილს. სოფიო არ გლოვობდა შვილის სიკვდილს. უფლის სიყვარულმა დაამარცხა შვილების გამო მისი გულის დარდი და ნაღველი. მხოლოდ ერთის ეშინოდა დედას, რომელიმე მის შვილთაგანს არ ეღალატა ღმერთისთვის. პისტიის მან უთხრა:

– ყველაფერი, რაც შენთვის დავითმინე, შენ მომაგე, როცა ქრისტესთვის სისხლი დაღვარე... სთხოვე ღმერთს, შენი ცოდვილი დედის და დების შეწყალება, რათა მათაც მიანიჭოს მოწამებრივი მოთმინება.

პისტიმ თავი დახარა, იგი მახვილით განგმირეს. სოფიო მოეხვია შვილის მრავალტანჯულ სხეულს და ადიდა ქრისტე, რომელმაც მიიღო პისტი ზეციურ სასახლეში. მტარვალმა

ვერც მეორე დის — ელპიდის სიმტკიცე გატეხა. გოგონას ჭრილობებიდან მოდენილ სისხლს საოცარი სურნელება ჰქონდა.

სულიწმიდის მაღლი ნათელს ჰფენდა ელპიდის სახეს. ის უყურებდა მტარვალს და ეუბნებოდა: „აი, შენ არ შეგიძლია აჯობო ყმაწვილს. მე ვლებულობ ტანჯვას, როგორც სამოთხისეულ სიტკბობას“. მაშინ ის აღუღებულ ფისში ჩააგდეს, მაგრამ ქვაბი გალღვა, ფისი გადმოიღვარა და ჯალათები დაწვა. ბოლოს იმპერატორმა ბრძანა, გოგონასთვის თავი მოეკვეთათ. ის სიხარულით მოეხვია დედას და დას, მერე მივიდა პისტის ნაწამებ სხეულთან და უშიშრად შეუშვირა პატარა თავი მახვილს.

დარჩა ცხრა წლის ალაპი.

ყველა ღონე იხმარა იმპერატორმა იმისთვის, რომ გოგონას მისი ნება შეესრულებინა. უარის შემდეგ მან უფრო გაწაფულად გამოამყდავნა თავისი სისასტიკე. გოგონას სხეული ჯვარზე გააკრეს, თან კვერთხს ურტყამდნენ. მისი სხეულიდან მომდინარე სისხლი წვიმასავით ასველებდა მიწას.

— თქვი მხოლოდ: „დიდია ღმერთი არტემიდა“, და მე გაგიშვებ — ეკედრებოდა მტარვალი.

— „დიდია ღმერთი ჩემი, იესო ქრისტე“ — ამბობდა წმინდანი.

მაშინ გოგონა გახურებულ ღუმელთან მიიყვანეს. იგი თვითონ შევიდა ღუმელში და შიგნით ისე დადიოდა, თითქოს გრილ ადგილას ყოფილიყო. ღუმელიდან ცეცხლი გამოვარდა, დაწვა ხალხიც და მეფეც, რომელმაც გაქცევით უშველა თავს.

დამწვრობით შეწუხებულმა იმპერატორმა ალაპის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. გოგონამ აღიდა ღმერთი, რომ მისცა მას საშუალება, თავის ღებთან ერთად ეტანჯა მისთვის.

მთელი წამების განმავლობაში სოფიო ლოცვით აძლიერებდა შვილს. წამების დასრულების შემდეგ მამაცმა ქალმა ერთად მოათავსა პისტის, ალაპის და ელპიდის სხეულები, ქალაქგარეთ გაიტანა და ძალაღ ადგილზე დაკრძალა.

ღვთის დიდებასა და სამადლობელში ქვრივმა სამი დღე შვილების საფლავთან გაატარა, შემდეგ კი სული უფალს მიაბარა. იგი შვილებთან ერთად დაკრძალეს; მათთან ერთად დაიმკვიდრა ზეციური სასუფეველი. სოფიო ქრისტესთვის ეწამა არა სხეულით, არამედ გულით, თავის გოგონებთან ერთად. ასე დაასრულა ბრძენმა სოფიომ თავისი სიცოცხლე. მან წმიდა სამებას უძღვნა თავისი სამი შვილი: პისტი, ელპიდი და ალაპი.



მოწამეთა ოჯახი
(**მვსტატი პლაკიდას შვილების საოცარი ცხოვრება,**
სსენება 20 სექტემბერს)

ეს საოცარი ამბები ქრისტიანული ერის პირველი საუკუნის დასასრულსა და მეორე საუკუნის დასაწყისში მოხდა.

პლაკიდა იყო ცნობილი მხედართმთავარი იმპერატორ ტიტუსისა და ტრაიანეს დროს. ის იყო ერთი იმ წარმართთაგანი, რომლებიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის ჭეშმარიტების გაცნობამდე სათნო ცხოვრებას ეწეოდნენ: მშვიდობის დაპურება, შიშველის შემოსვა, გასაჭირში მყოფის დახმარება — აი რა იზიდავდა პლაკიდას.

მას სწყუროდა სილამაზე. მისი სული ცდილობდა ბუნების მეგობარი ყოფილიყო, ტკებობდა მისი მარადიული, მუდამ განახლებული სილამაზით. ზოგჯერ მას ავიწყდებოდა თავისი გატაცება ნადირობით, მისი ფიქრები სადღაც სხვაგან იყო. მის სულს თითქოს რაღაც სწყუროდა, თითქოს რაღაცას ეძებდა, რომლის სახელიც ჯერ კიდევ არავინ იცოდა: თვითონაც არ იცოდა, ისე დარდობდა შეუცნობელ ღმერთზე...

პლაკიდა ნადირობით თავს იქცევდა. მას უყვარდა მწვანე მდელოზე ცხენის ჭენება.

პლაკიდას ყურადღება მშვენიერმა ირემმა მიიპყრო, ის გამოედევნა ცხოველს. ირემი ისე მიჰქროდა, თითქოს მიწას არც კი ეხებოდა. ამ ტყის მეფეს პლაკიდა შესანიშნავი არაბული ცხენით მისდევდა. ჯიშიანი ცხენი სისწრაფეში ეჯიბრებოდა ირემს და მათ შორის მანძილი უფრო და უფრო მცირდებოდა.

გზად ხან კლდის ნაპრალი, ხან ნაკადული ხვდებოდა. მსუბუქი, სწრაფი ნახტომით ირემიც და ცხენიც ადვილად ლახავდნენ ამ წინააღმდეგობას და წინ მიისწრაფოდნენ. ქარი პლაკიდას ყურებში უწიოდა, აბრეშუმის ტანსაცმელს უფრიალებდა... სულ ცოტაც და დაეწევა: ირმის ხვედრი გადაწყვეტილია!

ცხოველი ძალა კლდეზე შეხტა, სწრაფად მოავლო თვალი გარემოს.

მორჩა. გაქცევა აღარ შეიძლებოდა, მის წინ უფსკრული იყო. სიღრმეში ხის კენწეროები და მდელო მოჩანდა, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან შორს იყო. ირემი გაჩერდა. მონადირე უკვე ზეიმობდა.

უცებ საოცარი რამ მოხდა. ირემმა პლაკიდასკენ მოაბრუნა თავი, მის უხარმაზარ დატოტვილ რქებში ბრწყინვალე ჯვარი გამოისახა... ჯვარზე იესო ქრისტე იყო გაკრული. გაისმა ხმა:

— რატომ მდევნი, პლაკიდა?

თავჩაქინდრული მონადირე გზას ძლივს არჩევდა. იგი შინ ბრუნდებოდა, ყურში კვლავ იღუმალი ხმა ჩაესმოდა, რომელმაც მისი გული შეძრა.

პლაკიდა თრთოდა, ის გრძნობდა, რომ მის წინ იშლებოდა ახალი, იღუმალი, მშვენიერი, საინტერესო ცხოვრება. ბრძოლებში გამობრძმედილ მხედართმთავარს თვალებზე ცრემლები უბრწყინავდა, მისი გული ბედნიერებისაგან ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა.

შინ დაბრუნებულმა ყველაფერი ცოლს უამბო, მან კი თავისი სიზმარი გაანდო. ძილში მას ჩაესმა ხმა: ხვალ შენ, შენი

ქმარი და შვილები მოხვალთ ჩემთან. მე ვარ იესო ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი, მე ვშველი ყველას, ვისაც ვუყვარვარ“...

პლაკიდა თავის მეუღლესთან და ორ ვაჟიშვილთან ერთად იმ დამესვე მონათლა. ნათლობის შემდეგ მას სახელად ევსტათი ეწოდა.

ჭეშმარიტი სარწმუნოების მიღების შემდეგ ევსტათის ერთი მეორის მიყოლებით სხვადასხვა უსიამოვნებები ატყდებოდა თავს. მალე სრულიად გააკოტრდა, დატოვა სახლი, რომელშიაც მანამდე სიმდიდრეში, ფუფუნებასა და პატივში ცხოვრობდა და ცოლ-შვილთან ერთად ეგვიპტეში გაემგზავრა.

ბავშვებს ახარებდათ ახალი ცხოვრება. მათ არ აღარდებდათ კეთილდღეობის დაკარგვა. მათ ყურადღებას იპყრობდა ზღვისპირა ქალაქი, ზღვით მოგზაურობა, წყალში არეკლილი მთვარე, ულამაზესი ცისკარი იქ, სადაც უკიდევანო ცა ზღვას უერთდებოდა. ისინი ახალი ცხოვრების ბავშვურ გეგმებს აწყობდნენ, მათ კი ახალი უბედურება ელოდებოდათ.

ევსტათის ცოლის სილამაზით მონიბლულმა გემის მეპატრონემ ძალით დატოვა ქალი გემზე, ევსტათი და მისი შვილები კი ნაპირზე გადმოსვა.

დამწუხრებული მამა შვილებთან ერთად წყალუხვ, ბობოქარ მდინარეს მიადგა. ევსტათი კარგად ცურავდა. მან გადაწყვიტა მდინარე გადაეცურა და შვილები რიგრიგობით გადაეყვანა მეორე ნაპირზე.

ევსტათიმ მდინარე უმცროს ვაჟთან ერთად გადაცურა. უკან რომ გამობრუნდა, ყვირილი მოესმა და დაინახა, რომ უხარმაზარმა ლომმა პირი დაავლო და უდაბნოსკენ გააქანა მისი ნაპირზე დატოვებული უფროსი შვილი. მან მოიკრიფა

სულიერი ძალები, რათა ამ საშინელების შემხედვარე წყალში არ ჩაძირულიყო. უკან რომ გაცურა, დაინახა მგელმა მისი უმცროსი ვაჟი როგორ წაიყვანა ტყეში.

დარჩა ევსტათი მარტო, სიმდიდრის, ცოლ-შვილის, ნაცნობ მეგობრების გარეშე. მისი ნუგეში მხოლოდ ღმერთი იყო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საშინელი განსაცდელი ღმერთმა ევსტათის მოუვლინა იმისთვის, რომ ადამიანებისთვის ეჩვენებინა — მის ძლიერ მარჯვენას ნებისმიერი უსაზღვრო მწუხარებისგანაც კი შეუძლია იხსნას ადამიანი.

ევსტათის მეუღლეს გამტაცებელმა შეურაცხყოფა ვერ მიაყენა, რადგან უფალმა იგი დასაჯა სასტიკი ავადმყოფობითა და სიკვდილით. ქალი გემიდან გადმოვიდა და ნაპირზე დასახლდა. მისი ადგილსამყოფელი ძალიან ახლოს იყო იმ ადგილიდან, სადაც ევსტათი ცხოვრობდა და თავისი შრომით ლუკმაპურს მოიპოვებდა.

მათი ორივე შვილი გადარჩა. ერთი მათგანი მწყემსებმა იხსნეს ლომის ნახიდან, მეორე კი მიწის მუშებმა გამოსტაცეს მგელს. ამ ხალხმა ბავშვები აღზარდეს. ორივე ფიზიკური ძალითა და გამჭრიახი გონებით გამოირჩეოდა. მათ აშკარად ეტყობოდათ თავიანთი კეთილშობილური ჩამომავლობა.

ამასობაში რომის იმპერიაში ვითარება ისე წარიმართა, რომ საჭირო გახდა ევსტათის, ამ განთქმული მხედართმთავრის საომარი ხელოვნება.

იმპერატორმა ტრაიანემ დიდი ჯილდო გამოაცხადა იმისთვის, ვინც იპოვიდა და სასახლეში მოუყვანდა მას.

ევსტათის ორმა ერთგულმა მეგობარმა, დიდი ხნის შეუპოვარი ძებნის შემდეგ იპოვა იგი და რომში ჩამოიყვანა. ევსტათიმ ჯარი ჩაიბარა, დარწმუნდა, რომ მეომრების რაოდენობა

საკმარისი არ იყო და მთელს იმპერიაში სასწრაფოდ გამოცხადდა მეომართა გაწვევა.

ახალშეკრებილ ახალგაზრდა და ძლიერ მეომრებს შორის იყო ევსტათის ორივე შვილი, ალაპი და თეოპისტე. პირველი დანახვისთანავე მხედართმთავარმა ყურადღება მიაქცია ყმაწვილებს და მათდამი რაღაც ნაზი, აუხსნელი გრძნობა გაუჩნდა. ალბათ ჩემი შვილებიც ახლა ამ ასაკში იქნებოდნენ, სიმწარით გაიფიქრა ევსტათიმ.

ევსტათიმ მასზე დაკისრებული საქმე ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა.

უფალმა თავისი საქმე განაგრძო და ოჯახი კვლავ შეაერთა.

მას შემდეგ, რაც უფლის განგებამ ძმები ერთ ბანაკში შეკყარა, ისინი ერთმანეთს დაუმეგობრდნენ. ერთხელ კარავში უფროსი ძმა უყვებოდა უმცროსს, თუ როგორ ცხოვრობდა ბავშვობაში მშობლებთან ერთად სიმდიდრესა და პატივში, როგორ მოსტაცა გემის მეპატრონემ დედა, როგორ მოიტაცა იგი ლომმა მდინარის ნაპირიდან და როგორ გადაარჩინეს მწყემსებმა.

აკანკალებული, ფართოდ გახელილი თვალებით უსმენდა უმცროსი ძმა მეომრის მონაყოლს. უცებ წამოხტა, მოეხვია მეომარს და შეჰყვირა: „ჩემო ძმაო!“

ძმებმა არ იცოდნენ, რომ ამ საუბარს ისმენდა მათი დედა, რომელიც იქვე ცხოვრობდა და საუბრისას კარავთან იდგა. ქალმა გადაწყვიტა ყმაწვილებისთვის ჯერ არაფერი ეთქვა, მისულიყო მხედართმთავართან, გაემხილა თავისი ვინაობა და ეთხოვა წაეყვანა იგი რომში, სადაც იმედი ჰქონდა, რომ ქმარს იპოვიდა. ქალი მივიდა ევსტათისთან... და იცნო იგი.


დიდხანს არ მოუწია ბედნიერებით ტკბობა ევსტათის ოჯახს.
მალე ტრაიანე გარდაიცვალა და ტახტზე ქრისტიანთა
მღევნელი იმპერატორი ადრიანე ავიდა.

ევსტათიმ და მისმა ცოლ-შვილმა უარი განაცხადეს კერპე-
ბისთვის მსხვერპლის შეწირვაზე. ამის გამო ადრიანემ მას და
მის ცოლ-შვილს საშინელი წამება მიუსაჯა. მთელი ოჯახი
გახურებულ სპილენძის ღუმელში შეყარეს. იქ მოწამეებმა
ილოცეს და მშვიდად მიაბარეს უფალს სული.

სამი დღის შემდეგ, როდესაც კარი გააღეს, აღმოჩნდა, რომ
უფლის ნებით, მოწამეთა სხეულები დაუზიანებელი იყო, სახ-
ეზე საოცარი სიმშვიდე ეფინათ და თმის არც ერთი ღერი არ
შეტრუსოდათ. მოწამეთა სხეულები ქრისტიანებმა მაშინვე
დაკრძალეს.

ნეტარი ევსტათის, მისი ცოლის – თეოპისტიას, შვილების
– ალაპისა და თეოპისტეს წამება 118 წელს მოხდა. მათი წმიდა
ნაწილები განისვენებენ რომში, წმიდა მოწამე ევსტათის სახ-
ელობის ტაძარში.

ღირსი სერგი რადონეჟელის ბავშვობის წლები



(ხსენება 25 სექტემბერს)

მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისი — ეს იყო მძიმე პერიოდი რუსი ხალხის ცხოვრებაში. მონღოლთა ურდოში გამოძახებულმა თავადმა არ იცოდა, დაბრუნდებოდა თუ არა ცოცხალი, მოუწევდა თუ არა თავის დადება სულის გადასარჩენად, რათა არ ეღალატა ქრისტესთვის.

ზამთრის გრძელ საღამოებს მოხუცი ძიძები სევდიანი ამბების მოყოლაში ატარებდნენ. ისინი თავიანთ აღსაზრდელებს ნალვლიანი ხმით ამცნობდნენ, თუ როგორ აიღეს თათრებმა ვლადიმირი, როგორ ამოიქოლა თავი დიდი მთავრის ოჯახმა ანდრეი ბოგოლუბისა და ვსევოლოდ მესამის მიერ აგებულ მიძინების ტაძარში, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში. თათრებმა ეკლესიას ცეცხლი მოუკიდეს, კვამლმა გაგუდა დიდი მთავრის ოჯახის ქალები და ბავშვები. მათი სულები ზეცაში ამაღლდა იმათ სულებთან ერთად, ვინც ქალაქ ვლადიმირის კედლებთან თავი გაწირა უთანასწორო ბრძოლაში. ასევე უყვებოდნენ ძიძები ბავშვებს მშვენიერ თავად ვასილი როსტოველზე, რომელიც სიტისთან ბრძოლის შემდეგ თათრებმა თრევით წაიყვანეს ტყვედ, ვერ დაითანხმეს ემსახურა მათთვის და ამიტომ შერენის კლდეში მოკლეს... ძიძები ყვებოდნენ, თუ როგორ დაეცა სიტისთან საშინელ ბრძოლაში დიდი თავადი გიორგი ვსევოლოდის ძე. მისი უთავო სხეული ბრძოლის ველზე ეპისკოპოსმა კირილემ იპოვა. წმიდა ნეშტი ვლადიმირში გადაასვენეს, რომელსაც სასწაულებრივად შეეზარდა თავი.

მაშინდელ უფროსებსაც და ბავშვებსაც ერთი მგზნებარე სურვილი ამოდრავებდათ — გათავისუფლებულიყვნენ საძულველი მტრის, თათართა უღლისაგან.

ბავშვებს ესინძრებოდათ საშინელი ბრძოლები, რუსი მეომრების უთავო გვამების ხროვა და გამარჯვებული მტრის ზეიმი. თათრები ცოცხალ ტყვეებს ზემოდან ფიცრებს ადებდნენ, ზედ დგებოდნენ და მათი ძვლების მტკრევის ხმაურში ღრეობდნენ. ზოგჯერ პატარებს ახალი ბრძოლები ესინძრებოდათ, სადაც რუსული ბაირალი ფრიალებდა, მასზე ქრისტე, ღვთისმშობელი და წმინდანები იყვნენ გამოსახულნი.

და აი, ღმერთმა ტანჯულ რუსეთს დიდი ადამიანი გამოუგზავნა — ტანჯვასა და მონობაში გაზრდილი ღირსი სერგი რადონეჟელი. მთელი მისი არსება უფლის სიყვარულს მოეცვა. მას ასევე ჰქონდა უსაზღვრო ერთგულება თავისი ხალხისა.

ღირს მამას მონაზვნური მორჩილების გამო არ შეეძლო მახვილით ემსახურა გაწამებული სამშობლოსათვის, მაგრამ მას ორი დიდი იარაღი ეპყრა ხელთ — სიყვარული და ლოცვა. წმინდანი განიცდიდა ქვეყნის გასაჭირს. მას კარგად ესმოდა იმ ადამიანების წუხილი, რომლებიც მასთან გულის გადასაშლელად მიდიოდნენ. მისი ფხიზელი გული გრძნობდა, რომ რუსეთში დიდი ძალა დაგროვილიყო და თუ ადრე ვერავინ ბედავდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, ახლა შესაძლებელი იყო ბრძოლა რუსების გამარჯვებით დასრულებულიყო. ის ბავშობიდანვე ლოცულობდა, რათა უფალს მოელო მოწყალება და რუს ხალხს დახმარებოდა მტერთან ბრძოლაში. რაც უფრო იზრდებოდა სერგი, მით უფრო დაჟინებული ხდებოდა მისი ლოცვა.

ღირსი სერგი რადონეჟელის მშობლები იყვნენ როსტოველი ბოიარი კირილე და მისი მეუღლე მარიამი.

წმინდანი უკვე ჩვილობიდანვე ამჟღავნებდა ღვაწლისადმი მიდრეკილებას. ასე მაგალითად, ბართლომეს (ჩვილის საერო სახელი) არ სურდა დედის რძე ეჭამა იმ დღეებში, როცა დედას ხორცი ჰქონდა ნაჭამი, ხოლო ოთხშაბათობით და პარასკევობით საერთოდ უარს ამბობდა ძუძუზე.

შვიდი წლის ასაკში ბართლომე თავის ძმებთან, სტეფანესთან და პეტრესთან ერთად შეუდგა წერა-კითხვის შესწავლას. ძმები წარმატებით სწავლობდნენ, ბართლომეს კი ძალიან უჭირდა სწავლა. ამის გამო თანატოლები დასცინოდნენ, მასწავლებლები სჯიდნენ და მშობლები საყვედურობდნენ. შეწუხებული და დამცირებული ბართლომე მხურვალედ ლოცულობდა, რათა ღმერთს მისთვის გონება გაენათებინა.

ერთხელ ბიჭი მდელიოზე იყო, საიდანაც ცხენი შინ უნდა წამოეყვანა. მას სიამოვნებდა ფართოდ გაშლილი მდელის ცქერა. ჰორიზონტზე მოჩანდა ეკლესიის თეთრი შენობა და სამრეკლო, მზის სხივებზე ბრწყინავდა ტბა — ნერო. წვიმის შემდეგ ყვავილების ძლიერი სურნელება იგრძნობოდა, ბალახზე ბზინავდა წვიმის წვეთები.

ბართლომეს სურდა დამტკბარიყო ამ სილამაზით, მაგრამ გული დადარდიანებული ჰქონდა, დროდადრო თვალიდან ცრემლს იწმენდა. გაკვეთილმა ცუდად ჩაიარა, მასწავლებელმა უყვირა, ძმებმა დასცინეს. იმის ნაცვლად, რომ ზაფხულის ამ მშვენიერი დღით დამტკბარიყო, რომელიც ასე უყვარდა, ბიჭი თავჩაქინდრული მიდიოდა, იგი ფიქრობდა: „რატომ ხდება, რომ სხვები ადვილად ითვისებენ, მე კი რამდენიც არ

უნდა ვეცადო, არაფერი გამომდის, ზოგჯერ მეჩვენება, რომ ისიც კი დამავიწყდა, რაც ადრე ვიცოდი...“

უცებ ბიჭი გაჩერდა. განცალკევებით მდგარი დიდი მუხის ქვეშ ბერი ლოცულობდა. იგი სახით მზისკენ იდგა, ჩურჩულებდა, მუხლებზე ღებოდა, თავს მიწას ადებდა, კვლავ ღებოდა და კვლავ თავიდან იჩოქებოდა.

ბერის დანახვისას ყმაწვილმა რაღაც განსაკუთრებული იგრძნო. მას მოუნდა, რომ ბერს დაელოცა იგი. ბართლომე უძრავად იდგა, რათა ლოცვისთვის ხელი არ შეეშალა და მხოლოდ მაშინ მიუახლოვდა ბერს, როდესაც მან ბოლო მეტანია შეასრულა და წასვლა დააპირა.

– რა გინდა, შვილო ჩემო? ჰკითხა ბერმა, როდესაც მასთან კურთხევისათვის ხელებგადაჯვარედინებული ბიჭი მივიდა.

– სწავლა მიჭირს, მოსვენება დავკარგე, მსჯიან, მიჯავრდებიან, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ძალით ვმეცადინებო. ილოცე ჩემთვის, რათა უფალი შემეწიოს, გონება გამინათოს.

ბერმა არაფერი უპასუხა, მუხლებზე დაეშვა და ლოცვა დაიწყო. ბიჭმაც მის გვერდით დაიჩოქა. ბერმა ლოცვა დაამთავრა და წამოდგა. ბართლომეც ადგა. მოხუცს გაცისკროვნებული სახე ჰქონდა. მან თვალები ცისკენ ალაპყრო, ბავშვს თავზე ხელი დაადო და წარმოთქვა: „შვილო ჩემო, დღეიდან ღმერთი გიწყალობებს ჭკუას სწავლისთვის“.

– გამომართვი და შეჭამე, – უთხრა ბერმა ყმაწვილს და სეფისკვერი გაუწოდა.

მოხუცმა ალერსით შეხედა ყმაწვილს და წასვლა დააპირა, მაგრამ ბართლომემ დაიყოლია ბერი, შინ წაყოლოდა მისი მშობლების გასაცნობად, რომლებიც ბერებს დიდ პატივს სცემდნენ.

კირილე და მარიამი გულითადად შეხვდნენ სტუმარს და საჭმელი შესთავაზეს. — თავდაპირველად სულიერი საზრდო მივიღოთ — უპასუხა ბერმა. ყველამ ილოცა. ბერმა ბართლომეს ფსალმუნის წაკითხვა სთხოვა.

— არ შემიძლია, მამაო, — თქვა შეწუხებულმა ბიჭმა.

— წაიკითხე, — უთხრა ბერმა, — ამიერიდან ღმერთი წერაკითხვის ცოდნას გაძლევს. და ბართლომემ მან კითხვა დაიწყო... კითხულობდა გამართულად, მისი ბაგეებიდან დაუბრკოლებლად იღვრებოდა ფსალმუნის სიტყვები. მას თითქოს გონების თვალი აეხილა. ასოები, რომლებიც ადრე დაუძლევველად მიაჩნდა, ახლა ადვილი დასაძლეველი გახდა.

გაოცებული მშობლები გონს ვერ მოდიოდნენ.

გამომშვიდობებისას ბერმა ბართლომეს თავზე ხელი დაადო და კირილეს უთხრა: „თქვენი შვილი განდიდდება ღვთისა და ხალხის წინაშე, ის სულიწმიდის რჩეული ჭურჭელი და წმიდა სამების ერთგული მსახური გახდება“.


წერაკითხვის სასწაულებრივად შესწავლის შემდეგ ბართლომე კიდევ უფრო ყურადღებიანი გახდა. ყოველი მისი ფიქრი მიმართული იყო იქითკენ, რომ ამ დიდი წყალობისათვის უფლისთვის მადლობა გადაეხადა.

ის მკაცრად ინახავდა მარხვას. ოთხშაბათს და პარასკევს საერთოდ არ ჭამდა. დანარჩენ დღეებში მხოლოდ პურს და წყალს იღებდა. ყმაწვილი მღუმარედ იყო, უფრო მეტად სხვას უსმენდა, ვიდრე თავად ლაპარაკობდა და რაც ცხოვრებაში ნახა, ყველაფერს გულში ინახავდა.

ბართლომემ შეიცნო რუსეთის საერთო ტკივილი და ლოცვა დაიწყო, რათა უფალი შესწეოდა მის ქვეყანას.

ხშირად, როცა ლოცვის წინ როსტოვის ტაძრის ზარებს ჩამორეკავდნენ, ღამენათევი ბართლომე კვლავ ლოცვად იდგა...

ძრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ყმაწვილი ბართლომე ღმერთს ავედრებდა სამშობლოს თავისუფლებას... და აი დადგა სანუკვარი დღეები, როდესაც რუსეთმა მოიკრიბა ძალა თათრებთან საბრძოლველად. მამაისთან საბრძოლველად წასვლის წინ დიმიტრი დონელი რჩევისთვის ყოფილ ყმაწვილ ბართლომეს – ღირს ბერს, სერგი რადონეჟელს ეწვია. მათ გულთადად ისაუბრეს, ბერმა გაამხნევა დიდი თავადი და მტერზე გამარჯვება უწინასწარმეტყველა.



ყმაწვილი რომანოზ ტაბილადმგალობელი (სსქმნება 1 ოქტომბერს)

წარმოშობით რომანოზი სირიიდან იყო და ბავშვობიდანვე ღვთისთვის სათნოდ იქცეოდა. მას არანაირი განათლება არ მიუღია, თავს არიდებდა უქმ საუბრებს, არ უყვარდა თამაში და გართობა.

რომანოზისთვის ტაძარში მსახურებაზე სასურველი არაფერი იყო. მაგრამ რადგან არ იცოდა კითხვა, არ ჰქონდა არც ხმა და არც სმენა, თითქოს ტაძარში სამსახურისთვის ვერ გამოდგებოდა. საჭირო იყო სხვა რაიმე სამუშაო ეძებნა, მაგრამ ტაძარს ვერ შორდებოდა. სხვების მსგავსად ტაძარში მხოლოდ დღესასწაულებზე მისვლა მისთვის თავისუფლების აღკვეთის ტოლფასი იყო. რომანოზი სხვადასხვა ეკლესიებში მსახურობდა – თავდაპირველად ერთ დიდ ქალაქში, შემდეგ კონსტანტინოპოლის გარეუბანში მდებარე ვლახერნის ღვთისმშობლის ტაძარში.

სიმშვიდით, თავშეკავებული ქცევითა და ღვთისმოსაობით რომანოზმა პატრიარქ ექვთიმეს ყურადღება მიიპყრო. ის ხედავდა, როგორი გულმოდგინებით იცავდა ყმაწვილი ეკლესიის სისუფთავეს, აფასებდა მის კეთილ ცხოვრებას და მგალობლებისა და მედავითნეების ტოლი ანაზღაურება დაუნიშნა. ამან მათი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან რომანოზმა არც კითხვა იცოდა და არც გალობა.

მგალობლებმაც და მედავითნეებმაც შეიძულეს რომანოზი და ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად ევნოთ მისთვის. ერთხელ ქრისტეშობის დღესასწაულზე ტაძარში იმპერატორი მოვიდა. ამ დროს რომანოზი ტაძარში ლამპრებს ანთებდა. უცებ

ტადრის მსახურებმა იგი ამბიონზე გამოიყვანეს და უთხრეს: „შენ ჩვენაირად იღებ ანაზღაურებას, ჰოდა, ახლაც ჩვენთან ერთად იგალობე საშობაო საგალობლები“. მათ იცოდნენ, რომ რომანოზს არც კითხვა შეეძლო და არც გალობა.

ძალიან გაუჭირდა რომანოზს ასეთი შეურაცხყოფის ატანა მეფისა და ხალხის წინაშე და თანაც ასეთ დღესასწაულზე. იგი მწარედ ატირდა.

როდესაც წირვა დამთავრდა და ხალხი ტადრიდან გავიდა, რომანოზი ღვთისმშობლის ხატის წინ პირქვე დაემხო, მწარედ ტიროდა და ლოცულობდა.

ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ რომანოზი სახლში წავიდა. შინაგანი ტკივილის გამო არაფერი უჭამია, ისე დაწვა. როცა ჩასთვლიმა, უფალმა საოცარი ხილვა მოუვლინა.

მის წინ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იდგა. მას ხელში ეკავა გრაგნილი. წმიდა ქალწულმა რომანოზს ჩუმი ხმით უთხრა: „გააღე პირი“. როდესაც მან პირი გააღო, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გრაგნილი პირში ჩაუდო და უთხრა: „შეჭამე“. ყმაწვილმა ქარტია შეჭამა და გამოეღვიძა. მასთან არავინ იყო.

რომანოზმა იგრძნო, რომ წმიდა წერილი იცოდა. ღვთისმშობელმა მას გონება გაუხსნა ღვთაებრივი სიტყვის შესამეცნებლად. ყმაწვილის გული დიდი სიბრძნით აივსო. იგი ცრემლებით მადლობდა თავის საოცარ მასწავლებელს, რომელმაც მოკლე ხანში შეასწავლა იმდენი, რამდენსაც სხვები წლების განმავლობაში ვერ სწავლობდნენ.

დადგა მწუხრის ლოცვის დრო. ღვთისმშობლის მიერ მომადლებული ნიჭით გახარებული რომანოზი ტადარში მივიდა.


როდესაც საშობაო კონდაკის გალობის დრო დადგა, რომელსაც მხოლოდ ერთი მგალობელი ასრულებდა ხოლმე, თავისი ამხანაგებისათვის მოულოდნელად, რომანოზი ამბიონზე გამოვიდა.

მის სულში დუღდა წმიდა შთაგონება. მისი ბაგეებიდან ხალხმა გაიგონა ის საოცარი გალობა, რომელიც დღემდე ტკბილად არხევს კაცის გულის სიმებს. პატრიარქმა თავისთან იხმო რომანოზი და გამოჰკითხა, თუ საიდან მიიღო მან ასეთი სიბრძნე. ყმაწვილმა გულახდილად უამბო ხილვის შესახებ, უამბო, თუ როგორ მიიღო ყოვლადწმიდა ქალწულისაგან საოცარი მადლი, მას შემდეგ, რაც საკუთარი დარდი გაუმჟღავნა. რომანოზმა აღიარა მასზე აღსრულებული ღვთისმშობლის სასწაული და აღიდა ზეციური მასწავლებელი.

მთელმა ქალაქმა გაიგო ეს საკვირველი ამბავი. მგალობლები მის ფეხებთან იჩოქებოდნენ და პატიებას სთხოვდნენ.

მალე პატრიარქმა რომანოზი დიაკვნად აკურთხა. მისი ბაგეებიდან წყალუხვი მდინარის მსგავსად მოსჩქეფდნენ წმიდა საგალობლები. ისინი კი, ვინც ადრე რომანოზის უმეცრებას დასცინოდნენ, ახლა მისგან სწავლობდნენ.

წმიდა რომანოზ ტკბილადმგალობელმა საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულებისთვის მრავალი კონდაკი დაწერა. მას ეკუთვნის მრავალი წმინდანთა საგალობელი. იგი ყველასაგან პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი იყო. წმინდანი ღვთის სათნოდ ცხოვრობდა და უფროსილდებოდა ზეციდან მასზე გადმოსულ ნიჭს.



ქრისტესთვის სალოსის, ნეტარი ანდრიას
სიყმაწვილე
(სსენება 2 ოქტომბერს)

ბერძენი იმპერატორის – ლეონ ბრძენის მეფობის დროს, კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა კაცი, სახელად თეოგნოსტე. მან სხვა მონებთან ერთად იყიდა სლავი ყმაწვილი, ანდრია.

ანდრია სილამაზითა და კეთილზნობით გამოირჩეოდა. ბატონმა იგი თავისთან შინამოსამსახურედ დაიტოვა და წმიდა წერილის შესასწავლად მიაბარა. ბიჭი გულმოდგინედ სწავლობდა, სწრაფად შეითვისა წერა-კითხვა, შეიყვარა წიგნები და ეკლესიაში სიარული.

კითხვის დროს ანდრია ისე განიცდიდა მოწამეთა ტანჯვას, თითქოს ხედავდა ყველაფერს. ის ნანობდა, რომ არ ჰქონდა საშუალება მოწამებრივი გზით დაემტკიცებინა ქრისტესთვის ერთგულება.

ერთხელ, ღამით ანდრიას ხილვა ჰქონდა. მან დაინახა შავი, საშინელი, მყრალი არსება, რომელშიც მან ადამიანის მტერი – ეშმაკი შეიცნო. ეშმაკი მას საომრად იწვევდა. იქვე იყო მშვენიერი, გაცისკროვნებული ახალგაზრდა, საოცარი სილამაზის სამი ძვირფასი გვირგვინით ხელში. ის საბრძოლველად ამხნევებდა ანდრიას... და ანდრიამ დაამარცხა ბოროტი. მშვენიერმა ყმაწვილმა მას უთხრა: „ისწრაფე კეთილი ღვაწლისთვის. გახდი ქრისტესთვის სალოსი და დიდ ჯილდოს მიიღებ სასუფეველში“.

ანდრია მიხვდა, რომ ქრისტე დიდი ღვაწლისათვის იხმობდა და სალოსი გახდა.

განთიადისას ანდრიამ ილოცა, შემდეგ ჭასთან მივიდა, ტანთ გაიხადა და ტანსაცმლის დანით დაჭრა დაიწყო. ამ დროს

ჭასთან წყლის ასაღებად მზარეული გამოვიდა, რომელმაც დაინახა ანდრიას უცნაური საქციელი და ყველაფერი ბატონს მოახსენა.

ბატონმა იფიქრა, რომ ყმაწვილში ეშმაკი ჩასახლდა. მან ბრძანა ანდრია ჯაჭვით შეეკრათ და დიდმოწამე ანასტასიას სახელობის ტაძარში მიეყვანათ. ტაძარში ანდრია დღისით უცნაურად იქცეოდა, ღამით კი გულმოდგინედ ევედრებოდა ღმერთს და დიდმოწამე ანასტასიას.

ყმაწვილს სურდა, რაიმე ნიშანი მიეღო, რათა გაეგო, სათნო იყო თუ არა ღმერთისთვის მისი საქციელი... და იხილა ჩვენებაში დედები, რომლებიც ერთი ბერის თაოსნობით უძღურ ადამიანებს უვლიდნენ... როდესაც ისინი ანდრიას მიუახლოვდნენ, ბერმა დედებიდან უფროსს ჰკითხა: „ანასტასია, ხომ არ უმკურნალებ ამ ყმაწვილს?“

— მოძღვარო, — უპასუხა მან, — მას უკვე უმკურნალა იმან, ვინც უთხრა: „გახდი ჩემთვის სალოსი და ჩემი დიდებით მოსვლის დღეს დიდ ჯილდოს მიიღებ“. ის არ საჭიროებს ექიმობას. თქვა ეს და ტაძარში შებრუნდა.

დატყვევებულ ანდრიას წმიდა იოანე ღვთისმეტყველი გამოეცხადა და მოთმინებას ურჩევდა.

ანდრიას სხვა ხილვაც ჰქონდა: მეფის სასახლეში, დიდების ტახტზე დაბრძანებულმა მეფემ მოიხმო იგი და შეეკითხა: „გსურს მთელი გულით მემსახურო?!

— მსურს, უფალო, — უპასუხა ანდრიამ.

მაშინ მეფემ მას აბზინდაზე უფრო მწარე რამ გაასინჯა და უთხრა: „აი, რა მწარეა ის გზა, რომელსაც ამქვეყნად ჩემთვის გადიან!“

შემდეგ მეფემ ანდრიას თოვლზე უფრო თეთრი და მანანაზე უფრო ტკბილი რამ გაასინჯა. ამ სიტყვობებამ მას პირველი სიმწარე დაავიწყა.

მაშინ მეფემ უთხრა: „ასეთია მათი საჭმელი, ვინც მე მემსახურება და მამაცურად ითმენს ბოლომდე ყველაფერს. შენც მამაცურად გააგრძელე ამ გზაზე სიარული, რომელზეც დგახარ. შენი ტანჯვა ხანმოკლე იქნება, შემდეგ კი მარადიულ ზეციურ სასუფეველს დაიმკვიდრებ“.

ოთხი თვე ჰყავდა ბატონს ანდრია ბორკილდადებული. შემდეგ გაათავისუფლა. და მაშინ ანდრია შეუდგა სალოსის ღვაწლით ცხოვრებას. იგი ქუჩებში სულელივით დარბოდა. ზოგი ეჩხუბებოდა, ზოგი აგდებდა, მყრალი ძალღივით უკადრისობდნენ მას, ზოგი ეშმაკეულად მიიჩნევდა. თანატოლები ამასხარავებდნენ, სცემდნენ, დასცინოდნენ. ის კი ყველაფერს ითმენდა და გულში ლოცულობდა.

თუ ვინმე მოწყალებას გაიღებდა, ანდრია იღებდა და სხვა უპოვარს აძლევდა. მაგრამ ამას ისე აკეთებდა, რომ არავის შეემჩნია, არავის გაეგო, რომ მას ღარიბები უყვარდა. ის წინასწარ ლანძღავდა მათხოვრებს, თითქოს მათ ცემას აპირებდა და ამ დროს სახეში აყრიდა ხურდას, რომელიც ხელში ეჭირა; მათხოვრები ამ ხურდას კრეფდნენ.

ზოგჯერ ანდრია სამი დღე ზედიზედ მშვიერი იყო, ზოგჯერ, თუკი არავინ მიაწოდებდა პურს, იგი კვირაობით შიმშილობდა, ტანთ დაკონკილი სამოსი ეცვა.

დღისით ქუჩებში სალოსობდა, ღამეებს ლოცვაში ატარებდა. ასეთ დიდ ქალაქში, ამდენ ადამიანს შორის, მისთვის არ მოიძებნა ადგილი, რომ თავი მოედრიკა. ღარიბები ქოხებიდან

აგდებდნენ, მდიდრები ეზოშიც კი არ უშვებდნენ. ანდრიას დასაძინებელი ადგილიც არ ჰქონდა, რათა დაღლილი სხეული მოესვენებინა. მაშინ იგი მიდიოდა იქ, სადაც ქუჩის ძაღლები იწვნენ. მაგრამ არც ძაღლებს უნდოდათ ღვთის მონის მიღება. ცხოველები კბენდნენ და აგდებდნენ მას. ადამიანებისა და ცხოველებისგან გარიყულ ყმაწვილს არასოდეს ჰქონია თავშესაფარი. სიცხესა თუ ყინვაში ის ღამეებს ღია ცის ქვეშ ატარებდა.

ანდრიამ მიიღო ის ტანჯვა, რომელზედაც ოცნებობდა. ეს ტანჯვა მოწამეთა ტანჯვაზე მძიმე იყო — ყოველდღიური, უცვლელი, ყოველგვარი სილამაზისა და პოეზიის გარეშე...

დიდებული მადლი უწყალობა უფალმა თავის მონას — ანდრიას — გაუმხილა ღვთისმშობლის ზრუნვა ამ ქვეყანაზე. ყმაწვილმა იხილა, თუ როგორ გადააფარა ზეციურმა დედოფალმა თავისი საფარველი ვლახქერნის ტაძარში მწუხრის ღვთისმსახურების დროს მლოცველებს...

ქრისტესთვის სალოსი ანდრიას ხსოვნას ეკლესია აღნიშნავს ორ ოქტომბერს, ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულის მეორე დღეს.



ნეტარი ყრმა იოანე
(**ხსენება 19 ოქტომბერს**)

ეგვიპტის მთავარ ქალაქში, ბრწყინვალე, მდიდარ და ხალხმრავალ ალექსანდრიაში, ცხოვრობდა მხედართმთავარი, ფარული ქრისტიანი უარი. მას უყვარდა საპატიმროების მონახულება და ქრისტიანი პატიმრების მდგომარეობის შემსუბუქება. მიჰქონდა მათთან საკვები, ხსნიდა ბორკილებს, უზვევდა წყლულებს და ამხნევებდა მათ. უარი თავადაც მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა.

მისი ვნების მოწამე გახდა ერთი ცნობილი ქალი, მხედართმთავრის ქვრივი კლეოპატრა. ეს ქალბატონი წარმოშობით პალესტინიდან იყო, თაბორის მთის მახლობლად მას მამულები ჰქონდა. მაგრამ რადგან მისი ქმარი ეგვიპტეში მსახურობდა და ეგვიპტეში გარდაიცვალა, კლეოპატრა თავის მცირეწლოვან შვილთან, იოანესთან ერთად იქვე დარჩა საცხოვრებლად.

უარის და მისი სათნოებების შესახებ კლეოპატრას ადრეც სმენოდა, და როდესაც ღვთის ნებით მის მარტვილობას შეესწრო, მთელი არსებით უთანაგრძნო მას. ქალაქგარეთ გადაგდებული უარის ცხედარი კლეოპატრამ თავისი მონების დახმარებით თავისთან გადაასვენა, საფლავი გაუთხარა თავის ერთ-ერთ ოთახში და იქ დაკრძალა წამებულის ნეშტი. კლეოპატრა მუდმივად სანთლებს უნთებდა უარს, მას იგი თავის შემწედ და მეოხად მიაჩნდა უფლის წინაშე.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ღროებით შეწყდა ქრისტიანთა დევნა, კლეოპატრამ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, თუ როგორ გადაესვენე-

ბინა წმიდა უარის სხეული, ასეთი რამ მოიფიქრა: ადგილობრივ მმართველს ძვირფასი ძღვენით ეახლა და უთხრა: „მე ვარ ქვრივი უცხო ქვეყნიდან. ჩემი ქმარი აქ მსახურობდა მხედართმთავრად და აქვე დაიღუპა იმპერატორის სამსახურში. მე ვბრუნდები ჩემს სამშობლოში. მომეცი ნება, საყვარელი მეუღლის ცხედარი წავასვენო, რათა ჩემს მამულში დავკრძალო, რადგან სიკვდილის შემდეგ არ მინდა მასთან განშორება“.

ამ ხერხს კლეოპატრამ მიმართა იმიტომ, რომ შიშობდა, ქრისტიანებს არ წაერთმიათ წამებულის წმიდა ნაწილები.

მან ქმრის ნეშტის ნაცვლად უარის წმიდა ნაწილები წაასვენა და პალესტინაში, თაბორის მთის მახლობლად, თავის მამულში, სოფელ ედრაში, საგვარეულო საძვალეში დაასვენა.

კლეოპატრა ყოველდღე მიდიოდა წმიდა საფლავთან, უკმევდა და სანთლებს უნთებდა მას. როდესაც ქრისტიანებმა შეიტყვეს წმიდა ნაწილების შესახებ, იწყეს იქ სიარული. ისინი ემთხვეოდნენ წმიდა ნაწილებს და რწმენისამებრ იღებდნენ კურნებას.

კლეოპატრამ წმიდა უარის საფლავზე ტაძრის მშენებლობა წამოიწყო. ამ პერიოდისთვის წამოიზარდა მისი ერთადერთი ვაჟი, იოანე. დედამ ნაცნობების დახმარებით და გარდაცვლილი მეუღლის დამსახურებების გამოყენებით იმპერატორისაგან თანხმობა მიიღო, მის შვილს ცნობილ ლეგიონში მაღალი წოდებით ემსახურა.

ტაძრის შენება დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სამეფო სიგელი და ოფიცრის ქამარი მიიღეს. ყმაწვილი ძალიან გახარებული იყო და მოუთმენლად ელოდა რომში გამგზავრებას, სადაც მას ბევრი საინტერესო სიახლე ელოდებოდა. მა-

გრამ დედამ განუცხადა, რომ არ გაუშვებდა რომში, სანამ არ დასრულდებოდა ტაძრის მშენებლობა და იოანე არ შემოატარებდა მის გარშემო წმიდა ნაწილებს.

საზეიმო ვითარებაში ჩატარდა მოწამე უარის სახელზე აგებული ტაძრის კურთხევა. კლეოპატრამ წმიდა ნაწილებზე მოათავსა ქამარი და სამხედრო საჭურველი, რომლითაც თავისი ვაჟი უნდა შეემოსა. დედა მთელი გულით ლოცულობდა მოწამის წმიდა ნაწილებთან: „გამოსთხოვე უფალს ჩემთვის ის, რაც მისთვის სათნო და ჩემთვის და ჩემი შვილისთვის სასარგებლო იქნება. არ გავკადნიერდები, ვთხოვო იმაზე მეტი, რაც თავად უფალს სურს ჩვენთვის. სთხოვე ჩვენთვის ის, რაც გვესაჭიროება. დაე აღსრულდეს ჩვენზე მისი კურთხეული ნება“.

მსახურების შემდეგ ტრაპეზი მოეწყო. იმავე საღამოს კლეოპატრას ვაჟი შეუძლოდ შეიქნა და ლოგინად ჩავარდა. ვინაიდან ტრაპეზზე არც კლეოპატრას და არც მის შვილს არაფერი უჭამიათ, სტუმრების დაშლის შემდეგ დედამ შვილს შეუთვალა, მასთან ერთად ესადილა. მაგრამ მას ასეთი ამბავი მოუტანეს: იოანეს ისე საშინლად სწვაავდა შინაგანი სიმხურვალე, რომ არ შეეძლო არც თავის წამოწევა და არც პირის გაღება.

დედა აღელდა. იგი შვილის საწოლთან დაჯდა და შეძლები-სდაგვარად ცდილობდა ტანჯვის შემსუბუქებას.

ამაო აღმოჩნდა კლეოპატრას ძალისხმევა. შუალამისას ყმაწვილმა სული განუტევა. გამწარებული დედა გოდებით დაემხო ტაძარში, წმიდა უარის საფლავზე.

დიდხანს მოსთქვამდა და ტიროდა დედა, წმიდა მოწამე უარს საყვედურობდა, რომ არ გადაარჩინა მისი შვილი. ბოლოს ჩასთვლიმა და ჰქონდა ხილვა.

მის წინ იდგა მოწამე უარი, მას ხელში ეკავა მისი ვაჟი. ორივე მზესავით ბრწყინავდა, მათი კაბები თოვლივით თეთრი იყო. წელზე ოქროს ქამრები ერტყათ, თავზე ოქროს გვირგვინები ედგათ. მათ დანახვაზე კლეოპატრა ფეხებში ჩაუვარდა წმინდანს. მოწამემ ის შემდეგი სიტყვებით წამოაყენა:

— დედაკაცო, რაში მდებ ბრალს? იმაში, რომ მე დავივიწყე შენი სათნოებანი და ყველაფერი რაც შენ ჩემთვის გააკეთე? ხომ არ გგონია, ვერ ვგრძნობდი, რომ შენ ჩემი სხეული, ცხოველთა ლეშებთან დაგდებული, შენს კუთვნილ სასაფლაოზე დაკრძალე? ან არ ჩამესმოდა შენი ვედრება და არ ვლოცულობდი შენთვის უფლის წინაშე? უპირველეს ყოვლისა, მე შენს ნათესავებზე ვლოცულობდი, რომელთა შორისაც დამასვენე აქ, რათა ღმერთს შეენდო მათთვის ცოდვები. ახლა კი შენი ვაჟი წავიყვანე, რათა ზეციური მეფის ლაშქარში ემსახურა. განა შენ არ ლოცულობდი იმაზე, რომ მე ღმერთისთვის მეთხოვა ის, რაც სასარგებლო იყო შენთვის და შენი ვაჟისთვის? და მართლაც, უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება და ინება შენი შვილის ზეციურ მეომრად მიღება. შენ ხედავ შენს შვილს ზეციური მეომრის სამოსით შემოსილს. თუ ამით უკმაყოფილო ხარ, წაიყვანე შენი შვილი და გააგზავნე დროებითი, მიწიერი მეფის სამსახურში.

დედა შესცქეროდა ყმაწვილს, რომელიც ახლებური, ზეციური სილამაზით ბრწყინავდა. ყმაწვილი მოწამე უარს მოეხვია და სთხოვა: „დედაჩემს ყურს ნუ უგდებ, ნუ დამაბრუნებ უსამართლობითა და უსჯულოებით სავსე მიწაზე... ნუ დამაკარგინებ წმინდანთა შორის ცხოვრებით მონიჭებულ ბედნიერებას“. შემდეგ დედას მიუბრუნდა და უთხრა: „რატომ


ჰგოდებ ასე, დედაჩემო? მე ქრისტეს მეომრად ვარ წარდგენილი, ანგელოზებთან ერთად ღვთის წინაშე დგომის ბედნიერება მომეცა, შენ კი სტირი და გსურს, რომ დიდებიდან ამაოებაში დამაბრუნო“.

ნეტარმა კლეოპატრამ თავისი ვაჟი ანგელოზთა დასს შეერთებული რომ იხილა, თქვა: „მეც წამიყვანეთ, რათა მეც თქვენთან ერთად ვიყო“.

წმინდანმა უთხრა: — მიწაზე ყოფნითაც ჩვენთან ხარ. მშვიდობით წადი. მოვა დრო, უფალი ბრძანებს და მოვალთ შენს წასაყვანად... ხილვა დასრულდა. კლეოპატრა გონს მოვიდა. გამოუთქმელი სიხარულით აღსავსემ მღვდელმსახურებს ამცნო თავისი ხილვის შესახებ და მათთან ერთად იოანე წმიდა უარის გვერდით დაკრძალა.

ამის შემდეგ ნეტარმა თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა და უარის ტაძართან დაიდო ბინა. დღე და ღამე ლოცვასა და მარხვაში ატარებდა. ლოცვისას მას ყოველდღე ზეციურ დიდებაში მყოფი წმიდა უარი და თავისი ვაჟი იოანე ეცხადებოდნენ.

შვიდი წელი იცხოვრა ნეტარმა კლეოპატრამ წმიდა ცხოვრებით და შემდეგ თავადაც უფალს მიაბარა სული. იგი წმიდა უარის სახელობის ტაძარში მისი შვილის გვერდით დაკრძალეს. სული მისი კი ზეცაშია, მის შვილთან, ნეტარ ყრმა იოანესთან და წმიდა მოწამე უართან ერთად.



ჩვილი მოწამე
(მოწამე არეთა ღა მასთან ერთად წამებულნი,
სსენება 24 ოქტომბერს)

წმიდა არეთა აწამეს მეექვსე საუკუნის დასაწყისში დიდ ქალაქ ნეგრანში, რომელიც ქვემო, ე.წ. „ბედნიერ“ არაბეთში მდებარეობს. აქაური მიწები დაიპყრო იუდეველმა ღუნაანმა, ქრისტიანობის დაუძინებელმა მტერმა.

ქალაქი ნეგრანი ქრისტიანული სარწმუნოებით კონსტანტინე დიდის შვილის მეფობის დროს განათლდა. აქ ბევრი მონასტერი იყო და ღვთისმოსავი ხალხი ცხოვრობდა. ღუნაანის ბრძანებას – უარეყოთ ქრისტე, ნეგრანის მოსახლეობამ უარი განუცხადა.

მეფემ ალყა შემოარტყა ქალაქს, მაგრამ მტკიცედ გამაგრებულ ნეგრანს, რომელსაც რამოდენიმე წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგე ჰქონდა, ვერაფერი დააკლო. მაშინ მეფემ დაიფიცა, რომ თუ ქალაქის კარს გაუღებდნენ, მოსახლეობას არაფერი დაუშავდებოდა. ქალაქში შესვლისთანავე მან ფიცი გატეხა და ბრძანა მამასახლისების დაპატიმრება. მათ შორის უხუცესი არეთა იყო. სწორედ ის ხელმძღვანელობდა ქალაქის ასეთ წარმატებულ დაცვას. მშვიდობიან დროს კი ქალაქის კეთილმოწყობას ხელმძღვანელობდა.

ამას მოჰყვა ქრისტიანთა წამება და სიკვდილით დასჯა. როდესაც დაიწყეს ქალების დასჯა, იმ ადგილას შეგროვდნენ ბავშვები თავიანთი დედებით და ყვიროდნენ: „მე მომკვეთეთ თავი, მე დამსაჯეთ სიკვდილით“.

ამ უშიშარი ადამიანების შემხედვარე ღუნაანი გაოცებისაგან გონს ვერ მოდიოდა, კითხულობდა, რით მოაჯადოვა ეს

ხალხი გალილეველმა ისე, რომ ისინი სიკვდილსაც არად აგდებენ და თავად უვარდებიან მას ხახაში.

მეფემ შეიტყო, რომ ქალაქში ცხოვრობდა წარჩინებული წარმოშობის ახალგაზრდა ლამაზი ქვრივი, სვინკლიტიკია, რომელმაც თავი კეთილმსახურებასა და ორი ქალიშვილის აღზრდას მიუძღვნა. მეფემ იგი მოიხმო და მისი სილამაზით, გონებითა და სათნოებით მოხიბლულმა სცადა დაეყოლიებინა იგი, უარი ეთქვა ქრისტიანობაზე. ქალმა უარი განუცხადა. მაშინ მეფემ ბრძანა სვინკლიტიკია და მისი ქალიშვილები ქალაქში თავშიშველები გაეტარებინათ.

ეს კი იმ ქვეყანაში დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

კეთილშობილ ქვრივს მთელი ქალაქი იცნობდა. მისი სირცხვილისა და დამცირების შემხედვარე ქალები ტიროდნენ. ქვრივი კი ამშვიდებდა მათ და ეუბნებოდა, რომ ბედნიერებად მიაჩნდა ქრისტესთვის ტანჯვა.

როდესაც სვინკლიტიკია კვლავ წარსდგა მეფის წინაშე და მან მუქარა დაუწყო ქალს, მაშინ მისი თორმეტი წლის უმცროსი ქალიშვილი მიიჭრა ღუნაანთან და სახეში შეაფურთხა. მეფის მსახურებმა ხმლები იშიშველეს და სვინკლიტიკიას ორივე ქალიშვილს თავი მოჰკვეთეს.

შემდეგ აწამეს სვინკლიტიკიაც.

მეფე მამასახლისთა დასჯას შეუდგა. პირველი არეთა იყო. ის მხურვალედ ამხელდა მეფეს. არეთა სიკვდილით დასაჯეს იმ დიდი საფლავის თავზე, სადაც ადრე დასჯილი მოწამეთა სხეულები განისვენებდნენ. მასთან ერთად სამას ორმოცი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. ქრისტიანები არეთას სისხლში აწობდნენ თითებს და შუბლზე იცხებდნენ. აქ გაბრწყინდა

მაგალითი იმისა, თუ როგორი ქრისტიანული თავგამოდებით სუნთქავდნენ ჩვილობიდანვე ქრისტიანულ რწმენაში აღზრდილი ადამიანები.

იქვე იმყოფებოდა ერთი ქრისტიანი ქალი, რომელსაც თავისი ხუთი წლის ბიჭუნასთვის ჩაეკიდა ხელი. დედამ მოწამის სისხლი თავადაც იცხო და შვილსაც მოუსვა. თავმოკვეთილი მოწამეების შემხედვარეს სულში წმიდა აღშფოთება მოეძალა და მან ხმამაღლა შესძახა: „დაე, ამ ებრაელს ისეთივე უბედურება ეწიოს, როგორც ეგვიპტის ფარაონს!“

მეფის მცველებმა ქალი შეიპყრეს. ღუნაანი არც კი გასაუბრებია, ისე ბრძანა მისი დაწვა. ცეცხლი მზად იყო, როცა მოწამე შეკრეს. ბავშვი მიხვდა, რომ დედა უნდა ეწამებინათ. იგი ატირდა, მეფესთან მიიღობინა, ფეხზე შემოეხვია და დედის გათავისუფლება სთხოვა.

მეფეს მოეწონა ბავშვი, კალთაში ჩაისვა იგი და ჰკითხა: „დედაშენი უფრო გიყვარს თუ მე?“ ბავშვმა უპასუხა: „მე დედა მიყვარს, შენთან კი მის გამო მოვედი. ბრძანე, გაათავისუფლონ, რათა მეც წამიყვანოს საწამებლად. მე ამ ტანჯვისთვის მზად ვარ“.

— რომელი ტანჯვისთვის? — ჰკითხა მეფემ.

— ბიჭმა, ღვთის მადლით აღვისილმა, უპასუხა: „ქრისტისთვის ტანჯვა ნიშნავს მოკვდე მისთვის, აღდგე და მასთან ერთად იცხოვრო“.

— ქრისტე ვინ არის? — ჰკითხა მეფემ.

— წამომყევი ეკლესიაში და მე გაჩვენებ ქრისტეს.

შემდეგ ბავშვმა დედას გახედა და ტირილით თქვა: „გამიშვი დედასთან!“

როდესაც ბიჭმა დაინახა, რომ დედამისი ცეცხლში ჩააგდეს, ეცა მეფეს და მწარედ უკბინა. მეფემ ბავშვს ხელი ჰკრა და ერთ-ერთ ღიღებულს მისი წაყვანა და აღზრდა უბრძანა. მას სურდა, ბიჭი ებრაულ რჯულზე აღზრდილიყო და ქრისტიანულ რწმენას განშორებოდა. ღიღებულმა ბავშვს ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. გზად მეგობარი შეხვდა, რომელსაც ბავშვის შესახებ ამბის მოყოლა დაუწყო.

ისინი იქვე, ახლოს იდგნენ იმ ცეცხლთან, რომელშიაც დედამისი ჩააგდეს. ბავშვი ხედავდა, რომ დედას ველარ გაათავისუფლებდა, გაახსენდა მისი ნათქვამი, რომ ბედნიერებაა ქრისტესთვის სიკვდილი...

უფროსების საუბრისას, ბავშვმა დრო იხელთა, ხელი გაითავისუფლა, საშინელი სისწრაფით მიიბრინა ცეცხლთან და შიგ ჩახტა. ცეცხლმოღებულ დედას მოეხვია და მასთან ერთად დაიწვა. დედის სული, დიადი გამარჯვებით გახარებული, პატარა შვილის სულთან ერთად ზეცაში ამაღლდა.



დიდმოწამე ღიმიტრი თესალონიკელი
და მოწამე ყმაწვილი ნესტორი
(ხსენება 26 ოქტომბერს)

სლავთა განმანათლებლების, მოციქულთასწორ კირილესა და მეთოდეს სამშობლო, ქალაქი თესალონიკი, ახლანდელი სალონიკი, წმიდა დიდმოწამე ღიმიტრი თესალონიკელის საოცარი ტანჯვისა და განსვენების ადგილია.

მოწამის დიდგვაროვანი წარმოშობა, ქრისტეს სახელის უშიშარი აღმსარებლობა, შინაგანი და გარეგნული სილამაზე და მის მიერ აღსრულებული სასწაულები – ყოველივე ეს აქცევს მას ერთ-ერთ ბრწყინვალე მოგონებად იმ კურთხეული მადლმოსილი ხანისა, როდესაც წმინდანთა მოწამებრივი სისხლის ანკარა ნაკადულში იზრდებოდა და მტკიცდებოდა ქრისტიანობა.

ღიმიტრის მამა იყო თესალონიკის მმართველი. იგი ფარული ქრისტიანი იყო და მალავდა თავის რწმენას. ეს განძი მას გულით დაჰქონდა, როგორც ძვირფასი მარგალიტი.

დარბაზების სიღრმეში მას საიდუმლო სამლოცველო ჰქონდა მოწყობილი. ამ სამლოცველოში იგი ხშირად თავის მეუღლესთან ერთად ლოცულობდა.

იგი ქრისტიანულად ცხოვრობდა, ბრწყინავდა სათნოებებით: გლახაკებსა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა. მას მხოლოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა – არ ჰყავდა შვილი. ცოლქმარი დაჟინებით და გულმოდგინედ ევედრებოდა ღმერთს – მიეცა მათთვის მემკვიდრე. უფალმა შეისმინა მათი ლოცვები და შეეძინათ ვაჟი – ღიმიტრი.

მხედართმთავრის ვაჟის დაბადების ამბავი მთელ თესალონიკს მოედო. მამამ მთელი ქალაქისათვის ნადიმი გამართა და უხვი მოწყალეობა გასცა.

დიმიტრი იზრდებოდა და მის გარეგნობაში გამოსჭვიოდა დიდგვაროვნული წარმომავლობა. ყმაწვილი დიდსულოვანი ბუნებისა იყო. იგი არ ყოყოჩებდა თავისი მდგომარეობით. ქუჩაში შემხვედრთ ყოველთვის პირველი ესალმებოდა, მშობლების მიმართ მზრუნველი და თავაზიანი იყო. ყველასთან ზომიერი და სულგრძელი ყმაწვილი კარგად სწავლობდა. ჩინებულად დაეუფლა სამხედრო საქმეს, ისრის ტყორცნას, ცხენის ჯიშითს. მშობლები, ისევე როგორც მთელი ქალაქი, შეჰხაროდნენ მას. ყველას ეგონა, რომ ბიჭს დიდებული მომავალი ელოდა.

დიმიტრი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როდესაც მისი მშობლები გარდაიცვალნენ და მთელი ქონება მას დაუტოვეს. როდესაც იმპერატორმა მაქსიმიანემ შეიტყო თესალონიკელი მხედართმთავრის გარდაცვალების ამბავი, თავისთან იხმო დიმიტრი და მამამისის თანამდებობა ჩააბარა, თან დაარიგა, დაეცვა თავისი სამშობლო ქრისტიანებისაგან და დაეხოცა ყველა, ვინც კი ჯვარცმულის სახელს ახსენებდა.

თესალონიკში დაბრუნებულ დიმიტრის ხალხი სიხარულით შეხვდა. მან დაუფარავად დაიწყო ქრისტეს სახელის დიდება და ქადაგება. იგი თესალონიკისთვის მეორე პავლე მოციქულად იქცა, მას ქალაქის მოსახლეობა ჭეშმარიტი რწმენისაკენ მიჰყავდა.

მაქსიმიანეს შეატყობინეს, რომ დიმიტრი ქრისტიანია და ბევრი თავის რწმენაზე გადაჰყავს.

მეფე სარმატებთან ბრძოლის შემდეგ თესალონიკში ჩასასვლელად ემზადებოდა. მას ყმაწვილის წამება ჰქონდა დაგეგმილი. ნეტარმა დიმიტრიმ, ჯერ კიდევ მეფის ჩამოსვლამდე, მშობლების დანატოვარი სიმდიდრე: ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ქვები, ავეჯი, ტანსაცმელი თავის ერთგულ მსახურს გადასცა.

– სწრაფად დაკარიგოთ მიწიერი სიმდიდრე და ზეციური სიმდიდრის ძებნას შეეუდგეთ, – თქვა წმინდანმა. თავად კი ლოცვითა და მარხვით მოწამებრივი გვირვინისათვის დაიწყო მზადება.

როდესაც მეფე თესალონიკში ჩავიდა, დიმიტრი საპყრობილეში ჩააგდეს. იქ მას ანგელოზი გამოეცხადა, მშვენიერი სამოთხის გვირგვინით ხელში და უთხრა: „ქრისტესთვის წამებულ, გამხნევი და განმტკიცდი“.

თესალონიკში, მაქსიმიანეს ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ცირკში დიდი თამაშობები მოეწყო. ვინმე მოჭიდავე ლიი ქრისტიანობისთვის ბრალდებულებს ებრძოდა და დამარცხებულებს მალლიდან ძირს ისროდა, სადაც შუბები იყო შეყენებული.

ერთ ახალგაზრდა ქრისტიანს, ნესტორს, ძალიან ეცოდებოდა უთანასწორო ბრძოლაში გაგზავნილი ქრისტიანები და გადაწყვიტა ღვთის შეწევნით შეეწყვიტა ეს ბოროტება. ნესტორი პატივს სცემდა დიმიტრის, მისი სათნო ცხოვრების გამო. ახლა კი, როდესაც დიმიტრი ქრისტესთვის წამების გზას დაადგა, მისი მოწიწება წმინდანის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. იგი შეიპარა მასთან საპყრობილეში და თავისი გადაწყვეტილების შესახებ უამბო. დიმიტრიმ მოუსმინა, ჯვარი გადასახა და უთხრა: „შენ დაამარცხებ ლიის და ქრისტესთვის ევნები“.

ამ კურთხევით გამხსნევებული ნესტორი ცირკში მივიდა და მოჭიდავე შესარკინებლად გამოიწვია. ღმერთმა მას ძალა მისცა და ამ ტანმორჩილმა ყმაწვილმა მოჭიდავე ძირს, შუბებზე გადმოაგდო.

მაქსიმიანეს ლიი მეომრებში გამორჩეული ჰყავდა. მისმა სიკვდილმა ძალიან დაამწუხრა. მან ნესტორის სიკვდილით დასჯა ბრძანა. კეთილშობილი ნესტორის წმიდა სულმა თავის მასწავლებელ – დიმიტრიზე ადრე შეაღწია ცათა სასუფეველში.

მეფეს მოახსენეს, რომ ყმაწვილმა ბრძოლის წინ საპყრობილეში დიმიტრი მოინახულა. ტირანმა ბრძანა განთიადისას მოეკლათ ქრისტეს მხედარი.

კარი გაიღო, მეომრები შეცვივდნენ საკანში და ხიშტებზე ააგეს იგი. ბევრი მოწამე დიმიტრიზე მეტად ეწამა, მაგრამ მის სულში ისეთი დიდი სიწმინდე იყო, რომ უფალმა იგი უშრეტი დიდებით შემოსა და სასწაულქმედების ნიჭი უწყალობა.

დიმიტრის ერთგულმა მსახურმა ლუპემ დიმიტრის ტანსაცმელი და ბეჭედი მის სისხლში დაასველა. შემდგომში ამ სამოსით ბევრი სნეული განიკურნა.

მაქსიმიანემ ლუპეს შესახებაც შეიტყო და ყმაწვილი სიკვდილით დასაჯა. კეთილი მსახური თავის ბატონს გაჰყვა უფალთან.

დიდმოწამე დიმიტრი ქალაქ თესალონიკის მფარველი გახდა და არაერთხელ იხსნა იგი სასწაულებრივად განადგურებისაგან.

ღირსმოწამე ანასტასია რომაელის წამება
(ხსენება 29 ოქტომბერს)

ქრისტიანთა სასტიკი მდევენელის, რომის იმპერატორის, დეკიუსის ზეობისას რომის შემოგარენში იყო წყნარი თავშესაფარი, რომელსაც უცხო თვალისაგან მაღალი ღობე და ღობეზე უფრო მაღალი ხეები იფარავდა. აქ იყო დედათა მონასტერი, რომელშიც წუთისოფლის ამოებისაგან თავს იცავდა ათეულობით ქალი. მათი წინამძღოლი გამოცდილი მონაზონი, სათნობებში სრულყოფილებას მიღწეული, მოხუცი სოფიო იყო.

მონასტერში ცხოვრობდა ნეტარი რომაელი ქალწული ანასტასია. გოგონა სამი წლისაც არ იყო, როდესაც მშობლები გარდაეცვალა და დედა სოფიომ აღსაზრდელად აიყვანა.

გოგონა მონასტერში ყველას უყვარდა. ანასტასია, მკაცრი ცხოვრების მიუხედავად, მხიარული და ალერსიანი იყო, მზად იყო ყველას დახმარებოდა. ამავე დროს მარხვის სიმკაცრითა და ლოცვის გულმოდგინებით ყველას აღემატებოდა. მას ძალიან უყვარდა ხელსაქმით ხელში, დედობილის ფერხითი ჯდომა და მისი მოსმენა. სოფიო გოგონას უყვებოდა ქრისტეს მიწიერ ცხოვრებასა და წმიდა ღვთისმშობელზე, დიდმოწამეებისა და მქადაგებლების შესახებ, რომლებიც ქრისტესთვის სისხლს ღვრიდნენ და ჭეშმარიტ სარწმუნოებას ავრცელებდნენ.

გადიოდა წლები. ანასტასია საოცარი სილამაზისა შეიქნა. მონასტრიდან გასული იგი ყველას ყურადღებას იპყრობდა. სოფიოსთან არაერთგზის მიდიოდნენ მდიდარი ადამიანები, ანასტასიას ხელის სათხოვნელად. პასუხი ყველასთვის ერთი იყო: ანასტასია ჯერ ახალგაზრდაა და ქორწინებაზე არ ფიქრობს.

ქორწინებაზე ფიქრიც კი აშინებდა ანასტასიას, დიდი ხანია მისი გული დიდ და განსაკუთრებულ სიყვარულს მოეცვა, და ეს

სიყვარული მის გულში არავითარ მიწიერ ოცნებას არ უშვებდა.

ქრისტე — ბეთლემში შობილი, ქრისტე — ნაზარეველი ყრმა, ქრისტე — თორმეტი წლის ასაკში, თავისი სიბრძნით მწიგნობართა განმაცვიფრებელი, ქრისტე — თავისი შრომით ღვთისმშობლის გამომკვებავი, ქრისტე — მქადაგებელი, ქრისტე, რომელმაც მთაზე ფერი იცვალა, ქრისტე, რომელიც იერუსალიმში დიდებით შევიდა, და ამის შემდეგ შეურაცხყოფილი, გაშოლტილი, მსჯავრდებული, ქრისტე — ეკლის გვირგვინოსანი, ქრისტე — მკვდრეთით აღმდგარი, ქრისტე — ზეცად ამაღლებული და მჯდომარე მარჯვენით მამისა, ქრისტე — მორწმუნეთა ნავსაყუდელი — აი ვინ იყო ანასტასიას ერთადერთი სიყვარული.

ანასტასია ქალაქის თავთან დააბეზღეს. ისინი ამბობდნენ, რომ ეს ლამაზი გოგონა უნაყოფოდ იღუპავდა თავს და არ ქორწინდებოდა, თან კერპებსაც შეურაცხყოფდა.

ქალაქის თავმა მის შესაპყრობად რამდენიმე მეომარი გაგზავნა.

მონასტერში ძალით შეჭრილმა მეომრებმა განაცხადეს, რომ ნაბრძანები ჰქონდათ ანასტასიას ქალაქში წაყვანა.

სოფიომ სთხოვა მათ, დრო მიეცათ ქალწულის გამოსაწყობად. მეომრები დასხდნენ. მაშინ გოგონა სულიერმა ღელამ ტაძარში შეიყვანა, საკურთხევლის წინ დააყენა, გაამხნევა და უთხრა:

„ანასტასია, შვილო ჩემო, ახლა შენ უფლის სიყვარული საქმით უნდა დაამტკიცო. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დაიცვა შენი ერთგულება ქრისტესადმი. უნდა აჩვენო ყველას, რომ მისი ერთგული ხარ. არ გაცდუნოს მოქნილმა ენამ,

არ დაგაბრმავოს საჩუქრებმა და ამქვეყნიურმა დიდებამ, ნუ შეგაშინებს ღროებითი ტანჯვა, რადგან სწორედ ტანჯვით მიიღებ საუკუნო ცხოვრებას შენი უფლის სამეფოში. შენთვის გახსნილია სამუდამო განსასვენებელი, დაწულია მოწამებრივი გვირგვინი. სწორედ ამისთვის ვშრომობდი და გასწავლიდი, რომ უფალს მთელი გულითა და სულით შეერთებოდი...

როდესაც წამებით შეშინებას დაგიპირებენ, უპასუხე: არ მეშინია თქვენი, რადგან ღმერთია ჩემთან. ნუ შეგაშინებს სხეულის სიკვდილი, მთავარია სული არ მოკვდეს... ტანჯვის არ შეგეშინდეს, შენ გვერდით, უხილავად, შენი უფალი იქნება. იგი ტკივილებს შეგიმსუბუქებს; გაგაძლიერებს, როდესაც ძალა გამოგელევა; გაგამხნევეს, როდესაც დამწუხრდები; წამოგაყენებს, როდესაც დაეცემი. უღმობელი მტრისაგან გამწარებულს, გულს დაგიმშვიდებს. შენს სულს შვებას მოჰკვრის და არ მიგატოვებს, სანამ მტარვალთა ხელიდან არ გიხსნის და ზეციურ სამეფოში არ შეგიყვანს. იქ შენთვის მოიხმობს ანგელოზებსა და წმინდანებს და საზეიმოდ დაგადგამს თავზე უხრწნელ გვირგვინს, და შენ მასთან ერთად იქნები მარადიულ დიდებაში.

ანასტასია აღმზრდელს უსმენდა. საყვარელი აღმზრდელის სიტყვები მხოლოდ ამტკიცებდნენ დიდი ხნის წინ მომწიფებულ გადაწყვეტილებას.

– ჩემი გული მზადაა, – წამოიძახა ქალწულმა სოფიოს შეგონების შემდეგ, – მე მზად ვარ, იესო ტკბილისათვის მოკვდე...


ეს არის ჩემი სურვილი, ეს არის ჩემი სუნთქვა, რა ხანია, ამაზე ვოცნებობ. ბავშვობიდანვე ღმერთი შევიყვარე და მზად

ვარ მისთვის თავი დაედო. ახლა ჩემი სურვილის აღსრულების დრო დადგა. მე უშიშრად წავალ მტერთან და მის წინაშე სიხარულით ვიქადაგებ ქრისტეს სახელს. შენ კი, ჩემო დედავ და ქალბატონო, ნუ ღელავ. ნუ ფიქრობ, რომ წამებისათვის ძალიან ახალგაზრდა ვარ. მწამს ჩემი ღმერთის, ვიცი, რომ ის გააძლიერებს თავის მხევალს. ილოცე ჩემთვის, ევედრე იესო ქრისტეს, არ მიმატოვოს, სანამ მისი სახელით მოწამებრივ ღვაწლს არ აღვასრულებ.

დაკითხვისას ყველა გააოცა ანასტასიას სილამაზემ. მან მამაცურად გადაიტანა საშინელი ტანჯვა: ჯოხებით ცემა, ცხელი გოგირდითა და ფისით დაწვა... ბოლოს იგი მახვილით განგმირეს. ანასტასიას წმიდა ნაწილები მისმა აღმზრდელმა სოფიომ გადაასვენა და დაკრძალა.

ასე დაასრულა თავისი ცხოვრების მოკლე გზა ქალწულმა ანასტასია რომაელმა.

**წმიდა მოწამე მარინინგელდი, გოთთა მეფის კე
(სსქმება 1 ნომეზარს)**



ეპისკოპოსმა ლეანდრემ გოთთა მეფის, ლუვინგილდის ძე — ერმინინგელდი არიანელთა ერესიდან მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოაქცია.

ლუვინგილდი, რომელიც თავგამოდებული არიანელი იყო, განაწყენდა შვილის საქციელის გამო და ცდილობდა მართლმადიდებლობიდან კვლავ არიანობაში გადმოებირებინა. იგი ტკბილი სიტყვით ცდილობდა შვილის დაყოლიებას, მაგრამ ყმაწვილი მტკიცედ იდგა თავის სარწმუნოებაზე. მაშინ მამამ მას დაშინება დაუწყო, ემუქრებოდა ტანჯვა-წამებით, მაგრამ უფლისწული ურყევი იყო, მასზე არ მოქმედებდა არც მამის მუდარა და არც მისი მუქარა.

მეფე თავნება ადამიანი იყო, სრულებით ვერ იტანდა წინააღმდეგობას. სასტიკად განრისხებულმა, მან შვილს თავდაპირველად სამეფო ტახტი ჩამოართვა, შემდეგ მემკვიდრეობა, მამულები. როდესაც ნახა, რომ ამან ყმაწვილზე არ იმოქმედა, მაშინ მეფემ შვილს კისერზე, ხელებზე და ფეხებზე ბორკილები დაადო და საპყრობილეში ჩააგდო.

და აი, ახალგაზრდა უფლისწული, რომელსაც ცხოვრება მხოლოდ სიხარულს ჰპირდებოდა, ქრისტეს ერთგულები-სათვის, რომლის ღვთაებას არიანელები არ აღიარებენ, ახლა საპყრობილეში იჯდა. ბრწყინვალე თანატოლების საზოგადოება საზიზღარმა ვირთხების გროვამ შეცვალა, რომლებიც საპყრობილეში დარბოდნენ. ნადიმების დახვეწილი კერძები და ტკბილი ღვინოები წყლითა და შავი პურის ნატეხით შეიცვალა. მიუხედავად ამისა, უფლისწულმა გადაწყვიტა ბოლომდე მეღვრად მდგარიყო და ქრისტესთვის ეჩვენებინა, რომ იგი თავის სიცოცხლეზე მეტად უყვარდა.

ნეტარი ერმინინგელდი თავისი ახალგაზრდა წლების მიუხედავად ბრძენი იყო. ამქვეყნიური სამეფოს დაკარგვა მას არ ადარდებდა, მისი ფიქრი მხოლოდ ზეციური სამეფოსკენ იყო მიპყრობილი. საპყრობილეში ჩაგდებული, ბორკილდადებული იგი ეკვედრებოდა ყოვლადძლიერ ღმერთს, ტანჯვაში გაედლიერებინა.

დადგა აღდგომა. მეფემ ერთ-ერთი არიანელი ეპისკოპოსი მოიხმო და ღამით თავის შვილთან საპყრობილეში გაგზავნა, რათა დაეყოლიებინა იგი არიანულ ერეტიკულ ზიარებაზე. მეფემ შეუთვალა შვილს, თუკი იგი გონს მოეგებოდა, მამობრივი სიყვარულით მიიღებდა მას და დაკარგულ პატივსა და ღირსებას აღუდგენდა. უფლისწულმა კი მამაცურად ამხილა ეპისკოპოსი, გააგლო იგი და უარი თქვა ერეტიკულ ზიარებაზე. წმიდა ზიარება მან მართლმადიდებელი მღვდლისაგან მიიღო, რომელიც მას ეპისკოპოსმა ლეანდრემ გამოუგზავნა.

წარუმატებელი მისიის შემდეგ არიანელი ეპისკოპოსი მეფესთან დაბრუნდა. მეფის მრისხანებამ ზღვარს მიაღწია. კბილების ღრჭიალით მან რამდენიმე თავის ერთგულ მხედართმთავარს დაავალა, უფლისწული საპყრობილეში მოეკლათ. ყმაწვილს ცულით მოკვეთეს თავი. ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ მოწამის წმიდა სხეულის ზემოთ ანგელოზთა გალობა გაისმა და გამოჩნდა ანთებული სანთლები. მართლმადიდებლები სიხარულით ჰმადლობდნენ ღმერთს, რომელმაც ასეთი სასწაულით გაუთქვა სახელი მოწამებრივად აღსრულებულ თავის ერთგულ მონას.

შვილის მკვლეელი მეფე ძრწოდა საშინელი ბოროტი საქციელის გამო. ის დარდისაგან დაავადდა. ლუვინგილდი ფიქრობდა

უარეყო არიანობა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცეულიყო. თუმცა მან ვერ აღასრულა ეს გადაწყვეტილება, რადგან არიანელების შეეშინდა. სიკვდილის წინ მეფემ იხმო ეპისკოპოსი ლეანდრე, რომელსაც ადრე სდევნიდა. ახლა კი ევედრებოდა მართლმადიდებლური სწავლებით გაენათლებინა მისი უმცროსი ვაჟი – რიჰარდი, ისევე როგორც ადრე – ერმინინგელდი.

ლუვინგილდის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა რიჰარდი, რომელმაც ლეანდრეს დარიგებით მართლმადიდებლობა მიიღო და მთელი გოთური სამეფო, რომელიც არიანულ ერესში იყო ჩაფლული, მართლმადიდებლობისკენ შემოაბრუნა.

რიჰარდი შესაფერის პატივს მიაგებდა თავისი უფროსი ძმის წმიდა ნაწილებს. ქრისტესთვის წამებული ეს ყმაწვილი გოთებს შორის ჰურის ის მარცვალი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი სიკვდილით კეთილი ნაყოფი გამოიღო, რადგან მთელ გოთურ მიწაზე მართლმადიდებლობამ იხეიმა.

უფალმა უფლისწულს საიდუმლო ოცნება აუსრულა – სამეფო, რომელიც მან უფლისათვის დათმო, ქრისტეს სახელის მართლმადიდებელი აღმსარებელი გახდა. მისი საიდუმლო ოცნება ასრულდა და აყვავდა მისი მოწამებრივი სისხლით.

ახალგაზრდა მოწამე პლატონი

(სსმნმპა 18 ნომმპმრს)



აღმოსავლურ ქალაქში – გალატიის ანკირაში აღიზარდნენ ახალგაზრდა მოწამე პლატონი და მისი ძმა, წმიდა მოწამე ანტიოქე.

ქრისტიანულ ოჯახში დაბადებული პლატონი კეთილმსახურებაში აღიზარდა და ჯერ კიდევ სულ ნორჩი სათნოებებით გაბრწყინდა. ის უღმრთო კერპთაყვანისმცემელთა შორის თამამად ქადაგებდა ქრისტეს, მოუწოდებდა მათ შეეცნოთ ჭეშმარიტება, მიეტოვებინათ ეშმაკის მსახურება და ღმერთისკენ მობრუნებულიყვნენ.

პლატონის ქადაგებას ბევრი მიჰყავდა ქრისტესთან, რის გამოც ის შეიპყრეს და განსასჯელად მმართველ აგრიპინეს მიჰგვარეს. აგრიპინე რომაელთა უზენაესი ღვთაების, იუპიტერის ტაძარში იჯდა, როდესაც მას პლატონი მიუყვანეს.

– მთელი ქვეყანა, – თქვა მმართველმა, – თავის ღმერთებს შეჰზარის, შენ კი რატომ შეცდი და განუდექი მათ?

– ეს თქვენ შეცდით, – უპასუხა ყმაწვილმა, – როდესაც მიატოვებ ცისა და ქვეყნის შემოქმედს და თავყვანი ეცით ქვას და ლპობად ხეს, ადამიანის ხელით შექმნილ კერპებს.

– შენი სიყმაწვილე – წამოიძახა მმართველმა, – გაძლევს გამბედაობას, შენი ბაგეებიდან ისმის უგუნური სიტყვები, რა გქვია, რომელი ქალაქიდან ხარ?

– მე ქრისტიანი ვარ. – იყო პასუხი.

– მითხარი შენი სახელი, რომელიც მშობლებმა დაგარქვეს. უშენოდაც ვიცი, რომ ქრისტიანი ხარ. მეფემ ყველას აუკრძალა, თავისთავს ქრისტიანი უწოდოს.

– მშობლებმა პლატონი დამარქვეს, დაბადებიდან ქრისტეს მონა და ამ ქალაქის მკვიდრი ვარ. ახლა კი ჭეშმარიტი რწმენი-

სათვის ვდგევარ შენს უსამართლო სამსჯავროზე და უდანაშაულო სიკვდილს ველოდები, რომელიც გულით მსურს მივიღო ჩემი ღმერთისთვის. მაშ, აღასრულე რაც გინდა.

ამ თამაში სიტყვების შემდეგ მმართველმა ბრძანა ყმაწვილი მიწაზე დაეგლოთ. ოცი მეომარი მიუჩინა, რათა მონაცვლეობით ეცემათ წმინდანი. ამ სასჯელმა თვით ჯალათები დალაღა, მაგრამ წმინდანი ამ საშინელი დარტყმების ქვეშ ხმამაღლა წარმოთქვამდა თავისი ღმერთის – იესო ქრისტეს სახელს. მმართველმა კვლავ სცადა ყმაწვილის შეგონება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ბრძანა მისი საპყრობილეში ჩაგდება.

ხალხი მიჰყვებოდა მას. ბევრისთვის მისი ტანჯვა საინტერესო სანახაობა იყო. საპყრობილის კარებთან ყმაწვილი ხალხისკენ შემობრუნდა და ხმამაღლა მიმართა:

– იცოდეთ, ხალხო, რომ ამ ტანჯვას მხოლოდ ცისა და ქვეყნის შემოქმედის – უფლისთვის ვითმენ. თქვენ კი, ქრისტიანებო, ნუ დაბრკოლდებით იმით, რასაც ხედავთ, რადგან სულიწმიდამ მითხრა: „მრავალ არიან ჭირნი მართალთანი და ყოვლისავე მისგან იხსნნეს იგინი უფალმან“. დაე დავიქანცოთ იმ განსაცდელებში, რომლებსაც კეთილმსახურებისთვის ვიტანთ. ვიცი, რომ ჩვენი ამქვეყნიური ტანჯვა-წამება მომავალი დიდებით შეიცვლება.

ყმაწვილი მშვიდად შევიდა საპყრობილეში და უფალს ევედრებოდა შეწევნას.

შვიდი დღე ჰყავდა მტარვალს ჯურღმულში პლატონი და შემდეგ კვლავ იუპიტერის ტაძარში მიაყვანინა იგი. იქ წამებისათვის განკუთვნილი ყველა იარაღი დაელაგებინათ... მმართველმა თქვა:

– ძვირფასო პლატონ, ვითვალისწინებ შენს ახალგაზრდობას, გვარიშვილობას, სილამაზეს და გირჩევ, სანამ წამებას დაგიწყებდე, შეჭამე ნაკერპავი ხორცი და ცოცხალი გადარჩები. დამიჯერე, როგორც მამას, რომელიც კეთილ რჩევას გაძლევს. ჩემს ძმისწულს მოგათხოვებ და შენც შვილივით მეყოლები.

ყმაწვილმა დაცინვით უპასუხა:

– სატანის უბედურო მსახურო, დაქორწინება რომ მდომებოდა, განა შენს ნათესავზე უკეთესს ვერ ვიშოვიდი? მერჩია, რომელიმე მონა მეთხოვა. ნუთუ ახლა ვიფიქრებ მასზე, როცა წუთისოფელი დავივიწყე და ქრისტესთან შესახვედრად მივდივარ?

ამ კაღნიერ სიტყვებს მმართველმა სასტიკი წამებით უპასუხა. მან ბრძანა გავარვარებული სარეცელის ქვეშ დაეწყოთ ნახშირი, დაესხათ ცვილი და ფისი და ცეცხლი შეეკეთებინათ. ქვევიდან მოწამეს ცეცხლი შეუნთეს, ზემოდან კი წვრილი წკეპლებით შოლტავდნენ. სამი საათი გრძელდებოდა ეს წამება. როცა პლატონი საშინელი სარეცელიდან აიყვანეს, მისი სხეული სრულიად უვნებელი იყო, დამწვრობისა და ჭრილობების გარეშე. იგი კეთილსურნელებას გამოსცემდა.

– დიდია ქრისტიანთა ღმერთი! – ერთხმად წამოიძახა ამ სასწაულის მნახველმა ხალხმა.

თუ არ გინდა ღმერთებს მსხვერპლი შესწირო, მაშინ მხოლოდ ქრისტეს განუდექი და გაგიშვებ, – ამბობდა მმართველი.

– უგნურო უღმერთოვ, როგორ გინდა უარყო ჩემი მხსნელი! ნუთუ შენსავით უსჯულო გავხდები?! ნუთუ არ გყოფნის შენი დაღუპვა?

გამძვინვარებული აგრიპინე წამოხტა და თავად შეუდგა პლატონის წამებას. გულის სიღრმეში მას უკვირდა ყმაწვილის დიდი მოთმინება და სითამამე. მტარვალმა ბრძანა კვლავ საპყრობილეში ჩაეგდოთ იგი და არ შეეშვათ მასთან ნაცნობები. შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, აძლევენ პურს და წყალს. მაგრამ ქრისტეს მოწამეს არ სურდა რაიმეს მიღება უწმინდურთა ხელიდან. მან თვრამეტი დღე წყლისა და პურის გარეშე გაატარა. დარაჯები სთხოვდნენ, ეჭამა, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო და ამისთვის საყვედური არ მიეღოთ. ყმაწვილმა დაამშვიდა ისინი და უთხრა, რომ საპყრობილეში არ მოკვდებოდა. ბოლოს, როცა მმართველი დარწმუნდა, რომ ვერაფერს გახდებოდა და ვერანაირი ძალით პლატონს ქრისტეს ვერ ჩამოაშორებდა, ბრძანა მისი სიკვდილით დასჯა. ის ქალაქიდან გაიყვანეს. სიკვდილის წინ ყმაწვილმა ლოცვისთვის დრო ითხოვა:

– გმადლობ შენ, უფალო იესო ქრისტე, შენი წმიდა სახელით რომ დმიცავი შენი ღალატისაგან და მომეცი მადლი, რათა ბოლომდე აღმესრულებინა ჩემი ღვაწლი. მიიღე სული ჩემი მშვიდობით, რამეთუ კურთხეული ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე.

მოწამემ თავი დახარა და ჯალათს უთხრა: „მეგობარო, აღასრულე, რაც ნაბრძანები გაქვს“.

ასე იღვაწა და აღესრულა ქრისტესთვის წმიდა მოწამე პლატონი, რათა მის სასუფეველში დამკვიდრებულიყო უკუნითი უკუნისამდე.

ყრმა ბარულის წამება
(ხსენება 18 ნომბერს)

წმიდა ყრმა ბარული ქრისტესთვის ეწაძა ქალაქ ანტიოქიაში 303 წელს. იმ დროს ანტიოქიაში ცხოვრობდა ერთი ქრისტიანი დიაკვანი – რომანოზი. ქალაქის მმართველი ანგრევდა ქრისტიანულ ტაძრებს. რომანოზმა მოუწოდა მორწმუნეებს წინააღმდეგობა გაეწიათ: ან დაეცვათ ჩვენი ტაძრები, ან დავიხოცოთ ჩვენი სიწმინდეებისათვის და გამარჯვების გვირგვინებით ავმალდეთ ზეცად.

დადგა წარმართთა დღესასწაული. კერპების სამსხვერპლოსთან უამრავი ხალხი შეგროვდა. საზეიმოდ მოემართებოდა ქალაქის მმართველი. მისი გამოჩენისთანავე რომანოზმა დაიწყო კერპთაყვანისმცემლობის მხილება. იგი შეიპყრეს. ქალაქის თავი მისგან ქრისტეს უარყოფას მოითხოვდა, მაგრამ უარი მიიღო და ამიტომ რომანოზი საწამებლად გადასცა. წამების ადგილის გარშემო ქრისტიანებმა მჭიდრო წრე შეკრეს და გულით ლოცულობდნენ ქრისტეს მოწამისათვის.

იქვე იდგა პატარა ბიჭი – ბარული, რომელიც ყრმობიდანვე ქრისტეს რჩეული იყო.

რომანოზი კარგად იცნობდა ამ ბიჭს და კარგად იცოდა, რომ რწმენა მასში ასაკთან ერთად იზრდებოდა, რომ ბიჭი რწმენის ძალით უფროსებს უტოლდებოდა, რომ ეს რჩეული ყრმა უშიშრად იდგებოდა ქრისტესთვის.

მმართველის მხილებისას რომანოზმა წამოიძახა:

– შეხედე ამ პატარა ბიჭს, ის შენზე გონიერია, ბავშვობაშივე იცნობს ჭეშმარიტ ღმერთს: შენ მოხუცი და ჯერ ვერ შეგიცნია შენი შემოქმედი.

- ტირანმა იხმო ბიჭი და ჰკითხა:
- რომელ ღმერთს ეთაყვანები?
- ვეთაყვანები ქრისტეს, – უპასუხა ბიჭმა.
- რა სჯობს, ერთ ღმერთს სცემდე თაყვანს, თუ ბევრს? – განაგრძო დაკითხვა ეპარქმა,
- სჯობს ერთ ღმერთს, იესო ქრისტეს ეთაყვანო, – უპასუხა ყრმამ.
- რით სჯობს ქრისტე სხვა ღმერთებს?
- იმით, რომ ის ჭეშმარიტი ღმერთია, რომ ჩვენ ყველანი მან შეგვქმნა. თქვენი ღმერთები კი – ეშმაკებია, მათ არავინ შეუქმნიათ.

კიდევ ბევრი სხვა რამ თქვა ბიჭმა თამამი მჭევრმეტყველებით, თითქოს ბრძენი ღვთისმეტყველი ყოფილიყო, რადგან იმ დროს მასში სულიწმიდა მოქმედებდა.

ყველა წარმართი გაოცებული იყო ყრმის გონიერებით და მჭევრმეტყველებით. მათ რცხვენოდათ, რომ სიტყვით ვერ უგებდნენ მას. გამძვინვარებულმა მმართველმა ბიჭის გაროზგვა ბრძანა. ბავშვმა გასაოცარი ვაჟკაცობით აიტანა წამება. წმიდა ბარულის დედა ხალხში იდგა, უყურებდა შვილის წამებას და ხარობდა მისი ვაჟკაცობით. როდესაც მან წყალი მოითხოვა, დედამ ხმა აიმაღლა და უთხრა:

„რაც არ უნდა გაგიჭირდეს, ბოლომდე დაითმინე!“

ბოლოს ტირანმა თავის მოკვეთა ბრძანა. დედამ შვილთან მიიღბინა, ხელში აიყვანა და თავად მიიყვანა სასჯელის აღსრულების ადგილზე.

– ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, ჩემო საყვარელო! ნუ შეგეშინდება სიკვდილის: შენ არ მოკვდები, შენ იცოცხლებ

მარადისობაში. ნუ შეძრწუნდები, ჩემო ყვავილო! ახლა შენ სამოთხის ვენახში იქნები, ნუ შეგეშინდება ხმლის, მისი ბასრი პირით შენ ქრისტესთან გადახვალ და იხილავ მის ღიღებას, და ის გულში ჩაგიკრავს და იცხოვრებ მასთან ერთად ერთ უთქმელ სიხარულში, და იზეიმებ ანგელოზებთან ერთად.

ასე არიგებდა დედა თავის შვილს. როდესაც ყრმას თავი მოკვეთეს, დედამ მისი სხეული სიხარულის ცრემლებით დაალტო და მიწას მიაბარა. მას უხაროდა, რომ შვილმა მისგან მიღებული სისხლი ქრისტესთვის დაღვარა.

შემდეგ აწამეს ბარულის მასწავლებელი დიაკვანი რომანოზი.



ინდოეთის უფლისწული იოასაფი
(სსპნაბა 19 ნომბაპრს)

ინდოეთის უფლისწულს, იოასაფს, ქრისტე ენატრებოდა მაშინაც კი, სანამ შეიცნობდა მას. ხოლო როდესაც შეიცნო, მისთვის უარყო წუთისოფელიც და თავისი სამეფოც.

უფლისწული იოასაფის შესახებ თხრობას დიმიტრი როსტოველი ასე იწყებს: „აღმოსავლეთით მდებარეობს დიდი ქვეყანა ინდოეთი, რომელიც განთქმულია ხალხმრავლობით, სიმდიდრით, ბარაქითა და ნაყოფიერებით. ქვეყანა ოდესღაც თომა მოციქულის მიერ იქნა განათლებული, მაგრამ ბევრმა გაშმაგებულმა ადამიანმა არ მიიღო მხსნელი სწავლება და დარჩა სატანის სამსახურში. უწმინდურობა ეკალ-ბარდივით იზრდებოდა და კეთილი სწავლების თესლს ფარავდა.

ინდოეთის მეფე იყო სიმდიდრითა და სიძლიერით განთქმული აბენესი. მას სული უწმინდური ჰქონდა, ეშმაკს ემსახურებოდა, უსულო კერპებს ეთაყვანებოდა, სდევნიდა ქრისტიანულ ეკლესიას, განსაკუთრებით კი ეკლესიის მოძღვრებს და ბერებს.

მის დიდებულებს შორის იყვნენ ქრისტიანები. ზოგი იმალებოდა, ზოგმა რწმენა შეიცვალა, ზოგიც სიკვდილზე წავიდა, დანარჩენებმა კი მთებს შეაფარეს თავი და იქ ემსახურებოდნენ ღმერთს.

მეფეს შეეძინა შვილი, მშვენიერი ბიჭი, რომელსაც იოასაფი დაარქვეს. მან გადაწყვიტა შვილი ქრისტიანებისაგან დაეცვა.

აბენესმა ქალაქგარეთ დიდი სასახლე ააშენებინა და შვილს იქ ზრდიდა. მიუჩინა სანდო აღმზრდელი და მშვენიერი თანა-

ტოლები. მეფემ ბრძანა, უფლისწულთან არავინ შეეშვათ და არ ესაუბრათ მასთან ნაღვლიან თემებზე — სიბერეზე, ავადმყოფობაზე, სიკვდილზე. მისი გონება მხოლოდ კარგი შთაბეჭდილებებით უნდა დამტკბარიყო, ქრისტეს სახელი არავის უნდა ეხსენებინა. თუ ვინმე ავად გახდებოდა, დაუყოვნებლივ და შეუმჩნეველად უნდა განერიდებინათ, ქვეყნიდან უნდა განედევნათ ყველა ქრისტიანი მონაზონი. შვილის ცხოვრების ამგვარად მოწყობის შემდეგ მეფე დამშვიდდა.

უფლისწული მშვენიერ მარტოობაში იზრდებოდა, კარგად სწავლობდა. ასაკთან ერთად კითხვებიც გაუჩნდა, თუ რატომ აცხოვრებდა მამა მას ასე განმარტოებით. ერთმა აღმზრდელმა უამბო მას, თუ როგორ დევნიდა მამამისი ქრისტიანებს და როგორ უწინასწარმეტყველეს მას ქრისტიანობის მიღება.

მამა ხშირად სტუმრობდა შვილს, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა. ერთხელ ყმაწვილმა მამას უთხრა, რომ ძალიან უძძიმდა ასე განმარტოებით ცხოვრება, რომ ქვეყნის ნახვა სურდა.

მამა იძულებული შეიქნა დაეთმო და ნება მიეცა შვილისთვის, სასახლიდან გასულიყო, მაგრამ მხოლოდ დიდი ამალის თანხლებით. მის გარემოცვას კი აუკრძალა, უფლისწულთან რაიმე ნაღვლიანზე ესაუბრა.

მაგრამ განა შეიძლებოდა უფლისწული გასცნობოდა ქვეყანას და არ დაენახა ამქვეყნიური უბედურება? ერთხელ, თანატოლებთან ერთად ჯირითისას, უფლისწული ორ გაჭირვებულს გადააწვდა — კეთროვანს და ბრმას. მსახურმა ძლივს მოასწრო მისი აღვირისთვის ხელის წავლება, რათა ყმაწვილი კეთროვანს არ მიჰკარებოდა.

ეს იყო მისთვის შეხვედრა ხორციელ უძღურებასა და სიმახინჯესთან. უფლისწული ყველას ეკითხებოდა, ხშირად ემართებოდათ თუ არა ეს ადამიანებს, ყველას ემუქრებოდა თუ არა ასეთი ხვედრი. პასუხები მიკიბულ-მოკიბული იყო. უფლისწულის გული ღრმა მწუხარებამ მოიცვა.

რამოდენიმე დღის შემდეგ ყმაწვილი დაჩაჩანაკებულ მოხუცს შეხვდა, რომელიც ჯონს ეყრდნობოდა და ძლივს მილასლასებდა. სახე დანაოჭებული ჰქონდა, ზურგი — მოხრილი, კიდურები უკანკალებდა. თავი გამელოტებოდა, კბილები დასცვენოდა და გაურკვევლად ჩიფჩიფებდა. შეძრწუნებული და დადარდიანებული უყურებდა მას უფლისწული. მან მოიხმო მოხუცი და გარშემომყოფთ ეკითხებოდა, რას ნიშნავდა ეს.

— იგი მოხუცია, მისმა სხეულმა ნელ-ნელა დაკარგა ძალა და ამგვარად დაბერდა.

— რა მოელის შემდეგ ამ მოხუცს? — იკითხა ყმაწვილმა.

— სიკვდილი.

— ყველას ემუქრება სიბერე, თუ მხოლოდ ზოგიერთს?

— თუკი სიკვდილმა ნაადრევად არ წაიყვანა ვინმე, მაშინ ადამიანს არ ასცდება სიბერე.

— უფლისწული განაგრძობდა გამოკითხვებს: როდიდან იწყება სიბერე, არსებობს თუ არა რაიმე ხერხი, სიკვდილის თავიდან ასაცილებლად.

მას უპასუხეს, რომ სიკვდილი გარდაუვალია.

ამ შეხვედრების შემდეგ ქვეყანა უფლისწულის თვალში გახუნდა.

თუკი ასეა, — ღრმად ოხრავდა იგი, — და თუ მიწიერი ცხოვრება ასე ხანმოკლეა, როგორ შეიძლება ადამიანი ბედნიერი

იყოს, როდესაც მის თავს გარდაუვალი სიკვდილია და თან უცნობია, როდის მოვა იგი?

იოანეს თავის დარბაზში ჩაიკეტა, გამუდმებით სიკვდილზე ფიქრობდა და თავისთავს ეუბნებოდა: „თუკი ყველა კვდება, მეც მოვკვდები. როდესაც მოკვდები, მომიგონებენ თუ არა? დროთა განმავლობაში ყველაფერი დავიწყებას მიეცემა. ნუთუ სიკვდილის შემდეგ არ არსებობს სხვა ცხოვრება, სხვა სამყარო?“

ამ აზრებით შეპყრობილი და შეძრწუნებული იყო ყმაწვილი. მაგრამ მამას არაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ აღმზრდელს ეკითხებოდა, ნუთუ არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც ყველაფერზე პასუხს გასცემს და მის გონებას დაამშვიდებს?

აღმზრდელმა უპასუხა, რომ ყველა ბრძენი მეუღაბნოე მეფემ გააძევა და შესაძლოა, ისინი შეძლებდნენ მის შეკითხვებზე პასუხის გაცემას.

უფლისწული ღრმა მწუხარებაში იმყოფებოდა, სანამ უფალმა არ შეებრალა იგი. იმ დროს შორეულ უღაბნოში ცხოვრობდა ბრძენი ბერი ვარლამი, რომელსაც მღვდლის ხარისხი ჰქონდა. უფალმა შთააგონა მას, მწუხარე უფლისწულთან წასულიყო. ბერი ვაჭრის ტანსაცმელში გამოეწყო, ჩავიდა ინდოეთის დედაქალაქში და დაიწყო გამოკითხვა, თუ ვინ იყო ყველაზე ახლოს უფლისწულთან. მან შეიტყო ყმაწვილის დარდის შესახებ, აღმზრდელთან მივიდა და სთხოვა შეეშვათ მასთან. ის არწმუნებდა, რომ უძვირფასესი ქვა მიჰქონდა, რომლის მსგავსი ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა. ეს ქვა ბრმას თვალს უხელდა, ყრუს სმენას უბრუნებდა, მუნჯს ალაპარაკებდა, ავაღმყოფს კურნავდა და ყველანაირი სიკეთე მოჰქონდა თავისი პატრონისთვის. აღმზრდელმა იფიქრა, რომ

ამ ქვას შეეძლო ყმაწვილის დარდის გაქარწყლება და სთხოვა „ვაჭარს“, ერვენებინა განძი, რათა შემდეგ მიეყვანა ის იოასაფთან. ვარლაამმა უპასუხა, რომ მხოლოდ უცოდველ ადამიანებს შეეძლოთ განძის ბრწყინვალეებისთვის თვალის გასწორება. წინააღმდეგ შემთხვევაში განძი დააკარგვინებდა მნახველს მხედველობას და გონებას. აღმზრდელი დათანხმდა განძი პირდაპირ უფლისწულისთვის ერვენებინა და უამბო აღსაზრდელს ამის შესახებ.

როდესაც ვარლაამი უფლისწულთან შევიდა და ისინი პირისპირ დარჩნენ, ყმაწვილმა სთხოვა ერვენებინა მისთვის საოცარი ქვა.

— ბატონო, — უთხრა ვარლაამმა, — შევიტყვე შენი მწუხარების ამბავი, შემეცოდე და მოვედი, რათა დაგამშვიდო. გრძელი და მძიმე გზა გამოვიარე. ჩემმა მეუფემ თქვა, რომ კეთილი სიტყვა ჰგავს მარცვალს, რომელიც მთესველის ხელიდან შეიძლება ქვიან ნიადაგზე მოხვდეს და ქარმა წაიღოს, ან ღრმად არ ჩაითესოს და ამოსვლისთანავე დაიღუპოს, ან ღრმად გაიდგას ფესვები, აყვავდეს მსუყე თავთავებად და საუკეთესო ნაყოფი გამოიღოს... ო, ჩემო ბატონო, როგორ მსურს, რომ ჩემმა გულწრფელმა სიტყვამ შენს გულში შეაღწიოს, განაქარვოს შენი სულის მწუხარება და მისცეს მას შვება.

ყმაწვილი ანთებული თვალებით ისმენდა ამ სიტყვებს და უცებ წამოიძახა: — კეთილო ადამიანო, თქვი! გულს ცეცხლი მედება, ვიტანჯები, რადგან ვერავინ მაძლევს პასუხს იმაზე, რისი გამოთქმაც არ ძალმიძს. თუ შენ დამეხმარები, მე გულში ღრმად დავიმარხავ შენს სიტყვებს სიკვდილამდე, რადგან ჩემი მასწავლებლები მეუბნებიან, რომ მე აუცილებლად მოკვდები და გაქრება ყველაფერი, რაც ჩემშია.

– შენ დარდობ, უფლისწულო, შენ ოცნებობდი გეცხოვრა და გესუნთქა მუდამ და გყვარებოდა ის, რაც მარადიული და უზრუნველია... და როდესაც გაიგე, რომ ყველა ადამიანი მოკვდავია, რომ შენი სხეული გაიხრწნება, ყველაფერი დაინგრევა და გაქრება, შენ გულში დარდმა დაისადგურა – შენ დაგთრგუნა სიკვდილის ამ მრისხანე ბატონობამ. მაშინ იცოდე, ღამშიდღი – სიკვდილი დამარცხებულია.

უფლისწული შეკრთა, გასწორდა, გამოცოცხლდა, თვალებში ცეცხლი აღმასივით გაუბრწყინდა.

– ყველაფრის მეუფე და შემოქმედი მარადიული ღმერთია. მან ადამიანი ბედნიერებისთვის შექმნა და სამოთხეში დაასახლა, ენით უთქმელი სიტკბოების საოცარ ბაღში, რომელთან შედარებით შენი სამეფო ტყეები არაფერია. მაგრამ ადამიანი ღმერთის ნების წინააღმდეგ წავიდა, ურჩობით დაღუპა თავისი ბედნიერება, საკუთარ თავზე სიკვდილი მოიწია და სამოთხიდან გაძევებულ იქნა. ძე ღვთისამ, იესო ქრისტემ, ისევ გაულო ადამიანს სამოთხის კარი, შესაძლებლობა მისცა კვლავ მშობლიურ წიაღში დაბრუნდეს. მაგრამ, იმ ნეტარი, მარადიული ცხოვრების დაწყებამდე, ჩვენ ვცხოვრობთ წუთისოფელში, სადაც ეშმაკი და ჩვენი დაცემული ბუნება ცოდვისკენ გვიბიძგებენ, ქრისტეს მორწმუნე სული კი ებრძვის ცოდვას და უფლისკენ მიისწრაფვის.

იქ ყველაფერი მარადიული და ჭეშმარიტია, აქ კი ყველაფერი ხრწნადი და წარმავალია. არ შეიყვარო წუთისოფელი, მთელი შენი სიყვარული იქით მიმართე, სადაც მარადიულად უნდა იცხოვრო. შეიყვარე ქრისტე, რომელიც შენთვის განკაცდა, ევნო, აღდგა და აღადგინა შენი დაცემული სული.

იცოდე, იოასაფ, ამ წუთში ის შენს გვერდით დგას და გიკაკუნებს. მიეცი მას შენი გული. ის მიგიღებს და მოგცემს მარადიულ ბედნიერებას.

...გავიდა რამდენიმე დღე. ქალაქში ხმა დაირხა, რომ ვიღაც არაჩვეულებრივ ვაჭარს უფლისწულთან შეუღწევია და თავისი ფასდაუდებელი ქვით განუკურნავს ყმაწვილის ნალველი. ახლა უფლისწულის სინარული ისე დიდია, რომ იგი არავის არაფერს ეუბნება, მხოლოდ ვაჭართან საუბრობს განმარტობით.

უფლისწულის ცხოვრების აღწერაში დაწვრილებით არის მოთხრობილი, თუ როგორ მონათლა იგი მეუღაბნოე ვარლაამმა. ამის შემდეგ იოდასაფი შეიცვალა, სადად იცმევდა, ლოცულობდა, მარხულობდა.

მეფემ შეიტყო შვილის გაქრისტიანების შესახებ და გადაწყვიტა ებრძოლა, რათა მოებრუნებინა იგი.

მეფე შეეცადა სხვადასხვა საცდურით განეშორებინა შვილი ქრისტესგან. იმართებოდა დიდებული ნადიმები. მეფე ცდილობდა შვილის გულში ამქვეყნიური სიყვარული აენთო. მაგრამ მისი ცდა ამაო აღმოჩნდა... ყმაწვილის გულში ქრისტიანული განწყობა უფრო და უფრო იზრდებოდა.


მაშინ აბენესმა შეწყვიტა ბრძოლა. სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე, შვილის გავლენით, თვითონაც გაქრისტიანდა. მან თავისი სამეფო 25 წლის იოასაფს დაუტოვა.

იოასაფმა სამეფო ტახტი სხვას გადასცა, თვითონ კი შორეულ უდაბნოში წავიდა, სადაც თავის მოძღვარს — ვარლაამს შეხვდა. მან სამოცი წელი იცოცხლა. ერთ-ერთმა მეუღაბნოემ, რომელიც იოასაფის სიკვდილს დაესწრო,

დედაქალაქს შეატყობინა უფლისწულის გარდაცვალების შესახებ.

მაშინ უღაბნოში მეფე მივიდა დიდძალ ამაღასთან ერთად. მათ საფლავიდან იოასაფისა და ვარლაამის უხრწნელი წმიდანაწილები ამოაბრძანეს და დიდი პატივით დედაქალაქში წააბრძანეს. ისინი დააბრძანეს ტაძარში, რომელიც ოდესღაც თავად უფლისწულმა ააგო.

ღირსი ვარლაამის, ინდოეთის უფლისწულის – იოასაფის და მისი მამის – აბენესის ხსენება აღინიშნება 19 ნოემბერს.



დიდმოწამე ბარბარე
(სსენება 4 ღჳჳჳჳჳჳჳჳ)

მეოთხე საუკუნის დასაწყისში, რომის უსჯულო მეფის, მაქსიმილიანეს დროს, პალესტინის ჩრდილოეთით, ქალაქ ილიოპოლში, ცხოვრობდა ცნობილი წარმართი დიოსკორე, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა თავისი ქალიშვილი ბარბარე.

რადაც საოცარი იყო ამ გოგონაში, თავისი სილამაზით იგი მზესავით ანათებდა. მამამისს ეჩვენებოდა, რომ ადამიანები არ იყვნენ ღირსნი, ეხილათ ბარბარეს მშვენიერება. მან ააშენა ციხე-კოშკი დიდებული დარბაზებით და ბარბარე სანდო აღმზრდელთან ერთად იქ დაასახლა.

ადამიანებისა და ყოფითი ხმაურისაგან მოშორებით, ბარბარეს ცხოვრება მშვიდად მიედინებოდა. იგი არ იყო მდიდარი მოვლენებით, მაგრამ მასში უხვად იყო აზრები და გრძნობები.

ბარბარე ფანჯრიდან იყურებოდა და ფიქრობდა. რადაც უხილავი ძაფები იბმებოდა ამ უცოდველ სულსა და ბუნებას შორის, რომლის ცქერითაც ბარბარე ვერ ძღებოდა. ბუნებაში იგი სიცოცხლეს ჭვრეტდა. იგი ხელოვნების ან ლიტერატურის ნაწარმოებებით აღფრთოვანებულ ადამიანს ჰგავდა, რომელიც იწყებს ფიქრს ამ ნიმუშის ავტორზე, რომელმაც ასე მოხიბლა და რომელსაც სურს ამ ავტორის გაცნობა და მასთან საუბარი. ბარბარეც სულ უფრო და უფრო ინთებოდა სურვილით, გაეგო, ვინ მოიგონა და შექმნა ეს საოცარი და მომხიბვლელი სილამაზე.

ერთხელ ბარბარეს გული ბედნიერმა თრთოლვამ მოიცვა. ის ააღელვა მის წინ გადაშლილმა მინდვრებმა, ახლადამწვანებ-

ულმა ტყეებმა და ბაღებმა, ჰორიზონტზე აღმართულმა მთებმა და მდინარეებმა, რომლებიც თეთრი ბაფთებივით კვეთდნენ მიწის ზედაპირს. გოგონამ თავის აღმზრდელს ჰკითხა:

– ვისმა ხელმა შექმნა ყოველივე ეს?

– ღმერთებმა შექმნეს ეს ყოველივე, – უპასუხა აღმზრდელმა.

– რომელმა ღმერთებმა?

– ოქროს, ვერცხლისა და ხის ღმერთებმა, რომლებსაც მამაშენი ეთაყვანება და რომლებიც მის სასახლეში დგანან.

თავისი სხარტი და ღრმა გონებით ბარბარემ აღმზრდელის პასუხის გაანალიზება დაიწყო.

– ღმერთები, რომლებსაც მამაჩემი ეთაყვანება, ადამიანის ხელითაა გაკეთებული, სხვადასხვა ხელოსნების მიერ: ოქროსი და ვერცხლის კერპები ოქრომჭედელმა შექმნა, ქვის – ქვისმთელელმა, ხის – დურგალმა... ადამიანის მიერ შექმნილმა ღმერთებმა, რომლებიც თვითონ ვერ ინძრევიან, ვერ დადიან, ხელს ვერ სწევენ, როგორ შეძლეს ამ ნათელი ცისა და ლამაზი დედამიწის შექმნა?

ბარბარე დაღონებული იჯდა. მან ვერ მიიღო პასუხი კითხვებზე, რომელიც მას ადელვებდა. მისი სული დაუკმაყოფილებელ წყურვილს გრძნობდა. გონება ფიქრობდა, ეძებდა, ცდილობდა საიდუმლოში შეღწევას.

ერთ საღამოს, როდესაც აღმზრდელმა ბარბარე დააწვინა და ოთახიდან გავიდა, გოგონას არ ეძინებოდა... კითხვები, რომლებიც მას აწუხებდა, ამ საღამოს განსაკუთრებული სიძლიერით მოეძალა. მას ეჩვენებოდა, რომ შექმნილი სამყაროს მიღმა შემოქმედს გრძნობდა. გოგონა საწოლიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა.

ციდან მთვარე ვერცხლისფერ ნათელს აფრქვევდა, ლურჯად მოჩანდა მთები, ბრწყინავდა მდინარე. ამ ჩუმ და იღუმალ ქვეყანას ვილაც დიდებული იცავდა... ბარბარემ თვალები ცისკენ ალაპყრო.

ცაზე, რომელიც ლურჯი უფსკრულივით დამხობოდა მიწას, ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ღამის ამ იღუმალ სიჩუმეში ბარბარეს სული ისე ძლიერ ნაღვლობდა ღმერთზე, რომ უფალმა ეს ნაღველი ლოცვად მიიღო და გამოეცხადა ამ უმწიკვლო სულს.

უეცრად ბარბარეს გულში ღვთიური მადლი ჩაიდვარა. მას სულიერი თვალი აეხილა და გოგონამ უხილავი, მიუწვდომელი, იღუმალი ღმერთი შეიცნო. — ღმერთი ერთია, — თავისთავს უთხრა ბარბარემ, ის ადამიანის ხელს არ შეუქმნია, ის თავადაა ცოცხალი და თავადვე შექმნა ყოველივე. მან გადაფინა ცა, განამტკიცა დედამიწა, ის ერთი უგზავნის დედამიწას მზის სხივებს, მთვარის ნათებას, ვარსკვლავების ბრწყინვალეობას. ის ამშვენებს მიწას ხეებით, ყველაფერს სიცოცხლეს ანიჭებს და ყველაფერს განაგებს.

არავინ მისულა ბარბარესთან, არავის უსწავლებია მისთვის ჭეშმარიტი სარწმუნოება. სულიწმიდა შინაგანი შთაგონებით, უხილავად ასწავლიდა ბარბარეს და ამტკიცებდა მას ჭეშმარიტების შეცნობაში.

ასე მარტო ცხოვრობდა ბარბარე თავის კოშკში. არაფერი ამქვეყნიური მას არ იზიდავდა. მან უარყო წუთისოფელი ჯერ კიდევ მასთან შეხებამდე. ბარბარეს არ აინტერესებდა ლამაზი ტანსაცმელი, ოქრო, მარგალიტი და სხვა სამკაულები — ყველაფერი ეს მისთვის უცხო იყო, ის არ ფიქრობდა ქორწინება-

ზე. ერთი განუყოფელი სიყვარული ავსებდა მის გულს – სიყვარული უფლისა.

ერთხელ ბარბარეს მამა სამოგზაუროდ წავიდა და გოგონას კოშკიდან გამოსვლის საშუალება მიეცა. მან გაიცნო ქრისტიანი ქალწულები, დაუმეგობრდა მათ და დაწვრილებით გამოჰკითხა ქრისტიანული მოძღვრება. მალე ქალაქ ილიოპოლში ქრისტიანი ეპისკოპოსი ჩამოვიდა. მან დამოძღვრა ბარბარე, განამტკიცა ქრისტიანულ სწავლებაში და შემდეგ მონათლა.

დიდმოწამე ბარბარეს ცხოვრების აღწერაში მოთხრობილია ასეთი ამბავი. მათ მამულში დამხმარე ნაგებობას აგებდნენ, რომელიც დიოსკორეს ბრძანებით ორფანჯრიანი უნდა ყოფილიყო. გოგონამ ისარგებლა მამის არყოფნით და ყოვლადწმიდა სამების სადიდებლად აბანოსთვის სამი ფანჯარა გააკეთებინა.

ერთხელ წმინდანი შენობასთან მივიდა და მარმარილოს კედელზე თითოთ ჯვარი გამოსახა. ეს ანაბეჭდი ქვაზე ისე მკაფიოდ დარჩა, თითქოს რკინით იყო ამოკვეთილი.

როდესაც დიოსკორე დაბრუნდა, ბარბარემ, რომელიც აქამდე უმაღლავდა მას თავის სარწმუნოებას, ახლა ღიად აღიარა თავი ქრისტიანად. განრისხებული დიოსკორე შვილს გამოეკიდა, უკვე ეწეოდა გაქცეულ უმწიკვლო ტარიგს, რომ გზა მთამ გადაუღობა. გოგონა მღვიმეში დაიმალა.

დიოსკორემ ერთი მწყემსის დახმარებით შვილის თავშესაფარი მოძებნა, გოგონას უმოწყალოდ სცემა და ბოლოს საწამებლად მმართველს გადასცა. ქალწულს ხარის ძარღვებით მანამ სცემდნენ, სანამ მისი სხეული სულმთლად სისხლით არ დაიფარა. შემდეგ დროებით საპყრობილეში ჩაკეტეს.

საკყრობილეში მოწამეს გამოეცხადა მეუფე დიდებისა. — შემართებით იყავი, — ეუბნებოდა მას ქრისტე, — მე შენთან ვარ, გიცავ, შენს ღვაწლს ვუმზერ, ტანჯვას გამსუბუქებ და ჩემს ზეციურ სასუფეველში მარადიული დიდებისათვის გამზადებ. ბოლომდე დაითმინე, რათა ჩემს სამეფოში მარადიული სიხარულით დატკბე.

იმწამსვე ქრისტემ თავისი მოწამე განკურნა, ისე რომ საშინელი წამების კვალიც კი არ დარჩენია.

ამის შემდეგ ბარბარე კიდევ უფრო სასტიკად აწამეს და თავის მოკვება მიუსაჯეს. მისმა გულქვა მამამ სურვილი გამოთქვა, თავად მოეკვეტა მისთვის თავი.

სასჯელის ადგილისკენ მიმავალი დიდმოწამე ხელაპყრობილი ლოცულობდა:


„დაუსაბამო ღმერთო, რომელმაც შექმენი ცა და დედამიწა, რომლის ბრძანებით მზე ერთნაირად უნათებს კეთილსაც და ბოროტსაც, რომელიც ერთნაირად უგზავნი წვიმას მართალსაც და მტყუანსაც, შეისმინე შენი მხევლის ვედრება, მეუფეო, გარდმოუვლინე შენი მაღლი ყველას, ვინც მომიხსენებს მე და ჩემს მოწამეობას, იხსენ ისინი ავადმყოფობისა და უეცარი სიკვდილისაგან...“

ამ ლოცვის პასუხად ციდან გაისმა ხმა, რომელმაც დიდმოწამეს თხოვნის შესრულება აღუთქვა. დანიშნულ ადგილზე მისულმა ბარბარემ მორჩილად დახარა თავი ხმლის წინაშე. მას თავი საკუთარმა მამამ მოჰკვეტა.

საბერძნეთიდან, სადაც დიდმოწამის წმიდა ნაწილები თავდაპირველად განისვენებდა, ისინი დიდი მთავრის, მიქაელ

სვიატოპოლკის პირველმა მეუღლემ, ბერძენთა მეფის ასულმა ბარბარემ რუსეთში გადაასვენა.

დიდმა მთავარმა კიევში მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ქვის ტაძარი ააშენა და იქ დიდი პატივით დაასვენა დიდმოწამე ბარბარეს წმიდა ნაწილები.



წმიდა იოანე დამასკელის მასწავლებელი
(**წმიდა იოანეს მკლესია იხსენიებს 4 დეკემბერს**)

დამასკო, სირიის მდიდარი სავაჭრო ქალაქი, მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიგს მიეკუთვნება. იგი მშვენიერ, ნაყოფიერ ველზეა განლაგებული. აქ 680 წელს, ერთ-ერთ ცნობილ ოჯახში დაიბადა წმიდა იოანე დამასკელი. მან სახელი გაითქვა მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვით, ხატთა თაყვანისცემის ქომავლობით, საეკლესიო საგალობლებით, უფლისადმი სწრაფვით.

იოანეს ბავშვობა დამასკოსათვის მძიმე წლებს დაემთხვა. ქვეყანა არაბებმა დაიპყრეს. ქრისტიანებს ან კლავდნენ, ან მონებად ჰყიდდნენ. უფალმა იოანეს მშობლები უვნებლად დაიფარა. არაბები იოანეს მამას პატივს სცემდნენ. მას არა მარტონება დართეს, ელიარებინა ქრისტე და დაუფარავად ედიდებინა იგი, არამედ ქალაქის მსაჯულად და მშენებლობების უფროსადაც დანიშნეს. თავის შემოსავალს იგი ტყვეთა გათავისუფლებას და გაჭირვებულთათვის შეწევნას ახმარდა.

მშობლებმა ადრეულ ასაკში დაიწყეს შვილის სულიერი აღზრდა. მათ სურდათ შვილში განსაკუთრებით განევითარებინათ თავმდაბლობა, მორჩილება და ღვთის შიში.

იოანეს მშობლები მხურვალედ ლოცულობდნენ, რათა დმერთს მათთვის ბრძენი, ღვთისმოსავი მოძღვარი გამოეგზავნა. უფალმა მათი ლოცვა შეისმინა. დამასკელი ყაჩაღები ხშირად თავს ესხმოდნენ მეზობელ ქვეყნებს და იქიდან ქრისტიანი ტყვეები ჩამოჰყავდათ. ამ ტყვეებს შორის იყო წარმოშობით იტალიელი, სათნო და მშვენიერი სულის ადამიანი, მონაზონი კოზმა. ის ბაზარში გასაყიდად გაიყვანეს. ბერი ტიროდა. იქვე

იოანეს მამა იმყოფებოდა, მან დაამშვიდა იგი: „ნუ ტირი, ღვთის კაცო, შენ ხომ დიდი ხნის წინ უარყავი წუთისოფელი და მკვდარი ხარ მისთვის“.

— განა ამ წუთისოფლის დაკარგვის გამო ვტირი, — უპასუხა ტყვემ, — ამქვეყნიური არაფერი მიზიდავს, რადგან არსებობს სხვა, უკეთესი ცხოვრება. მატირებს ის, რომ ცხოვრებას უშვილოდ, უმემკვიდროდ ვტოვებ.

— რატომ სწუხხარ ბავშვის გამო?

— მე ხორციელ შვილზე არ გეუბნები, არამედ სულიერ მემკვიდრეზე. მე ერთი ღარიბი ვარ, მაგრამ სიბრძნის სიმდიდრეა ჩემში, რომელიც ახალგაზრდობიდანვე ღვაგროვე. უფლის შეწევნით სხვადახვა მეცნიერება შევისწავლე და არ მინდა, ჩემი ცოდნა უქმად დაიკარგოს.

იოანეს მამამ ბერი დაამშვიდა, გამოისყიდა და სახლში წაიყვანა.

— მამაო, — უთხრა მას, როცა სახლში მივიდნენ, — იყავი ამ სახლში ბატონი, ჩემი სიხარული და მწუხარება გაიზიარე. ღმერთმა ერთბაშად თავისუფლებაც გაჩუქა და სურვილიც შეგისრულა. მე ორი შვილი მყავს. უფროსი იოანე და შვილობილი — კოზმა. გევედრები, ასწავლე მათ სიბრძნე, კეთილი ზნე-ჩვეულება და დააყენე ისინი სწორ გზაზე, გახადე შენ სულიერ შვილებად და იმ სულიერი სიმდიდრის მემკვიდრეებად, რომელიც არავისთვის გადაგიცია.


ბერი კოზმა იოანეს მამის სახლში დასახლდა და გულმოდგინედ შეუდგა ყრმების აღზრდას. განსაკუთრებით წარმატებით სწავლობდა იოანე, რომელიც თავის ნიჭიერებით მასწავლებელსაც კი აოცებდა. ხეების მსგავსად, რომლებიც ზაფხ-

ულობით ნაყოფით დახუნძლულნი მიწისაკენ იხრებიან, იოანე იყო თავმდაბალი და მშვიდი. მისი სული მუდამ ბრწყინავდა უფლის წინაშე.

და აი ერთხელ ბერმა კოზმამ იოანეს მამას უთხრა: „შენი სურვილი შესრულებულია. შენმა ბიჭებმა იციან ყველაფერი, რაც მე ვიცი. ახლა მათ თავად შეუძლიათ სხვას ასწავლონ. მე კი გამიშვი მონასტერში, იქ მე სულიერ ცხოვრებას ჩავუღრმავებ“.

იოანეს მამამ ბერი უხვად დაასაჩუქრა და გაუშვა. იგი იერუსალიმიდან თორმეტი ვერსით მოშორებულ ღირსი საბას ლავრაში წავიდა.

მალე იოანეს მამა გარდაიცვალა. არაბეთის მთავარმა იოანეს პირველი მრჩევლის ადგილი შესთავაზა. იოანეს გავლენა კიდევ უფრო დიდი გახდა დამასკოში, ვიდრე მამამისისა იყო. იოანე დამასკელმა სახელი გაითქვა მონაზვნური ღვაწლით, სარწმუნოებრივი სწავლებებით, შთაგონებული საგალობლებით, რომლებიც დღემდე სრულდება ღვთისმსახურების დროს, და იმ უდრეკი სიმტკიცით, რომლითაც ის ერეტიკოსებს ებრძოდა...



მირონლუპიის მთავარეპისკოპოსის, ფმიდა ნიკოლოზ
საკვირველთმოქმედის ბავშვობა
(ხსენება 6 დეკემბერს)

კითხვაზე, ვინ არის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი წმინდანი და ვის მიმართავენ ადამიანები ყველაზე ხშირად თხოვნით, პასუხი ერთსულოვანია: წმიდა ნიკოლოზი.

ამ წმინდანს პატივს მიაგებენ არა მარტო ქრისტიანები, არამედ წარმართებიც და მუსლიმანებიც. კარგად იცნობენ მის მაღალ შუბლს შორეულ ჩრდილოეთში მცხოვრები ესკიმოსელებიც და შუა აზიის მკვიდრი ყირგიზებიც.

იშვიათია მორწმუნე ადამიანი ან მართლმადიდებელი ოჯახი, რომელსაც საკუთარ თავზე არ გამოუცდია აშკარა და სწრაფი შეწევნა ამ საოცარი წმინდანისა.

წმიდა ნიკოლოზი დაიბადა ახლანდელ ანტალიაში მდებარე სავაჭრო ქალაქ პათარში. მისი მშობლები იყვნენ თეოფანე და ნონა — ღვთისმოსავი, ცნობილი და მდიდარი ხალხი. გადმოცემით ცნობილია, რომ მათ დიდხანს არ ჰყავდათ შვილი, მაგრამ ბოლოს ლოცვით, ცრემლითა და მოწყალებით გამოსთხოვეს ღმერთს შვილი და ნიკოლოზი დაარქვეს.

მის დაბადებას არაჩვეულებრივი გარემოება დაერთო — დედა მშობიარობისთანავე გამოჯანმრთელდა. მას მეტი შვილი აღარ ჰყოლია; ასეთი დიდი ადამიანი მშობლების პირველი და უკანასკნელი შვილი უნდა ყოფილიყო.

დადგა დრო, როცა ყმაწვილს წმიდა წერილი უნდა ესწავლა. მან ყველა გააოცა თავისი მახვილი გონებით და საოცრად ჩქარა აითვისა წიგნის სიბრძნე. ის თავს არიდებდა უსაგნო, უქმ საუბრებს, უბიწოებას იმარხავდა და სუფთა გონებით ჭვრეტ-

და ღმერთს. მისთვის ყველაზე საყვარელი ადგილსამყოფელი ტაძარი იყო, მთელ დღეებსა და ღამეებს იქ ატარებდა და მადლიერების გრძნობით იწვოდა.

მომავალი წმინდანის ბიძა, ასევე ნიკოლოზი, ქალაქ პათარის ეპისკოპოსი იყო. ის ხედავდა ყმაწვილის სულიერ ცხოვრებას და მშობლებს ურჩევდა, შვილის ნიჭი უფლისათვის მიეძღვნათ. მშობლები დათანხმდნენ. ბიძამ ნიკოლოზი მღვდლად აკურთხა. ხელდასხმის შემდეგ ეპისკოპოსმა წინასწარმეტყველური სიტყვებით მიმართა ტაძარში მყოფ ხალხს:

— ძმებო, მე ვხედავ ახალ მზეს, რომელიც ამოდის, ის იქნება ნუგეში მწუხარეთათვის. ნეტარია ის სამწყსო, რომელსაც ასეთი მწყემსი ეყოლება. ის დაიფარავს გზასაცდენილ სულებს და გულმოდგინე შემწე იქნება ჭირსა და მწუხარებაში.

წმინდანის შემდგომი ცხოვრება სწორედ ამ წინასწარმეტყველების აღსრულება იყო.

წმიდა ნიკოლოზმა არა ერთი სასწაული აღასრულა ბავშვების დასახმარებლად. ერთი ღვთისმოსავი კაცი წმიდა ნიკოლოზს გულმოდგინე ლოცვით ევედრებოდა, შესწეოდა მის უშვილობას, თვითონ კი წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს ოქროს ჭურჭლის შეწირვას ჰპირდებოდა. წმინდანი შეეწია ამ კაცს და მას ვაჟი ეყოლა. როდესაც ტაძრისთვის შეპირებული ჭურჭელი გაამზადა, კაცს ისე მოეწონა იგი, რომ მეორე შეუკვეთა ტაძრისთვის, პირველი კი თვითონ დაიტოვა.

როცა მეორე ჭურჭელი მზად იყო, კაცი ზღვით გაემართა წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრისკენ, თან თავისი შვილი წაიყვანა და ორივე ჭურჭელი წაიღო. ცურვის დროს მამამ ბავშვს უბრძანა, პირველი ჭურჭლით წყალი ამოეღო. ბავშვი

წყლისკენ დაიხარა, ჭურჭლიანად ზღვის მორევში ჩავარდა და დაიხრჩო.

მამა ცრემლებს ღვრიდა უდროოდ დაკარგული შვილის გამო. მან მარტო გააგრძელა გზა, რათა წმინდანისთვის მიცემული პირობა შეესრულებინა.

ტაძარში მისულმა, მან ჭურჭელი წმიდა ნიკოლოზის ხატის წინ დადო, მაგრამ რაღაც ძალამ ჭურჭელი ტაძრის შუაგულში გადააგდო. მაშინ მან ჭურჭელი მეორედ დადო ხატთან და ისევ იგივე განმეორდა. ყველა იქ მყოფი გაოცდა, მათ ვერ გაიგეს, რა ხდებოდა.

უცებ ტაძრის შუაგულში ჭურჭლით ხელში პატარა ბიჭი გამოჩნდა. მან უამბო იქ მყოფთ, რომ წმიდა ნიკოლოზმა გადაარჩინა იგი. მამამ ორივე ჭურჭელი ტაძარს შესწირა და შვილთან ერთად შინ მშვიდობით დაბრუნდა.

ასეთივე საკვირველი იყო ტყვეობიდან გათავისუფლებული სირიელი ბიჭის, ბასილის ამბავი.

სირიაში ცხოვრობდა მდიდარი და ღვთისმოსავი კაცი, აგრიკი. იგი დიდ პატივს სცემდა წმიდა ნიკოლოზს და ჩვეულებად ჰქონდა, წმინდანის ხსენების დღეს ჯერ მისი სახელობის ტაძარში წასულიყო, შემდეგ კი დიდი ტრაპეზობა მოეწყო ნათესავებისა და ღატაკებისთვის.

ერთხელ, წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, აგრიკის ვაჟი, 16 წლის ბასილი ტაძარში იმყოფებოდა, მშობლები კი იმ დროს სახლში იყვნენ. ტაძარს არაბები დაესხნენ თავს, ბევრი ტყვედ წაიყვანეს, მათ შორის ბასილიც. იგი მოხდა კუნძულ კრეტაზე, სადაც მთავარმა, მისი სილამაზის გამო, ის თავის მერიქიფედ დააყენა.

ბასილის მშობლები სამი წლის განმავლობაში სასტიკ დარდსა და უიმედობაში იყვნენ და წმიდა ნიკოლოზის დღესასწაულს აღარ აღნიშნავდნენ.

როგორც იქნა, წმინდანის ხსოვნის წინა დღეს, აგრიკმა უთხრა ცოლს: „ჩვენმა უბედურებამ დიდი წმინდანი სულ დაგვაკვიწყა. ხვალ ტაძარში მივართვათ მას ზეთი, სანთლები, საკმეველი. იქნებ დაგვეხმაროს: დაგვიბრუნოს შვილი, ან მიგვანიშნოს, ცოცხალია იგი თუ არა“.

ისინი ტაძარში წავიდნენ. სახლში დაბრუნებულებმა კი, ჩვეულებისამებრ ახლობლებისა და ღარიბებისთვის ტრაპეზი გაშალეს.

ტრაპეზის დროს ეზოში ძაღლებმა დაიწყეს ყეფა. აგრიკმა ამბის გასაგებად მსახურები გაგზავნა. მათ ვერაფერი ნახეს და დაბრუნდნენ. ყეფა გაძლიერდა. აგრიკი თითონ გავიდა ეზოში. მის წინ არაბულ სამოსში გამოწყობილი ბიჭი იდგა, მას ხელში ღვინის ჭურჭელი ეკავა. აგრიკი ჯერ შეშინდა, მაგრამ შემდეგ თავისი შვილი იცნო და სიხარულით წამოიყვინა: „ნუთუ ეს მართლა შენ ხარ, შვილო?“

– დიახ, მამა, ეს მე ვარ, – უპასუხა ყმაწვილმა, – მაგრამ არ ვიცი აქ საიდან გავჩნდი. სწორედ ახლა არაბ მთავარს ვემსახურებოდი, ამ ჭურჭლიდან თასში ღვინოს ვუსხამდი. უეცრად ვიღაც ძლიერმა ხელი მტაცა და ქარიშხალივით აქ გადმომიყვანა. მე მასში წმიდა ნიკოლოზი შევიცანი.

სოლომონ დიდის შემდეგ სერბეთის მეოთხე მეფე იყო ილუტინი. მისი ძე, სტიფანე ბავშვობიდანვე ღვთისმოსიში, მშვიდი, თავმდაბალი და სხვების თანამგრძნობი ადამიანი იყო.

დედინაცვალს სტეფანე არ უყვარდა. მან ქმართან ცილი დასწამა ბიჭს და მამამაც, რომელსაც მანამდე ძალიან უყვარდა შვილი, შეიძულა იგი.

ბოროტმა დედინაცვალმა უბედური მამა დაითანხმა შვილი დაებრძავებინა, რაც წმიდა ნიკოლოზის ტაძრის სიახლოვეს მოხდა.

დიდხანს იწვა სტეფანე საშინელ ტანჯვაში, ბოლოს ბურანში ჩავარდა. მის წინ წმიდა ნიკოლოზი წარსდგა, მას ხელში ყმაწვილის თვალები ეკავა. წმინდანმა უთხრა: „ნუ გეშინია, სტეფანე, შენი თვალები ჩემს ხელშია“. გაღვიძებულმა სტეფანემ იგრძნო, რომ თვალის ტკივილმა საგრძნობლად უკლო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ დამახინჯებული ყმაწვილი კონსტანტინოპოლში, პანტოკრატორის მონასტერში გაგზავნა.

უფლისწულმა მონასტერში ხუთი წელი გაატარა. მეექვსე წელს, წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს, იგი სხვა მონაზვნებთან ერთად დილის მსახურებაზე ტაძარში წავიდა. იქ წმინდანის ცხოვრებისა და მისი სასწაულების შესახებ ისმენდა და უცებ ჩასთვლიმა. ძილში სტეფანემ წმიდა ნიკოლოზი იხილა, რომელმაც ჰკითხა: „გახსოვს, რა გითხარი ხუთი წლის წინ?“

სტეფანემ უთხრა, რომ აღარ ახსოვს. მაშინ სასწაულთმოქმედმა შეახსენა: „მე გითხარი, რომ შენი თვალები ჩემს ხელთ იყო. ახლა გამომგზავნეს, რომ თვალისჩინი დაგიბრუნო“. წმინდანმა სტეფანე დალოცა, მის ჩამქრალ თვალებს ხელი შეახო და თქვა: „უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელმაც ბრძალობილი განკურნა, მხედველობას გიბრუნებს შენ“.

მღვდელმთავარი ამბროსი მელიქანელი
(სსენება 7 ლექსებში)

წმიდა ამბროსის ბავშვობას უცნაური გარემოებები სდევდა თან. იგი დაიბადა დაახლოებით 304 წელს ქალაქ ტირში, სადაც ცხოვრობდნენ მისი მშობლები. მამამისს დიდი თანამდებობა ეკავა, ის იყო გალიისა და სხვა დასავლეთ ოლქების მმართველი, მის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა თანამედროვე საფრანგეთისა და ბელგიის ტერიტორიები, ნიდერლანდების ნაწილი, გერმანიის ნაწილი, შვეიცარიის დიდი ნაწილი და ასევე ესპანეთი.

თავისი ცხოვრებით, თავისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებით წმიდა ამბროსი კვებავდა მორწმუნეებს და ქრისტიანებს უტკბესი ნუგეში მოუტანა. ამის წინასწარმეტყველება იყო მის ბავშვობაში მომხდარი ასეთი ამბავი.

ერთხელ ჩვილ ამბროსის სუფთა ჰაერზე ეძინა. უცებ მასთან ფუტკრების გუნდი მოფრინდა, დაასხდა მას სახეზე და მთლიანად დაუფარა იგი. ფუტკრები პირში უძვრებოდნენ ბავშვს და მის ენაზე, როგორც სკაში, დებდნენ თაფლს.

შეშინებულ ძიძას ფუტკრების გაფანტვა სურდა, მაგრამ ბავშვის მამამ, რომელიც ამ ამბავს აკვირდებოდა, ძიძა შეაჩერა. მას სურდა ენახა, რითი დამთავრდებოდა ეს სასწაული. მალე ფუტკრები ზემოთ აფრინდნენ და თვალს მიეფარნენ. მამა მიხვდა, რომ მის ვაჟს დიდებული მომავალი ელოდა.

დღემდე რომში, კაპიტოლიუმის ბორცვთან ახლოს დგას სახლი, სადაც ცხოვრობდა და იზრდებოდა ამბროსი. ეს სახლი შემდეგ ტაძრად გადაკეთდა და იქ მისი სახელობის დედათა მონასტერი დაარსდა.

რომში ამბროსიმ, მისმა უფროსმა ძმამ – სატირმა და დამ, მარცელინამ, რომელიც შემდგომში მონაზონი გახდა, ბრწყინვალე განათლება მიიღეს.

ამბროსი სულგრძელი ადამიანი იყო, სულ მცირე უსამართლობაც კი მას მეტად აღელვებდა, ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს იყო. ის იმ გზას დაადგა, საითაც მისი გული იხრებოდა. მისი ბაგეები წმიდა მჭევრმეტყველებით ენთო, სიტყვები სულიწმიდით იყო შთაგონებული.

ამბროსი სასამართლოში მუშაობდა. იგი დაჩაგრულებს იცავდა, ამხელდა ამპარტავანი და ძლიერი ხალხის ბოროტმოქმედებს, სიმართლეს არკვევდა. მამის მსგავსად მას ელოდა ბრწყინვალე ცხოვრებისეული და სამსახურობრივი გზა.

ამბროსი რომის ორი ოლქის გამგებლად დანიშნეს. ეს ოლქები მოიცავდა თანამედროვე საფრანგეთის მხარესა და თანამედროვე იტალიის ჩრდილო ნაწილებს.

მოულოდნელად მისი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა.


დიდ სავაჭრო ქალაქში, მედიოლანში, სადაც ყვაოდა მეცნიერება და ხელოვნება, გარდაიცვალა არიანელი ეპისკოპოსი. დაიწყო არეულობა, რადგან არიანელებსაც და მართლმადიდებლებსაც სურდათ თავიანთი წარმომადგენელი ეხილათ ეპისკოპოსის ტახტზე. ამბროსის დაევალა ჩასულიყო მედიოლანში და ატეხილი მღელვარება დაემშვიდებინა.

წმინდანი ქალაქში ჩავიდა, შევიდა ტაძარში, სადაც არჩევნები ტარდებოდა და მოჩხუბრების შერიგება სცადა. უცებ ტაძარში სიჩუმე ჩამოვარდა და ამ დროს გაისმა ჩვილი ბავშვის ხმა, რომელსაც ჯერ არც ერთი სიტყვა არ წარმოეთქვა აქამდე: „ამბროსი ეპისკოპოსი, ამბროსი ეპისკოპოსი!“

ამ სასწაულმა ყველას გონება გაუნათა და ხალხიც აჰყვა ბავშვის ხმას. ყველა იძახდა: „ამბროსი ეპისკოპოსი, ამბროსი ეპისკოპოსი!“

ამბროსი უარზე იყო, იმ დროს იგი მონათლულიც არ იყო (ძველ ეკლესიაში ნათლობას ხშირად სრულწლოვანებამდე აყოვნებდნენ). ხალხი მაინც მოთხოვნას განაგრძობდა. წმინდანი ჩუმად გავიდა, მაგრამ ძალით დააბრუნეს. ამბროსიმ კვლავ მოახერხა გაქცევა და თავი ერთი წარჩინებულის მამულს შეაფარა. ხალხმა დახმარებისთვის მეფეს მიმართა. რომიდან მეფის ბრძანება მოვიდა, რომ ამბროსი ეპისკოპოსად ეკურთხებინათ. მაშინ წარჩინებულმა ამბროსის ადგილსამყოფელი განაცხადა და ის მედიოლანში ხალხთან მიიყვანა.

ამბროსი მართლმადიდებელი ეპისკოპოსისაგან მონათლა. შვიდი დღის განმავლობაში ყველა საეკლესიო ხარისხი გაიარა და მერვე დღეს ეპისკოპოსად დაასხეს ხელი. ასეთი გზა გაიარა საეკლესიო მსახურების უმაღლეს ხარისხამდე ღვთის რჩეულმა მონამ.



ღირსი დანიელ მესემპტის ახალგაზრდობა
(სსმნება 11 ლექსებზე)

მესოპოტამიაში, ქვეყანაში რომელიც მდინარე ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარეობს, ერთ-ერთ დასახლებაში, ილიასა და მართას ქრისტიანულ ოჯახში, დაიბადა დიდი მოღვაწე — დანიელ მესემპტე.

მართას დიდი ხანი არ ჰყავდა შვილი, რის გამოც ქმრის საყვედურებსა და ნათესავების დაცინვას ითმენდა.

ერთ დღეს ქალმა განსაკუთრებით ბევრი საყვედური მიიღო. ის ღამით დიდხანს და ჩუმად ტიროდა, შემდეგ გარეთ გავიდა, ხელები ცისკენ ადაპყრო და ლოცვა წარმოთქვა:

„უფალო, მეუფეო ჩვენო, შენ შეჰქმენი ცოლი და ქმარი და უთხარი მათ: „აღორძნდით და განმრავლდით“. ბერწ დედებს აჩუქე შვილები: სარას — ისააკი, ანას — სამოელი, ელისაბედს — იოანე. შეეწიე ჩემს უშვილობასაც, მომეცი ძე, რათა მოგიძღვნა შენ, როგორც ანამ — სამოელი“.

იმავე ღამეს მართამ სიზმარში ორი დიდი მნათობი იხილა, რომლებიც ციდან მისკენ დაეშვნენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ვაჟი, რომელიც მას ეყოლებოდა, თავისი სათნოებებით ვარსკვლავებზე მეტად გაბრწყინდებოდა.

მართას ვაჟი შეეძინა და როდესაც ბავშვი ხუთი წლის გახდა, მონასტერში წაიყვანეს. მონასტრის იღუმენმა ყრმას უთხრა, ტრაპეზთან დალაგებული წიგნებიდან ერთ-ერთი მოეტანა. ბიჭმა წინასწარმეტყველ დანიელის წიგნი მოიტანა. იღუმენმა მას დანიელი დაარქვა. ღვთისმოსავ მშობლებს, რომლებსაც შვილი დაბადებამდე უფლისთვის ჰყავდათ მიძღვნილი, მისი მონასტერში დატოვება სურდათ, მაგრამ იღუმენმა ჩათვ-

ალა, რომ დანიელი ამისთვის პატარა იყო. ისინი შინ დაბრუნდნენ იმ გადაწყვეტილებით, რომ ბავშვი წამოიზრდებოდა და თავად გადაწყვეტდა თავის მომავალ გზას.

აი დანიელი თორმეტი წლის გახდა... მისთვის უცხოა წუთისოფელი, მას არ იტაცებს თანატოლებთან თამაში, არც ამქვეყნიურ საქმეებზე საუბარი. მას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს: სიმშვიდე, რათა არაფერმა მოსწყვიტოს ღმერთთან ურთიერთობას, რათა მისი ლოცვა უწყვეტად აღემართოს ზეცისკენ, რათა მისმა ბაგეებმა შეუჩერებლად იმეოროს ქრისტეს სახელი. დანიელს განმარტოება სურდა. მას ეშინოდა, რომ ნათესავები და ახლობლები წინ აღუდგებოდნენ მის მონაზვნობას, ამიტომაც სახლიდან ჩუმად გაიპარა და ახლომდებარე მონასტერში მივიდა. ყმაწვილი მუხლმოდრეკილი ევეღრებოდა ილუმენს, მიელო იგი ძმობის რიცხვში და აღეკვეცა. ილუმენი პირველად ხედავდა ადამიანს, რომელსაც ასეთ ადრეულ ასაკში სურდა მონაზვნობა. იგი ურჩევდა ბიჭს სახლში დაბრუნებულყო, თავისი გადაწყვეტილება გადაემოწმებინა და, როდესაც წამოიზრდებოდა, მერე მისულიყო მონასტერში.

ისე დიდი იყო ყმაწვილის სურვილი მონასტერში დარჩენისა და მოღვაწეობისა, რომ ილუმენის შეგონებამ ვერ აიძულა გადაწყვეტილების შეცვლა.

ბერმა ყმაწვილის სიმტკიცე დაინახა, იგრძნო მასში მოწოდება, რჩევისთვის მონასტრის ძმებს უხმო და ჰკითხა: შეიძლებოდა თუ არა ასეთი მცირეწლოვანი მოზარდის მიღება. სამმო დათანხმდა.

დანიელისთვის ნეტარი ცხოვრება დადგა — მიწიერი ცხოვრების ხმა მონასტრამდე ვერ აღწევდა. ღღეში რამდენჯერ-

მე, ხან ტაძარში და ხან ეკლესიაში, იღვა და ლოცულობდა. მისი სული ანთებული სანთელივით იწვოდა. წუთისოფელს მოშორებული, იგი თავს ბედნიერად გრძნობდა.

ამასობაში მშობლებმა შეიტყვეს შვილის ადგილსამყოფელი, მონასტერში მივიდნენ და წინამძღვარს სთხოვეს დანიელი მონაზვნად აღეკვეცა. წინამძღვარი დათანხმდა, თან მშობლებს სთხოვა, დანიელთან ხშირად არ მოსულიყვნენ და არ მოეცდინათ იგი.

მშობლებმა უფალს ცოცხალი საჩუქარი მიართვეს და შინ დაბრუნდნენ, დანიელი კი მონასტერში დარჩა და სულიერად ძლიერდებოდა.



ქრისტეს მიერ კურთხეული ყრმა
(წმიდა ეგნატე ღმერთაჲთაჲნი, სსმნება 20
ღეგნებაჲს)

ერთ დღეს მოწაფეებმა ჰკითხეს ქრისტეს, თუ ვინ იქნება ყველაზე დიდი ცათა სასუფეველში. ქრისტემ მზერა მოავლო მის გარშემო მყოფ ხალხს. ბევრი მათგანი შვილებთან ერთად იყო მოსული. უფალმა იხმო ერთი ბიჭუნა და თქვა: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“...

გავიდა წლები, უკვე დაიქუხა მიწაზე ქრისტეს სიტყვამ და გააბრწყინა მთელი ქვეყანა, მოციქულებმაც მსოფლიოს ყოველ კუთხეში იქადაგეს უფლის სიტყვები.

ეგნატე, სწორედ ის ბიჭუნა, რომელიც ერთ დღეს იუდეაში ქრისტემ დალოცა, ანტიოქიის ეკლესიის ეპისკოპოსი გახდა. მას კარგად ახსოვდა ის დალოცვილი დღე, როდესაც ქრისტემ მას თავისი ხელი დაადო... ეგნატე გულში იმარხავდა იოანე ღვთისმეტყველის დარიგებებს, რომელიც მისი მოძღვარი იყო. ბევრი ღვთაებრივი რამ უამბო მას რჩეულმა მოწაფემ.

როდესაც იმპერატორმა ტრაიანემ სომხეთისა და პართიის წინააღმდეგ გაილაშქრა, მან გზად ანტიოქიაში გაიარა, ეგნატე გაასამართლა და ქრისტესთვის სიკვდილი მიუსაჯა. ტრაიანემ ბრძანა ბორკილდადებული ეგნატე რომში ჩაეყვანათ და ხალხის თანდასწრებით ველური მხეცებისთვის მიეგდოთ დასაგლეჯად. აღსრულდა ეგნატეს დიდი ხნის ოცნება.

პეტრე და პავლე მოციქულთა მსგავსად მას ქრისტესთვის ბორკილები დაადეს.

ქრისტიანები მას ტირილით აცილებდნენ, თავად ეგნატე კი ზეიმობდა. მას მხოლოდ იმისი ეშინოდა, რომაელ ქრისტიანებს

ხელი არ შეეშალათ მისი სიკვდილით დასჯისათვის. თავის შთაგონებულ ეპისტოლეში იგი სიკვდილის სიხარულზე საუბრობს:

„ქრისტესთვის ბორკილდადებული ვიმედოვნებ, მოგეგებოთ თქვენ, თუ უფლის ნებით მივალწევ დასასრულს. დასაწყისი კარგია, ნეტავ გავხდები თუ არა ღირსი დაუბრკოლებლად მივიღო სანატრელი ხვედრი? თქვენი სიყვარულის მეშინია, რათა მან ხელი არ შემიშალოს. არასოდეს მომეცემა ასეთი ხელსაყრელი საშუალება, ღმერთს შევუერთდე. ნურაფერს გააკეთებთ იმისთვის, რომ ხელი შეუშალოთ ჩემს დასასრულს ველური ნადირების მიერ. სამსხვერპლო უკვე მზად არის... ვუგალობ ღმერთს, რომ მან ინება აღმოსავლეთიდან სირიის ეპისკოპოსის დასავლეთში მიყვანა... ვლოცულობ, რომ ჩემთვის გამზადებული ნადირები ხარბად მეცნენ. მე ვაიძულებ მათ, შემჭამონ და არ მოხდეს ისე, რომ ხელი არ მახლონ, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მხეცები მსხვერპლს არ ეკარებიან. ცეცხლი და ჯვარი, ველური ნადირების დაღებული ხახა, ჩემი სხეულის მოკვეთილი და დაგლეჯილი ნაწილები – აი რა მწყურია, ოღონდ ქრისტეს შევუერთდე!“

რომში ყველამ გაიგო იმის შესახებ, რომ სირიის ეპისკოპოსი ნადირებისთვის უნდა მიეგდოთ. მთელი ქალაქი ამ სანახაობისთვის ცირკში შეიყარა. არენაზე, სადაც უნდა დასრულებულიყო ეგნატეს სიცოცხლე, მან უსაზღვროდ გახარებულმა იმით, რომ ქრისტესთვის უნდა მომკვდარიყო, შესძახა:

„რომაელებო, განა რაიმე ბოროტმოქმედებისთვის ვიღებ სიკვდილს, განა რაიმე უკანონობა ჩავიდინე და ამისთვის ვისჯები სიკვდილით; არა, მე ვკვდები მხოლოდ ჩემი ღმერ-

თისთვის, მისდამი სიყვარულით ვარ ანთებული. მე მისი ხორბალი ვარ, ნადირთა კბილებში დავიფქვები, რათა მისთვის სუფთა პურად ვიქცე“.

მაშინვე ქრისტეს აღმსარებელს ლომები მიუქსიეს, რომლებმაც დაგლიჯეს იგი და მხოლოდ ძვლები დატოვეს.

ასე აღსრულდა ეგნატეს სურვილი, მისთვის კუბოდ ნადირები ქცეულიყვნენ.

როდესაც ეგნატე ნადირების დასაჭმელად მიჰყავდათ, იგი განუწყვეტლივ იმეორებდა იესო ქრისტეს სახელს. წარმართებმა ჰკითხეს, რატომ იმეორებდა იგი ამ სახელს.

— მე გულში მაქვს ეს სახელი, — უპასუხა მან, — და პირით ვადიარებ იმას, ვისაც გულით ვატარებ.

ნადირებმა ეგნატეს ძვლებთან ერთად ხელუხლებლად დატოვეს მისი გულიც.

წარმართებმა გაიხსენეს ეგნატეს სიტყვები, რომ გულით იესო ქრისტეს სახელს ატარებდა, და გაკვეთეს მისი გული. გადმოცემის თანახმად, ჭრილის ორივე მხარეს ოქროს ასობით იყო ამოტვიფრული „იესო ქრისტე“.

იგი ღმერთშემოსილი იყო.



ყრმა ნიფონტის მოქცევა
(სსქმეპა 23 დეკემბერს)

ყმადწვილი ნიფონტის საშინელი უსჯულოებებიდან ქრისტესაკენ მოქცევა, ერთ-ერთი ყველაზე მეტად ჭკუის სასწავლებელი ამბავია წმინდანთა ცხოვრებებს შორის.

მსგავსად მრავალცოდვილი მარიამ ეგვიპტელისა, რომელმაც ზნეობის ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ ანგელოზებსაც კი უკვირდათ. მსგავსად ავაზაკი მოსე შავისა, რომელიც ბრწყინავს წმინდანთა შორის, ნიფონტის ამბავი კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ არ არსებობს ცოდვის დაცემის სიღრმე, რომლისგანაც ადამიანი ვერ ამოვა და ვერ მიაღწევს გასხვიოსნებულ სიწმინდეს. ამასთან, ნიფონტის ამბავი საოცარი ნიმუშია იმ ზრუნვისა, რომელსაც იჩენს ჩვენი საერთო დედა, კურთხეული ქალწული მარიამი ადამიანების სულიერი გადარჩენისთვის.

ჩრდილო აზიის მკვიდრი ნიფონტი იყო ცნობილი დიდებულის შვილი და ახალგაზრდა ასაკში განათლების მისაღებად იგი კონსტანტინოპოლში გაგზავნეს. აქ იგი დაასახლეს ერთი მხედართმთავრის სახლში, მასწავლებლად კი ამავე სახლში მცხოვრები მღვდელი მიუჩინეს.

ნიფონტი ბუნებით კეთილი და თავმდაბალი ბიჭი იყო, უყვარდა ეკლესიაში სიარული. ყველაფერი, რაც რწმენას ეხებოდა, ახარებდა და გულს უჩუყებდა. უყვარდა ხატებისა და მათ წინ დანთებული კანდელების ყურება, ახარებდა გალობის მოსმენა. ის მთელი გულით გრძნობდა, რომ სამყარო არ მთავრდება იმით, რასაც იგი ხედავს, რომ ადამიანის არსებობის მთავარი მიზანი იქ, შორს, ხილული სამყაროს მიღმაა.

ნიფონტი უწესო ბავშვებს დაუშეგობრდა. ცუდი წრე, რომელშიც ნიფონტი ტრიალებდა, ნელ-ნელა ცვლიდა მის ზნეს. მართალია, მან არ უარყო ეკლესია, არ განუდგა თავის რწმენას, მაგრამ ბიწიერმა ცხოვრებამ ისე შეიპყრო იგი, რომ მას აღარ რჩებოდა დრო ლოცვისთვის და ეკლესიაში სიარულისთვის. ნელ-ნელა ის პირჯვრის გადაწერასაც გადაეჩნია. მისი ცხოვრება უქმი და უდარდელი გახდა. ღამეებს მეგობართა წრეში, ურცხვ ღრეობასა და ხორციელ ცოდვებში ატარებდა, შემდეგ სახლში მხოლოდ ნაშუადღევს იღვიძებდა, მდიდარ და უსაქმურ ადამიანებთან ერთად მოედანზე დაეხეტებოდა, მასხარების წარმოდგენებს ესწრებოდა... ეს ყველაფერი გულსა და გონებას უკლავდა და ღიდ ხარჯებსაც მოითხოვდა.

რამდენჯერმე, როდესაც ფული არ ჰყოფნიდა, ნიფონტმა მოიპარა კიდეც. უწესო ცხოვრებამ ნერვული სისტემაც დაუზიანა, ადვილად ღიზიანდებოდა, სულ მცირე საბაბიც საკმარისი იყო, რომ ჩხუბი და დავიდარაბა აეტეხა. ამასთან სხვებზეც ცუდ გავლენას ახდენდა, ასე რომ კონსტანტინოპოლის ახალგაზრდებისათვის ცღუნების წყაროდ გადაიქცა.

ნიფონტის ერთმა ნაცნობმა, სათნო ადამიანმა, რომელიც შიშით აღევნებდა თვალს მის ცხოვრებას, უთხრა მას:

— ნიფონტ, რა გემართება? როგორ ცხოვრობ? ცოცხალია მხოლოდ შენი სხეული, შენი სული კი მკვდარია.

— ნუ მსაყვედურობ, გულდაწყვეტით უპასუხა ნიფონტმა. მე სამუდამოდ დაღუპული ვარ — აღარაფერი მეშველება, მამ ნულარ მიშლი ხელს, მშვიდად დავტკბე ამქვეყნიური სიამოვნებებით.

ნიფონტიისთვის ადრე ნაცნობი იყო მგზნებარე ლოცვის სინარული. ახლა კი ლოცვა აღარ შეეძლო, თითქოს ქვა ედო გულზე. ქალი, რომლის სახლშიც ნიფონტი ცხოვრობდა, ხშირად ტიროდა ამ ყმაწვილის გამო. ის ცდილობდა, დაერწმუნებინა ყმაწვილი, ასეთი ცხოვრებისათვის თავი დაენებებინა, ეჩხუბებოდა, სცემდა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ნიფონტი მართლაც სამუდამოდ დაღუპული იყო, რომ იგი ველარასოდეს დააღწევდა თავს იმ უსჯულოების წყვედიადს, რომელშიაც ჩაეფლო.

ნიფონტს, დაცემის მიუხედავად, მაინც შემორჩა ძველი კარგი მეგობრები. ერთხელ ის მივიდა ერთ-ერთ ასეთ მეგობართან, ნიკოდიმესთან. როდესაც ნიკოდიმემ სტუმარს შეხედა, შეძრწუნებისაგან ხმა ვერ ამოიღო.

— რა მოგივიდა, რატომ სდუმხარ? — ჰკითხა ნიფონტმა.

— არასოდეს მინახიხარ ასეთი: სახე ეთიოპელივით სულ მთლად შავი გაქვს.

მეგობრის ამ შენიშვნამ და მის სახეზე გამოხატულმა საშინელებამ ღრმად შეძრა ნიფონტი. მას შერცხვა და შეეშინდა. სახე ხელებით დაიფარა, ეგონა, რომ ყველა ხედავდა მის სიშავეს და დადარდიანებული შინ წავიდა. „ვაი ჩემს თავს, — ფიქრობდა იგი. — თუ ისეთი შავი ვარ, რომ ხალხს ვაშინებ, როგორღა წარვსდგები უფლის სამსჯავროზე? რაღა ვქნა ახლა! ნუთუ შევძლებ მონანიებას, ნუთუ შესაძლებელია ჩემი გადარჩენა? როგორ შემიძლია, ღმერთს ვუთხრა „შემიწყალე“, როდესაც სულ მთლად სიბილწეში ვარ ჩაფლული!“

ასეთი ფიქრებით მივიდა ნიფონტი სახლში. მასში დიდი ბრძოლა მიდიოდა ღამით, როდესაც ყველაფერი ჩაჩუმდა.

კეთილი ზრახვა მას შთააგონებდა: „მთელი სულით მიენდე ღმერთს, იგი შენთვის ევნო, ის არ უკუგაგდებს შენ, იმედი გქონდეს მისი მოწყალების და უფალი მოგაგებს შენი რწმენისამებრ“.

ამ კეთილ ზრახვას ბოროტი ზრახვა ეწინააღმდეგებოდა, რომელიც ნიფონტს შთააგონებდა: „თუ ლოცვას დაიწყებ, გაგიჟლები და დამახინჯდები და ყველა დაგცინებს“.

ნიფონტს ეყო ძალა თავი ასე დაემშვიდებინა: თუ მაშინ არაფერი დამემართა, როდესაც ბიწიერებაში ვცხოვრობდი, ნუთუ ახლა მომივა რაიმე ცუდი, როცა ლოცვას დავიწყებ?

— გამშორდი, სატანავ — დამლუპველი აზრების შთამაგონებელი.

ნიფონტმა მოიკრიბა ძალა და ღამით სალოცავად დადგა. მკერდში იცემდა, უფალს შეწევნას და შეწყალებას ევედრებოდა. თავის გასასამართლებლად არაფერი ჰქონდა სათქმელი. იცოდა, რომ მთლიანად წყლულებსა და ცოდვებში იყო ჩაფლული. მისი დაიარებული, ღმერთს მონატრებული სული შეჰკლადებდა მას, პატიებას ევედრებოდა. როგორც ოდესღაც მეძავი ქალი, მისი სულიც მაცხოვარ ქრისტეს ფეხებში ჩაუვარდა. ლოცვისას მან მოულოდნელად აღმოსავლეთიდან მასზე მომავალი საშინელი წყვდიადი დაინახა. ნიფონტი შეშინებული დაწვა. მას ეჩვენებოდა, რომ წყვდიადი მისი დაღუპვის მომასწავებელი იყო. დილით მან თავს ძალა დაატანა ეკლესიაში წასასვლელად. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი მისთვის იოლი არ აღმოჩნდა, ეკლესიის ზღრუბლთან მისული კინალამ უკან გაიქცა, მაგრამ უფალი შეეწია მას.

ტადარი ჯერ ცარიელი იყო, მსახურები საკუთხეველს ალაგებდნენ. ნიფონტს ხელს არავინ უშლიდა. იგი მივიდა ღვთისმშობლის ხატთან, რადგან იგი ყოველთვის პატივს მიაგებდა ქრისტიანთა დედასა და მეოხს.

– შეძეწიე, – შეჰკლალა მან ღვთისმშობელს, – დამეხმარე შენი დიდი წყალობით, ყოვლადწმიდაო, მიშველე! შენ ხარ მონანულთა ნუგეში და იმედი!

და მოხდა სასწაული. ღვთისმშობლის ხატი გაბრწყინდა. ნიფონტი თითქოს გარდაიქმნა, იგი მიხვდა, რომ ღვთისმშობელმა შეიბრალა იგი და მზადაა დაეხმაროს. მან ხელები ხატისკენ გაიწვდინა და წარმოთქვა:

– უფალო, შენ დასახმარებლად შენი ყოვლადწმიდა დედა გამოგვიგზავნე! შენ იგი ჩვენთვის მლოცველად დაადგინე!

მის გულში სიმშვიდემ დაისადგურა, იმედით ემთხვია იგი წმიდა ხატს. სახლში დაბრუნებული თავისთავს ეუბნებოდა: „შეხედე, წყეულო სულო, შეხედე, როგორ შეგვიყვარა ჩვენ უფალმა, როგორ მოდის ჩვენსკენ, ჩვენ კი უარვეყოფთ მას“.

ამის შემდეგ ნიფონტი ღროს ლოცვაში, სინანულსა და მკაცრ მოღვაწეობაში ატარებდა, შემდეგ ბერად შედგა. ნიფონტი დიდი სასწაულთმოქმედი გახდა. მას საკვირველი ხილვები ჰქონდა, წინასწარჭვრეტის ნიჭიც, რითაც ადამიანებს ეხმარებოდა სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვაში.



ბეთლემელი ყრამბი
(**იროდის მიერ ბეთლემში მოწყობილი 14 000 ჩვილი,**
ხსენება 29 ღეკამბარს)

ქრისტიანული სამყაროს პირველი წმინდანები არიან ბეთლემის ყრამბები, რომლებიც ქრისტეს დაბადებისთანავე სასტიკმა იროდმა ამოახოცინა.

როდესაც მოგვები, იღუმალი ვარსკვლავის წინამძღოლობით, იერუსალიმში მივიდნენ, იკითხეს: „სად არის იუდეის ახალშობილი მეფე? ჩვენ ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთით და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“

იუდეის მმართველ იროდს შეეშინდა ხელისუფლების დაკარგვის. იგი ეკითხებოდა მწიგნობრებსა და ფარისევლებს, სად უნდა დაბადებულიყო ქრისტე. მას უპასუხეს, რომ ქრისტე უნდა დაბადებულიყო იუდეის ქალაქ ბეთლემში, რომელიც იერუსალიმიდან ერთი-ორი საათის სავალზე მდებარეობდა. იროდმა მოგვებს დაავალა, დაწვრილებით გაეგოთ ყველაფერი ახალშობილის შესახებ და მისთვის მოეხსენებინათ. მას იმედი ჰქონდა, რომ მოკლავდა იუდეის ახალშობილ მეფეს. მაგრამ მოგვებს ანგელოზმა აუწყა, არ დაბრუნებულიყვნენ იროდთან. როდესაც იროდი მიხვდა, რომ მოგვები არ დაბრუნდებოდნენ, განრისხდა. მან გასცა ბრძანება ბეთლემსა და მის შემოგარენში ამოეხოცათ ყველა ახალშობილი. ის დარწმუნებული იყო, რომ მათ რიცხვში აუცილებლად აღმოჩნდებოდა საოცარი ახალშობილიც, მაგრამ ანგელოზის მიერ გაფრთხილებულმა იოსებმა წმიდა ქალწული და ყრმა საშიშროებას გაარიდა და ეგვიპტეში წაიყვანა. გადმოცემის თანახმად ბეთლემსა და მის შემოგარენში ამოწყვეტილ ყრამათა რიცხვი თოთხმეტიათასს

აღწევს. ეს ახალშობილები იყვნენ ჰირველები იმათ შორის, ვინც ქრისტესთვის აწამეს. ეკლესიამ ბეთლემში მოწყვეტილი ყრმები წმინდანებად შეარაცხა.

ტექსტები თარგმნილია მცირედი შემოკლებებითა და შესწორებებით.

